ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№44
30.X–5.XI 2013





ნინო მუმლაძე „ორსულობას" მალავდა, ანი ტყებუჩავა „ქმრის" ღალატს აპირებდა

გვ.37

„შეცდომებს ცეკვაში ვერავის ვაპატიებ"



ანრი ჯოხაძემ ოპერის მომღერალ ძმასთან დუეტი ჩაწერა

„პირველები ვართ, ვინც თბილისის ანძაზე კლიპი გადაიღო"

გვ.20

„სოფო შევარდნაძესთან ვმეგობრობ, არადა მისი გვარი მთელი ცხოვრება ხელს მიშლიდა"

„დიდი თეატრის ხელმძღვანელს ვუთხარი, ქართველებს თავის დახრა არ გვჩვევია-მეთქი"



ირინა ონაშვილი: „ქმრად სხვა მინისტრს არ ვეძებ!"

გვ.34

# ნიკოლოზ ცისკარიძე: „მოსკოვში რომანოვის გვარს მთავაზობდნენ"

გვ.10



როგორ გაიცნო ხელახლა თაკო ჩორგოლაშვილმა კალათბურთელი ქმარი

გვ.24



ლელა წურწუმია: „პირველი ქაღარა კონკურსმა გამიჩინა"

გვ.22



გიორგი ბარბაქაძე: „ცეკვა მეგობარი გოგოს ხათრით დავიწყე"

გვ.52



„დები ღლონტებისგან თავი უნდა დავიხსნათ!"

გვ.30

ISSN 1987-9369
9 771987 936002

„მეშინია, ჩემს ბიოლოგიურ დედას არ დავემსგავსო და არ გავლოთდე"

გვ.28



სილქნეტი
SILKNET
ტურბო ღილაკი
100 მბ/წმ ინტერნეტ სიჩქარე
2 საათის განმავლობაში 1.5 ლარად
პირველი აქტივაცია უფასო!
5 Mb/Sec
100 Mb/Sec
Silk Optic
Silk Optic
Find us on facebook
2 100 100
www.silknet.com
ოპტიკური ტექნოლოგიები

# ნომერშია


## მთავარი თემა

■ საპრეზიდენტო არჩევნები — სიურპრიზები, შეცდომები, პერსპექტივები 6

■ შალვა ნათელაშვილი: „ამ არჩევნებით კი არ დამთავრდა, იშვა კოაბიტაცია“ 9

## ვარსკვლავი

ნიკოლოზ ცისკარიძე: „მოსკოვში გვარის შეცვლაზე უარი განვაცხადე“ 10

## გულახდილი საუბრები 12

## ცხოვრების გაკვეთილები

მანანა კოზაკოვა: „შემეძლო, უფრო სწორად მეცხოვრა, მაგრამ არ გამოვიდა...“ 14

## პოლიტიკა

ლაფანყურის სპეცოპერაციის და ჩოკუტაევის კლიპის კვალი ერთსა და იმავე პიროვნებასთან მიდის? 16

## სკანდალი

კუდ-ის აგენტებად გამოცხადებული დეპუტატები პროკურატურაში ჩივიან 18

## დედმამიშვილები

ანრი ჯოხაძემ ოპერის მომღერალ ძმასთან დუეტი ჩაწერა 20

## ახალი ამპლუა

ლელა წურწუმია: „პირველი ქაღარა კონკურსმა გამიჩინა“ 22

## კონკურსანტი

როგორ გაიცნო ხელახლა თაკო ჩორგოლაშვილმა კალათბურთელი ქმარი 24

## მოზარდები 28

## ტანდემი

თათული ედიშერაშვილი: „დები ღლონტებისგან თავი უნდა დავიხსნათ!“ 30

## დედა-შვილი

მაია ტურიაშვილის დედისერთა ბიჭი ოჯახში ავტონომიას ითხოვს 31

## კადრმიღმა

მაია ფაჩუაშვილი: „ჩემი ილუმენი და სერიალს ვერ უყურებს“ 33

## ჭორ-მართალი

■ ირინა ონაშვილი: „ქმრად სხვა მინისტრს არ ვეძებ!“ 34

■ ხატია შამუგია: „მეგობარმა ჟურნალისტმა გული ძალიან მატკინა“ 35

## ავტომოყვარული

ზურა მანჯავიძე: „ჩემს წინა მანქანას „დუბინკების“ კვალი ეტყობოდა“ 36

## სახე სერიალიდან

ნინო მუმლაძე „ორსულობას“ მალავდა, ანი ტყებუჩავა „ქმრის“ ღალატს აპირებდა 37

## ცხოვრება ჩემოდნებზე

ეკო ფანგანი: „რომში მინდება, რომ შეყვარებული ვიყო“ 45

## მეგზური

მასკატი — ტროპიკული წალკოტი არაბეთის ზღვის პირას 47

## ქალის ტვირთი

თანამედროვე ხანუმა — „ყველა დაქალი დავაბინავე, მე კი მარტო დავრჩი“ 49

## მხოლოდ ქალებისთვის 50



№44(809) 30 ოქტომბერი — 5 ნოემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 28.10.2013, 21.00 სთ-ზე.



## დედიკოების სკოლა 51

## ჩემი მშვენიერი ლედი

გიორგი ბარბაქაძე: „ცეკვა მეგობარი გოგოს ხათრით დავიწყე“ 52

## სპორტის მიღმა 53

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

## სახალისო 56

## იყავით ჯანმრთელი 58


## სპარტაკ ბაღაშვილი – ფსიქიატრიულში გამომწყვდეული ვარსკვლავი

### „წარმოიდგინეთ, მისი სახელობის ქუჩაც კი არ არის თბილისში"



სპარტაკ ბაღაშვილი საოცარი ხმითა და დრამატიზმით დარჩა ქართული კინოს ისტორიაში. მას შეეძლო პირველივე კადრიდან მოენუსხა მაყურებელი. არსენა, ლუარსაბ მეორე, ხევისბერი, მარტია, ვაჟა-ფშაველა, გამზრდელი... მის მიერ შესრულებული ნებისმიერი კინოროლი კაშკაშა იყო. მისი სახალხო გმირიც ისეთივე დაუვიწყარი გახლდათ, როგორიც გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ქუჩიდან პირდაპირ კინოში აყვანილმა 21 წლის ბიჭმა, რომელსაც მსახიობობაზე არც უფიქრია, ვარსკვლავად ერთ დღეში „გაიღვიძა“, თუმცა სიცოცხლეში ვარსკვლავად არ აღიარეს. სათანადოდ არც დღეს არის შეფასებული. ცხოვრებაც ისეთივე დრამატული ჰქონდა, როგორიც როლები. საბჭოთა რეჟიმმა ჯერ ციხეში, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოამწყვდია, კინოში კი მის გარშემო ინტრიგები და მტრები მრავლად იყვნენ.

„არსენა იყო როლი, რომელმაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ამის შემდეგ ოცამდე ფილმში გადაიღეს. ვიღაცეებს მისი წარმატება არ მოსწონდათ. ერთხელ ფილმი უნდა გაეხმოვანებინა, მაგრამ არ გაუშვეს. უთხრეს, მეტყველება არ გივარგაო".

ჯერ ისევ ახალგაზრდა, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2014 წელს სპარტაკ ბაღაშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. დიდი მსახიობის ცხოვრების ეპიზოდებს მისი ერთადერთი ქალიშვილი მანანა ბაღაშვილი გვიამბობს.


გვ.26



## კროსვორდები 60

## ადამიანის ინსტიტუტი 62

## სიცილის გვერდი 63

## უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

## ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

## ცოტ-ცოტა ყველაფერზე 69

## წმინდანები

თუ გვიყვარს ღმერთი, ვცდილობთ ცოდვებისგან თავშეკავებას, ამას კი მოჰყვება წყალობა ღვთისა — ხსენება წმინდისა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსისა, „დიდი კანონის“ შემქმნელისა 72

## კითხვები მოძღვარს

წმინდა უვერცხლონი კოზმა და დამიანე — ქრისტიანული ოჯახების სიწმინდის და სიმტკიცის მცველი ძმები 73

## გზა ტაძრისაკენ

არქიმანდრიტი ადამი: „ბერად აღკვეცის დღემდე ექიმად ვმუშაობდი“ 75

## საბავშვო გვერდი 76

## ხელსაქმე 78

## ახალარჩეული პრეზიდენტი დაქორწინებას არ აპირებს



საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ გიორგი მარგველაშვილს ოჯახურ მდგომარეობაზე კომენტარის გაკეთება პირველივე პრესკონფერენციაზე მოუწია. მომავალი პრეზიდენტის თქმით, მას ბევრი შენიშვნა მიუღია ცხოვრებაში, მაგრამ მსგავსი არასდროს.

— ჩემი ოჯახური მდგომარეობა საზოგადოებამ იცოდა, განხილვის საგანი იყო, რაც არგუმენტების ნაკლებობაზე მიუთითებს ოპონენტების მხრიდან. ნათლად გამოჩნდა, რომ ეს არ არის ქართველი ამომრჩევლისთვის მთავარი. ჩვენი პოლიტიკის ამოსავალი იყო სწორედ საქართველოს მოქალაქეების ოჯახების გაძლიერება. შესაბამისად, ჩემი ოჯახური მდგომარეობა, ის, რომ მე არ მყავს ოფიციალურად ხელმოწერილი მეუღლე, ეს ლეგიტიმური ინტერესის საგანია, მაგრამ რეალურად დიდი ყურადღება არ ექცევა. შენიშვნა ცხოვრებაში ბევრი მიმიღია, მაგრამ მსგავსი ჯერჯერობით — არა... ახლო მომავალში კი არაფის შეცვლას ვაპირებ, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან.

გიორგი მარგველაშვილი ცოლთან გაყრილია. ჰყავს ერთი შვილი — ანა მარგველაშვილი. ახალარჩეული პრეზიდენტი ამჟამად მეგობარ ქალთან, მაკა ჩიჩუასთან ერთად ცხოვრობს, რომელთან ერთადაც 27 ოქტომბერს, არჩევნების დასრულების შემდეგ, საქართველოს პატრიარქთან მიწვევაზე მივიდა.

## სააკაშვილი შემდეგი არჩევნებისთვის ემზადება



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მხარდამჭერებს და ნაცმოძრაობის კანდიდატს, დავით ბაქრაძეს, მადლობა გადაუხადა. ის არჩევნების შედეგით კმაყოფილია და მომავალ არჩევნებში ნაცმოძრაობის გამარჯვებისაც სჯერა.

— ჩვენ გავედით მეორე ადგილზე და ეს ადგილი მყარ საფუძველს ხდის შემდგომ ძალებისთვის და შემდგომში ჩვენი გამარჯვებებისთვის. რამდენიმე თვის წინ ყველა აკეთებდა პროგნოზს, რომ ნაციონალური მოძრაობა გაქრებოდა და გაუჩინარდებოდა. 25 000 ჩვენი აქტივისტი მთელი წლის განმავლობაში მუდმივად იმყოფებოდა დაკითხვაზე, ჩვენი ყოფილი მინისტრები სრულიად უსამართლოდ იმყოფებიან საპატიმროებში და გაუგონარი უსამართლობით ხდება მათი საქმეების განხილვა. ბევრ სხვასაც ემუქრება პატიმრობა. მიუხედავად იმ დიდი პროპაგანდისა, იმ ათასგვარი სიბინძურისა, რომელიც ჩვენზე გადმოისხა, შედეგი, რომელიც დაფიქსირდა, ძალიან კარგი საწყისი პოზიციაა ნებისმიერი მზარდი პარტიისთვის, ნებისმიერი მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალისთვის.

პირველ რიგში, მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატს და ჩვენი პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძეს, რომელიც მთელი ეს თვეები დაუღალავად დადიოდა და ხალხს ხვდებოდა, უხსნიდა ყველაფერს, რაც იყო ჩვენი პლატფორმა. ამავე დროს გავიმეორებ გიგა ბოკერიას სიტყვებს, რომელიც მან წარმოთქვა, რომ შევხვდებით მომავალ არჩევნებზე, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## ბიძინა ივანიშვილი 24 ნოემბერს პარტიიდან და პოლიტიკიდან წავა

საქართველოს პრემიერმინისტრის, ბიძინა ივნიშვილის განცხადებით, 24 ნოემბერს დაგეგმილია კრება, სადაც ის გადადგება.



— 24 ნოემბერს მაქვს დანიშნული კრება, სადაც მე გადავდგები და პარტიიდან და პოლიტიკიდან წავალ. მანამდე მე პოლიტიკაში ვრჩები და მანამდე ვაპირებ მერობის კანდიდატის შეთანხმებას და არა — მას შემდეგ. სანამ ვარ პოლიტიკაში, შემიძლია ჩემი პოლიტიკური აზრი დავაფიქსირო. ეს არ არის ის, რომ წავედი და მერე ვიწყებ ჩემი აზრის თავზე მოხვევას, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მის შემცვლელს, ის ამ კვირის ბოლოს დასახელდება და როგორც პრემიერი ირწმუნება, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნება იქნება. პრესაში გაცხოველებული მსჯელობა მიმდინარეობს, მისი რჩეული ირაკლი ღარიბაშვილი გახდება თუ დავით სერგეენკო.

## ნიკა რურუა ახალ პრეზიდენტს მოძღვრავს



საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ახალარჩეულ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს ჯონ ადამსის სიტყვებით აფრთხილებს.

— ვინც უნდა გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში, მიუხედავად ჩვენი პირადი სიმპათია-ანტიპათიებისა მისდამი, მან აუცილებლად უნდა დაიმახსოვროს ეს სიტყვები, რომლებიც წარმოითქვა 200 წლის წინ და ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტსა და ე.წ. დამფუძნებელ მამას, ჯონ ადამსს: „გამარჯვების შემდეგ უფრთხილდი ორ რამეს — გამარჯვებით გამოწვეულ ეიფორიას (ნუ ჩაიფიქრებ ასეთ დროს გრანდიოზულ გეგმებს, რადგანაც შენი აზროვნება შეზღუდულია ტრიუმფით გამოწვეული გრძნობებით) და გამარჯვების მიერ მოტანილი ძალაუფლების მაკორუმპირებულ ტენდენციას. შეეცადე, რომ თავი ნაკლებად პასუხისმგებლად არ იგრძნო წარმატებების გამო. ახლა გმართებს საკუთარ თავთან პასუხისგება და მართვა ისე, როგორც არასდროს, — წერს რურუა.

საინტერესოა დამოძღვრა თუ არა მან იგივენაირად 9 წლის წინ მაშინდელი ახალარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ამის შესახებ კულტურის ყოფილი მინისტრი არაფერს ამბობს.


სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე"
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში" გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მხატვარი — აზა გოგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიფლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.

სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru

მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE




Cyan Magenta Yellow Black




შეაგროვე
მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა
100 ტომად




„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ყველა ოჯახში“

დაელოდე ყოველ მეორე ოთხშაბათს ახალ ტომს

შეიძინეთ მე-13 ტომი
პლატონი - ადრეული დიალოგები - წიგნი II
სპეციალური ფასი ჟურნალთან ერთად - 10 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
www.facebook.com/bakursulakauripublishing
291 11 65; 291 09 54 www.sulakauri.ge


## გუშინ, დღეს, ხვალ

### ბაჩო ახალაიას ბუნტისთვის 3 წელი და 9 თვე მიესაჯა

საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ბაჩო ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე 3 წლითა და 9 თვით პატიმრობა შეეფარდა. იგივე სასჯელი მიესაჯათ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებულ დავით ჭაკუას, რევაზ ჭარბაძეს და მეგის ქარდავას, რომლებიც ამ დრომდე ძებნილებად ითვლებიან.

თავდაპირველად განსაზღვრული სასჯელი 5 წელს შეადგენდა, თუმცა ამნისტიის შედეგად ერთი მეოთხედის შემცირების შემდეგ, სასჯელმა 3 წელი და 9 თვე შეადგინა. ამასთან, ბაჩო ახალაიას 2 წლითა და 3 თვით თანამდებობაზე დანიშვნა შეეზღუდება და ამავდროულად დაეკისრება 4 000 ლარიანი ჯარიმა, ისევე, როგორც სხვა ბრალდებულებს.



სასამართლომ ოთხივე ბრალდებულს პატიმრებისთვის არაადამიანური მოპყრობა დასდო ბრალად. როგორც გამოძიება აცხადებს, 2006 წელს ახალაია სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად პატიმრებს არაადამიანურად მოექცა, რის შემდეგაც ციხეში ბუნტი ატყდა.

განაჩენის გამოცხადებას ხმაური მოჰყვა სხდომათა დარბაზში. ბაჩო ახალაიას ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა სხდომათა დარბაზი სასამართლოს დასრულებამდე დატოვეს.

### სოჭში ზღვამ ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამორიყა

სოჭში მომხდარი შემთხვევა რუსულმა მედიასაშუალებებმა სასწაულად მონათლეს. ზღვამ ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამორიყა, რომელიც ტურისტებმა იპოვეს და ახლომდებარე, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში გადააბრძანეს. შემთხვევა გოლოვინკის დასახლებაში მოხდა.

ტაძარში დაადგინეს, რომ ხატი 1896 წელსაა მოჭედილი ვერცხლითა და ძვირფასი თვლებისგან. მასზე არის წარწერა: „პროტოპრესვიტერი ალექსანდრ სმირნოვი“, რომელსაც ხატის დამწერად მოიაზრებენ. სოჭის ადმინისტრაციის პრესსამსახური იტყობინება, რომ ხატი ნაწილობრივ დაზიანებულია, თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ზღვის ტალღებში იყო, მაინც კარგად გამოიყურება და მასზე ღვთისმშობლის გამოსახულება ნათლად იკვეთება.

26 ოქტომბერს ამ შემთხვევის გამო ტაძარში საზეიმო ლიტურგიაც აღავლინეს.


გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# საპრეზიდენტო არჩევნები — სიურპრიზები, შეცდომები, პერსპექტივები

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს — 44 წლის, განათლებით ფილოსოფოსი, გიორგი მარგველაშვილი, ხოლო ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს იმ დემოკრატიული ნაბიჯით, რომელიც უკვე გადაიდგა. ასეთ შეფასებას ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი ილკა კანერვა აკეთებს. პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერსაა დაგეგმილი, ცერემონია თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ყოფილი პარლამენტის შენობასთან გაიმართება.

არჩევნები უჩვეულოდ მშვიდ გარემოში ჩატარდა. წინასწარი მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნებში 62,09%-ით კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე მოულოდნელი შედეგით გავიდა — 21,9%-ით, შემდეგ პოზიციას კი 10,06%-ით „დემოკრატიული მოძრაობის" კანდიდატი ნინო ბურჯანაძე იკავებს. მას მოსდევს შალვა ნათელაშვილი — 2.88%-ით. ამ არჩევნებისგან მეორე მოულოდნელობა ის გახლდათ, რომ საარჩევნო ყუთებთან საქართველოს ელექტორატის ნახევარზე ნაკლები მივიდა — დაახლოებით 46,6%. ამ ორ „სიურპრიზში" საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაინახა და ის ქართველი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის სიმცირით ახსნა. რეალურად კი ის ფაქტი მივიღეთ, რომ გიორგი მარგველაშვილს ამომრჩევლის 46,6%-დან 62,09%-მა დაუჭირა მხარი.

რა დასკვნები შეიძლება გააკეთოს ყოველივე აქედან ყველა დაინტერესებულმა მხარემ — ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, მმართველმა ძალამ, ოპოზიციამ და თავად ამომრჩეველმა, მოვლენების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ საქართველოში, ამ საკითხებზე „სარკე" პოლიტიკურ ექსპერტებს ესაუბრა.



**„არ იყო საჭირო, რომ თქვეს, ჩვენ ავიღებთ 60 პროცენტს ან მეტსო. ამან პასიური გახადა ამომრჩეველი. გამარჯვებულის ამომრჩეველი უფრო პასიურია და თუ გინდა, გააქტიური, ჯობია, თანაბარ შანსზე ილაპარაკო".**

**„ამ ერთი წლის განმავლობაში რომ ყოფილიყო გამოძიებული ყველა ის საქმე, რომელიც ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდს უკავშირდება და ხალხისთვისაც მეტად რომ ყოფილიყო ცნობილი სასამართლო განაჩენებით გამყარებული კონკრეტული ადამიანების დანაშაული, მაშინ ასეთი შედეგი არ დადგებოდა".**

**კახი კახიშვილი:**

— ამ არჩევნებს თუ ნებისმიერ სხვა არჩევნებს შევადარებთ, რომელიც საქართველოში ჩატარებულა, ნამდვილად ჩატარდა დემოკრატიულ გარემოში, მაგრამ თვითონ საარჩევნო კოდექსი მოითხოვს ცვლილებებს. ზოგი მუხლი არანაირად შეესაბამება დემოკრატიული ქვეყნების მოთხოვნებს. კონკრეტულად ვგულისხმობ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესებს, საარჩევნო დავების რეგულაციებს. საარჩევნო სისტემა არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი ევროპის საპარლამენტო ასამბლეისთვის. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რეგულაციები უნდა გამკაცრდეს.

**— ეს სახვალიო საქმეა. ახლა, მოდით, ის გავაანალიზოთ, რატომ მივიდა არჩევნებზე ამომრჩევლის 46 პროცენტი.**

— ამომრჩევლის ნაკლებ ინტერესს საპრეზიდენტო არჩევნებისადმი იმით ავხსნი, რომ წინა არჩევნები იყო კონტრასტული, მას მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების დატვირთვა არ ჰქონდა. ეს იყო არჩევანი „მე მინდა მიშა" და „მე არ მინდა მიშა", ანუ ბევრი პროტესტმა მიიყვანა საარჩევნო უბანზე და მიაცემინა ხმა. ამ არჩევნებზე უკვე არ იყო ასეთი ტიპის საშიშროება. იცოდა, რომ მიშას ეპოქა დასასრულს უახლოვდება და ამავდროულად მიმდინარეობდა არასწორი საარჩევნო კამპანია.

2010 წლიდან ამბობენ, რომ 2013 წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს არანაირი უფლებამოსილება არ ექნება. ნაცმოძრაობის რიტორიკა გააგრძელა „ოცნებამაც" და გამოთქვა მოსაზრება, რომ, რადგან ამ პრეზიდენტს არ ექნება დიდი უფლებამოსილება, იქნებ არა პირდაპირი წესით, არამედ პარლამენტმა აირჩიოსო. გარკვეულწილად მოსახლეობაზე ამანაც იმოქმედა და შესაძლებელია ამიტომაც არ მივიდა საარჩევნო ყუთამდე. ჩვენი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 5 კაციც რომ გასულიყო ამ არჩევნებზე, მაინც შემდგარად ჩაითვლებოდა, რადგან არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროცენტული გაანგარიშება დგინდება არა საერთო ამომრჩევლების რაოდენობიდან, არამედ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობიდან. ანუ, თუ 10 კაცი მონაწილეობს და ამათგან ჩემი 5 მხარდამჭერია, გამოდის, რომ მე მოვიპოვე 50 პროცენტი. ალბათ ამ დაანგარიშების მეთოდოლოგიის შეცვლაზეც უნდა ვიფიქროთ.

საერთო ჯამში, არჩევნები შედგა და სახელისუფლებო კანდიდატმა მოიპოვა უმრავლეობის მხარდაჭერა, რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა.

**— დანარჩენი 54 პროცენტის არმისვლით ვინ მოიგო?**

— ბაქრაძემ, რადგან ნინო ბურჯანაძემ ვერ უზრუნველყო იმ ხმების მობილიზება, რომლებიც „ოცნების" იყო 2012 წლის 1 ოქტომბერს, მაგრამ უკვე აღარ არის. ნინომ ვერ დაარწმუნა ისინი, რომ ეს ხმები მასთან მისულიყო, მოტივაცია ვერ შეუქმნა ამ ამომრჩეველს. მოტივაცია ვერ შეუქმნეს 54 პროცენტს სხვა პარტიებმაც, ამიტომ ამ არჩევნებზე მივიდნენ კონკრეტული კანდიდატების მხოლოდ აქტიური მხარდამჭერები.

**— მეორე ადგილზე ბაქრაძეს რამდენად მოელოდით?**

— მოდით, ვთქვათ, რომ მეორე ადგილი ნაცმოძრაობისთვის განპირობებულია იმით, რომ ნაცმოძრაობა იყო მეორე სახელისუფლებო პარტია. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. როცა ჩვენ ვსაუბრობთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება-არგამოყენებაზე, აქ არ იგულისხმება მხოლოდ „ქართული ოცნება". „ქართულმა ოცნებამ" ნამდვილად უარი თქვა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მაგრამ ამავდროულად ნაცმოძრაობას უარი არ უთქვამს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე. ის მეორე სახელისუფლებო პარტიაა, რომელიც ფლობს პრეზიდენტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, უშიშროების საბჭოს, თბილისის თვითმმართველობის, რეგიონებში თვითმმართველობების და გუბერნატორების რესურსებს. ამავდროულად, ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ნაცმოძრაობას ეკუთვნის წევრთა ნახევარი. ეს ძალიან დიდი ფორაა. პლუს დაფინანსებაც სერიოზული აქვს და გამოცდილებაც, რომე-

**„სად გაქრა ის მექანიზმი, რომელიც ნაციონალების დროს ხმების გაყალბებაზე მუშაობდა? მისი სახის და სახელების გამოყენება ხომ არავის უცდია. და ჩვენ ხომ არ ვიცით, ამ არჩევნებში ამ მანქანამ, რომელიც დაახლოებით 30 პროცენტს აყალბებდა, როგორ იმუშავა?".**



Cyan Magenta Yellow Black

ლიც 20 წლის განმავლობაში დააგროვა. არც მოტივირებული ამომრჩეველი დაივიწყოთ და არც პარტიული დისციპლინა. ამ ყველაფერმა უზრუნველყო მათი მეორე ადგილზე გასვლა.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მან დაადასტურა მზარდი რეიტინგი, მაგრამ ვერ შეძლო ამომრჩევლის მობილიზაცია. სურათი აჩვენებს, რომ ჩვენი ამომრჩეველი იყოფა ასეთ სეგმენტად: „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, ნაცმოძრაობის ამომრჩეველი და ამომრჩეველი, რომელიც არასოდეს გახდება ნაციონალების მომხრე, მაგრამ არც „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს. სწორედ ამ სეგმენტში ვერ იმუშავა ნინო ბურჯანაძემ ეფექტურად.

**— მარგველაშვილს გამარჯვება ბაქრაძემ ეგზიტპოლების გამოცხადებისთანავე მიულოცა.**

— შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ამას არჩევნებამდეც გააკეთებდა, რადგან არავის ეპარებოდა ეჭვი მარგველაშვილის გამარჯვებაში. ნაცმოძრაობის საარჩევნო კამპანია არ იყო აგებული პირველი ადგილისთვის ბრძოლაზე. მათ ჰქონდათ სლოგანი — ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა, რაც ნიშნავს, რომ მათ ჰქონდათ პრეტენზია, მოეპოვებინათ მეორე ადგილი, რათა გაეკონტროლებინათ და არა ემართათ. ამიტომ ბაქრაძემ მიაღწია მაქსიმუმს, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო ნაცმოძრაობისთვის. მე თუ მკითხავთ, იმაზე მეტსაც კი, რასაც ვარაუდობდნენ, რადგან წარმოუდგენელი იყო, მათი 9 წლიანი მმართველობის შემდეგ დაედო ეს შედეგი. ამასაც თავისი მიზეზები აქვს — ამ ერთი წლის განმავლობაში რომ ყოფილიყო გამოძიებული ყველა ის საქმე, რომელიც ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდს უკავშირდება და ხალხისთვისაც მეტად რომ ყოფილიყო ცნობილი სასამართლო განაჩენებით გამყარებული კონკრეტული ადამიანების დანაშაული, მაშინ ასეთი შედეგი არ დადგებოდა.

**— სამაგიეროდ ბურჯანაძე იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ მესამეს ვერ გასცდა.**

— არ მგონია, რომ ბურჯანაძე პირველი ადგილისთვის იბრძოდა. მას ჰქონდა ძალიან სერიოზული საარჩევნო კამპანია, მაგრამ ძირითადი მისი ორიენტაცია ასევე იყო მეორე ადგილი, მაგრამ ბურჯანაძე არ იყო სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი. არ ჰქონდა ის ბერკეტები, რაც ჰქონდა ნაცმოძრაობას, არ ჰქონდა ის ფინანსური მხარდაჭერაც, რაც ნაცმოძრაობას. მეორე მხრივ, ასეთ პირობებში ბურჯანაძისთვის მესამე ადგილიც ძალიან კარგი შედეგია თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

**— თუ სწორად გავიგე, მისი წაგება ნაცმოძრაობასთან იმითაცაა გამოწვეული, რომ არ ჰქონდა სახელისუფლებო ბერკეტები. ანუ საქართველოში არჩევნებს მხოლოდ სახელისუფლებო ძალა იგებს?**

— ვისაც უნდა ჰკითხოთ, რა არის ყველაზე დიდი ბერკეტი არჩევნებშიო, ყველა გიპასუხებთ, საარჩევნო ადმინისტრაციაო. საარჩევნო კომისიაში როცა ფლობ ექვს წევრს, ეს ძალიან დიდი, უაღრესად დიდი ბერკეტია. გარდა ამისა, ვინც იცის არჩევნები, იმან ისიც იცის, რამდენს ნიშნავს საპარლამენტო ტრიბუნა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ტრიბუნა.

**— მერაბიშვილმა იწინასწარმეტყველა, უკმაყოფილო ბურჯანაძე ქუჩაში გამოვაო.**

— ეს არის იმ რიტორიკის გაგრძელება, რომელიც ნაცმოძრაობას 9 წლიანი მმართველობის პერიოდში ჰქონდა, როცა ცდილობდა, რომ ყველა ოპონენტის დისკრედიტაცია და რადიკალიზაცია მოეხდინა. დღეს ნაცმოძრაობა ვერ იტყოდა,



**„წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა საქმიანობის შესწავლა არ დაიწყება იმ ტემპებით, როგორსაც მოსახლეობა ელოდება, რადგან ნაცმოძრაობა ახლა მთელ მსოფლიოს მიურბენინებს შედეგს, რომ მეორე პოლიტიკური ძალაა... მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი მართლმსაჯულების სწრაფ აღსრულებაზე".**

„ქართული ოცნება“ გავა ქუჩაშიო. რომ შეძლებოდა, მასზედაც იტყოდა, როგორც ამბობდა კიდეც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ივანიშვილის სახით რუსეთი საქართველოს ოკუპაციას ახდენსო. ნაცმოძრაობას ეს რიტორიკა მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ საკუთარი თავი წარმოაჩინოს, როგორც ნომერი პირველი კონსტრუქციული ძალა საქართველოში. ერთი პროცენტიც არ არსებობს იმისა, რომ ბურჯანაძე ქუჩაში გავიდეს.

**— სამაგიეროდ ნათელაშვილმა უმტვრია კარი ივანიშვილს პირდაპირი გაგებით. ხმების ხელახალ გადათვლას ითხოვს.**

— საქართველოში დემოკრატია კონსტიტუციით დაცულია, სხვა საკითხია, ვინ როგორ იცავდა კონსტიტუციით დადგენილ უფლებებს. ნებისმიერ ადამიანს აქვს პროტესტის გამოხატვის უფლება კანონით დადგენილი წესით. ასე რომ, თუ რომელიმე პოლიტიკოსმა ჩათვალა, რომ მისი პროტესტი ქუჩაში უფრო ეფექტური იქნება, ესეც დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაზუსტებ — კანონით დადგენილი ჩარჩოებით.

**— ამ არჩევნების შედეგებით როგორ დალაგდება პოლიტიკური სიტუაცია?**

— ამ არჩევნებმა განსაზღვრა ის, რომ გაგვიჭირდება დასაბუთება, რაში გვჭირდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. მეორე, როგორც ჩანს, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის თანამშრომლობა პარლამენტში გაგრძელდება. კოალიციას უკვე მოუწევს 40 პროცენტიან ძალასთან აქტიური მუშაობა. პრემიერი წავა და მოვა ახალი პრემიერი, რომელიც იმ ავტორიტეტით ვერ ისარგებლებს, როგორითაც ივანიშვილი სარგებლობდა, ამავდროულად კოალიციაში არ ეყოლებათ გადაწყვეტილების მიმღები ისეთი პირი, როგორიც ივანიშვილია, რამაც შეიძლება პრობლემები შექმნას გადაწყვეტილების მიღების პერიოდში. საინტერესო პროცესები გველოდება თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

**— და კოალიცია ისევ ერთიანი დარჩება თვითმმართველობის არჩევნებისთვის?**

— როგორც ხედავთ, კოალიცია თვითონვე აცხადებს, რომ შესაძლებელია, ცალ-ცალკე მიიღონ მონაწილეობა. მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ გამოვლენ და იტყვიან, ჩვენ დავიშალეთო, ასეთი რამე არ მოხდება. ეს თვითონ კოალიციას არ აწყობს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთად არც იყვნენ. ანუ გაცხადებულად არ იტყვიან, ჩვენ დავიშალეთო, მაგრამ ვიზუალურად ერთად მყოფებისთვის ერთიანი გადაწყვეტილების მიღება რომ პრობლემა გახდება, ეს ფაქტია.

**— არჩევნებით ნაცმოძრაობა უკვე რეალურად გაფორმდა მეორე პოლიტიკურ ძალად. მარგველაშვილის მთავარ სლოგანს კოაბიტაციის დამთავრების შესახებ რა ბედი ეწევა?**

— კოაბიტაცია რომ დამთავრდებოდა, ამას ლოზუნგი არ სჭირდებოდა. მარგველაშვილის მოგების შემთხვევაში ეს ისედაც დამთავრდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა საქმიანობის შესწავლა არ დაიწყება იმ ტემპებით, როგორსაც მოსახლეობა ელოდება, რადგან ნაცმოძრაობა ახლა მთელ მსოფლიოს მიურბენინებს შედეგს, რომ მეორე პოლიტიკური ძალაა, რაც, ბუნებრივია, მეტ ინდულგენციას მისცემს. ასე რომ, თუ დღემდე ამბობდნენ, რომ მათი ოდიოზური თანამდებობის პირების მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შედეგებით და იმ დასკვნებით, როცა ყველამ → 8

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო



Cyan Magenta Yellow Black

აღიარა დემოკრატიულ ვითარებაში არჩევნების ჩატარება და მათი მეორე ადგილზე დამსახურებულად გასვლა, რას ილაპარაკებენ. მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი მართლმსაჯულების სწრაფ აღსრულებაზე.

■

**რამაზ საყვარელიძე:**

— გუშინდელი არჩევნები მრავალნაირად შეიძლება შეფასდეს, როგორც აღნიშნავენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ არჩევნები ჩატარდა მშვიდად, წყნარად, ორგანიზებულად, როგორც ჯერჯერობით ჩანს. საჩივრებიც მცირე იყო, მაგრამ თუ რაიმე ხარვეზები გამოვლინდა, პოზიტივი იქნება, თუ ამ საჩივრებს მსვლელობა მიეცემა. გვახსოვს, საჩივრები თითქმის აზრს კარგავდა სხვა არჩევნების დროს. თვითონ შედეგები შესანიშნავია, ძირითადი შედეგი — მარგველაშვილის გასვლა, ახალი სახის ახალი ადამიანების მოსვლა პოლიტიკურ სპქტრში და, რაც მთავარია, ამ დემოკრატიის ფუნდამენტის მშენებლობის ეტაპზე სახელისუფლებო შტოების ერთი პოლიტიკური ძალის ხელში თავმოყრა, რადგან ვნახეთ, რომ ჩვენ იმ ტიპის ქვეყანა ვართ, სადაც სხვა პოლიტიკური ძალისადმი პრეზიდენტის კუთვნილებამ შეიძლება აღმასრულებელ ხელისუფლებას სირთულეები შეუქმნას.

**— თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ მეორე ადგილზე ბურჯანაძე გავიდოდა. ამას ელოდა საზოგადოების დიდი ნაწილიც. რატომ არ გამართლდა ეს პროგნოზი?**

— ეს მარტო მე არ გამკვირვებია, ივანიშვილსაც გაუკვირდა ნაციონალების მაღალი შედეგი. ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ არ გაუკვირდებოდა, ბურჯანაძის რეიტინგი თუ იქნებოდა მაღალი. ნაციონალების შედეგი, ანუ მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა, საზოგადოების მხრიდან ამ პარტიის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მის ხანმოკლე მეხსიერებას ნიშნავს. ასეთი პოლიტიკური დასკვნებისთვის საზოგადოება თითქოს არ გემეტება, თვლი, რომ ამ საზოგადოებას ისე არ აქვს საქმე, რომ ერთ წელიწადში დაავიწყდეს ყველაფერი.

**— ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის შედეგი იმისა, რომ არჩევნებზე მოსახლეობის ნახევარი არ გამოცხადდა და ეს დაბალ პოლიტიკურ კულტურად შეაფასა.**

— ჰო, მეც იმავეს ვამბობ, ოღონდ სხვა სიტყვებით.

**— წინა წლებში არჩევნებზე მეტი ხალხი რომ მიდიოდა, მაშინ მაღალი პოლიტიკური კულტურა იყო?**

— მაშინ ამომრჩეველი არ იყო ისე თავისუფალი, რომ ის შედეგი მისი გემოვნების შედეგად ჩაგეთვალა. გვახსოვს, როგორი არჩევნები იყო. ლამის ბრძოლა მიდიოდა. ახლანდელი არჩევნებში კი რეალურად ამომრჩევლის გემოვნებას განსაზღვრავს და ეს გემოვნება არის გასაკვირი.

**— იქნებ მიზეზები „ოცნების" ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუებაშიც არის საძებნი?**

— არა, რიგით ამომრჩეველს რომ არ მოსწონებოდა „ოცნება", მაშინ ხმას ბურჯანაძეს მისცემდა, მაგრამ როცა ის აძლევს ნაციონალებს, ეს ნიშნავს იქ დაბრუნებას, რაც ერთი წლის წინ დამთავრდა. ეს უკვე პოლიტიკური გემოვნებაა და არა — პოლიტიკოსის მიმართ გამოხატული სიმპათია-ანტიპათია.

**— მაგრამ ნუ გვავიწყდება ის 54 პროცენტი, რომელიც არ მივიდა არჩევნებზე და მათი არმისვლა გახდა ნაციონალების პროცენტის მატების მიზეზი.**

— კი, ეს 54 პროცენტი მაინც სავარაუდოა, რომ ხელისუფლების მომხრე უფრო მეტი იყო და სწორედ მათი გააქტიურება დაიჩივლა ივანიშვილმა. ამაში დაინახა პოლიტიკური კულტურის სიმცირე. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქტიურობას შეიძლება მართლაც დაეწია ნაციონალების პროცენტი, მე ის 17-18 პროცენტიც დიდი მეჩვენება, ივანიშვილმა რომ თქვა, იდეალურ ვარიანტში შეეძლოთ მიეღოთო და მიმაჩნია, რომ რაღაც ხარვეზზე მიუთითებს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებაში. იმ დანაშაულის მიმართ, რასაც ნაცმოძრაობის მხარდამჭერები შეცდომას არქმევენ, როგორ შეიძლება ადამიანი გულგრილი იყოს?!



„ბურჯანაძისთვის მესამე ადგილიც ძალიან კარგი შედეგია თვითმმართველობის არჩევნებისთვის... ერთი პროცენტიც არ არსებობს იმისა, რომ ბურჯანაძე ქუჩაში გავიდეს".

**— ივანიშვილი ამბობდა, რომ მარგველაშვილი 60 პროცენტზე ნაკლებს არ აიღებდა. თუ ეს გათვალა, რატომ ვერ გათვალა ნაცების პოტენციალი?**

— მე იმის თქმა შემიძლია, ნაციონალების მაღალი პროცენტი რატომ გამიკვირდა, მაგრამ რაც შეეხება დაბალ აქტიურობას, სწორედ იმიტომ იყო, რომ ივანიშვილმა თქვა, მეორე ტურზე არ გავალთო და ა.შ. მაგრამ იქაც შეიძლებოდა უფრო ეფექტურად მომზადებულიყო ამომრჩევლის გააქტიურების მექანიზმი. მაგალითად, ჩემი აზრით, არ იყო საჭირო, რომ თქვეს, ჩვენ ავიღებთ 60 პროცენტს ან მეტსო. ამან პასიური გახადა ამომრჩეველი. გამარჯვებულის ამომრჩეველი უფრო პასიურია და თუ გინდა, გაააქტიურო, ჯობია, თანაბარ შანსზე ილაპარაკო. გინახავთ, შეჯიბრებაზე გამოსული გუნდი ამბობდეს, ყველა ვარიანტში გავიმარჯვებთო? შენ, გულშემატკივარს, კი გაგიხარდება, მაგრამ გუნდის მოთამაშე გახდება უფრო პასიური. ბრძოლისუნარიანობა უნდა შეინარჩუნოს, ძალიან ძლიერ მეტოქეს შეებრძოლოს. ამომრჩეველი ხომ გუნდია, ის ხომ არ არის გაყოფილი პოლიტიკოსებად და მათ მხარდამჭერებად. ეს ერთი დიდი გუნდია, რომელმაც მისი ბრძოლისუნარიანობა ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს.

**— რა შეცდომა დაუშვა ბურჯანაძემ, რომ მოსალოდნელზე ბევრად ნაკლები ხმები მიიღო?**

— არ ვიცი, ამაზე ანალიზის გაკეთება ბურჯანაძის გუნდს მოუწევს. შეიძლება, ერთი მხრივ, პასიურობაც იყო, ანუ იგივე, რასაც ივანიშვილი უჩიოდა. შეიძლება იყო ისეთი მიზეზიც, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს. მე სულ მაქვს კითხვა — სად გაქრა ის მექანიზმი, რომელიც ნაციონალების დროს ხმების გაყალბებაზე მუშაობდა? მისი სახის და სახელების გამოვლენა ხომ არავის უცდია. და ჩვენ ხომ არ ვიცით, ამ არჩევნებში ამ მანქანამ, რომელიც დაახლოებით 30 პროცენტს აყალბებდა, როგორ იმუშავა?

**— მარგველაშვილმა პრესკონფერენციაზე ნიშნი მოგვგოთ, სად არის ის მეორე ტური, ექსპერტები რომ გაიძახოდნენ, მოუწევთ, ამას დაუფიქრდნენო.**

— ვაცხადებდით, რომ იქნებოდა მეორე ტური. „ქართული ოცნების" გუნდსაც იგივე უნდა გაეკეთებინა, რომ ის დაძაბულობა შეენარჩუნებინა, რომლის გააქტიურებისთვის მერე იძახდა, მეორე ტურში აღარ მივიღებ მონაწილეობასო. ახლაც ვამბობ, ვაცხადებდი, რომ იქნებოდა მეორე ტური, რადგან ამის ბევრი პოლიტიკური მიზეზი არსებობდა. ოღონდ ვგულისხმობდი, რომ ესენი ერთმანეთს ხმებს წაართმევდნენ და იქნებოდა მეორე ტური. ამას ჰქონდა მეორე მხარე: თუ ეს გახდებოდა უფრო გავრცელებული ფორმულა, მაშინ მარგველაშვილის ამომრჩეველი ისეთივე შემართებით და მომზადებული მოვიდოდა, როგორიც სხვისი ამომრჩეველი, ანუ ჩათვლიდა, რომ უნდა ებრძოლა, რომ სახლში გაჩერება არ შეიძლებოდა. ამიტომ მე დიდი ჩხრეკა არ დამიწყია, მეორე ტური იქნებოდა თუ არა, ვიცოდი, რომ მარგველაშვილი გაიმარჯვებდა ზოგადად, მაგრამ ნორმალური არჩევნების ჩასატარებლად ეს საჭიროა. მაშინაც ვიყავი ამაში დარწმუნებული და ახლაც დარწმუნებული ვარ.

**— ბურჯანაძე და პლუს ნათელაშვილი ირწმუნებიან, რომ პირველ და მეორე ადგილებზე გარიგება შედგა. თქვენ თუ ხედავთ ამის ნიშნებს?**

— პოლიტიკაში გარიგება მოსულა და ეს არ არის გასაკვირი. ეს ვერსია დიდი ხანია ტრიალებს და მაქვს ერთი კითხვა: რაში სჭირდება „ქართულ ოცნებას" ასეთი გარიგება? ნაცმოძრაობას რომ სჭირდება, გასაგებია, მაგრამ ვინც იმარჯვებს, იმას რისთვის სჭირდება იმასთან, ვინც მარცხდება? რადგან ვერ ვხედავ მოტივს, ვერსიაც არ მჯერა.

✓ **მანანა გეგია**



Cyan Magenta Yellow Black

# შალვა ნათელაშვილი: „ამ არჩევნებით კი არ დამთავრდა, იშვა კოაბიტაცია“

## «ესენი პოლიტიკური ძალები კი არა, ვაჭრები არიან!»



საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილონი არიან მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული ნინო ბურჯანაძე და შალვა ნათელაშვილი. ისინი ხმების დასაცავად ბრძოლას აპირებენ. ბურჯანაძის პარტიის წარმომადგენლებს უკვე დაწერილი აქვთ 1000-ზე მეტი საჩივარი. თავად ლიდერის შეფასებით კი, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები განუზომლად უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე წინა არჩევნები, თუმცა, მიუხედავად დაპირებებისა და მოლოდინისა, ის არ იყო არც სამართლიანი, არც თანასწორი და ნამდვილად შორს იყო რეალური ევროპული სტანდარტებისაგან.

— არჩევნებმა ნათლად დაგვანახა ყველას, რომ დღეს ჩვენ კოაბიტაციის ნაცვლად უკვე მივიღეთ რეალურად მჭიდრო თანამშრომლობა ორ დიდ სახელისუფლებო ძალას შორის. ეს არის იმის შედეგი, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის მოხდა სამარცხვინო და ცინიკური გარიგება, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

გარიგებაზე საუბრობს ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილიც, რომელიც, ბურჯანაძისგან განსხვავებით, აპირებს, „ხალხის ზურგს უკან დადებული გარიგებისთვის ივანიშვილს ძმარი ადინოს“.

**შალვა ნათელაშვილი:**

— ეს, შედეგის გარდა, ყველაფერია, ეს არის გარიგებისა და ფალსიფიკაციის შედეგი. ხალხის ზურგს უკან ივანიშვილმა გამართა მოლაპარაკება მიხეილსააკაშვილთან შუამავლების მეშვეობით. ერთი

**„ბურჯანაძეც კარგად გაურიგდა „ოცნებას“ და დაუწერეს მესამე ადგილი, რომ ერთი მილიონი აიღოს. მის მილიარდიან ყულაბას კიდევ მილიონის დამატება უნდოდა?!“.**

იყო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუხოვსკი და მეორე — ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიშას ძველი ლობისტი კალპინსკი. მათ მოილაპარაკეს, რომ გაინაწილებდნენ პირველ-მეორე ადგილებს. სამაგიეროდ სააკაშვილმა მიიღო სრული ხელშეუხებლობის გარანტია. მას აპატიეს ყველაფერი — ტერიტორიების გაყიდვიდან დაწყებული საქართველოს დაბომბვამდე. თუ ასე არ არის, ამას თქვენ ნახავთ რამდენიმე დღეში.

**— გინდათ თქვათ, რომ ივანიშვილის ქადილი, რომ საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ სააკაშვილს მოუწევს პასუხების გაცემა გამოძიებისთვის, ცარიელი სიტყვებია?**

— ვიმეორებ, სააკაშვილმა მიიღო სამუდამო ხელშეუხებლობა ისევე, როგორც თავის დროზე სააკაშვილისგან შევარდნაძემ მიიღო სამუდამო ხელშეუხებლობის გარანტია და ეს შეთანხმება დღემდე ძალაშია.

**— შუხოვსკი და კალპინსკი მოსალაპარაკებლად სააკაშვილმა მიუგზავნა ივანიშვილს?**

— აბა, რას იზამდა?! დამნაშავე ყოველთვის დაიქირავებს ადვოკატს და გადაუხდის ბლომად, რომ დანაშაული ხახვივით შერჩეს და სააკაშვილმაც ეს გააკეთა. მიშას ვერ გაამტყუნებ. მან თავისი საქმე გააკეთა. ივანიშვილმა რომ გაყიდა ხალხი უპრეცედენტო ღალატით, ჩვენ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. მე მთელ საქართველოში გავედი პირველ-მეორე ადგილზე, დაახლოებით 25 პროცენტით და მეორე ტურში ვიყავი გასული. მაგრამ პირდაპირ აქედან მისცეს მითითება, რა უნდა დაეწერათ ოქმებში და ისევ ისე ჩაყარეს, როგორც ადრე. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ ბიულეტენების ხელახალ გადათვლას. სხვა შემთხვევაში ძვირად დავუჯდენთ ამ ყველაფერს!

**— 25 პროცენტი საკმაოდ მაღალი შედეგია. თუ ასეა, მაშინ რატომ არც ერთ ეგზიტპოლში არ დაფიქსირდა თქვენი მაღალი რეიტინგი, რომ არაფერი ვთქვათ არჩევნებამდე ჩატარებულ არაერთ გამოკითხვაზე?**

— ეგზიტპოლები ისევე დგებოდა ივანიშვილის სასახლესა და სააკაშვილის

**„სააკაშვილმა მიიღო სამუდამო ხელშეუხებლობა ისევე, როგორც თავის დროზე სააკაშვილისგან შევარდნაძემ მიიღო სამუდამო ხელშეუხებლობის გარანტია და ეს შეთანხმება დღემდე ძალაშია“.**

ოფისში, როგორც არჩევნები დაიწერა. გახსოვთ ალბათ, რა თქვა ივანიშვილმა ერთი კვირის წინ, ესენი (ლეიბორისტები. ავტ.) 2 პროცენტს აიღებენო და ზუსტად იმდენი დაიწერა, რადგან მანამდე ჰქონდა მას ეს დაწერილი.

**— შედეგების ხელახლა გადათვლის რეალურ შესაძლებლობას ხედავთ?**

— ჩვენ მოვითხოვთ გადათვლას და ამოვაშხამებთ ამათ იმ სიამოვნებას, რომელიც გამოვლინდა მთელი ღამე შამპანურების ტყლაშა-ტყლუშში.

**— და როგორ გააკეთებთ ამას?**

— ახლა სახლში მივუვარდი ივანიშვილს და იქიდან მოვდივარ. კარი ვუმტვრიე და არ გააღო. რა გითხრათ, ბანდიტთან საჭიროა შესაბამისი სტრატეგია.

**— ქუჩის აქციების გამართვას აპირებთ?**

— ყველაფერს გავაკეთებთ! ჩვენ ამ დღეებში გამოვაცხადებთ სამოქმედო გეგმის მთავარ თეზისებს.

**— ამ არჩევნებს, თქვენ გარდა, ბურჯანაძეც ჰყავს მომჩივანი. ისიც გამოვა ისევ ქუჩაში?**

— ბურჯანაძეც კარგად გაურიგდა „ოცნებას“ და მესამე ადგილი დაუწერეს, რომ ერთი მილიონი აიღოს. მის მილიარდიან ყულაბას კიდევ მილიონის დამატება უნდოდა?! ერთი ბანდის წევრები არიანმეთქი, ხომ გითხარით.

**„ჩვენ მოვითხოვთ ბიულეტენების გადათვლას და ამოვაშხამებთ ამათ სიამოვნებას, რომელიც გამოვლინდა მთელი ღამე შამპანურების ტყლაშა-ტყლუშში“.**

**— როგორც ამბობთ, პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულები გარიგებულები არიან. სხვა ძალებთან თუ აპირებთ თუნდაც დალაპარაკებას?**

— სად არიან სხვა ძალები? ისინი, რომლებიც ასევე გაიყიდნენ? გამოვიდნენ და ისევ იმათ დაუჭირეს მხარი. ესენი პოლიტიკური ძალები კი არა, ვაჭრები არიან!

**— შედეგამდე მისვლას მარტო შეძლებთ?**

— კი, შევძლებთ, მარტო კაცი უფრო მაგარია. შედეგამდე აუცილებლად მივალთ და აუცილებლად ვნახავთ მათ საბრალდებო სკამზე.

**— როგორ ატყობთ, როგორც მარგველაშვილი დაგვპირდა, ამ არჩევნებით დამთავრდა კოაბიტაცია?**

— ამ არჩევნებით კი არ დამთავრდა, იშვა კოაბიტაცია და მარგველაშვილი შვილია ამ კოაბიტაციის. ნაცებმა და „ოცნებამ“ კოაბიტაცია იმშობიარეს.

**— როგორ ხედავთ ხვალინდელ საქართველოს?**

— ძალიან ცუდ დღეში ვხედავ. ერთმანეთზე ცუდი დღეები რომ გველოდება, ეს ფაქტია.

**— ახალი პრემიერიც ვერაფერს შეცვლის, რომელიც სულ ორ დღეში დასახელდება?**

— ყველა ერთი ბანდის წევრია, ამიტომ სულერთია ჩემთვის, ვის დაასახელებს. ყველა იმისთვის მოვიდა, რომ ეს ქვეყანა დაგლიჯოს და შეჭამოს და რა მნიშვნელობა აქვს, ვის დაასახელებს? რა განსხვავებაა მათ შორის? არანაირი!

✓ **მანანა გეგია**

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ნიკოლოზ ცისკარიძე: „მოსკოვში გვარის შეცვლაზე უარი განვაცხადე“

## „დიდი თეატრის ხელმძღვანელს ვუთხარი, ქართველებს თავის დახრა არ გვჩვევია-მეთქი“



ცნობილი ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე მისი ოჯახისთვის გვიან შეძენილი შვილია — დედა 43 წლის იყო, როდესაც ნიკა დაიბადა. მის ოჯახში ბალეტთან შეხება არავის ჰქონია, თუმცა ხელოვნებასთან ახლოს იყვნენ. მართალია, დედა ფიზიკის პედაგოგი გახლდათ, სამაგიეროდ მამა მევიოლინე იყო, ხოლო ფრანგი ბებია ახალგაზრდობაში, საფრანგეთში ცხოვრებისას — მსახიობი. ნიკამ არჩევანი თავად გააკეთა. დედას და მის სამეგობროს ხშირად დაჰყავდათ პატარა ბიჭი თბილისის ოპერაში. რაც სცენაზე ხდებოდა, ნიკასთვის ზღაპრული სამყარო იყო — მოცეკვავე გოგონები, ფერიები... ამ ზღაპრული სამყაროს პრინცობა მოინდომა და მიაღწია კიდეც. თბილისში საბალეტო სკოლაში მისვლისას მას მაშინვე დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს და მშობლებს ურჩიეს, მოსკოვში წაეყვანათ. ასე დაიბადა ვარსკვლავი — ნიკალაი ცისკარიძე, რომელიც 20 წელი მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი მსახიობი იყო.

**„თბილისში ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ინტელიგენციასთან, ვინც ხელისუფლებაში არასოდეს არის".**

კარიერა ერთი წლის წინ, 39 წლის ასაკში, დიდი სკანდალით დაასრულა. დიდი თეატრის ახალმა ხელმძღვანელმა პრიმამოცეკვავე ჯერ უკანა პლანზე ჩააჩოჩა, შემდეგ კი, როდესაც ნიკა ცისკარიძისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, დასიდანაც დაითხოვა. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ დიდ თეატრთან გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა ნიკას სასარგებლოდ არ გადაწყვიტა საქმე. ამ პროცესმა ბალერონი ისე გაიტაცა, იურიდიული აკადემიის მაგისტრატურაშიც კი ჩააბარა და იმედოვნებს, რომ მომავალში კონტრაქტების პირობებში უფრო კარგად გაერკვევა. მსოფლიოს საბალეტო დასებიდან მიწვევების მიუხედავად, ნიკოლოზ ცისკარიძე ცეკვას აღარ აპირებს და თავისუფლებით ტკბება.

წლების განმავლობაში ის რუსული ტელეშოუ „ვარსკვლავებთან ცეკვები“-ს ჟიურის უცვლელი წევრია. მისი შეფასებები რუს ბომონდურ საზოგადოებას ყველაზე მეტად აშინებს. წელს კი ამავე პროექტის ქართულ ვარიანტში ის ქართველი მეგობრის, სოფო შევარდნაძის აქტიურობით მოხვდა.

**„ქართველები პირველები არასდროს ყოფილან ვაჟკაცობასა და სხვა სფეროში, პირველები ვიყავით ხელოვნებაში და ეს ყველამ უნდა გაითავისოს. ამიტომაც შეცდომებს ცეკვაში ვერავის ვპატიებ".**

27 წლის წინ საქართველოდან წასული ვარსკვლავი „სარკეს“ თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ექსკლუზიურად უამბობს.

**— ნიკა, მოდით, საუბარი იმით დავიწყოთ, რატომ გადაწყვიტეთ, პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჟიურის წევრი ყოფილიყავით?**

— ყველაფრის მიზეზი ჩემი და სოფო შევარდნაძის მეგობრობაა. ეს ის ადამიანია, რომელთანაც მოსკოვში ქართულად შემიძლია საუბარი და მისი დამსახურებაა, რომ ქართული არ დამავიწყდა. საერთოდ, შევარდნაძეები ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ. როცა მოსკოვში ჩავედი (1987 წელს), მაშინ ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მოსკოვში საბალეტო სფეროში რომ მოვხვდი, ყველა ამბობდა, შევარდნაძის ნათესავი არისო. რადგან ქართული გვარი მქონდა და ჩემი ვუნდერკინდობის გამო წარმატებისკენ სწრაფად მივიწევდი, ყველას ეგონა, რომ ამ კაცის ნათესავი ვიყავი. არადა წლების შემდეგ გავიცანი მისი შვილიშვილი სოფო შევარდნაძე და დღემდე ამ ისტორიას ვუყვები, მისი გვარი მთელი ცხოვრება როგორ მიშლიდა ხელს.

სოფოსთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, საღამოობით ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, დავდივართ თეატრებში, ვსაუბრობთ ხელოვნებაზე. სოფოც მონაწილეობდა „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ის რუსულ პროექტში და ფინალამდეც მივიდა. მაშინ ამბობდნენ, რომ სოფო ჩემი ნათესავი იყო. რუსებს რატომღაც ჰგონიათ, რომ „ძე-“ზე დაბოლოებული გვარის ადამიანები ერთმანეთის ნათესავები არიან. როდესაც სოფო ქართულ პროექტში აღმოჩნდა, შემომთავაზა, რომ მეც წამოვსულიყავი თბილისში. თავიდან ეს შეუძლებელი მეჩვენა, რადგან იმდენი საქმე მაქვს მოსკოვში, დიდიხნით ქართულ პროექტზე მუშაობა ვერ წარმომედგინა. თანაც პრობლემა ის არის, რომ მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ხშირი ფრენა არ არის. ძალიან ბევრ დროს ვკარგავ იმისთვის, რომ კონკურსისთვის ჩამოვიდე, მაგრამ რატომღაც მაინც მივიღე მონაწილეობა.

**— რატომ არ ჩამოდიოდით საქართველოში? ბოლო ათწლეულის განმავლობაში თქვენი ცეკვა თბილისს არ უნახავს.**

— მე მაშინ ჩამოვდიოდი საქართველოში და ვაკეთებდი კარგ საქმეს, როცა ყველაზე მეტად უჭირდა ამ ქვეყანას. გასული საუკუნის 90-იანი წლების საშინელ პერიოდში მე და ირმა ნიორაძე ჩამოვდიოდით, ყოველგვარი ჰონორარის გარეშე ვცეკვავდი, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბილეთები გაყიდულიყო და იმ ფულით თეატრის მუშაკებს ხელფასი მიეღოთ. რაც ჩემი პროფესიით შემეძლო გამეკეთებინა იმ დროს, ყველაფერს ვაკეთებდი. შემდეგ კი, როცა ქვეყანა დაწყნარდა და ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, აღარავის ვახსენდებოდი, ყოველ შემთხვევაში, არავის უთქვამს ჩემთვის, ჩამოდი, თბილისში კონცერტი გამართეო.

**— ამაში პოლიტიკურ მოტივს ხედავთ?**

— არ ვიცი, არ მიყვარს პოლიტიკურ თემებზე საუბარი, მაგრამ არავინ მეპატიჟებოდა. ხელოვანი ვარ და, როგორც ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა თქვა, მე გაცილებით მეტი გავაკეთე საქართველოსთვის, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსმა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. როცა 20 წლის განმავლობაში დიდი თეატრის წამყვანი მოცეკვავე ქართველი ცისკარიძეა და მთელ რუსეთს დაამახსოვრებ შენს რთულად წარმოსათქმელ გვარს, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, ეს დიდი გამარჯვებაა.

არასოდეს ვყოფილვარ აქაურ პოლიტიკურ მოვლენებში ჩართული. თბილისში ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ინტელიგენციასთან, ვინც ხელისუფლებაში არასოდეს არის.

**— საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილს თბილისში ბევრი ცნობილი მოცეკვავე ჩამოჰყავდა უცხოეთიდან გასტროლებზე. თქვენ რატომ არ გეპატიჟებოდათ, მასთან უთანხმოება ხომ არ გქონდათ?**

— ეს მას უნდა ჰკითხოთ. რაიმე კონკრეტული უთანხმოება არ გვქონია.

**— გაიხსენეთ თქვენი თბილისური ბავშვობა.**

— 13 წლის ვიყავი, თბილისიდან რომ წავედი. ბევრი კარგი მახსოვს. ძალიან საინტერესო გარემოში ვიზრდებოდი. იმ დროს კიდევ ვერ ვხვდებოდი და ვერ ვაფასებდი, რა წრეში ვტრიალებდი. აი, ახლა ჩვენ ვიმყოფებით რეჟისორ თენგიზ აბულაძის სახლში, დედაჩემი და თენგიზ აბულაძის და შორეული ნათესავები იყვნენ, მაგრამ უფრო დაქალობდნენ, მთელი ცხოვრება ერთ სკოლაში ასწავლიდნენ, დედა — ფიზიკას, ქალბატონი დალი კი — რუსულ ენას. ახლა და ახლა ვხვდები, თურმე პატარაობაში რამდენად გენიალურ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა.

მთელი ბავშვობა ვაკე-საბურთალოზე გავატარე, სხვა თბილისი არც ვიცი. ყოველ ზაფხულს ბიჭვინთაში ვისვენებდით. როცა ასეთი ცხოვრების შემდეგ მოსკოვში ჩავედი, ძალიან გამიჭირდა იქაურობასთან შეგუება. მაშინ თბილისსა და მოსკოვს შორის სერიოზული სხვაობა იყო. თბილისში ცხოვრება ჩქეფდა, იყო ფუფუნება,

**„ყველა დიდი არტისტი დიდი თეატრიდან სკანდალით მიდის. თუ ბიოგრაფიაში ასეთი დეტალები არ არის, ესე იგი ის დიდი მოცეკვავე და დიდი ხელოვანი არ ყოფილა".**

მოსკოვი კი გაცილებით ღარიბულად და უინტერესოდ მეჩვენებოდა. მაგალითად, კარგად მახსოვს, როდესაც მოსკოვში ჩემს კლასელებს ვეუბნებოდი, რომ თბილისში ვნახე აპარატი, სადაც შეიძლებოდა, ჩაგედო კასეტა და გეყურებინა მულტფილმისთვის „ტომი და ჯერი“, ყველას შეშლილი ვეგონე, რადგან ჩემს კლასში ეს არავის ჰქონდა ნანახი. თბილისში მაშინ ვიდეო ბევრს ჰქონდა, მოსკოვში კი მხოლოდ ერთეულ, ელიტურ ოჯახებს. უკეთ რომ აგიხსნათ, თბილისსა და მოსკოვს შორის ადრე ისეთივე სხვაობა იყო, როგორც ახლაა, ოღონდ შებრუნებით.

**— ბალეტი როგორ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში, პირველად ვინ გაზიარათ მას?**

— ეს ჩემი არჩევანია. ძალიან მომწონდა ოპერის თეატრი. პატარაობიდანვე დავდიოდი იქ და ეს ჩემთვის სულ სხვა სამყარო იყო. ყველაზე მეტად მომწონდა ორი მოცეკვავე — ლია ბახტაძე და ვიქტორია ლაფერაშვილი. ულამაზესი გოგოები იყვნენ. რაღაც ზღაპრული არსებები, ფერიები იყვნენ ჩემთვის. მეც მინდოდა, რომ ამ ზღაპრის ნაწილი ვყოფილიყავი. როცა საბალეტო სკოლაში მივედი, აღმოჩნდა, რომ კარგი მონაცემები მქონდა. პედაგოგები დედას სულ ეუბნებოდნენ, მოსკოვში წაიყვანე, მისგან დიდი მოცეკვავე დადგებაო. მაშინვე ვუნდერკინდად მაღიარეს. სადაც კი მივდიოდი, ყველგან მაქებდნენ და ეს ძალიან მომწონდა.

**— ქართველ ბიჭს მოსკოვში არანაირი წინააღმდეგობა არ შეგხვდათ?**

— არა, სულ ხელისგულზე დამატარებდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

სასწავლებელში პირველი მოსწავლე ვიყავი. საბალეტო სფეროში დიდი კონკურენციაა, მაგრამ უკონკურენტო გახლდით. სულ მესმოდა, ასეთი ფეხები იშვიათიაო. როგორც კი ცეკვა დავიწყე, მაშინვე დავისახე მიზნად, რომ დიდი თეატრის სცენაზე დავმდგარიყავი. დიდი თეატრი მთვარეზეც რომ ყოფილიყო, იქაც წავიდოდი.

**„ცეკვავენ ვარსკვლავები“ სამუშაო არ არის, ეს ჩემთვის გართობაა“.**

როცა მოვხვდი იქ, სადაც მინდოდა, გავაცნობიერე, რომ ეს ის სფერო იყო, სადაც არსებობს ერთი წესი — ან ხარ პირველი, ან უბრალოდ შეგჭამენ. მე, რა თქმა უნდა, პირველობა ავირჩიე. ვინც მე მებრძოდა, ამ სფეროში ყველა დაიკარგა.

— **და მაინც, თქვენი 20 წლიანი წარმატებული კარიერა მოსკოვის დიდ თეატრში დიდი სკანდალით დასრულდა. თეატრის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების შემდეგ თქვენ დასიდან გაგათავისუფლეს. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? რა მოვლენები დატრიალდა თქვენ გარშემო?**

— მოვლენების ასეთი განვითარება ძალიან ნორმალურია საბალეტო სამყაროში. ყველა დიდი არტისტი დიდი თეატრიდან სკანდალით მიდის. თუ ბიოგრაფიაში ასეთი დეტალები არ არის, ესე იგი ის დიდი მოცეკვავე და დიდი ხელოვანი არ ყოფილა. როდესაც ჩემ გარშემო ეს ამბები დაიწყო, ამერიკიდან ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მომწერა, ეს სკანდალი, რაც შენს კარიერაში მოხდა, იმის მანიშნებელია, რომ ლეგენდარული არტისტის სტატუსი გაქვსო. ძალიან მარტივად შევხედე ამ ყველაფერს.

— **როგორ, როდესაც თეატრიდან გაგიშვეს, იოლად გადაიტანეთ?**

— დიახ. ალბათ შინაგანად ყოველთვის მზად ვიყავი, რომ ასეთი ეპიზოდიც იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში. დიდი თეატრის ისტორია კარგად ვიცი და ისიც ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემი კარიერაც ასე გაგრძელდებოდა. შეიძლება ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თავს ვიმშვიდებ, მაგრამ ამ ყველაფრისგან ტრაგედია მართლაც არ შემიქმნია.

— **დიდი თეატრიდან წამოსვლის შემდეგ განაცხადეთ, რომ სცენაზე აღარასოდეს იცეკვებდით, არადა შეგეძლოთ, კარიერა სხვა ქვეყანაში ან სხვა სცენაზე გაგეგრძელებინათ. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— იმდენი ვიშრომე, რომ ახლა შემიძლია სრული თავისუფლებით და უსაქმურობით დავტკბე. ჩემს ცხოვრებაში იმდენად დიდი დოზით იყო აპლოდისმენტები, რომ უკვე შემიძლია მათ გარეშეც ვიცხოვრო. მე არ ვიყავი საქართველოს ნაციონალური კადრი მოსკოვში, რა გზითაც ბევრი იკეთებდა კარიერას. მე ვიყავი ბავშვი, რომელიც ჩავედი მოსკოვში და ჩემს სფეროში ვიყავი ყოველთვის პირველი.

— **მართალია, რომ გვარის შეცვლასაც გთავაზობდნენ, რათა უფრო მარტივად მიგეღწიათ წარმატებისათვის რუსეთში?**

— მოსკოვში ცხოვრობდა დეიდაჩემი, რომელსაც ქმარი რომანოვი ჰყავდა. როდესაც ყველა პროფესიონალმა აღნიშნა, რომ მე დიდი მომავალი მქონდა, მაშინ მირჩიეს, იქნებ გვარი შეიცვალოო. დეიდამ შემომთავაზა, შვილად აგიყვან და რომანოვის გვარს მოგცემო. მე კი ვუთხარი, რომ არსებობდა ერთი ნიკოლოზ რომანოვი, რომელსაც ცუდი ისტორია ჰქონდა და მისი გამეორება არ მინდოდა. არ მინდოდა, რომ სხვა გვარის გავმხდარიყავი.

— **ბალეტი წარმატების სანაცვლოდ დიდ მსხვერპლს მოითხოვს. თქვენ რა შესწირეთ მას?**

— ყველაზე რთული ის არის, რომ სცენაზე ყოველი გასვლის წინ მაყურებელს უნდა დაუმტკიცო, რომ ისევ მაგარი ხარ. მთავარი მსხვერპლი ის არის, რომ მთელი ცხოვრება რეჟიმში ვცხოვრობ.

— **ახლა, როცა ამ რეჟიმისგან გათავისუფლდით, რის უფლებას აძლევთ საკუთარ თავს?**

— ვჭამ ყველა იმ საჭმელს, რომელიც წლების განმავლობაში აკრძალული მქონდა. არ მიყვარს სპორტის არც ერთი სახეობა, მაგრამ მთელი ცხოვრება მომიწია სპორტულ რეჟიმში ყოფნა, ამიტომ ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ იმით, რომ არ ვარ იძულებული, ყოველდღე ვივარჯიშო და ვიყო ფორმაში. მიყვარს ნებიერად ცხოვრება. ძალიან კარგად ვიცი, რა არის მდიდრულად და ფუფუნებით ცხოვრება. ამიტომ ყოველთვის ვოცნებობ, მქონდეს იმდენი ფული, რომ არასოდეს თავდებოდეს, არასოდეს ვითვლიდე. თავს მაშინ ვიგრძნობ კარგად, როდესაც მექნება ფული და არ ვიფიქრებ, რამდენს დავხარჯავ, რამდენი დააკლდება. ბოლო 20 წელია, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ვიცხოვრო ფუფუნებაში.

— **რაც დიდი თეატრში აღარ ხართ, უფრო მეტ დროს უთმობთ ბომონდურ ცხოვრებას, ტელევიზიას, შოუბიზნესს. მოგწონთ ამ სფეროში ტრიალი?**

— პროფესიიდან გამომდინარე, ჩემი ცხოვრება დიდი ხნის განმავლობაში ვიწრო დერეფანი იყო. როდესაც პირველად მოვხვდი რუსულ „ვარსკვლავებთან ცეკვებში“ და გავხდი ტელევიზიის ნაწილი, ეს ჩემთვის ახალი სუნთქვა იყო. სრულიად სხვა ადამიანების გარემოში აღმოვჩნდი, რომლებსაც, ბალეტის გარდა, სხვა თემებზეც შეეძლოთ საუბარი. ბუნებით ვარ ისეთი ადამიანი, რომელსაც მრავალფეროვანი ცხოვრება უყვარს. ჩემთვის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სამუშაო არ არის, ეს ჩემთვის გართობაა.

— **რუსული პროექტის ჟიურიში აშკარად უფრო მკაცრი ხართ, ვიდრე საქართველოში. ბევრი პოპულარული რუსი მომღერალი თუ მსახიობი თქვენი შეფასების შემდეგ პირდაპირ ეთერში ტირის. როგორც ჩანს, ქართველ მონაწილეებს ინდობთ.**

— პირველი რიგში, ეს ალბათ იმის შედეგია, რომ ქართველ ვარსკვლავებს კარგად არ ვიცნობ. საქართველოში ფართო საზოგადოება ჯერ ისე არ მიცნობს, რომ ჩემი შეფასებების მოლოდინი ჰქონდეს, თუმცა ჩემს პრინციპებს ვერც მოსკოვში ვუღალატებ და ვერც — თბილისში. ამიტომ ბოლო ტურებში უკვე უფრო მკაცრი ვხდები, თვალს არაფერზე ვხუჭავ.

— **ამბობენ, რომ სოფო ნიჟარაძის მიმართ, ძველი მეგობრობის ხათრით, უფრო ლმობიერი და სუბიექტური ხართ.**

— ასე ნუ იფიქრებთ. პრინციპში, ამ პროექტში სამი-ოთხი ვარსკვლავია, რომლებიც კარგად ცეკვავენ, დანარჩენები კარგად ვერ ცეკვავენ.

— **ბალეტისგან გამოთავისუფლებული დრო თქვენს ცხოვრებაში რამ შეავსო?**

— თავისუფლებამ. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, როდის მოვიდოდა დრო, როცა აბსოლუტურად თავისუფალი ვიქნებოდი საქმისგან, სერიოზული ვალდებულებებისგან, მკაცრი რეჟიმისგან და საბალეტო სტანდარტებისგან. თავისუფლება ძალიან კარგი ყოფილა. არ იფიქროთ, რომ უსაქმოდ ვარ. ვსწავლობ იურიდიულ ფაკულტეტზე. მალე იურისტი გავხდები.

— **იურისტობა რატომ აირჩიეთ?**

— ეს შემთხვევით მოხდა. ერთხელ, როცა იურისტებთან კონსულტაცია დამჭირდა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მითხრეს, ასეთი ტვინის პატრონი საკუთარ შესაძლებლობებს რატომ არ იყენებო და შემომთავაზეს, ეს საქმე მესწავლა. სხვათა შორის, გამოცდები რომ ჩავაბარე, ჩემი ქულებით უფასო სექტორზე მოვხვდი. კიდევ ვმუშაობ ახალ საქმეზე, რომელზეც ახლა არაფერს ვიტყვი, მაგრამ მალე ყველა გაიგებთ.

— **გაქვთ რამეს გამო დიდი სინანული?**

— იმ ურთიერთობის დაკარგვის, რომელიც ჩემს ბავშვობაში იყო. გული მწყდება, რომ ჩემს ცხოვრებაში გარკვეულ ადამიანებს და მოვლენებს უკან ვერ დავაბრუნებ. ვნანობ, რომ იმ ადამიანებისგან, ვინც ჩემს ბავშვობაში იყვნენ, უფრო მეტი არ ვისწავლე. საერთოდ არ მიყვარს უკან, წარსულში ყურება.

— **თქვენს ხასიათში რა არის ქართული?**

— ყველა ამბობს, რომ ქართველივით ფიცხი და ფეთქებადი ვარ. მე კი ვთვლი, რომ უბრალოდ ემოციური ადამიანი ვარ.

— **თქვენზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვსო.**

— მძიმე — იმიტომ, რომ არ მიყვარს დებილებთან და არაპროფესიონალებთან ურთიერთობა. არასდროს ვლაპარაკობ ამ ტიპის ადამიანებთან. დიდი ხანია მივაღწიე იმ დონეს, რომ ვისაუბრო მხოლოდ იმ ადამიანებთან, ვინც ამის ღირსნი არიან.

— **რუსულ ბომონდში ტრიალებთ, რუსული პრესა ყოველდღე წერს თქვენზე, მაგრამ არასდროს არაფერი თქმულა თქვენს პირად ცხოვრებაზე. ასაიდუმლოებთ მას?**

— სანამ თბილისში ვცხოვრობდი, დედაჩემის მეგობრებმა კარგად ამიხსნეს, რომ არსებობს პირადი და არსებობს პროფესიული ცხოვრება და არსებობს თემები, რომლებზეც არასდროს უნდა ილაპარაკო. არ მიყვარს პირადი ცხოვრების აფიშირება. რუსული პრესა ძალიანაც მონდომებულია, ჩემს პირადზე რამე გაიგოს, მაგრამ მათ ცხვირწინ კარს საიმედოდ ვკეტავ.

**„გავაცნობიერე, რომ ეს ის სფერო იყო, სადაც არსებობს ერთი წესი — ან ხარ პირველი, ან უბრალოდ შეგჭამენ. მე, რა თქმა უნდა, პირველობა ავირჩიე. ვინც მე მებრძოდა, ამ სფეროში ყველა დაიკარგა“.**

ამიტომაც ამბობენ, რომ ცუდი ხასიათი მაქვს. არასდროს არც ერთი ჟურნალისტისთვის არ მიპასუხია კითხვაზე, რაც პირადს ეხება.

— **არ ფიქრობთ დაოჯახებაზე?**

— ყველაფერი უფლის ნებაა. ასეთ რაღაცეებს ვერ გეგმავენ.

— **რა ურჩევდით ქართველ „მოცეკვავე ვარსკვლავებს“?**

— უჭირთ იმის გაგება, თუ რა არის ცეკვა. პირველ რიგში, უნდა გააცნობიერონ, რომ ცეკვა გართობა არ არის, რომ თითოეულ ცეკვას თავისი ხასიათი აქვს. ბავშვობიდან მიჩვეული ვარ, რომ ქართველები ცეკვასა და ხელოვნებაში ყოველთვის მაღალ კლასს აჩვენებდნენ, ამიტომ ვერ შევეგუები ამ სტანდარტების ქვემოთ დაწევას. ქართველები პირველები არასდროს ყოფილან ვაჭრობასა და სხვა სფეროში, პირველები ვიყავით ხელოვნებაში და ეს ყველამ უნდა გაითავისოს. ამიტომაც შეცდომებს ცეკვაში ვერავის ვაპატიებ. მოსკოვის დიდი თეატრის ხელმძღვანელთან კონფლიქტი რომ მომივიდა, მას ვუთხარი, ქართველებს თავის დახრა არ სჩვევიათ და ჩემგანაც ამას ვერასდროს მიიღებთმეთქი. ჩემი ცხოვრების დევიზია — ქართველი ვარ და სხვის წინაშე თავს არასდროს დავიმდაბლებ!

✓ **ავთო ჩიტიძე**


ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58




Cyan Magenta Yellow Black



# „მულს მორთყმა სიკეთით გადავუხადე“

სადღაც ამოვიკითხე, მაშინ ხდები დიდი, როდესაც უღიმი იმას, ვინც დიდი ტკივილი მოგაყენაო. ამ სიტყვების შემდეგ სიამაყე ვიგრძენი, საკუთარი თავის მიმართ რწმენა განმიმტკიცდა და ის ბოღმაც სადღაც გაქრა, რომელიც დიდი ხანია მაწუხებს.

ჩემი მული ძალიან ცუდად მექცეოდა. რაც მათი რძალი გავხდი, სულ ცდილობდა, ჩემთვის გული ეტკინა. თავიდან ვითმენდი, მაგრამ ბოლოს ყოველგვარ ზღვარს გადავიდა. ერთ დღეს ცოცხი აიღო და პირდაპირ თავში დამარტყა. ეს ვერ მოვითმინე და პირველი სერიოზული კონფლიქტი მაშინ მოგვივიდა. ქმარს მოვთხოვე, საცხოვრებლად ცალკე გადავსულიყავით, მაგრამ მან გამომიცხადა, თუ არჩევანის წინაშე დამაყენებ, ჩემს დას ვამჯობინებო. იძულებული გავხდი, გავჩუმებულიყავი. ყველანაირად ვცდილობდი, მისთვის თავი ამერიდებინა, ჩემი არსებობით ზედმეტად არ შემეწუხებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჩემ წინააღმდეგ მთელი ოჯახი აამხედრა — ძმა, დედა, მამა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მისგან წაქეზებულმა ჩემმა მამამთილმა მოკვლა დამიპირა. მთვრალმა ხელი დანას წამოავლო, უნდა მოგკლაო. იმ დღეს მივხვდი, რომ მათ ოჯახში ველარ გავჩერდებოდი და მათგან წავედი.

ჩემი ოჯახი სიყვარულმა გადაარჩინა. ქმარმა ვერ მიმატოვა და ცალკე გადავედით საცხოვრებლად. როგორც კი დამოუკიდებლები გავხდით, ჩვენს ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა. ის არაჩვეულებრივი მამა და ქმარია. სახლში ხმამაღლაც კი არ ლაპარაკობს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ. დედამთილ-მამამთილთანაც შესანიშნავი ურთიერთობა ავაწყვე. მამამთილი ახლაც კი ბოდიშებს მიხდის, მეუბნება, არ ვიცი, რამ დამაბრმავაო.

მული გათხოვდა, მაგრამ ერთ წელში მისი ქმარი დააპატიმრეს. შვილთან ერთად სრულიად უმწეო დარჩა. ქმრის მშობლებმა და დამ კი სახლიდან გააგდეს. მაშინ ბევრი მეუბნებოდა, შენმა ცოდვამ უწიაო, მაგრამ მე ნიშნისმოგებით არაფერი მითქვამს. პირიქით, ქმარს ვუთხარი, რაც შეგიძლია, დაეხმარე-მეთქი. მამაჩემიც კი ვაიძულე, მას და მის ქმარს დახმარებოდა.

დღეს ჩემს მულს სახლიც აქვს და ქმარიც გვერდით ჰყავს. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ მამაჩემმა გაუწოდა დახმარების ხელი. ჩემი დედამთილი ხშირად ამბობს, თქვენ რომ არა, არ ვიცი, ჩემს გოგოს რა ეშველებოდაო. მული არაფერს იმჩნევს, თითქოს სულ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. არაფერს ვაგრძნობინებ. ვუღიმი და მისთვის სიკეთეც მინდა. ბოროტებისთვის ვერც ვერასოდეს გავიმეტებ. არადა სულ მახსენდება, როგორ არ უნდოდა, რომ მე და მისი ძმა შევრიგებულიყავით. მართლა მიხარია, რომ მისი მიტევება შევძელი.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

# „ჩემს შვილიშვილს კლასელები იმიტომ დასცინიან, რომ ჩემი სახელი ჰქვია“

56 წლის ქალი ვარ. ერთი შვილიშვილი მყავს, რომელსაც ჩემ პატივსაცემად ჩემი, საკმაოდ ძველმოდური სახელი დაარქვეს. ახლა 13 წლისაა და სულ მაყვედრის, შენ გამო კლასელები დამცინიანო. მართალი გითხრათ, იმის პრეტენზია არ მქონია, რომ შვილიშვილს ჩემი სახელი უნდა რქმეოდა, მაგრამ ამ ფაქტმა მაინც ძალიან გამახარა. ახლა კი სიხარული ტანჯვად გადამექცა, რადგან შვილიშვილის ბრალდებებს ველარ ვუძლებ. მისი მშობლები მუშაობენ, მათ ვერ ვეუბნები, მეცოდებიან, ვიცი, ძალიან ინერვიულებენ და ბავშვსაც მკაცრად დასჯიან. ჩემი ქალიშვილი და სიძე საკმაოდ სერიოზული პიროვნებები არიან და არა მგონია, შვილს სახელის გადარქმევის უფლება მისცენ.

სახლში მე და ჩემი შვილიშვილი მარტო რომ ვრჩებით, სულ იბუსხება, რაც ძალიან მტკენს გულს. ბევრჯერ მიტირია სიმწრის ცრემლებით. ეს ამბავი სასაცილოდაც შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ასე არაა. ეს ჩემთვის ძალიან დიდ ტკივილად იქცა.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**

# „ჩემი კოშმარული სიზმრების გამო ქმარმა მიმატოვა“



30 წლის ქალს ოჯახი მხოლოდ იმიტომ დამენგრა, რომ ქმარმა ჩემი უცნაური სიზმრები აკვიატებად აღიქვა და ფსიქიკურად შეშლილი ვეგონე. ამის გამო გამეყარა. მინდა გითხრათ, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ.

გარკვეული პერიოდი უცნაური რაღაცეები მესიზმრებოდა. ვნახულობდი, რომ ჩემს ქმარს სამსახურიდან წამოსულს მანქანა ეჯახებოდა და კლავდა. ამ სიზმრებს თითქმის ყოველ ღამე ვხედავდი და შეშფოთებულმა გადავწყვიტე, ქმრისთვის მეთხოვა, სახლში დარჩენილიყო. მან კი, იმის მაგივრად, რომ ვენუგეშებინე, უხეშად მომიგო, ფსიქიატრს გაესინჯე, თავს მიხედეო და სამსახურში მაინც წავიდა. იმ დღეს, ღვთის წყალობით, ავტოსაგზაო შემთხვევა არ მომხდარა, მაგრამ ჩემი მეუღლე სახეზე ნაკაწრებით მოვიდა, მიწაზე დავეციო.

მერე ასეთი კოშმარები სულ უფრო ხშირად მესიზმრებოდა და იძულებული გავხდი, ქმარს სერიოზულად დაველაპარაკებოდი. მან კი ჩემთვის გასაოცარი ნაბიჯი გადადგა, მითხრა, შენი სისულელეების ატანა და შენთან ცხოვრება აღარ შემიძლიაო. მასზე წარმოდგენა სრულიად დამეკარგა. ერთმანეთს გავშორდით. მას ახალი ოჯახი ჰყავს. სიზმრები აღარ მაწუხებს, მაგრამ რეალობა იმაზე მეტად მტკენს გულს, ვიდრე საშიში სიზმრები, თავს ძალიან უბედურად ვგრძნობ.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

# „ქმრის სიკვდილის შემდეგ სახლში ჩავიკეტე და ყველა მეგობარი დავკარგე“

22 წლისას შემიყვარდა პირველად და ცოლადაც ისე გავყევი, ბევრი არ მიფიქრია. ლამაზი ოჯახი მქონდა. შვილი რომ შეგვეძინა, მაშინაც კი მარტო ერთმანეთზე ვფიქრობდით. ისეთი ბედნიერი ვიყავი, არ მჯეროდა, რომ ცხადში ხდებოდა ყველაფერი. თუმცა ეს ბედნიერება 4 წელიც არ გაგრძელდა. ჩემი ქმარი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა და მე და ჩემი პატარა შვილი მარტო დაგვტოვა.

მეუღლის მშობლები ყველანაირად გვერდში დამიდგნენ. შვილივით მომიარეს და დღემდე ასეა. თითქოს ყველაფერი დალაგდა, ჩემი პატარა უკვე პირველ კლასშია, ნიჭიერი ბავშვია და ჩვენც თავს არ ვზოგავთ მისთვის. ოღონდ ახლა ცუდად მე ვარ. ღამე არ მძინავს, გულს ვერაფერს ვუდებ, სახლში ვარ ჩაკეტილი და ვერსად გავდივარ. დედამთილიც მეუბნება, არსად წახვიდეო. სადმე რომ გავიდე, უნდა მოვიტყუო და ვერიდები, თან არც არავინ მყავს ისეთი, ვისთანაც თუნდაც გავისეირნებ. ზოგჯერ დავფიქრდები ხოლმე, რა მელოდება და კარგს ვერაფერს ვხედავ. ალბათ სულ სახლში უნდა ვიჯდე და გავგიჟდები კიდეც. ზოგჯერ მგონია, რომ ფსიქიკური აშლილობით დავასრულებ სიცოცხლეს (სექსუალურით თუ არა).

მირჩიეთ, რა გავაკეთო, რით დავკავდე. თავის დროზე ყველა მეგობარი ჩემი ჩაკეტილობით ჩამოვიშორე და ახლა სულ მარტო ვარ. ასე ცხოვრება კი ნამდვილად აღარ შემიძლია.

*პატივისცემით, „სარკის“ ერთგული მკითხველი*



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემი მეგობარი მასწავლებელი სკოლაში შვილს მიჩაგრავს“



39 წლის ქალი ვარ, თქვენთან მოწერის სურვილი არამარტო იმის გამო გამიჩნდა, რომ ჟურნალ „სარკის“ ერთგული მკითხველი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ მინდა, ჩემი წერილი „სარკის“ ერთ-ერთმა მკითხველმა წაიკითხოს, რომელმაც გული მატკინა.

ჩემს 12 წლის გოგონას ქართულ ენასა და ლიტერატურაში დიდი წარმატებები აქვს. წინა წელს, პირველ-მეორე სემესტრშიც და წლიურ შეფასებებშიც მაქსიმალური ქულა ჰქონდა. წელს ამ საგანში ახალი პედაგოგი ჰყავს, ჩემი უახლოესი მეგობრის სახით. ამ ფაქტმა თავიდან ძალიან გამახარა. მეგონა, ამით ჩემს შვილს სწავლის მეტი სტიმული მიეცემოდა, მაგრამ ჩემი სიხარული ფუჭი აღმოჩნდა, ვინაიდან დაქალმა ჩემი გოგონა ყველა საკონტროლო წერაში დაბალი ქულით შეაფასა და მშობელთა კრებაზეც არასახარბიელოდ დაახასიათა.

ძალიან გაკვირვებული ვიყავი. ვიფიქრე, ჩემს შვილს ალბათ მართლაც აქვს გარკვეული ჩამორჩენა-მეთქი. ერთ ნაცნობ პედაგოგთან მივიყვანე სამეცადინოდ, რომელმაც მითხრა, რომ მას დიდი შესაძლებლობები ჰქონდა ქართულში. შემდეგ მისი საკონტროლო წერის რვეულები ვითხოვე და ჩემი შვილის ძველ მასწავლებელს შევამოწმებინე, რომელმაც თქვა, რომ იმ ნაწერებში უმაღლესი ქულები უნდა დაწერილიყო. გავგიჟდი, მეგობართან მივედი სალაპარაკოდ და, იცით, რა უხეშად მიპასუხა? დაქალები მხოლოდ სკოლის გარეთ ვართ, სკოლაში კი შენი შვილის მასწავლებელი ვარ, მის კლასში ჯერ ახალი შესული ვარ და სასწავლო პრობლემებზე ლაპარაკი სხვა დროისთვის გადავდოთო.

სულ ვცდილობ, „გამოვიჭირო“ და სერიოზულად დაველაპარაკო, მაგრამ გამირბის, სადღაც ეჩქარება. არ ვიცი, რა ვქნა. ახალგაზრდობიდან ვმეგობრობთ და ამდენი წლის შემდეგ თუ გადადგამდა ნაბიჯს ჩვენი ურთიერთობის დასანგრევად, არ მეგონა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

გამოხმაურება

## „სხვისი ქმრების თვალიერებას შეეშვით და საკუთარ ცხოვრებაზე იფიქრეთ!"

„სარკის“ 42-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „წლების წინ მე სხვას დავუნგრიე ოჯახი, ახლა კი ჩემს შვილს წაართვეს ქმარი“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ თქვენთან დარეკვა და ჩემი ამბის მოყოლა გადავწყვიტე. სტატიის ავტორი ნანობს, რომ სხვას ოჯახი დაუნგრია. ეს განცდა მეც მაქვს, რადგან თავის დროზე მასავით მოვიქეცი, სხვას წავართვი ქმარი, საყვარელს ცოლად გავყევი.

ვიცი ძნელია ვნებასთან, სიყვარულთან ბრძოლა. ამ დროს გგონია, რომ სწორედ ის არის მამაკაცი, რომელიც გაგაბედნიერებს, მასთან მშვიდად და ლაღად იცხოვრებ. რეალობა კი სხვანაირია. ჩემი ბობოქარი სიყვარული მაშინვე ჩაცხრა, როგორც კი მისი ცოლი გავხდი. შეიძლება ბედნიერების განცდა იმანაც დამიკარგა, რომ სხვა გავაუბედურე. ახლა ვფიქრობ, რამ დამაბრმავა ასე, ეს ნაბიჯი რამ გადამადგმევინა, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობ.

ჩვენს ოჯახში იმდენი პრობლემა გაჩნდა, რომ ხშირად ველარ ვუძლებ და ვფიქრობ, ქმარი მივატოვო. არადა როგორ ვოცნებობდი, რომ ერთად გვეცხოვრა, ამისთვის ყველაფერი გავაკეთე და ახლა?.. ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ. ყველა ქალს ვთხოვ, სხვისი ქმრების თვალიერებას შეეშვით და საკუთარ ცხოვრებაზე იფიქრეთ.

**მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


სენადე

მცენარეული პრეპარატი

შემადგენლობა: თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

ჩვენებები: სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

სიფრთხილის ზომები: სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს.

ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი: ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

მიღების გზები და დოზირება: ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

აფთიაქიდან გაცემის წესი: ურეცეპტოდ




* გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

აფთიაქი TITANI

„ციპლა“ გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!

ქარხანა ციპლა

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎238-28-40; 238-88-71; 231-11-32





Cyan Magenta Yellow Black





# მანანა კოზაკოვა: „შემეძლო, უფრო სწორად მეცხოვრა, მაგრამ არ გამოვიდა...“

მსახიობ მანანა კოზაკოვას თავის დროზე მშობლებისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა იმის გამო, რომ ძალიან უნდოდა თეატრალურში ჩაბარება. მამა, ცნობილი რეჟისორი და მსახიობი მიხაილ კოზაკოვი, მის არჩევანს სასტიკად არ ეთანხმებოდა. მხოლოდ მაშინ ირწმუნა შვილის შესაძლებლობის, როცა დიდიხნის შემდეგ მასთან ერთად სპექტაკლზე იმუშავა.

საკუთარ თავს „სულით სარდაფელს“ უწოდებს. საუკეთესო მოგონებები აკავშირებს „თეატრალურ სარდაფთან“, სადაც წლების წინ მუშაობდა ქმართან, მაშინ დამწყებ რეჟისორ ჭოლასთან (ლევან წულაძესთან) და მეგობრებთან ერთად. ახლაც ქმრის გვერდით არის „მარჯანიშვილში“. ჭოლა არის მისთვის სტიმულის მიმცემი, მამოძრავებელი ძალა, როგორც თავად გვითხრა ცხოვრების გაკვეთილებზე საუბრისას.

**— ქალბატონო მანანა, როგორ გახსენდებათ ის პერიოდი, როცა ყველაზე მეტად გჭირდებოდათ მშობლის რჩევა. რას გინერგავდნენ, რას გასწავლიდნენ ისინი?**

— ძალიან მადლიერი ვარ ჩემი მშობლების, რომ პიროვნებად გამზარდეს. არ მახსოვს, ოდესმე დედას ჩემთვის ენა მოეჩლიქოს. ძალიან დიდ დროს ვატარებდით ერთად საუბარში. ახლა რომ ვუკვირდები, ალბათ რა სასაცილო იყო ჩემი მაშინდელი აზრები, მაგრამ იმ ეტაპზე ეს იყო მნიშვნელოვანი და დედა ყოველთვის მიგებდა. ბავშვობის დროინდელი ყველაფერი მძაფრად მახსოვს — წყენაც, სირცხვილიც... ვთვლი, რომ დამოუკიდებლობა საკუთარმა თავმა კი არა, ჩემმა მშობლებმა მომანიჭეს. თუმცა დედა ძალიან მკაცრი იყო. მაშინ ღამის კლუბები არ არსებობდა, მაგრამ დაბადების დღეებზეც კი ვერ მივდიოდი. მეგობრებთან წასვლაც არ იყო ჩემთვის მარტივი საქმე. დედა მეუბნებოდა, არ არის აუცილებელი, ყველგან წახვიდე, უნდა შეგეძლოს, გართობა განათლებით ჩაანაცვლოო.

**— მამასთან, ცნობილ რუს მსახიობ მიხაილ კოზაკოვთან, როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— მამა ძალიან განათლებული იყო, მასთან არასოდეს მიჭორავია, სულ პოეზიაზე, პროზაზე ან ახალ როლებზე გვქონდა საუბარი. ახლაც, ფილმებს რომ ვუყურებ, მამასთან ურთიერთობა მახსენდება. ვიცოდი, მისი გამოხედვა რას ნიშნავდა, რომელ როლში რას დებდა, იმ როლისთვის რას კითხულობდა.

**— მამა თქვენგან შორს ცხოვრობდა, მოსკოვში, მისი დანაკლისი არ გქონდათ?**

— როცა მშობლები შორდებიან, ეს ბავშვში გარკვეულ კომპლექსებს აყალიბებს, მაგრამ მერე ამას ეჩვევა. ამ დროს ბევრი რამ მშობლებზეა დამოკიდებული. დედაც და მამაც ძალიან სწორად იქცეოდნენ გაყრილი მშობლების კვალობაზე. არ მახსოვს, დედას ოდესმე მამა გაეკრიტიკებინა ან მის მიმართ უკმაყოფილება გამოეხატა. პირიქით, სულ მიხსნიდა რაღაცეებს და ცდილობდა, ყველაფერი სწორად აღმექვა.

ამას გარდა, არაჩვეულებრივი მამობილი მყავს. მისთვის მამა არასოდეს დამიძახია, მაგრამ მან ჩემთვის იმაზე მეტიც კი გააკეთა, ვიდრე ბიოლოგიურმა მამამ. ის, რომ ჩემს და-ძმასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, ჩვენი მშობლების დამსახურებაა.

მახსოვს, ერთხელ მოსკოვში ჩავედი, ჩემს ძმას პაემანზე აგვიანდებოდა. მე კიდევ ციყვების სანახავად მინდოდა წასვლა. არ იმჩნევდა, რომ აგვიანდებოდა, რადგან დედამისმა უთხრა, მანანა ციყვების სანახავად წაიყვანეო. ბოლოს ისე მოხდა, რომ შეყვარებულთან პაემანზე ჩემ გამო ველარ წავიდა.

**— თქვენი პროფესიული არჩევანი მშობლებმა როგორ მიიღეს?**

— არ უნდოდათ, სამსახიობოზე ჩამებარებინა. მეუბნებდნენ, რომ მომიწევდა ომი საკუთარ თავთან, რეჟისორებთან თუ მაყურებელთან. ეს ნაკლი ნამდვილად აქვს ამ პროფესიას, მაგრამ არც ის მგონია, სხვა რომელიმე საქმე მარტივი იყოს. მაინც ყველაფერი ბედსა და იღბალზეა დამოკიდებული.

მშობლები ჩემს ცხოვრებაში არ ერეოდნენ, უბრალოდ რჩევებს მაძლევდნენ. მგონია, რომ ყველამ ის უნდა გააკეთოს, რაც ძალიან უნდა. თუნდაც მცდარი იყოს შენი არჩევანი, მაინც ჯობს, თავად მიიღო გადაწყვეტილება.

**— სტუდენტობის წლებმა როგორ გაიარა?**

— მაშინ ვერ ვგრძნობდით იმ სირთულეებს, რაც ქვეყანაში არსებობდა — 9 აპრილის ტრაგედია, სამოქალაქო ომი, გადაკეტილი რუსთაველი, დიდი უბედურება... ახალგაზრდობას საოცარი ძალა და მუხტი აქვს, ასეთ პირობებშიც კი ხარობ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ მოსკოვში ვიყავი და მამაჩემის პირველმა ცოლმა მითხრა, იცი, მეორე მსოფლიო ომის დროს რა კარგ დროს ვატარებდით, დედა გვართობდა, სულ ვთამაშობდით, რომ არ გავყინულიყავითო. ამ სიტყვების შემდეგ სინდისის ქენჯნამ, რომელიც მაშინდელი გართობების გამო მაწუხებდა, თითქოს გამიარა.

ერთ შობადღეს მეგობარმა თქვა, გრიბოედოვის ქუჩაზე, ბებიის სახლში, მურაბები გვაქვსო. მაშინ ჩავიდინეთ ასეთი სისულელე: სახლში გადავძვერით, ამ დროს კი სნაიპერები ისროდნენ, ოთახი სულ ტყვიებით იყო სავსე. ნელ-ნელა ხელი ავწიეთ და რომელი მურაბის ქილასაც მივწვდით, ის წამოვიღეთ. ეს ალბათ ამ ყველაფრის მიმართ რაღაცნაირი პროტესტი იყო.

**— მერე, როცა პროფესიონალ მსახიობად იქეცით, მამათქვენის შეფასებები როგორი იყო?**

— არიან მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს სცენაზე რომ ხედავენ, ობიექტურობას კარგავენ, მაგრამ ის ზედმეტად კრიტიკული, დაუნდობელი იყო, როგორც ჩემ მიმართ, ისე ჩემი ძმის მიმართაც, რომელიც მსახიობია და რუსეთის თეატრში თამაშობს. როცა მე და მამამ ერთად ვიმუშავეთ, მაშინ ბოდიში მომიხადა ამისთვის. ეს 2007 წელს იყო, მანამდე კი ის არ მაღიარებდა, როგორც მსახიობს.

**— ეს ძალიან გწყინდათ?**

— სადღაც, გულის კუნჭულში მისიც კარგად მესმოდა. ცხოვრებას მეტნაკლებად რომ შეიცნობ, ხვდები, სამყარო როგორი დაუნდობელია. უნდოდა, ამ პროფესიისთვის თავი დაგვენებებინა და რაღაც სხვა გაგვეკეთებინა, თავად კი ამ საქმისთვის იყო შეწირული. მიხარია, რომ



მანანა და ლევანი

**„ლევანი ჩემთვის ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, ამიტომ მეც სულ ფორმაში ვარ, ვცდილობ, მასთან არ შევირცხვე, მობილიზებული ვიყო, მეტი ვიფიქრო და განვვითარდე".**

ბოლოს მაინც შემაქო. მამა სიცოცხლის ბოლოს საქართველოშიც იყო ჩამოსული, მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი დადგა.

**— თქვენ და თქვენი ქმარი, რეჟისორი ლევან წულაძე — ჭოლა, ცნობილი წყვილი ხართ. როგორ დაიწყო ეს ისტორია?**

— უკვე 21 წელი ხდება, რაც მე და ლევანი ცოლ-ქმარი ვართ. ინსტიტუტში გავიცანით ერთმანეთი და ძალიან მალე ცოლად გავყევი. რომ მეკითხებიან, რატომ იჩქარეთო, კითხვას იქით ვსვამ: იმ პერიოდში ქუჩებში ისროდნენ, არც კინო იყო, არც თეატრი, კაფე არ არსებობდა და სად უნდა გვესეირნა, ქუჩა-ქუჩა ხომ არ ვივლიდით? ამიტომ მალე გადავწყვიტეთ დაქორწინება. სახლში რომ შევედით, შუქიც კი არ იყო, იმ სიბნელეში ჩემს დედამთილს რძალი სხვა ეგონა.

**— იმ თეატრში მუშაობა, სადაც ქმარი რეჟისორია, თქვენთვის დიდი კომფორტია?**

— ამას ორი მხარე აქვს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ უფრო დადებითია. იმასაც გააჩნია, ცოლ-ქმარს რა ტიპის ურთიერთობა აქვთ. გარდა იმისა, რომ ჩემი ქმარი ძალიან მიყვარს, მასთან ცხოვრებაც მაინტერესებს. ლევანი საინტერესო ადამიანია,

**„მამა ზედმეტად კრიტიკული, დაუნდობელი იყო, როგორც ჩემ მიმართ, ისე ჩემი ძმის მიმართაც, რომელიც მსახიობია. როცა მე და მამამ ერთად ვიმუშავეთ, მაშინ ბოდიში მომიხადა ამისთვის. ეს 2007 წელს იყო, მანამდე კი ის არ მაღიარებდა, როგორც მსახიობს".**



მამა-შვილი კოზაკოვები



Cyan Magenta Yellow Black

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**თამარ შარაშიძე** *(82 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ხერხემლის ოსტეოქონდროზი, ორმხრივი გონართროზი. სიცოცხლე თავიდან შემიყვარდა, შვილო... აქ რომ მოვედი, უჯოხოდ ვერ დავდიოდი, წელშიც ძალიან ვიყავი მოხრილი. ტკივილები ღამეც არ მაძინებდა. მაღალი წნევებიც მაწუხებდა... ახლა კარგად ვარ უკვე, ახლიდან დავიბადე, თითქოს 20 წლით გავახალგაზრდავდი, ჯოხიც გადავაგდე, მუხლებში ძალა დამიბრუნდა, დავდივარ. უსარგებლოდ აღარ ვგრძნობ თავს, ოჯახში ვსაქმიანობ და ღამითაც კარგად მძინავს. ორი ჩემხელა მოიყარე ჩემო მანანა ექიმო, დედი, მარჯვენას დაგილოცავ...

**გივი მაისურაძე** *(53 წლის, ინდმეწარმე. ზესტაფონი).*

**დიაგნოზი**: კისრის ოსტეოქონდროზი, პლექსიტე (მხრის წნულის). შარშან გავცივდი, ვირუსი დამემართა. ამის შემდეგ დამეწყო ტკივილები კისრის არეში, შემდეგ გადმოვიდა მხარში, ბოლოს კი მთლიანი ხელი ჩაითრია. ტკივილი იმდენად გამიძლიერდა, რომ არანაირი წამალი არ მიყუჩებდა. ბოლოს ხელში ძალა შემისუსტდა, თითებით კოვზსაც ვერ ვიკავებდი, სად აღარ ვიარე, მაგრამ... ბოლოს ახლობლებმა ქალბატონ მანანასთან მომასწავლეს. დიდი იმედით ჩამოვედი. პირველ დღესვე ვიგრძენი კარგი ეფექტი, იმ ღამეს გაგუდულს მეძინა (არადა 1 კვირა ტკივილი არ მაძინებდა). 3 დღეში ტკივილები მთლიანად მომეხსნა. ხელში ძალამ იმატა. დღეს მკურნალობის მეათე დღეა და აღარც კი მახსოვს, რისთვის მოვედი *(იცინის).*

**ნინო ჯანიკაშვილი** *(35 წლის, დიასახლისი. საგურამო).*

**დიაგნოზი**: პოლიდისკოპათია წელის მალების (L3-S1). 10 წელია, წელის ტკივილები მტანჯავდა. 3 შვილი გავაჩინე, ეტყობა, ამანაც იმოქმედა, ოჯახში ჯაფაც არ მაკლია და... მესამე ბავშვის მერე ტკივილებმა მკვეთრად მიმატა. ფეხში ჩაანაცვლა, დაბუჟებაც დამერთო. მანანა ექიმმა კომპიუტერზე გამიშვა, მე-3 დისკის თიაქარი აღმომაჩნდა, მე-5, მე-7 და



მე-8 მალების ოპერაცია გარდაუვალი იყო, რომ არა ჩემი აქ მოსვლა. მკურნალობამ საოცარი შედეგი მომცა, ეფექტი უკვე 2 დღეში ვიგრძენი. ტკივილებმა მკვეთრად იკლო, დაბუჟებამაც გამიარა. მკურნალობას ვაგრძელებ. შედარება არ არის, თავისუფლად ვმოძრაობ.

დიდი მადლობა კლინიკის ყველა თანამშრომელს!

*მის.: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*


მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა. ვინც მას კარგად იცნობს, იცის, რომ თავისი სპექტაკლის სცენებით შეუძლია ვილაცისთვის ბოდიშის მოხდა, მხარში ამოდგომა, შეუძლია შენს შეცდომას მიგახვედროს. მიხარია, რომ მე ამ ყველაფრის თანამონაწილე ვარ.

სირთულეები ის ახლავს, რომ ხომ გაგიგიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო. მე მეტი მომეთხოვება, მეტ შენიშვნას ვიღებ, ზოგჯერ — დაუმსახურებელსაც, მაგრამ ამას სხვა დანარჩენი იმდენად აბალანსებს, რომ, საბოლოო ჯამში, კარგია ჩვენი ერთად მუშაობა.

**— თქვენ შორის რომანტიკა ისევ არის?**

— ჩემს შვილს, თინათინს, სულ ვეუბნები, ნუ იქნება ის ბიჭი შენზე მეტი, შენზე მდიდარი, მთავარია, ეცადო, საინტერესო ადამიანი ნახო-მეთქი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის გრძნობები, ვნება, გატაცება, თავბრუსხვევა ასაკობრივია და მერე ქრება. ლევანი ჩემთვის ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, ამიტომ სულ ფორმაში ვარ, ვცდილობ, მასთან არ შევრცხვე, მობილიზებული ვიყო, მეტი ვიფიქრო და განვვითარდე. ვთვლი, რომ მამაკაცი სამყაროს მამოძრავებელი ძალაა.

**— ბატონ ლევანს თქვენგან დათმობებზე წასვლა სჭირდება?**

— ცოლქმრობაში ყველაზე საჭირო დათმობაა. თითოეულმა კარგად უნდა განსაზღვროს, რისი დათმობა შეუძლია და რისი — არა. ცოლქმრობის პირველი წლები ამიტომაა ყველაზე რთული და ოჯახები ძირითადად სწორედ ამ ეტაპზე ინგრევა. ზოგჯერ სისულელის გამო ქმართან კონფლიქტში შედიხარ, მერე კი, როცა უფიქრდები, ხვდები, რომ ჯობდა, დაგეთმო, ამით არ დაზარალდებოდი. არ არსებობს კარი, რომელსაც გასაღები არ აქვს. მთავარია, გასაღები სწორად მოარგო.



■ მანანა და თინათინი

**„ლევანი თინათინთან კი არის ლმობიერი, მაგრამ მე მჭამს. სანამ ის სახლში მოვა, მე მეჩხუბება, აქამდე სად არისო".**

**— მომთხოვნი ხართ ოჯახის წევრების, მეგობრების მიმართ?**

— მხოლოდ იმას ვითხოვ ადამიანებისგან, რისი მიცემაც მათთვის თავად შემიძლია. ვთვლი, რომ ვალდებული არავინ არაფერშია. ვისაც ჩემთვის რამე გაუკეთებია, მადლობას ვეუბნები. რასაც გავცემ, იმას ნამდვილად ვითხოვ უკან, მაგრამ, თუ არ ვიღებ, არც ესაა პრობლემა. არ ვთვლი, რომ ვინმე ჩემ წინაშე რაღაცით არის ვალდებული.

**— ვიცი, რომ თინათინის მიმართ მამა ძალიან ლმობიერია, თქვენ კი — მკაცრი. ეს თავად ბატონ ლევანს აქვს ნათქვამი.**

— თინათინთან კი არის ლმობიერი, მაგრამ სამაგიეროდ მე მჭამს. სანამ ის სახლში მოვა, მე მეჩხუბება, აქამდე სად არისო. თინათინი მეც მგავს და ლევანსაც, მაგრამ ჩვენგან განსხვავებული თვისებებიც აქვს. ბევრჯერ თავისი საქციელით დავუფიქრებივარ, მაგრამ მისთვის ეს არ მითქვამს.

ძალიან აქტიური დედა ვარ და, ვიდრე თავად გააკეთებს, მე ვწყვეტ მის მაგივრად, მაგრამ იმაში, რაც თავად ძალიან უყვარს, სრულიად დამოუკიდებელია. გიჟდება ცეკვაზე და სუხიშვილების ანსამბლზე. შუაღამემდე ზის და იწესრიგებს კოსტიუმს. წელს სკოლა დაამთავრა და ძალიან უნდა, ცეკვას გაჰყვეს. მეც და ლევანიც ვემხრობით მის გადაწყვეტილებას. ერთი-ორჯერ კი ვუთხარი, სამედიცინოზე ხომ არ ცდი ბედს-მეთქი და ისე გამომხედეს მამა-შვილმა, რომ მეტი აღარ მითქვამს.

**— თქვენი შემოქმედებიდან რომელი ეტაპი გიყვართ განსაკუთრებით?**

— მე სულით და ხორცით სარდაფელი ვარ. ლევანმა ახალი სცენა გააკეთა, რომელიც ძალიან ჰგავს „სარდაფს“. ლევანს შენახული ჰქონდა „თეატრალური სარდაფის“ იატაკი და კარი, იმით გააკეთა ახალი სცენა. ამას გარდა, აურითაც ძალიან ჰგავს. რუსთაველის „სარდაფთან“ კარგი მოგონებები მაკავშირებს. მიყვარს ჩემი ცხოვრების ის ეტაპი.

**— გავლილი წლებიდან რამეს შეცვლიდით?**

— უშეცდომო ადამიანი არ არსებობს და მეც ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული. რომ შემეძლოს, რაღაცეებს ისე გავმიჯნავდი ერთმანეთისგან, შეცდომებს აღარ დავუშვებდი. ზოგ შეცდომას ადამიანური სისუსტე განაპირობებს, ზოგ შემთხვევაში შანსი გეძლევა და არ იყენებ. ადამიანი ყოველთვის ცდილობს, შეცდომებს გამართლება მოუძებნოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი ილექება, გამძიმებს და დიდ სინანულს გგვრის. იყო რაღაცეები, რისი აცდენაც შემეძლო და არ ავიცდინე. შემეძლო უფრო სწორად მეცხოვრა, მაგრამ არ გამოვიდა.

ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩემს ცხოვრებაში რადიკალურად შევცვლიდი რამეს. არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ უფრო მდიდარი ვყოფილიყავი, არც სხვა მშობელი მდომებია, არც სხვა ძმა, არც ქმარი, არც შვილი და არც სხვა პროფესია.

✓ **ქეთი დინოშვილი**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black



# ლაფანყურის სპეცოპერაციის და ჩოკუტაევის კლიპის კვალი ერთსა და იმავე პიროვნებასთან მიდის?

## ვახტანგ მაისაია: „ზაქაევმა პირდაპირ მიანიშნა, რომ ეს იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც წარმატებით განახორციელა საქართველოს მთავრობამ მერაბიშვილის შესრულებით და სააკაშვილის მონაწილეობით"

2012 წელს ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სისხლიან სპეცოპერაციას, რომელიც ლაფანყურის ბურუსით მოცულ საქმედ არის ცნობილი, საქართველოს სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის ინიციატივით შექმნილი კომისია სწავლობს. დასკვნა, რომელსაც ის გააკეთებს, სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. მანამდე კი დასკვნა გამოაქვეყნა დევნილობაში მყოფი ჩეჩნეთის მთავრობამ. იჩქერიის რესპუბლიკის საგანგებო სხდომაზე მიღებული №25 დადგენილების თანახმად, კონკრეტულად ამ ინციდენტის შესასწავლად სახელმწიფო კომისია შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩეჩნეთის დევნილობაში მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები და საერთაშორისო ექსპერტები. დასკვნა ეყრდნობა ისეთი სახის ინფორმაციებს, როგორიცაა ინტერვიუები გარდაცვლილების ახლობლებთან, ლაფანყურის მოსახლეობის ჩვენებები, ადგილის ტოპოგრაფიული რუკა და ფოტოები, გადაადგილების მარშრუტი, უშუალო მონაწილეებისგან და მათი თანაშემწეებისგან მიღებული ინფორმაცია და ა.შ.

ზემოხსენებულ დასკვნაში ნათქვამია: „დადგინდა, რომ ლოპოტის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია ვანო მერაბიშვილის მიერ იყო დაგეგმილი. ამ პერიოდში ის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიციას იკავებდა. ამასთან ოპერაციის ჩატარება შეთანხმებული იყო მიხეილ სააკაშვილთან. სპეცოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე“.

კომისია ასევე მიიჩნევს, რომ მასობრივი მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი და იყო პროვოკაცია, რომლის თანაავტორებიც ამჟამად საქართველოში იმყოფებიან და მათ ყოფილი ხელისუფლების წევრები ხელს აფარებენ.

გამოკითხულ პანკისელთა ჩვენებებისა და მონაყოლის მიხედვით, 2012 წლის აგვისტოს დამდეგს პანკისში ნათესავების მოსანახულებლად რამდენიმე ათეული ახალგაზრდა ჩავიდა ევროპიდან. მშობლებს ეჭვები გაუჩნდათ, მაგრამ შვილებმა დაამშვიდეს, ნუ გეშინიათ, „ზემოდან“ მოგვიგვარესო. მათთან თურმე ღამღამობით შავი ჯიპი მიდიოდა და ახალგაზრდები სადღაც მიჰყავდა, გამთენიისას კი უკან ბრუნდებოდნენ. ერთ საღამოს კი თქვეს, მივდივართ, საქმე ჩაიშალაო.

2012 წლის 25 აგვისტოს 5 ლაფანყურელი ახალგაზრდა ლოპოტის ხეობაში გაუჩინარდა. საძებნელად წასულმა თანასოფლელებმა ტყეში დაახლოებით 20 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი შენიშნეს, რომელსაც ახალგაზრდები მძევლად აეყვანა. ჯგუფი რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთისკენ მიიწევდა. საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციით, რუსულმა მხარემ იცოდა ჯგუფის გადაადგილების შესახებ და საზღვართან ელოდებოდნენ კიდეც. საქართველოს ხელისუფლება შიშობდა, რომ დაღესტანში იმ დროს განვითარებული მოვლენების ფონზე შეიარაღებული ჯგუფის მიერ საზღვრის გადაკვეთის მცდელობას რუსეთი სათავისოდ გამოიყენებდა. ალყაში მოქცეულ შეიარაღებულ ჯგუფთან მოლაპარაკებები დაიწყო... მოლაპარაკება საბოლოოდ 14 გვამით დასრულდა. საქართველოს შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, ლოპოტის ხეობაში ორმხრივი შეტაკებისას დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს — ორი (წიკლაური და ჩოხელი) და თავდაცვის სამინისტროს ერთი თანამშრომელი (სამხედრო ექიმი ხვედელიძე). მოკლული იყო 11 „ბოევიკიც“.

შს სამინისტროს განცხადებით, 6 მეომარი ალყაში იყო მოქცეული. 30 აგვისტოს ლაფანყურელი მძევლები პოლიციამ შინ დააბრუნა. როგორც თავად აცხადებდნენ, ისინი მართლაც გახდნენ შეიარაღებული პირების მძევლები, რომლებიც მათ კარგად ექცეოდნენ. ერთ-ერთი მშობლის განცხადებით, ბავშვებს აჭმევდნენ, ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი აჩუქეს, ფულიც მისცეს — 200 დოლარი, ჩვენს სახელზე იქეიფეთო.

**„აპრილში მერაბიშვილი ლევან მაისურაძის ყალბი პასპორტით გადადიოდა სომხეთში. რატომ არა — აზერბაიჯანში, თურქეთში? აი, ამას რატომ არავინ მიაქცია ყურადღება? მიდიოდა სომხეთში და თან ყალბი პასპორტით. აპრილიდან საქართველოში დაიძაბა სიტუაცია. ამას დაემატა ჯიჰადის ვიდეორგოლებიც. ამ ვიდეოებში აშკარად ჩანს ქართული კვალი. სამარ ჩოკუტაევი არის ჩვეულებრივი გამავრცელებელი, მთავარია, ვინ დაამზადა კლიპი".**

მძევლები მედიასთან სიტყვაძუნწობდნენ, მაგრამ ის კი თქვეს, რომ „ბოევიკთაგან“ ერთი ქართულად ლაპარაკობდა. შს სამინისტრომ სპეცოპერაციის ძირითადი ნაწილის დამთავრების შესახებ განცხადება გააკეთა და დახოცილი „ბოევიკების“ ვიდეოკადრებიც გაავრცელა. ამით თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მოულოდნელად, 30 აგვისტოს, მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაციის დროს დაღუპულები დაღესტნელი ტერორისტები კი არა, პანკისის ხეობის მკვიდრი ქისტები იყვნენ.

ამ თავზარდამცემი ინფორმაციის დაჯერება საზოგადოებას გაუჭირდა. ამასობაში, 31 აგვისტოს, გვიან ღამით, პანკისის ხეობის სოფელ დუისის სასაფლაოზე 7 საფლავი გაითხარა. შს სამინისტროს მიერ გავრცელებული კადრებიდან ამოუცნია ბაჰაუდინ ბალაკაშვილი მის ძმას ავსტრიაში. ბაჰაუდინ ბალაკაშვილთან ერთად დაღუპულები იყვნენ ბაჰაუდინ ალდამოვი და ასლან მარგოშვილი. 1 სექტემბერს, დილას, დაღუპულთა მშობლებმა გაიგეს, რომ ხელისუფლება დაპირებას არ ასრულებდა — ცხედრების გადაცემისგან თავს იკავებდა. პარალელურად შს სამინისტრომ კატეგორიულად უარყო სპეცოპერაციის დროს დაღუპულებში საქართველოს მოქალაქეების არსებობა, თუმცა 3 სექტემბერს, გამთენიისას, დუისში ასლან მარგოშვილის და ბაჰაუდინ ალდამოვის ცხედრები მიასვენეს და ისე დამარხეს, მშობლებს დატირების საშუალება არ მისცეს. იმავე დღეს, დილით, შს სამინისტრომ დაადასტურა, რომ ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა შორის მართლაც იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, დასახელდნენ სხვა გარდაცვლილებიც, რუსეთის მოქალაქეები — დუკვაჰა დუშუევი, სალამ ზაურბეკოვი და ჯაბრაილ ხაშიევი. 4 სექტემბერს დუისის სასაფლაოზე ბაჰაუდინ ბალაკაშვილიც დაკრძალეს. გარდაცვლილთა მშობლებს დღემდე არა აქვთ პასუხი კითხვაზე, როგორ მოხვდნენ ახალგაზრდები ლოპოტაში და რა მოხდა 30 აგვისტოს ლაფანყურის ტყეში.

ერთი წლის შემდეგაც ამ საქმეზე მხოლოდ ვერსიები და მითები ვრცელდება. ევროპაში მცხოვრებ ჩეჩნებში გავრცელებული ვერსიით, მეომართა ჯგუფი, რომელსაც ქართული სპეცსამსახურები მფარველობდნენ, მართლაც აპირებდა დაღესტანში გადასვლას, პოლიციის ერთ-ერთი ჩინოსანი კი ჰპირდებოდა, რომ ამას მხოლოდ არჩევნების — 1 ოქტომბრის — შემდეგ მოახერხებდა. ჯგუფმა დამოუკიდებლად წასვლა გადაწყვიტა. ისინი ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელს მოელაპარაკნენ. მან, გარკვეული თანხის საფასურად, ჯგუფის გადაყვანა გარისკა. რამდენიმე დღე მეომრები ლაფანყურის ტყეებში იყვნენ და სოფლამდეც კი ჩადიოდნენ. ვინაიდან დრო გაჭიანურდა და ჯგუფს ტყეში უქმად ყოფნა მოსწყინდა, გამცილებელს პირობის შესრულება მოსთხოვა. მან კი შს სამინისტროში დარეკა. პოლიციის სპეცრაზმმა მეომრები მძინარენი დახოცა.

ადგილობრივთა ვერსიით კი, ახალგაზრდა ვაჰაბიტთა ჯგუფი იმ ხალხმა მოამზადა, ვინც წლების განმავლობაში ამგვარი ჯგუფების მომზადებით იყო დაკავებული. ისინი გამოცდილი ჩეჩენი მეომრები არიან, რომლებიც თბილისსა და პანკისში ცხოვრობენ. ამ ჯგუფის ტრანსპორტირებაში ჩართული იყო ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელი, ვინმე სანდრო ამირიძე. ჯგუფის გადაყვანის შესახებ ინფორმირებული იყო ახმედ ჩატაევი. პანკისის ჯამაათის მხრიდან ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ ვინმე „დუშმანი“ და „ზოინი“, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩეჩენი საველე მეთაურის, რუსლან გელაევის დაცვის წევრები იყვნენ და პანკისში თავის დროზე მას ჩამოჰყვნენ. როდესაც ჯგუფი ლაფანყურის ტყიდან დაღესტნის საზღვრისკენ დაიძრა, ამირიძემ ამის შესახებ თავისიანებს აცნობა და მეომრები მძინარეები დახოცეს, ისე, რომ მათ თოფის გასროლაც ვერ მოასწრეს.



Cyan Magenta Yellow Black

დაღუპულთა ოჯახის წევრები პირად საუბრებში ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ დათანხმდნენ ცხედრების ექსჰუმაციას, რათა გაირკვეს, ხომ არ იყვნენ მათი მძინარე შვილები ახლო მანძილიდან ნასროლი ტყვიებით დახოცილი, ანუ ხელისუფლებასთან ერთად ისინი საკუთარმა თანამებრძოლებმაც ხომ არ გაწირეს.

რა მეთოდებით და რა მასალებზე დაყრდნობით აპირებს უჩა ნანუაშვილის ინიციატივით შექმნილი საბჭო ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიებას, ამის შესახებ „სარკეს“ საბჭოს წევრი, სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრა:

— ეს იქნება მუდმივმოქმედი საბჭო და ლაფანყური არის პირველი საქმე, რომელსაც ის შეისწავლის. ეს საქმე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დაიღუპა ძალოვანი სტრუქტურის 4 წარმომადგენელი და საქართველოს მოქალაქე 9 ქისტი. თუ ამდენი ადამიანია დაღუპული, ფაქტია, რომ იქ დაჭრილებიც იქნებოდნენ, ანუ, თუ ამ ციფრებით ვიმსჯელებთ, უნდა მომხდარიყო საკმაოდ დიდი შეტაკება. ამასთანავე საუბარია ოჯახის წევრების უფლებების დაცვაზეც. კომისია იმუშავებს ფაქტების მოძიების კუთხით, რათა გაკეთდეს ვერსიების შეჯერება, ანალიზი, რომელიც გარკვეულ სურათს მოგვცემს. კომისიის წევრები არიან უშუალოდ პანკისის ხეობაში მცხოვრები უხუცესები, რაც ერთიორად ზრდის ამ საბჭოს სტატუსს და სანდოობას. ამ საბჭოს შექმნა ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას.

**— ლაფანყურის სპეცოპერაციაზე უამრავი ვერსია ვრცელდება. თქვენ საითკენ იხრებით?**

— ჩემი მხრიდან ვერსიაზე ლაპარაკი პირდაპირ უკავშირდება ჩემს სტატუსს საბჭოში, ამიტომ, სამწუხაროდ, გარკვეულწილად შეზღუდული ვარ. მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ემიგრაციაში მყოფი იჩქერიის მთავრობის ვერსია, რომელსაც ზაკაევი ხელმძღვანელობს და რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების ჩეჩნეთის მთავრობის სამართალმემკვიდრეა, საინტერესოა. მან პირდაპირ მიანიშნა, რომ ეს იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც წარმატებით განახორციელა საქართველოს მთავრობამ მერაბიშვილის შესრულებით და სააკაშვილის მონაწილეობით.

**— ამ შემთხვევაში ის დაინტერესებული მხარეა. რამდენად სანდოა ემიგრაციაში მყოფი მთავრობის დასკვნა?**

— იჩქერიის დევნილ მთავრობას კარგად ორგანიზებული სტრუქტურა აქვს ადგილზე, მათ ამისთვის ჰყავთ სპეციალური სადაზვერვო სამსახური — მუჰაბარათი. მათ შეძლეს, დაეკითხათ ის ადამიანები, რომლებიც ამ ოპერაციის უშუალო მონაწილეები იყვნენ და შემდეგ გაუჩინარდნენ. მათ გამოკითხეს მოსახლეობაც. შემიძლია ვთქვა, რომ ზაკაევის ხელისუფლების მიერ გაკეთებული კვლევა უნდა გამხდარიყო პროკურატურისა და ჩვენი ძალოვნების მიერ დაწყებული გამოძიებისთვის უშუალო ვერსია.

**— ანუ თქვენც ამ ვერსიას იზიარებთ.**

— არა, უბრალოდ მინდა, ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ზაკაევის მთავრობას ჰქონდა შესაძლებლობა, ეს საქმე პროფესიონალურ დონეზე გამოეძია.

**— მაგრამ იყო საუბარი სხვა ვერსიებზეც, რომ სპეცოპერაცია ნაციონალებს საარჩევნოდ სჭირდებოდათ; რომ იმ ჯგუფს ივანიშვილის ლიკვიდაცია დაავალეს და უარის გამო დახოცეს; რომ საქართველოში ტერორისტებს ამზადებდნენ, ეს რუსეთმა გაიგო და ისინი დახოცა; რომ იყო დერეფანი სირიაში „ბოევიკების“ გასასვლელად, მაგრამ მერე რაღაც შეიცვალა და ამ შედეგით დასრულდა...**

— არც არჩევნების თემა გამოიყურება უსაფუძვლოდ, თუ გავითვალისწინებთ, რას

**„მერაბიშვილის მიმართ ბევრი კითხვაა და ლაფანყურის ოპერაცია კიდევ ერთი დამატებითი ფაქტია მისი პრორუსული პოლიტიკური გავლენის აგენტობის. ვერ ვიტყვი, რომ მერაბიშვილი იყო რუსეთის ჯაშუში, მაგრამ არსებობს პოლიტიკური გავლენის აგენტი და მის ბიოგრაფიაში ჩნდება მსგავსი პასაჟები".**



■ ლაფანყურის სპეცოპერაციის კადრები

აკეთებდნენ, რომ ხელისუფლება როგორმე შეენარჩუნებინათ.

**— მერაბიშვილის მიერ ახალაიას მოშორების მცდელობაზეც იყო საუბარი.**

— შიდა ურთიერთობები — ეს ცალკე შესასწავლი თემაა.

**— ისიც ითქვა, რომ ჩეჩენი და ქისტი ახალგაზრდები მძინარეები დახოცეს. ალბათ ამ ვერსიას თქვენ არ იზიარებთ, რადგან ფართომასშტაბიანი შეტაკება ახსენეთ.**

— როგორც ექსპერტს, მიმაჩნია, რომ ეს იყო შეტაკება, მაგრამ ჯერჯერობით გასარკვევია, რა ვითარებაში დაიღუპნენ ჩვენი მებრძოლები. ესაა საინტერესო, არადა ჩვენ მხოლოდ ვიცით კონკრეტული ციფრები. ისიც ახლახან გაირკვა, რომ თურმე მეოთხე ადამიანიც დაიღუპა, თან ისე, რომ სნაიპერმა თავი მოიკლა საეჭვო ვითარებაში. რაც შეეხება ოპერაციის დროს დაღუპულ ბატონ არჩილ ჩოხელს, მას პირადად ვიცნობდი. ერთად ვვარჯიშობდით ფალავანთა კლუბში. წარმატებული სპორტსმენი იყო და ვიცნობდი, როგორც ვაჟკაცს და ღირსეულ ადამიანს.

ჯობია, გამოძიებას დაველოდოთ, როგორც მოხდა ხურჩის ინციდენტის შემთხვევაში, რომელიც ასევე დროში ემთხვეოდა წინასაარჩევნო პერიოდს. გამოძიება ალბათ შეეცდება, ეს ფაქტები დააკავშიროს.

**— ფაქტია, რომ ლაფანყურში კიდევ რაღაც დამატებითი პრობლემა არსებობდა.**

— ბუნებრივია, იყო იქ რაღაც პრობლემები და წინა ხელისუფლებაც თავის ვერსიებში ასიმეტრიულად განსხვავდებოდა. ჯერ ამბობდნენ, რუსეთიდან შემოვიდნენო, მერე ამბობდნენ, აქედან მიდიოდნენო.

**— იყო ვერსია, რომ შემოიტყუეს, რათა ანტირუსული ტერორისტული ძალების განადგურება მომხდარიყო.**

— ეს ისევ ზაკაევის ვერსიას უკავშირდება. ვფიქრობ, საჭიროა ყველა ვერსიის შეჯერება და რაღაც საერთო მომენტის გამოვლენა.

**— ნაციონალები ამ თემის წინ წამოწევას და მასზე საუბარს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად მიიჩნევენ. იქნებ მართლა არ ღირდეს ასე ხმამაღლა ამ თემებზე განცხადებების კეთება, რომ სახელმწიფოს ინტერესები არ დავაზიანოთ?**

— საზოგადოებას სჭირდება სიმართლის გაგება, ეს სიმართლე შეიძლება იყოს მწარე, არასასურველი, მაგრამ — აუცილებელი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რეალობა, რომ მსგავსი შეცდომა მეორედაც არ იქნეს დაშვებული. და თუ არ იყო შეცდომა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რასთან გვქონდა საქმე. კითხვები აქვთ დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც. ჩატარდა გვამების ხელმეორე ექსჰუმაცია, როგორც სამხედრო პირების, ასევე ინციდენტის დროს დაღუპული ჩვენი მოქალაქეების. პანკისელმა ქისტებმა მართლაც გმირული საქციელი ჩაიდინეს, როცა ტრადიციების, ისლამის კანონების მიუხედავად, ექსჰუმაციაზე დათანხმდნენ. იცით, რომ თავიდან არ აძლევდნენ დაღუპულთა დასფლავების უფლებას ტრადიციის შესაბამისად. ამას ნამდვილად შეეძლო გამოეწვია პანკისის ხეობაში საზოგადოებრივი მღელვარება, რადგან ტრადიციების შებღალვაზე იყო საუბარი. ასეთი მიდგომა საზოგადოებრივ უსაფრთხოებასაც უქმნის საფრთხეს.

**— რატომ იქცა პანკისი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ცხელ, ფეთქებადსაშიშ რეგიონად?**

— შევარდნაძის პერიოდში პანკისი გადაიქცა თეთრ ლაქად, სადაც ჩეჩენ ტერორისტებთან ერთად დაიბუდეს სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლებმა, რაც დადასტურდა კიდეც ანტიტერორისტული ღონისძიების დროს. წინა რეჟიმი ცდილობდა პანკისის თემის მიჩქმალვას და რა მივიღეთ? რუსების მხრიდან ბრალდებების მთელი კასკადი და ჩვენი ტერიტორიის დაბომბვა. პირველად რუსეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა არა 2008 წელს, არამედ 2002 წელს, რა დროსაც დაიღუპა ერთი ქართველი მოქალაქე, მეცხვარე, რომელიც მთაში იყო, 7 მოქალაქე კი დაიჭრა. მაშინ მოხდა სახელმწიფოებს შორის პირდაპირი →18

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

დაჯახება. მას შემდეგ, რაც პანკისში ჩატარდა სამხედრო ოპერაცია ამერიკელების დახმარებით და გათავისუფლდა პანკისის ხეობა იმ არაკანონიერი ფორმირებებისგან, საქართველოს მიმართ ბრალდებების მიზეზი გაქრა.

ახლა არ ვიცით, რა შეიძლება კიდევ წამოვიდეს კადიროვის სახით. ამას ხომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუსვათ წერტილი? საქმის არგამოძიება პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებებს იძლევა და ეს მოწინააღმდეგემ რატომ უნდა გამოიყენოს? რატომ უნდა მივცეთ მხარეს ამის საშუალება?

**— ანუ რუსეთს?**

— მაგ კუთხით მერაბიშვილის მიმართ ბევრი კითხვაა და ლაფანყურის ოპერაცია კიდევ ერთი დამატებითი ფაქტია მისი პრორუსული პოლიტიკური გავლენის აგენტობის. ვერ ვიტყვი, რომ მერაბიშვილი იყო რუსეთის ჯაშუში, მაგრამ არსებობს პოლიტიკური გავლენის აგენტი და მის ბიოგრაფიაში ჩნდება მსგავსი პასაჟები. ამირან მესხელმა საკუთარი პირით დამიდასტურა, რომ მერაბიშვილს ჰქონდა პირდაპირი კავშირი რუსეთის სპეცსამსახურებთან ბელორუსიის ძალოვანი სამსახურების მეშვეობით. იმედი მაქვს, მესხელს ეყოფა კაცობა, რომ ეს გაიმეოროს. მე ყურადღებას მხოლოდ პოლიტიკურ პასაჟებზე გავამახვილებ:

1999 წელს საქართველო იყო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი და შესაბამისად — რუსეთის ორბიტის გავლენის ქვეშ. 1999 წელს დაიწყო დასავლეთისკენ სვლა და შეუერთდა პაპ-ის პროექტს, რომელიც არის ნატო-სთან დაახლოების პირველი ეტაპი. მაშინ ავიღეთ, თუ არ ვცდები, „25 თავსებადობის მიზანი", ანუ უნდა დაგვეახლოვებინა საქართველოს შეიარაღებული ძალების სტანდარტები ნატო-ს სტანდარტებთან. 1999 წელსვე საქართველომ, ნატო-ს ეგიდით, კოსოვოში გაგზავნა ოცეული და მოითხოვა ეუთო-ს სამიტზე, რომ რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან გასულიყო. მერე კი სტამბულის სამიტი გახსოვთ ალბათ. ასევე, საქართველო მზად იყო, შეერთებოდა გაწევრების მოქმედების სამხედრო გეგმას, ანუ საქართველომ ორბიტა შეცვალა. პარალელურად გამოვიდა დსთ-ის ალიანსის წევრობიდან. სწორედ ამ დროს ვანო მერაბიშვილმა, რომელიც იყო პარლამენტში აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე, მმართველი გუნდის შიგნიდან დაარტყა შევარდნაძეს და ეს იყო პირველი დემარში შევარდნაძის წინააღმდეგ. ეს გააკეთა მერაბიშვილმა მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილიც კი იყო პირში წყალჩაგუბებული. ეს ერთი მომენტი.

მეორე — ვანო მერაბიშვილის ვოიაჟი ერევანში, როცა ის შეხვდა ბურგალიევს. ბურგალიევი იყო ე.წ. ძალოვანი უწყების ჩეკისტების კლანის წარმომადგენელი და პუტინის პირადი მრჩეველი. ასევე ეჭვებს იწვევს ის, რომ აპრილში მერაბიშვილი ლევან მაისურაძის ყალბი პასპორტით გადადიოდა სომხეთში. რატომ არა — აზერბაიჯანში, თურქეთში? აი, ამას რატომ არავინ მიაქცია ყურადღება? მიდიოდა სომხეთში და თან ყალბი პასპორტით. აპრილიდან საქართველოში დაიძაბა სიტუაცია. ამას დაემატა ჯიჰადის ვიდეორგოლებიც. ამ ვიდეოებში აშკარად ჩანს ქართული კვალი. სამარ ჩოკუტაევი არის ჩვეულებრივი გამავრცელებელი, მთავარია, ვინ დაამზადა კლიპი.

**— სერიოზულ ბრალდებას აყენებთ. რა პერიოდი სჭირდება საბჭოს ლაფანყურის შესახებ სიმართლის დასადგენად?**

— ალბათ დიდხანს არ გასტანს. მომდევნო სხდომებზე უფრო გამოიკვეთება.

✓ **მანანა გეგია**

# კუდ-ის აგენტებად გამოცხადებული დეპუტატები პროკურატურაში ჩივიან

„ანი მიროტაძის გადმობირების თაობაზე გაცნობებთ, რომ მოვახდინეთ მოქ. ანი მიროტაძის გადმობირება. ანი მიროტაძე თანახმაა, ითანამშრომლოს საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან და მოგვაწოდოს ცნობები ოპერატიულად საინტერესო ობიექტთა შესახებ და შეასრულოს ჩვენს მიერ წარდგენილი დავალებები. ა. მიროტაძეს განვუმარტეთ მისი უფლება-მოვალეობები, ჩავუტარეთ ინსტრუქტაჟი, რის შემდეგაც მან თანხმობა თანამშრომლობის შესახებ დაგვიდასტურა ხელმოწერით", — ასეთი შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც „ქართული ოცნების" სიით საქართველოს პარლამენტში მოხვედრილ კიდევ რამდენიმე პიროვნებას ეხება, გაზეთმა „ქრონიკა+"-მა გამოაქვეყნა და რამდენიმე ათეული დოკუმენტის გამოქვეყნებას კიდევ გეგმავს.

ანი მიროტაძე, ელისო ჩაფიძე, დავით საგანელიძე, ირინა იმერლიშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, არმაზ ახვლედიანი — ეს არასრული ჩამონათვალია იმ პოლიტიკოსებისა, ვინც ზემოაღნიშნულმა გამოცემამ ნაციონალების ხელისუფლების დროინდელი სამსახურის, კუდ-ის აგენტებად აქცია. გამოცემის რედაქტორი, ელისო კილაძე ამბობს, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტების სინამდვილეში ეჭვი არ ეპარება.



**ანი მიროტაძე: „ამ ე.წ. დოკუმენტს არ აწერია არც თარიღი, არც — ნომერი, არც — ის, ვინ გადამიბირა. ისეთი სიყალბეა, რომ ყველა მიხვდება. არ ვიცი, რა ისეთი ვალდებულებები ჰქონდა დამკვეთის მიმართ, რომ არაფერს მიაქციეს ყურადღება და მაინც დაბეჭდეს".**

დავით საგანელიძემ და ანი მიროტაძემ პროკურატურას მიმართეს. ანი მიროტაძე, რომელიც პარლამენტში მოხვედრამდე საагენტო „პირველის" ხელმძღვანელი გახლდათ და საერთოდ მისი წარსული მთლიანად პრესასთანაა დაკავშირებული, ამბობს, რომ მსგავსი დოკუმენტები ხელში არასოდეს ჩავარდნია. მისი აზრით, გაზეთის მესვეურები გარკვეული პირების დაკვეთას ასრულებენ და იმედი აქვს, რომ გამოძიება სწორედ ამ დამკვეთებამდე მიიყვანს.

ანი მიროტაძე: დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემ შესახებ ასეთი რამ დაწერეს. გავოგნდი. ცოტა ხანში გონზე რომ მოვედი, პირველი, რაც ვიფიქრე, ის იყო, რომ ასეთი ამბები ვიღაცამ უნდა დაამთავროს-მეთქი და მივხვდი, რომ ეს „ვიღაც" მე უნდა ვყოფილიყავი. იმავე დღეს შევიტანე პროკურატურაში საჩივარი, რომ მოხდეს ამ ფაქტის გამოძიება და შემოწმდეს ამ დოკუმენტის ნამდვილობა. ეს სრული ფაბრიკაციაა. ბევრი ისეთი დეტალია, რაზეც გამოძიება ილაპარაკებს და არა — მე.

ჟურნალისტი ვარ და ბევრი მიმუშავია ამ სფეროში. სხვაზე უკეთესად ვიცი ექსკლუზივის, რეიტინგის და სხვა ყველაფრის ფასი. ხშირ შემთხვევაში კარგად მესმის ხოლმე ამა თუ იმ გამოცემის და მითქვამს, დაანებეთ თავი, ის ჟურნალისტია და თავის საქმეს აკეთებს-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად გაუგებარ რაღაცასთან გვაქვს საქმე. ეს არ მეხება მხოლოდ მე და არ არის მხოლოდ ჩემი პრობლემა. ეს არის ჩემი, ჩემი პოლიტიკური ორგანიზაციის და ზოგადად ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობა და არ მაქვს უფლება, „გავატარო". ვფიქრობ, ამ ძალიან ბინძურ მასალას ჩემ წინააღმდეგ დამკვეთი ჰყავს და ძალიან მინდა, ვიპოვო, ვინ არის, ვინ აპირებს ამ ბინძური, საშინელი მეთოდებით ბრძოლას თავისი ოპონენტების წინააღმდეგ.

ვინც მიცნობს, ყველა მიხვდება, რომ ეს სრული აბსურდია. როგორ შეიძლება მე ვიყო სანდრო გირგვლიანის მკვლელების აგენტი?! წლებია მათ წინააღმდეგ ვიბრძვი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება მე იმ ხალხის აგენტი ვიყო, ვისაც მანამდე ვებრძოდი, ვიდრე ისინი ხელისუფლებაში მოვიდოდნენ და ამიტომაც გავხდი მათთვის მიუღებელი?! ამ ე.წ. დოკუმენტს არ აწერია არც თარიღი, არც — ნომერი, არც — ის, ვინ გადამიბირა... ისეთი სიყალბეა, რომ ყველა მიხვდება. დარწმუნებული ვარ, ვინც გამოაქვეყნა, თვითონაც იცის ამის შესახებ. არ ვიცი, რა ისეთი ვალდებულებები ჰქონდა დამკვეთის მიმართ, რომ არაფერს მიაქციეს ყურადღება და მაინც დაბეჭდეს.

**— გაზეთის რედაქტორთან ელისო კილაძესთან სცადეთ გარკვევა, როგორ, საიდან, რატომ დაიბეჭდა ეს ინფორმაცია?**

— არა, რა უნდა ვუთხრა?! სიმართლეს მაინც არ მეტყვის. პირიქით, მას უნდა ესაუბრა ჩემთან, სანამ ასეთ რამეს გამოაქვეყნებდა. აბსოლუტურად ყველა ზარს ვპასუხობ. ალბათ იცოდნენ, რომ აბსურდის გამო აზრი არ ჰქონდა ჩემთან დაკავშირებას. ჟურნალისტიკაში 15 წლიანი მუშაობის შემდეგ წავედი პოლიტიკაში და ამ სფეროში თითქმის ყველას ვიცნობ და მათ შორის — კილაძესაც. როცა ჟურნალისტებზე რამეს ამბობდნენ, მათ მუდამ ვიცავდი. მოვალეობაც არის და მოვალეობაც. მოვალეობა საზოგადოების წინაშე გაქვს, დამკვეთების წინაშე კი — არა.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, გაზეთ „ახალ თაობაში" რომ დავიწყე მუშაობა. ამ გაზეთში დიდხანს ვმუშაობდი და იმ ჟურნალისტებს შორისაც ვარ, ვინც თავიდან ჟურნალ „სარკის" კეთება დაიწყო. მერე იყო „თბილისის სიახლეები", მერე ტელევიზიაში ვიყავი, მერე — რადიოში. სააგენტო „პირველი" ნაციონალების დროს სწორედ იმიტომ გავაკეთე, რომ შექმნილიყო ბევრი ფანჯარა, საიდანაც თავისუფალი სიტყვა გაჟღერდებოდა... ამიტომ დავრჩი შეურაცხყოფილი. ჩემი პატივი და ღირსება შელახეს. მე ძალიან ვუფრთხილდებოდი ჩემს პროფესიას და ბიოგრაფიას.

ყველას თავისი არჩევანი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, როცა ყალბ ინფორმაციას აწვდი, საზოგადოებას აზარალებ. საზოგადოების წინაშეც ვიყავი ვალდებული, რომ საჩივარი პროკურატურაში შემეტანა. როგორც ვიცი, დავით საგანელიძემაც შეიტანა საჩივარი. არ შეიძლება ყველაფრის ფასად რაღაცეების მიღწევა. ხალხი თავად იტყვის უარს ამ ტიპის პროვოკაციებსა და სიბინძურეზე და სად მიდიან მერე ეს ჟურნალისტები?

**— დამკვეთი ახსენეთ. ვინ შეიძლება იყოს ის?**

— ვერ გეტყვით. ჟურნალისტი მეც ვიყავი და ასეთი სახის დოკუმენტები არასოდეს მომიპოვებია. გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი, არსებობდა თუ არა ასეთი დოკუმენტები და როგორ



Cyan Magenta Yellow Black

შეიძლებოდა ჟურნალისტს ხელში ჩავარდნოდა. რა თქმა უნდა, ისინი არ არსებობდა, რადგან იქ ჩემი ხელმოწერაც გაყალბებულია.

— **რას ითხოვთ თქვენს საჩივარში?**

— ვითხოვ საქმის აღძვრას და გამოძიებას. არ ვფიქრობ, რომ ჟურნალისტების გაყალბებულია ეს დოკუმენტები. ვფიქრობ, მათ ხელში მოხვდა გაყალბებული დოკუმენტები. უბრალოდ მათ არ გამოიჩინეს მეტი პასუხისმგებლობა ჩემ წინაშე, საზოგადოების და თავიანთი პროფესიის წინაშე. მგონია, რომ საქმე დამკვეთთან გვაქვს და აუცილებლად მივალ ამ დამკვეთამდე.

იურისტებთან გავდივარ კონსულტაციებს. მაინტერესებს, ხომ არ უწყობს ხელს ამ ტიპის პრობლემებს ის, რომ კანონმდებლობა არ არის მოწესრიგებული. მჭირდება სრული სურათი, თუ როგორი კანონმდებლობა გვაქვს და როგორი დამცავი მექანიზმები არსებობს. კანონით მხოლოდ მათი დაცვა კი არ უნდა მოხდეს, არამედ უნდა დადგეს იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხიც, ვინც გადაწყვეტს, რომ მსგავსი რამ გააკეთოს. არ წერია, ვინ გადამიბირა. მერე კი მითითებულია, რომ ეს დათა ახალაიამ ჩაიბარა. გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ დათა ახალაია გადამდგარი იყო თანამდებობიდან. ვინ იყო იმ დროს დათა ახალაია, არსადაა მითითებული და, წესით, მას არ უნდა ჩაებარებინა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თუ მე გადამიბირეს, ჩემი ხელით უნდა დამეწერა. როგორც წესი, ასე ხდება. იქ კი მხოლოდ ჩემი ხელმოწერაა და ისიც გაყალბებული.

■

„ქრონიკა+“-ის რედაქტორი, ელისო კილაძე ამბობს, რომ მოხარული იქნება, თუკი ამ მასალებს პროკურატურა შეისწავლის. თავად მზადაა, დაკითხვაზეც გამოცხადდეს და გამოძიებას მის ხელთ არსებული მასალებიც გადასცეს.

**ელისო კილაძე:** ყველა, ვინც სასამართლოში ჩივის, საზოგადოებას ატყუებს! სასამართლო ვერ ჩაატარებს გამოძიებას და ვერ დაადასტურებს დოკუმენტების ნამდვილობას ან სიყალბეს. ეს არის ფორმალური ამბავი, რომ რეაგირება მოახდინონ. რაც შეეხება მასალებს, გიდასტურებთ, რომ ეს მასალები ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა გამომიგზავნა მესამე პირის მეშვეობით. ეს გახლავთ იმ ადამიანის მიერ გაკეთებული, ვინც პირადად მონაწილეობდა მათ გადაბირებაში. რაც შეეხება კონკრეტულად ანი მიროტაძეს, სხვებისგან განსხვავებით, ის არ არის გადაბირებული „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის დროს. ეს არის გაცილებით ადრე დაწერილი თანამშრომლობის დოკუმენტი, როცა ანი მიროტაძე ჟურნალისტიკაში იყო. როგორ მოხდა მისი გადაბირება, მე ვიცი, მაგრამ ამ დეტალებზე საჯაროდ არ ვილაპარაკებ.

ჩემი პოზიცია ძალიან მარტივია. ხელისუფლებამ იცოდა, რომ „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა პირებზე არსებობდა მაკომპრომეტირებული მასალები და მათ შორის — პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. საქმე უნდა გამოეძიებინა და ყველა პირი, ვინც დაკავშირებული იყო ადამიანების შანტაჟთან, ვინც იღებდა ამ კადრებს, ვინც მონაწილეობდა ამ მასალების შექმნაში, უნდა ყოფილიყო გამოვლენილი და დასჯილი. დღესაც არ არის გვიან! მათი უმეტესობა გახლავთ კუდ-ისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომელი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრი მათგანი, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა, დღესაც თანამდებობაზეა და ახლაც ძალოვანი უწყების წარმომადგენელია.

გამოძიება ნამდვილად საჭიროა და, პირველ რიგში, ეს ხელისუფლების ინტერესში უნდა შედიოდეს, რომ დაადგინოს ამ პირთა ვინაობა. თუ გამოძიება დაიწყება, ყველა სასამართლო დავაში მივიღებ მონაწილეობას. შემიძლია ნებისმიერ დროს მივიდე, ჩვენება მივცე, ვითანამშრომლო და ჩემს ხელთ არსებული მასალები, მიუხედავად იმისა, რომ ამის ვალდებულება არ მაქვს, მივიტანო და გამოძიებას გადავცე.



**ელისო კილაძე: „კონკრეტული ინფორმაციები ვიცი, ოპოზიციიდან ვინ როგორ ფინანსდებოდა და რამდენით, ჩვენ სახეზე გვაქვს ბოლო 5 წლის, განსაკუთრებით 2007 წლის შემდეგ ქართული ოპოზიციის მოქმედება გაზაფხულიდან შემოდგომამდე".**

— **თქვენს ყოფილ კოლეგებზეა საუბარი, რომლებსაც თურმე არ შეატყობინეთ და კომენტარიც არ სთხოვეთ, რომ მათზე მსგავსი სახის ინფორმაცია გქონდათ.**

— ჩვენ აბსოლუტურად ყველა იმ ადამიანთან დავრეკეთ, ვისზეც მსგავსი მასალები გამოვაქვეყნეთ. დიდი ბოდიში, თუ მათ ტელეფონები გამორთული აქვთ. მაგალითად, საგანელიძეს ორი დღის განმავლობაში ვურეკავდით სამ სხვადასხვა ტელეფონზე და არც ერთი ნომერი ჩართული არ ჰქონდა. მხოლოდ ირინა იმერლიშვილმა ისურვა კომენტარის გაკეთება და მისი კომენტარი გამოვაქვეყნეთ. ინტერვიუზეც თანხმობა განგვიცხადა.

— **ამ დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვი ეპარებათ და ამბობენ, რომ ეს ნაბეჭდი სახით კი არა, მათივე ხელით უნდა ყოფილიყო დაწერილი.**

— რა იციან მათ ასეთი დეტალები?! ძალიან მაოცებენ. მე გეტყვით, რა გავაკეთე, როცა ეს დოკუმენტები მივიღე. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი რისკი იყო, მაგრამ მაინც მოვძებნე ექსპერტ-გრაფიკოსი. დავრწმუნდი, რომ მისგან ინფორმაცია არ გაჟონავდა და პირველი მასალები დაბეჭდვამდე და სხვა მასალები დაბეჭდვის შემდეგ ვანახე. მისი თქმით, ტექნიკური ზემოქმედება, ფოტოშოპი, დაქსეროქსების და ა.შ. კვალი ამ დოკუმენტებს არ ეტყობა. ამ დოკუმენტების ნამდვილობაში დარწმუნებული ვარ, რადგან წყარო გახლავთ ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა და მაქვს აგრეთვე კონსულტაცია კვალიფიციურ ექსპერტთან, რომელიც მიდასტურებს, რომ ეს დოკუმენტები ნამდვილად ასლებია და არ არის რაიმე ტიპის ფაბრიკაცია.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ეს არის სულისშემძვრელი ინფორმაციები, რამაც შესაძლოა თითოეულ ამ ადამიანზე ძალიან მძიმე შედეგი იქონიოს. მათ უკან დგანან ოჯახის წევრები, ახლობლები და ყველა დაინტერესებულია, რომ ამ ყველაფერის ფარდა ახადოს".**

— **მაინცდამაინც თქვენ რატომ მოგაწოდეს ეს დოკუმენტები?**

— ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მსგავსი მასალები გამოქვეყნდებოდა პოლიტიკოსებზე, ეს იქნებოდა ძალიან დიდი სკანდალის საფუძველი. საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურთან თანამშრომლობა არ მიმაჩნია დიდ დანაშაულად და მტკივნეულ ფაქტორად, მაგრამ ჩემთვის, პირადად, დათა ახალაიას უწყება ჩემი ქვეყნის სპეცსამსახური არ არის, რადგან ყველამ ვიცით, წლების განმავლობაში რითი იყო ეს უწყება დაკავებული. რატომ გააკეთეს ჩემზე არჩევანი, ამის მოტივაცია არ ვიცი, მაგრამ ის, რომ მასალები არ უნდა შემენახა და უნდა გამესაჯაროებინა, ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა. ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი.

ის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია ნამდვილად თანამშრომლობდა კუდ-თან, გარდა იმისა, რომ კონკრეტული ინფორმაციები ვიცი, ვინ როგორ ფინანსდებოდა და რამდენით, ჩვენ სახეზე გვაქვს ბოლო 5 წლის, განსაკუთრებით 2007 წლის შემდეგ ქართული ოპოზიციის მოქმედება გაზაფხულიდან შემოდგომამდე. მათი ე.წ. აქციები უკეთეს შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის გადაყენებით სრულდებოდა. ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რომ საქართველოს პარლამენტს თუ მთავრობას უნდა წარმოადგენდნენ, უნდა გათავისუფლდნენ ამ ტვირთისგან და თვითონ უნდა აღიარონ, რომ თანამშრომლობდნენ სპეცსამსახურებთან.

— **რამდენი ადამიანის აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაქვთ?**

— ბევრის, დაახლოებით 30-ის. ესენი არამხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არიან. სხვებზეც გამოვაქვეყნებთ. შეიძლება 30-ზე მეტია. ეს დოკუმენტები ჩემამდე ჯერჯერობით არ მოსულა და შეიძლება არც მოვიდეს. სამწუხაროდ, მიჭირს რაიმე პროგნოზის გაკეთება.

— **აქედან რამდენი გიჩივით?**

— ჯერჯერობით არც ერთი მოწვევა თუ უწყება არ მიმიღია. მე, პირადად, კი გაზეთის სახელით საჩივარი შემაქვს დავით საგანელიძის წინააღმდეგ, რადგან მან შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია ჩვენი გამოცემა და ჩვენი კოლექტივი, რომ ეს არის თაღლითთა ბანდა. ვითხოვ სიმბოლურ ანაზღაურებას — 41 ლარს და ბოდიშის მოხდას.

— **სასამართლო რატომ ვერ დაადასტურებს ამ დოკუმენტების ნამდვილობას?**

— სასამართლო ვერ დაადასტურებს, რადგან მათ მხოლოდ ჩემი და მეორე მხარის არგუმენტები უნდა მოისმინონ, მაგრამ გამოძიებას უფრო ბევრი ბერკეტი აქვს, რომ კითხვებზე პასუხი გასცეს. მათ შორის ექსპერტიზა, დაკითხვა იმ პირებისა, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდნენ და ა.შ. ველოდები პროკურატურიდან შეტყობინებას. რომ დამიბარებენ, მზად ვარ.

— **იმისთვის თუ ხართ მზად, რომ თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტები შეიძლება ყალბი აღმოჩნდეს და ფაქტობრივად ცილისმწამებლის როლში აღმოჩნდეთ?**

— ცილისწამების მუხლი კოდექსში აღარ არის. თუ საქმე გვაქვს დოკუმენტების →71

**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია. ყველა საჭირო გამოკვლევით.

**ექიმი — ქალბატონი მზია**

☎ 514-246-446, 218-48-99



Cyan Magenta Yellow Black

# ანრი ჯოხაძემ ოპერის მომღერალ ძმასთან დუეტი ჩაწერა

## „პირველები ვართ, ვინც თბილისის ანძაზე კლიპი გადაიღო“

მომღერალი ანრი ჯოხაძე კიდევ ერთ სიურპრიზს სთავაზობს მაყურებელს — თავის უმცროს ძმასთან დუეტში სიმღერას და კლიპს. ცნობისათვის, მისი ძმა, ომარი, ოპერის მომღერალია და დედმამიშვილები ერთად საჯაროდ 20 წლის შემდეგ პირველად ამღერდნენ.

ომარი იტალიაში, ქალაქ ოზიმოში ცხოვრობს. საქართველოდან 6 წლის წინ წავიდა. იქ ქართველ ქალზე, ასევე ოპერის მომღერალ ნინო გოგიჩაიშვილზე იქორწინა, სახლი იყიდა და კარიერაში მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ორი შვილი ჰყავს ნიკოლა და ანა-მარია. სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, მაგრამ არა — ახლო მომავალში. ანრიმ და ომარმა „სარკესთან“ საუბარი ბავშვობის გახსენებით დაიწყეს.



■ ძმები — ომარი და ანრი

**ომარი: „მოხულიგნო მოსწავლე ვიყავი და არც სწავლით გამოვირჩეოდი, ანრი კი კარგად სწავლობდა, ყოველთვის ჩემზე ჭკვიანი იყო".**

**ომარი**: ანრი ჩემზე ერთი წლით უფროსია. ფანტასტიკური ბავშვობა გვქონდა, სულ ერთად ვიყავით, ვთამაშობდით, ვჩხუბობდით და ერთად ვამტვრევდით ყველაფერს.

**ანრი**: ომარი ძალიან ცელქი ბავშვი იყო, მე — ჭკვიანი, ისეთი, აზრს რომ შეეკითხებოდი. ეს კი ყველაფერს აფუჭებდა და ქუჩაშიც ჩხუბისთავი იყო, მე — ნაკლებად.

**ომარი**: მოხულიგნო მოსწავლე ვიყავი და არც სწავლით გამოვირჩეოდი, ანრი კი კარგად სწავლობდა, ყოველთვის ჩემზე ჭკვიანი იყო.

**— სიმღერა რა ასაკიდან დაიწყეთ?**

**ანრი**: მე 4 წლისამ დავიწყე სიმღერა, ომარმა კი — 3 წლის ასაკში. დედამ (კომპოზიტორი რუსუდან ჩხაიძე. ავტ.) აღმოაჩინა ჩვენში სიმღერის ნიჭი.

**ომარი**: ანრი უფრო აქტიურობდა სიმღერაშიც, დაკვრაშიც და თეატრალურ დადგმებშიც. მას ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდი.

**— მაგრამ ანრი საესტრადო განხრით წავიდა, თქვენ კი კლასიკური მუსიკა არჩიეთ. რამ გაყო თქვენი გზები?**

**ანრი**: ჩვენი ცხოვრების წესმა. ეს იყო აბსოლუტურად გააზრებული გადაწყვეტილება. მე ისეთ რეჟიმს მოვერგე, კლასიკურ მუსიკას ვერ გავყვებოდი. კლასიკა რომ ამერჩია, 10 წელიწადში ხმა აღარ შემრჩებოდა. ომარი კი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ოპერის მომღერალი. ჩემი ძმა თავს ზედმეტად უვლის, მოწესრიგებულად სძინავს, სწორად იკვებება, სიგარეტს არ ეწევა, ზედმეტად ნალექიან ყავას არ სვამს, რომ ხმაზე არ იმოქმედოს და ა.შ. ასეთი კონტროლი და რეჟიმი ძალიან მნიშვნელოვანია ოპერის მომღერლისთვის. მე კი ეს არასდროს შემეძლო. მას თავიდანვე ემჩნეოდა, რომ კლასიკური ვოკალი ჰქონდა.

**ომარი**: ამიტომაც ჩავაბარე კონსერვატორიაში. უდიდესი პედაგოგის, ნოდარ ანდღულაძის კლასში ვსწავლობდი. მაგისტრატურაც დავამთავრე. მერე იტალიაში წავედი და ოზიმოს აკადემიაში ჩავაბარე. იქ 2 წელიწადი ვსწავლობდი, შემდეგ კეზაროს აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. მასტერკლასებს გავდიოდი.

**— ომარ, როგორც ვიცი, ოჯახიც იტალიაში შექმენით.**

**ომარი**: სწავლის დამთავრების შემდეგ დავქორწინდი. ორი შვილი გვეყოლა. 6 წელია, რაც ოზიმოში ვცხოვრობთ.

**ანრი**: ომარი იტალიაში დაფუძნდა, ბინა იყიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ემიგრანტისთვის. სხვათა შორის, ომარი ყოველთვის ოჯახის ბურჯი იყო. იტალიაშიც, დამოუკიდებელი ცხოვრების რეჟიმშიც, პირველი ის გამოავლინა, რომ შექმნა ოჯახი, ცოლად მოიყვანა არაჩვეულებრივი გოგონა და ბინაც იყიდა. იტალიაში ბინის ყიდვა მარტივი არ არის, ბანკიდან სესხი აიღო და ყველაფერს თავი მოაბა. მიზანდასახული, მეოჯახე ადამიანია.

**— ომარ, თქვენგან განსხვავებით, ანრი დაქორწინებას აჭიანურებს. არაფერს ურჩევთ?**

**ომარი**: ანრის ჯერ არ უნახავს ისეთი ადამიანი, ვისთან ერთადაც ოჯახს შექმნიდა და გამოავლენდა იმ თვისებებს, რომლებიც მასშია ჩამალული. დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთესი მეოჯახე იქნება, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები — არა.

**— მოგვიყევით იმ სიახლეზე, რასაც მაყურებელს სთავაზობთ — დუეტზე, რომელიც ძმებმა ჩაწერეთ.**

**ომარი**: 20 წელი იქნება, რაც ჩვენ ერთად, საჯაროდ არ გვიმღერია. სახლში კი ხშირად ვმღერით.

**ანრი**: მე და ომარმა ჩავწერეთ ეთერ ჭელიძის გენიალური სიმღერა „დავალ საყვარელ ქუჩებში“. ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერაა თბილისზე... მაგრამ ომარმა სამუშაო პროცესს ვერ გაუძლო.

**ომარი**: სტუდიაში მუშაობის დროს თავზე დაგვათენდა, მე ჩამეძინა და დილას თვალი რომ გავახილე, ანრი ახალგაღვიძებულივით, თამამად იჯდა და ისევ მთელი შემართებით მუშაობდა. მე აღარაფრის თავი მქონდა, ანრი კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ღამე არ ჰქონდა სტუდიაში გათენებული. ყოველთვის მომწონდა ის, რასაც ანრი აკეთებდა. ზუსტად აირჩია თავისი გზა და შეინარჩუნა ის სიმაღლე, რაც ჰქონდა. შრომისმოყვარეა, შეუძლია დილიდან საღამომდე იჯდეს სტუდიაში, კლიპი ამონტაჟოს, სიმღერას არანჟირება გაუკეთოს.

**ანრი: „კლასიკა რომ ამერჩია, 10 წელიწადში ხმა აღარ შემრჩებოდა. ომარი კი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ოპერის მომღერალი. ჩემი ძმა თავს ზედმეტად უვლის, მოწესრიგებულად სძინავს, სწორად იკვებება, სიგარეტს არ ეწევა, ზედმეტად ნალექიან ყავას არ სვამს, რომ ხმაზე არ იმოქმედოს...".**

**ანრი**: ომარი ამ რეჟიმით მუშაობას არ არის შეჩვეული. კლიპი თბილისის სხვადასხვა ადგილას გადავიღეთ. სიმღერის არანჟირება და კლიპის რეჟისურა მე მეკუთვნის. სიმღერა სტუდია „უნივერსალში“ ჩავწერეთ, კლიპი კი „დოლიძე სტუდიომ“ გადაიღო. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ბიზნესმენ რომან ფიფიას, რომელმაც ეს ყველაფერი დააფინანსა. ჩემს ოჯახს ძალიან უნდოდა, რომ ეს პროექტი შემდგარიყო და ბატონი რომანი ამ ყველაფრის განხორციელებაში დამეხმარა.

**— ახალი ნამუშევრით კმაყოფილი ხართ? ზუსტად ის გამოვიდა, რაც გინდოდათ?**

**ანრი**: კლიპი ძალიან ლამაზი სანახავია. უპრეცედენტო იქნება იმ მხრივ, რომ გადაღებები თბილისის ანძაზე მიმდინარეობდა. არ მახსოვს, აქამდე ანძაზე გადაეღოს ვინმეს კლიპი.

**ომარი**: ეთერ ჭელიძის ქალიშვილმა ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, დედას ზუსტად ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა, უნდოდა, ისე ემღერათ, როგორც თქვენ შეასრულეთო.

**ანრი**: სხვათა შორის, ეთერ ჭელიძემ ეს სიმღერა თბილისობაზე ოპერის მომღერალ ალეკო ხომერიკთან ერთად იმღერა. მერე რატომღაც „გააპაპსავეს“ და ეს სიმღერა ქუჩაში ნათრევი გახდა, თავდაპირველი სახე დაკარგა. ლიზა ბაგრატიონმა ნიკა მემანიშვილის ორკესტრთან ერთად ერთხელ იმღერა მაღალპროფესიონალურად. ასეთ დონეზე სხვას არავის შეუსრულებია.

**— ომარ, მუშაობისას ძმები ერთმანეთს კარგად ეწყობით თუ ჩხუბობთ?**

**ომარი**: მუშაობის დროს ჩვენი ძმობა მთავრდება.

**ანრი**: ყველაზე პრეტენზიული კლიპის გადაღების დროს ვიყავი. ზურგიდან ვგრძნობ, კამერა რომ ირთვება, ომარი კი ამას მიჩვეული არ არის.

**— ომარ, მას შემდეგ, რაც იტალიაში გაემგზავრეთ, საქართველოში პირველად ჩამოხვედით?**

**ომარი**: არა, უკვე მეორედ ჩამოვედი. პირველად 9 დღით მოვახერხე ჩამოსვლა, ახლა კი ჩემს ცოლ-შვილთან ერთად 2 თვით წამოვედი.

**— როგორია ქართველი ემიგრანტის ცხოვრება იტალიაში?**

**ომარი**: როცა იქ მივდიოდი, არ მეგონა, ამდენი ხანი თუ მომიწევდა დარჩენა. თავიდან ძალიან გამიჭირდა, ჩემი სახლი მენატრებოდა, ნოსტალგიამ შემიპყრო. რომ არა ინტერნეტი, ოჯახის გარეშე ცხოვრება ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ „სკაიპით“ თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტები დედას, დას, ძმას. ესენიც შეძლებისდაგვარად ჩამოდიან ჩვენ სანახავად იტალიაში. ამიტომ ახლა განშორებას იმდენად ველარ ვგრძნობ.

**ანრი**: იტალიაში რომ ჩავდივარ, ვიცი, როგორ უნდა ავიღო მატარებლის ბილეთი და როგორ ჩავიდე ოზიმოში. არაჩვეულებრივი რძალი მყავს, გემრიელ საჭმელებს ამზადებს და მათთან ყოველი ჩასვლა ძვირად მიჯდება — რამდენიმე კილოგრამით მეტი ვბრუნდები საქართველოში. ნინო ისეთ ტირამისუს აკეთებს, რომ... ომარის ოჯახის ცხოვრების რეჟიმი ძალიან მშვიდი და რაციონალურად გაწერილია. 2 საათზე უნდა ისადილონ და რეჟიმი არ უნდა დაარღვიონ.

**ომარი**: არა, პირველის ნახევარზე გვაქვს სადილი... (იცინიან).

**— ომარ, თქვენი ცოლი უფრო ახლოდან გაგვაცანით.**

**ომარი**: ოჯახში სრული იდილია გვაქვს. მე და ნინომ ბევრი წლის წინ გავიცანით ერთმანეთი. ის ბათუმის კონსერვატორიაში სწავლობდა, მე — თბილისის კონსერვატორიაში. ნინო სოპრანოა. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ იტალიაში მიდიოდა სწავლის გასაგრძელებლად. იქ ერთად წავედით. ცოტა ხანში კი ჩვენ შორის გრძნობა გაჩნდა და მალევე ვიქორწინეთ. ახლა გვყავს ორი შვილი — 3 წლის ნიკოლა და 9 თვის ანა-მარია. ნიკოლა ძალიან ცელქია, ვერცხლისწყალივითაა, ანა-მარია კი წყნარი ბავშვია. ანრის დაბადების დღე 6 ნოემბერსაა, ნიკოლასი კი —



Cyan Magenta Yellow Black

7 ნოემბერს, ერთი დღე ავაცილეთ. ანრი არაჩვეულებრივი ბიძაა.

— **ანრი თავის პირად ცხოვრებაზე გიყვებათ ხოლმე?**

**ომარი**: ნაკლებად, ალბათ იმიტომ, რომ მის პირად ცხოვრებაში რეალური არაფერი ხდება. რადგან სახლში ამ ყველაფერზე არ საუბრობს, ესე იგი არც არაფერია ახალი.

— **ანრის ბოჰემურ ცხოვრებას როგორ უყურებთ?**

**ომარი**: კაცია და ამაში რა არის გასაკვირი?

**ანრი**: არც ისე ბოჰემურად ვცხოვრობ. თქვენ, ჟურნალისტებს, გინდათ, რომ ძალიან ბოჰემური ვიყო, მაგრამ ჩემმა ოჯახმა ხომ იცის, მე როგორ ვცხოვრობ!

— **ომარ, თქვენ ალბათ ყველაზე კარგად იცით, როგორი ქალი შეეფერება თქვენს ძმას.**

**ომარი**: ლამაზი, ჭკვიანი და კარგი კულინარი. ანრი ისეთი გურმანია, რომ მთელი ბავშვობა ამის გამო ჩხუბი მოგვდიოდა, დავრბოდით შამფურებით და თეფშებით ხელში. დედა სადილს რომ გაამზადებდა, ანრი კერძის 80 პროცენტს თავის თეფშზე მოათავსებდა, 20 პროცენტი კი მე, დედას და ჩემს დას უნდა გაგვენაწილებინა. ამის გამო სულ ჩხუბი გვქონდა. თუ ცხოვრებაში რამეზე გვიჩხუბია, ეს იყო საჭმელი.

— **საერთო ენის გამონახვა ანრისთან უფრო ადვილი იყო თუ უფროს დასთან?**

**ომარი**: ანრისთან. ჩემსა და მაგდას შორის 5 წელზე მეტია ასაკობრივი სხვაობა. ის ყოველთვის გვეუფროსებოდა, მისთვის ზედმეტი ტვირთი ვიყავით... (იცინიან).

— **გისარგებლიათ ანრის სახელით?**

**ომარი**: არასდროს! კონსერვატორიაში სწავლის დროს მხოლოდ ჩემმა ჯგუფელებმა იცოდნენ, რომ ანრი ჩემი ძმა იყო.



■ ომარი ძმასთან და ცოლ-შვილთან ერთად

**ანრი: „როდესაც ჩემს ძმისშვილს, ნიკოლას, ფილტვზე გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა, იტალიაში არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ამ ძალიან პოპულარულ ანრი ჯოხაძესაც კი იმხელა ფინანსების მოძიება გამიჭირდებოდა, რაც იმ ოპერაციისთვის იყო საჭირო".**

— **ომარ, შეგეძლოთ, საქართველოში დარჩენილიყავით და ძმასავით პოპულარული გამხდარიყავით. ამაზე არ გიფიქრიათ?**

**ომარი**: ჩემი თვითმიზანი პოპულარობა არასდროს ყოფილა. ჩვენს ოჯახს ერთი ანრი ჯოხაძეც ეყოფა.

— **სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

**ომარი**: დაბრუნებაზე ვფიქრობ, იქ სამუდამოდ არ წავსულვარ, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ჯერ ისეთი სიტუაცია არ არის, რომ დავბრუნდე. საბოლოოდ კი საქართველოში ჩამოვალ და აქ გავატარებ დარჩენილ სიცოცხლეს.

**ანრი**: საქართველო ისე არ არის მოწყობილი, რომ იტალიაში ლეგალურად დაფუძნებული ქართველი სამშობლოში დაბრუნდეს. ომარი იმ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც მისი პროფესია ყვავის. როდესაც ჩემს ძმისშვილს, ნიკოლას, ფილტვზე გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა, იქ არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ამ ძალიან პოპულარულ ანრი ჯოხაძესაც კი იმხელა ფინანსების მოძიება გამიჭირდებოდა, რაც იმ ოპერაციისთვის იყო საჭირო. როგორც წესი, გაჭირვებულ კაცს აქ არავინ ეხმარება. იტალიაში კი ძალიან კარგი პირობები აქვთ, თუნდაც ავიღოთ სამედიცინო დაზღვევა. აქედან გამომდინარე, როდესაც მშობელი ხარ, ფიქრობ შენი შვილების მომავალზე. განშორება რთულია, მაგრამ ის უფრო რთული იქნება, დაბრუნდე შენს ქვეყანაში და ვერაფერი გააკეთო.

— **ომარ, იტალიაში სად მღერით?**

**ომარი**: მეც და ნინოსაც სხვადასხვა ქალაქებში მიპატიჟებით გვაქვს კონცერტები. ჯერ არც ერთი თეატრის შტატში არ ვარ, მაგრამ ყველაფერი წინაა.

— **ვინ მოგცათ ბიძგი წარმატებისკენ?**

**ომარი**: თუ დღეს ჩვენ რამეს წარმოვადგენთ, ეს დედის დამსახურებაა. ბავშვობიდან სამივე შვილს როიალის ირგვლივ დავგვსვამდა, გვიმღეროდა და გვამღერებდა.

**ანრი**: დედამ რაც ჩაგვძახა, ის ამოვძახეთ.

✓ ლანა კიკნაძე








Cyan Magenta Yellow Black

# ლელა წურწუმია: „პირველი ჭაღარა კონკურსმა გამიჩინა“

## „მაიკოს ახლა მოეხსნა სტრესი და უკვე ამბობს, რომ ჩემი შვილია"



მომღერალმა ლელა წურწუმიამ დროებით კულისებში, უფრო სწორად, მწვრთნელის რანგში გადაინაცვლა. პროექტ „ახალ ხმაში“ მონაწილეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. თავად მას საკონკურსო ცხოვრება დიდად არასოდეს ხიბლავდა. მომღერლის კარიერაში მხოლოდ ორი მუსიკალური კონკურსი იყო — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ და „იალტა-მასკვა ტრანზიტ“. ამ უკანასკნელის დასრულების შემდეგ საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ კონკურსში მონაწილეობას აღარასდროს მიიღებდა. ამიტომაც კარგად ესმის „ახალი ხმის“ მონაწილეების განცდები. ახალი ამპლუა ისევე ითხოვს მისგან მსხვერპლს, როგორც წინამორბედები — შვილისგან ისევ შორს ყოფნა, მაგრამ ამავე დროს მისგან იმასაც იღებს, რაც ძალიან სჭირდება — საქმის კეთების, საკუთარი ძალების რეალიზების სიამოვნება.

> **„დათო ფორჩხიძეს წლებია ვიცნობ, მაგრამ მასთან ხშირი კომუნიკაცია არ მაქვს, სტეფანე და მაია კი ჩემები არიან".**

ვნახოთ, როგორ მომღერლებს გამოიყვანს ლელა წურწუმია სცენაზე, მანამდე კი ის „სარკეს“ თავის ახალ ამპლუაზე ესაუბრება.

**— ქალბატონო ლელა, რით დაგაინტერესათ ამ შოუმ, როცა მონაწილეობას დათანხმდით?**

— ძალიან საინტერესო პროექტია, პირდაპირ ჩემს პროფესიას ეხება და ამიტომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს მუშაობა. საკმაოდ გვიან, პროექტის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე დამიკავშირდნენ და დავთანხმდი. ამ კონკურსს სულ ვუყურებდი და ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. არ გამჭირვებია, მაგრამ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. ის ცოდნა გამოვიყენე, რაც მაქვს. სწორი არჩევანი უნდა გააკეთო, სწორად უნდა შემოუბრუნდე მომღერალს, რადგან იმ ეტაპზე მის ბედს შენ წყვეტ. ძალიან კარგი ჯგუფი შევკრიბე, კმაყოფილი ვარ.

კონკურსს თავისი წესები აქვს. კრიტიკა მაქსიმალურად არის აკრძალული. ხშირ შემთხვევაში მაყურებელს ბევრი კითხვა უჩნდება. მაგალითად, ცოტა ალოგიკურია, როდესაც ღილაკს ხელს არ აჭერ, კონკურსანტისკენ არ ბრუნდები, მერე კი აქებ. ეს იმიტომ ხდება, რომ მწვრთნელს არ აქვს უფლება, კონკურსანტის ნამღერი გააკრიტიკოს.

**— როცა შემოუბრუნდებით, მაგრამ კონკურსანტი სხვა მწვრთნელს ირჩევს, თქვენზე ეს როგორ მოქმედებს?**

— ასეთია შოუს ფორმატი. პრინციპში, ესაა ამ გადაცემის მთელი ადრენალინი, შენ იბრძვი კონკრეტული კონკურსანტისთვის. რინგამდე ჩვენი მოვალეობა ეს არის, რომ სწორად შევარჩიოთ მომღერლები, გუნდი მრავალფეროვანი იყოს. მერე კი მწვრთნელმა თავისი მუშაობის შედეგი უნდა აჩვენოს. უნდა ჩანდეს, რომ თითოეულ მონაწილესთან იმუშავე, სწორი რეპერტუარი მიეცი, გაითვალისწინე მისი მონაცემები და ამ ყველაფრის რეალიზება მოახდინე.

ვინც მომეწონა, ხელი ყველას ნამღერზე დავაჭირე. არ მინდოდა, ის კონკრეტული ადამიანი გამეშვა ხელიდან.

**— როგორ აფასებთ, როგორი თაობა მოდის ესტრადაზე?**

— ძალიან კარგი თაობა მოდის. სხვათა შორის, პირველი სეზონის „ახალი ხმისგან“ განსხვავებით, წელს ბევრად მრავალფეროვანი და საინტერესო კონკურსანტები მოვიდნენ. მუსიკოსები, ჩამოყალიბებული მომღერლები არიან და არა — კონკურსის ფორმატის. ეს ის შემთხვევაა, როცა ზიხარ და მათი მოსმენით სიამოვნებას იღებ. თუმცა არ ვიცი, ეს შემდგომ ეტაპზე რამდენად კარგად აისახება, რადგან, სამწუხაროდ, შემდგარი მუსიკოსები დროზე ადრე ტოვებენ ხოლმე პროექტს.

**— როგორ ფიქრობთ, ეს რისი ბრალია, ზედმეტი თავდაჯერებულობის ხომ არა?**

— გემოვნების. ისინი ისეთ მუსიკას მღერიან, რომლის მოსასმენად დიდი სიამოვნებით წავიდოდი კლუბში. რატომღაც ჩვენთან ფიქრობენ, რომ რაც უფრო მაღალ ტონალობაში მღერის მომღერალი, ეს კარგია. არადა მომღერლის ხარისხი მაღალი ნოტებით არასოდეს განისაზღვრება. მთავარია, რამდენად გემოვნებიანად აკეთებ ამ ყველაფერს. ჩემს გუნდში არ არიან შემსრულებლები, ვინც მაღალ რეგისტრში მღერიან, სამაგიეროდ, გემოვნებიანი, კარგი მომღერლები მყავს. მოკლედ, საუკეთესო გუნდი შევკრიბე და ისინი კარგად დავაწყვილე. იმედი მაქვს, რომ რინგზე ძალიან კარგ შედეგს ვაჩვენებთ.

> **„კრიტიკა მაქსიმალურად არის აკრძალული. ხშირ შემთხვევაში მაყურებელს ბევრი კითხვა უჩნდება. მაგალითად, ცოტა ალოგიკურია, როდესაც ღილაკს ხელს არ აჭერ, კონკურსანტისკენ არ ბრუნდები, მერე კი აქებ. ეს იმიტომ ხდება, რომ მწვრთნელს არ აქვს უფლება, მონაწილის ნამღერი გააკრიტიკოს".**

**— ახალ თაობას სხვა ხედვა აქვს. არ გიჭირთ მათთან მუშაობა?**

— რასაკვირველია, სხვა ხედვა აქვთ, მაგრამ მათთან მუშაობა არ გამჭირვებია. მანამდეც ბევრი ახალგაზრდა მომღერლისთვის გამიწვდია დახმარების ხელი. ბოდიშს ვიხდი, საკუთარ თავზე რომ ვლაპარაკობ, მაგრამ ასეა. ყოველთვის ვამბობ, რომ ვამაყობ დუეტით „ჯორჯია“. მათ მთელი საქართველო გაახარეს და მარტო ეს კმარა, ჩემს შემოქმედებით ისტორიაში რომ ჩაიწეროს. მე ეს ადამიანები (რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე) ვაჩუქე ქვეყანას! სხვა ბევრისთვისაც მიმიცია სწორი მიმართულება.

**— გოგა მესხი, რომელიც წლების წინ თქვენს ბექ ვოკალში მღეროდა, ნუთუ კონკურსზე ვერ იცანით, რომ შემობრუნებოდით?**

— ვერ ვიცანი. გოგა ჩემთან ბექ ვოკალში კი მღეროდა, მაგრამ მისი სოლო ნამღერი არ მომისმენია. მისი დანახვა ძალიან გამიხარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ, გაპიარებული სახეები არ ავიყვანოთ შოუში, მიხარია, რომ გოგა პროექტში დარჩა. ის პროფესიონალია. მაია დარსმელიძემ წაიყვანა თავის ჯგუფში.

**— ეს პროექტი თქვენს ცხოვრებაში დიდ დროს იკავებს?**

— მონაწილეებთან კვირაში სამი დღე რეპეტიცია მაქვს. დროებით სიმღერების ჩაწერა შევაჩერე. ღამით კომპიუტერთან ვმუშაობ, მასალებს ვიღებ, რეპერტუარს ვურჩევ. კონკურსანტებს დავყვები მაღაზიებში, თავად ვურჩევ სამოსს, მაკიაჟს, ვარცხნილობას. თითოეულ ბავშვთან ამ პრინციპით ვმუშაობ.

**— ქართულ „ახალ ხმაში“ ქართული სიმღერა არ ჟღერს, ამის გამო პროექტს ხშირად აკრიტიკებენ. ასეთი მოთხოვნაა, რომ მშობლიურ ენაზე არ იმღერონ?**

— ასეთი მოთხოვნა არაა. უბრალოდ, კონკურსანტებს თვითონ არ უნდათ. ქართული სიმღერის შესრულება ძალიან რთულია და ახალ თაობას ამის დიდი ინტერესი არც აქვს. ისინი სხვა მუსიკაზე იზრდებიან.

**— ამ პროექტში მწვრთნელების კონკურენციას სკანდალური ელფერი აქვს, განსაკუთრებით სტეფანე-მაიასა და ფორჩხიძეს შორის. თქვენ როგორ ალაგებთ მათთან ურთიერთობას?**

— ყველაფერი ზომიერების ფარგლებშია. სტეფანეს და მაიას შვილის ნათლია ვარ, ჩემი მეგობრები არიან. სალი, ჯანსაღი დამოკიდებულება გვაქვს. გვინდა-არ გვინდა, ჩვენი ეს ურთიერთობა ძალიან აისახება სამუშაო პროცესზე.

**— დათო ფორჩხიძესთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— დათოს წლებია ვიცნობ, მაგრამ მასთან ხშირი კომუნიკაცია არ მაქვს. ამ წლების განმავლობაში პროფესიული შეხვედრები თუ იყო და ისიც ძალიან იშვიათად. სტეფანე და მაია კი ჩემები არიან.

**— მაყურებელმა მოისმინა დათო ფორჩხიძის მისამართით გამოთქმული მაია დარსმელიძის და სტეფანეს რეპლიკები. ნორმალურია, პროექტს ასეთი დაძაბულობა ახლდეს თან?**

— ზომიერების ფარგლებში ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, კონფლიქტში არ გადაიზარდოს. კონკურსი რომ მთავრდება, დაძაბულობა აღარ არსებობს. ემოციებს როცა ჰყვები, ძნელია, არ იკამათო, ეს შოუს ნაწილიცაა.

ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ კონფლიქტური ვარ. პირიქით, ადამიანებთან ურთიერთობა მიყვარს. ვცდილობ, მათთან საერთო ენა გამოვნახო, გონიერი და თბილი ვიყო. არიან ადამიანები, რომლებიც ინტრიგებზე აგებენ თავიანთ ცხოვრებას, მაგრამ მე არ



Cyan Magenta Yellow Black

მივეკუთვნები მათ კატეგორიას, ცხოვრების ასეთი წესი არ მხიბლავს.

**— თქვენს გუნდში გამოკვეთილი ლიდერი არის ვინმე?**

— ზოგადად, კარგი გუნდია, ლიდერი კი ჯერ არ მყავს. როგორც მწვრთნელი, ძალიან მომთხოვნი ვარ, მაგრამ ამას ზომიერების ფარგლებში ვაკეთებ. ვიცი, რომ ჩემს ბავშვებს ძალიან ვუყვარვარ, პატივს მცემენ და მათ მიმართ მეც ასევე ვარ. მათში მთელ ენერგიას და გამოცდილებას ვდებ. რთულია კონკურსის პრინციპი, რინგიდან რამდენიმე მათგანი უნდა გავუშვა, მაგრამ რა ვქნა? ყველას წინასწარ მოვუხადე ბოდიში. მონაწილეებს არავითარ შემთხვევაში ისე არ დავაწყვილებ, რომ არათანაბარი ბრძოლა გავმართო.

**— თავად რა შეგძინათ ამ პროექტმა?**

— ძალიან მიყვარს შრომა. ჩემთვის მთავარია, დაკავებული ვიყო და ჩემი საქმე ვაკეთო. ეს დიდი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა, ახალ თაობას ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ. ახალბედა მომღერლებს მსგავსი პროექტები ძალიან დიდ შანსს აძლევთ, საკუთარი ნიჭის რეალიზება მოახდინონ. მთავარია, მერე რას იზამენ, რომ არ დაიკარგონ. მარტო სიმღერა არაფერია, იმიჯი უნდა გქონდეს შექმნილი ჩაცმით, ცხოვრების სტილით. სამწუხაროდ, დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, სადაც წარმატებული ადამიანები არ უყვართ. ჩვენთან კრიტიკა არ არსებობს, ამიტომ მათ ლანძღავენ.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარები ხომ არა?**

— სოციალური ქსელების მომხმარებელი არ ვარ, არ ვკითხულობ, იქ რა წერია. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ!

**— სოციალურ ქსელებში, სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, თქვენ ცუდად არ გახსიათებენ,ლოიალურიაო, წერენ.**

— დიდი მადლობა! მახარებს ეს ფაქტი.

**— გამარჯვებაზე ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა, ჩემი გუნდის ერთ-ერთ წევრს აქვს მოგების შანსი. სასიამოვნოა, როცა მუშაობა გიფასდება და შენი ჯგუფის წევრი იმარჯვებს. მთავარი ისაა, ამ კონკურსის მერე მე რას ვიზამ მათთვის.

**— რას პირდებით? მწვრთნელები წინა სეზონებშიც პირდებოდნენ კონკურსანტებს ბევრ რამეს, მაგრამ...**

— მე ვაკეთებ საქმეს და არავის არაფერს ვპირდები. როცა დავინახავ, რომ ამ ადამიანებში არის ის პოტენციალი, სცენაზე იდგნენ, ყველანაირად დავუდგები გვერდით და ვეცდები, არ დაიკარგონ, სხვადასხვა კონცერტში ჩავრთო და ა.შ. თუ მერე სხვა ქვეყანაში კარიერის გაგრძელებას მოინდომებენ, რატომაც არა? წარმატებებს ვუსურვებ.

**— ბევრი გააღიზიანა იმან, რომ საბავშვოც და დიდების „ახალი ხმაც“ დათო ფორჩხიძის გუნდის წევრმა მოიგო. თქვენი აზრით, დათოს წარმატების მიზეზი რა გახდა — შემთხვევითობა, გამართლება თუ სწორი არჩევანი?**

— დათოს ძალიან გაუმართლა, რომ კარგი კონკურსანტები შეხვდნენ. უსამართლობა იქნება, ვთქვა, სალომე ქათამაძე და რეზიკო დიდებაშვილი მოგებას არ იმსახურებდნენ-მეთქი. ისინი ძალიან კარგები არიან, მოგებას იმსახურებდნენ, თუმცა სტეფანესაც იმდენად კარგი ბავშვები ჰყავდა, რომ მათი გამარჯვებაც ძალიან სამართლიანი იქნებოდა. მინდა, ადამიანები ნაკლებად გაღიზიანდნენ მწვრთნელებზე, ამდენი აგრესია საჭირო არ არის.

**— თავად როგორი იყავით 19-20 წლის ასაკში, მონაწილეობდით კონკურსებში?**

— კი. ყველა კონკურსანტს გულწრფელად



ვუთანაგრძნობ, რადგან ვიცი, კონკურსი რა არის. 1986 წელს, როგორც კი სკოლა დავამთავრე, მონაწილეობა მივიღე პროექტში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. ამ კონკურსის ლაურეატი გავხდი. 3 კონცერტი გაიმართა ანსამბლ „ივერიას“ თანხლებით, ძალიან კარგად მახსოვს, „ღიმილის ბიჭებს“ ვმღეროდი. 1994 წელს იყო „იალტა-მასკვა ტრანზიტი“, სადაც სტრესულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. თანაც პატარა, 25 წლის გოგო ვიყავი. რუსეთი პირდაღებული ლომია, სხვა პარამეტრები და მასშტაბებია. მაშინ მივიღე არასასიამოვნო შემოთავაზება, რაზეც არ დავთანხმდი. საკმაოდ წარმატებული გამოსვლა მქონდა, მაგრამ ძველი ამბის გახსენება არ მინდა. მას მერე თბილისში იმართებოდა პატარ-პატარა კონკურსები, მაგრამ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ვთქვი, რომ მათში მონაწილეობას აღარ მივიღებდი. რუსეთში გამართულ კონკურსზე ისე ვინერვიულე, პირველი ჭაღარა მაშინ გამიჩნდა თმაში.

**„იყო პერიოდი, როცა მარიკო არ ამბობდა, რომ ჩემი შვილი იყო. ეს, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი პროტესტი იყო, რადგან ამ პროფესიამ მშობლები წაართვა".**

**— მაგრამ შარშანწინ რისკიანი ნაბიჯი მაინც გადადგით და პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მიიღეთ მონაწილეობა.**

— საოცრება გავაკეთე და ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა. ეს იყო ძალიან შრომატევადი საქმე, თანაც ისეთი, რომელიც ჩემი არ არის. ყველანაირად ვცდილობდი, თავი კარგად გამერთმია. დღეს ის ეტაპი ღიმილით მახსენდება. როცა ახლა ვუყურებ ჩემს შესრულებას, ვფიქრობ, რომ ძალიან კულტურული და კარგი გამოსვლები მქონდა. სოფო ნიჟარაძემ მითხრა, ამ პროექტში მონაწილეობის გამო ძეგლი უნდა დაგიდგაო.

**— თქვენი ოჯახი, ქმარი, რომელიც თქვენი პროდიუსერიც არის, „ახალ ხმაზე“ რა აზრის არის?**

— ოჯახის წევრები ჩემი დიდი გულშემატკივრები არიან. ჩემი და მამულიჩას აზრები ერთმანეთს ძალიან ემთხვევა. მონაწილეების დაწყვილების საკითხში ისიც აბსოლუტურად დამეთანხმა. შეიძლება რაღაც მომენტში მამულიჩას წინააღმდეგობა გავუწიო, მაგრამ მის შეხედულებას მაინც ვითვალისწინებ. მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. კარგი სმენა და სასიმღერო მონაცემები აქვს. ჩემი დედამთილი არაჩვეულებრივად მღერის და მამულიჩას გენეტიკით ერგო ეს ნიჭი. დიდ ინფორმაციას ფლობს მუსიკაზე.

რაც შეეხება ჩვენს შვილს, მარიკოს, ერთ-ერთ რეპეტიციაზე მივიყვანე და საოცრად სწორი შეფასება მომცა. ზუსტად ის ბავშვები მოეწონა, ვის დატოვებასაც ვაპირებ. მარიკო მღერის, მაგრამ მის ამ ნიჭზე არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან მირჩევნია, კარგად ისწავლოს. სიმღერა თუ მოუნდება, მონაცემები აქვს და ეს არ არის პრობლემა.

**— მარიკო განებივრებული გოგოა?**

— მარიკო 11 წლისაა. არ ვთვლი, რომ ბავშვს ბავშვობა უნდა დაუკარგო და ზედმეტად გაათამამო. ჩემი შვილი ძალიან ნორმალურ პირობებში იზრდება. იყო პერიოდი, როცა მარიკო არ ამბობდა, რომ ჩემი შვილი იყო. ეს, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი პროტესტი იყო, რადგან ამ პროფესიამ მშობლები წაართვა. რამდენიმე დღის წინ სახლში მარიკოს ნახატი ვიპოვე, რომელიც 3 წლის ასაკში დაუხატავს. სურათზე ბავშვი ტირის. ვკითხე, ეს რატომ დახატე, რატომ ტირის-მეთქი. მიპასუხა, იმიტომ, რომ დედა ენატრებაო. მისგან პასუხი ახლა მივიღე...

მარიკო ძალიან კომუნიკაბელური, საინტერესო ადამიანია. შეიძლება ჩემი მხრიდან შვილზე საუბარი სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ, საბედნიეროდ, მყავს კარგი შვილი, რომელიც ნამდვილად ბავშვურია. მას არასოდეს უთქვამს, ლელა წურწუმია დედაჩემიაო. ერთადერთხელ იყო ასეთი შემთხვევა. დაბადების დღე გადავუხადე და მაშინ ბავშვებს უთხრა, გინდათ, ლელა წურწუმია განახოთ, აი, აგერ დგასო. მარიკო ჩემს დედამთილთან ცხოვრობს. როცა მასთან მივდივარ და ეზოში თამაშობს, ბავშვებს დაუძახებს ხოლმე, ბავშვებო, ლელა მოვიდაო. ისინიც მოდიან ფოტოაპარატით და ყველა ერთად ვიღებთ სურათებს. ახლა მოეხსნა სტრესი და უკვე ამბობს, რომ ჩემი შვილია.

✓ ლანა კიკნაძე


ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი



სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გპირდებათ...

ჩაწერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

კონკურსანტი

# როგორ გაიცნო ხელახლა თაკო ჩორგოლაშვილმა კალათბურთელი ქმარი

## „როცა ვცეკვავ, ჩემზე მეტად ის განიცდის“



თაკო და რევაზი

ტელეჟურნალისტ თაკო ჩორგოლაშვილს როცა უთხრეს, რომ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უნდა ეცეკვა, გაოცდა. ამ წინადადებამ ძალიან დააბნია, მაგრამ მაინც გარისკა, რომ ცნობადი სახეებისთვის გაეწია კონკურენცია. ამ რისკიანმა ნაბიჯმა გაამართლა, ის ერთ-ერთი გამორჩეული კონკურსანტია და ჟიურის და მაყურებლის კეთილგანწყობასაც იმსახურებს. თაკოსთვის ხალხის აზრი, აპლოდისმენტები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დარბაზში ერთი ადამიანის დანახვა ყველაზე მეტად ახარებს. ის კალათბურთელი რევაზ დიდიაა — თაკოს ქმარი. 2 წელია ცოლ-ქმარი არიან.

თაკოს ტელეკარიერა 3 წლის წინ დაიწყო. იურისტი გოგონა ტელეწამყვანების კასტინგზე გავიდა და სამუშაოდაც აიყვანეს. ამის შემდეგ ჟურნალისტიკით სერიოზულად დაინტერესდა და მედიამენეჯმენტის ფაკულტეტზეც ჩააბარა. ახალგაზრდა ტელესახის შესახებ დანარჩენ დეტალებს ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**— თაკო, პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილედ ყველასთვის მოულოდნელად დასახელდით. როგორ აღმოჩნდით იქ?**

— ეს პროექტი ჩემს ცხოვრებაში შემთხვევით გამოჩნდა. 3 წელია ტელეკომპანია „იმედში“ ვმუშაობ. როცა გადაწყვიტეს, რომ კონკურსში „იმედიდან“ ვინმე უნდა ყოფილიყო, არ ვიცი, რატომ, მაგრამ არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. მადლობა პროდიუსერ ნოე სულაბერიძეს, რადგან სწორედ მისი ინიციატივით მოვხვდი ამ პროექტში.

**— ტელევიზიაში როგორ დაიწყეთ მუშაობა?**

— სრულიად შემთხვევით. მეგობრისგან გავიგე, რომ წამყვანს ეძებდნენ. მივედი კასტინგზე, თუმცა კამერასთან მუშაობა ჩემთვის ძალიან უცხო იყო. პროფესიით იურისტი ვარ და ჟურნალისტიკა ახალი ხილი იყო ჩემთვის. კასტინგიდან რომ გამოვედი, არანაირი იმედი არ მქონდა, რომ ტელევიზიაში მოვხვდებოდი. სიმართლე რომ გითხრათ, არც ვიცოდი, მინდოდა თუ არა ეს ყველაფერი. რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, რომ სამუშაოდ ამიყვანეს.

თავიდან ძალიან რთული იყო ტელევიზიის გრაფიკზე მორგება. მაშინ დილის გადაცემაში ვმუშაობდი და დილის 5 საათზე გაღვიძება დიდი სტრესი იყო. ეთერში გასვლის წინ ძალიან ვნერვიულობდი. მერე კი ნელ-ნელა გავზარდე ჩემში რაღაცეები. ამის შემდეგ ტელერეპორტიორის სტაჟირება გავიარე და ძალიან მალე ისევ კასტინგის საშუალებით აღმოვჩნდი გადაცემა „შუადღეში“. სხვადასხვა ადგილიდან მქონდა ჩართვები. ეს პროექტიც დასრულდა და დილის გადაცემას დავუბრუნდი. დღეს ვაკეთებ ჩემს რუბრიკას დიზაინზე.

ტელეკომპანია ყველანაირად ცდილობს, ხელი შემიწყოს, რომ მთელი დრო ცეკვებს დავუთმო. ამიტომ ახლა სიუჟეტებზეც ნაკლებად ვმუშაობ და ჩართვებზეც. დღესდღეობით ამ პროექტით ვცხოვრობ, ჩემთვის დღე იწყება და მთავრდება სარეპეტიციო დარბაზში.

**— დიზაინის რუბრიკა მიგყავთ და ალბათ თავადაც გიყვართ მოდურად ჩაცმა.**

— მიყვარს, როდესაც ადამიანებს გემოვნებით აცვიათ, მოდის ტენდენციების მიხედვით კი ნაკლებად ვიცვამ. მიმაჩნია, რომ ადამიანს ისეთი სამოსი უნდა ეცვას, რაც უხდება. მომწონს სადად და ელეგანტურად ჩაცმა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მიყვარს, სამსახურში

„როცა ვარსკვლავი ხარ, გაცილებით ადვილია, საზოგადოების მხარდაჭერა დაიმსახურო. მე კი ხალხისთვის ახალი ფურცელი ვარ და არ ვიცი, რამდენად საინტერესოა ჩემი პერსონა მათთვის“.

მისი ჩაცმა არაპრაქტიკულია. ჩემი ქმარი კალათბურთელია, სიმაღლით 2 მეტრზე მეტია და, როცა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ერთად მივდივართ, ყოველთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია. რაც ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, მას შემდეგ ჩემი განუყოფელი ნაწილი გახდა კედები და ჯინსის შარვალი.

**— როგორ ფიქრობთ, პროექტისთვის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ თქვენზე რატომ გააკეთეს არჩევანი? „იმედს“ ხომ ბევრი პოპულარული სახე ჰყავს.**

„გაოგნებული ვარ — პროექტის დაწყების შემდეგ ჩემი ქმარი სხვა კუთხით გავიცანი. ერთხელ მას სცენიდან მოვკარი თვალი და გამიხარდა, როცა მის სახეზე სიამაყე და ბედნიერება ამოვიკითხე“.

— კი, ბატონო, ასეა. როცა ნოემ ცეკვა შემომთავაზა, პირველი, რაც ვუთხარი, ეს იყო — მე ხომ ვარსკვლავი არ ვარ-მეთქი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, საზოგადოება რამდენად ადეკვატურად აღიქვამდა ჩემს გადაწყვეტილებას. არ ვიცოდი, სწორი იქნებოდა თუ არა იმ პროექტში მონაწილეობა, რომელსაც „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჰქვია. ვიცოდი, ბევრი კითხვა გაჩნდებოდა, ეს გოგო საიდან მოვიდა, ვინ არისო. ამიტომ სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ბევრი ვიფიქრე. ბოლოს ნოემ მითხრა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ ერთი კონკურსანტი „იმედიდან“ იყოს, ამიტომ შენ იცეკვებ, როგორც ამ ტელევიზიის სახეო. დავფიქრდი და ვთქვი, რატომაც არა, შანსი მომეცა და უნდა გამოვიყენო-მეთქი. ცეკვა ძალიან მიყვარს. როცა სცენაზე ვდგავარ, მგონია, ჩემ გარშემო ტრიალებს სამყარო.

**— ქმარმა გადაწყვეტილება მოგიწონათ?**

— ეს ისეთი საკითხია, რომელსაც მისგან დამოუკიდებლად ვერ გადავწყვეტდი. ჩემდა გასაკვირად, მისგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. როცა სცენაზე გამოვდივარ, ჩემზე მეტად ის განიცდის, ამას კი ვერასდროს წარმოვიდგენდი. ის ქუთაისის გუნდში თამაშობს და, სამწუხაროდ, ყველა კონცერტს ვერ ესწრება.



**— როგორც ვიცი, 13 წელი ქართულ ცეკვებზე დადიოდით. ნაციონალური ცეკვის ტურში ეს ძალიან გამოგადგებათ.**

— კი, ასეა. 6 წლის ვიყავი, როცა ქართულ ხალხურ ცეკვებზე შემიყვანეს. ახლა ხშირად მეკითხებიან, შენ ეს ცეკვა ხომ იცი, რატომ ვარჯიშობო. მე კი სპეციალურად ავირჩიე ის ცეკვა, რომელიც არასდროს მიცეკვია — ზეკარი. ეს არის თანამედროვე ცეკვა, რომელიც ილიკო სუხიშვილმა დადგა. ასე რომ, ყველაფერს თავიდან ვსწავლობ.

**— თქვენს შანსებს როგორ აფასებთ?**



Cyan Magenta Yellow Black

— ეს არის პროექტი, რომელშიც გადამწყვეტ როლს მაყურებელი თამაშობს. ვერ წარმომედგინა, იულია ქავთარაძე ფინალამდე თუ არ მივიდოდა, მას ერთ-ერთ კონკურენტად მოვიაზრებდი. მეწყინა, რომ პროექტი დატოვა. არ ვთვლი, რომ მისი შოუდან წასვლა სამართლიანი იყო.

**— სოციალურ ქსელებში თქვენზე წერენ, რადგან „იმედის" სახეა, ის გაიმარჯვებსო.**

— ცდებიან, თუ ფიქრობენ, რადგან „იმედზე" გადის ეს პროექტი, მე გამარჯვების მეტი შანსი მაქვს. სოციალურ ქსელებში მართლაც იყო რამდენიმე მსგავსი კომენტარი და ახლა მიხარია, საშუალება რომ მომეცა, პასუხი გავცე. პირველი და მეორე სეზონის გამარჯვებულები ხალხმა აირჩია და ახლაც ასე იქნება! თუ ცუდად ვიცეკვებ, „იმედი" კი არა, ვერავინ დამეხმარება, რომ თუნდაც ფინალში გავიდე.

მონაწილეობას რომ დავთანხმდი, იმისთვისაც მზად ვიყავი, რომ პირველი ან მეორე ტურის შემდეგ პროექტს დავტოვებდი. ეს ვარსკვლავების კონკურსია. როცა ვარსკვლავი ხარ, გაცილებით ადვილია, საზოგადოების მხარდაჭერა დაიმსახურო. მე კი ხალხისთვის ახალი ფურცელი ვარ და არ ვიცი, რამდენად საინტერესოა ჩემი პერსონა მათთვის.

შოუს დატოვება არ მინდა, რადგან ამ პროექტზე მუშაობა დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. მინდა, ღირსეულმა მოიგოს, შეიძლება ეს მე არ ვიყო, მაგრამ ვინც გაიმარჯვებს, მსურს, რომ ამის ღირსი იყოს.

**— ჟიურიმ თქვენზე თქვა, ნამდვილი პროფესიონალივით ცეკვავსო. მათი კეთილგანწყობა ალბათ დიდ სტიმულს გაძლევთ.**

— ქულაზე მეტად ყოველთვის მათი კარგი კომენტარები მახარებს. ცეკვა ძალიან მინდა და ეს გამომდის. რაც მთავარია, ჩემს მონდომებას, თავდაუზოგავ შრომას ჟიური ხედავს და მიფასებს. გოჩა ჩერტკოევმა ვალსის ტურში მითხრა, სამი სეზონის განმავლობაში ასეთი ძლიერი ნომერი არ ყოფილაო. ბუნებრივია, ასეთი შეფასებები სტიმულს გაძლევს, რომ წინ წახვიდე, მეტი იმუშაო და მომდევნო ტურში კარგი ნომერი აჩვენო.

**— ვარსკვლავებთან მუშაობა მოგწონთ?**

— მიყვარს ადამიანები, მათთან ურთიერთობა მსიამოვნებს. მიხარია, რომ, კონკურენციის მიუხედავად, პროექტში დაძაბულობა არ არის. ერთმანეთს ვეხმარებით, ვუთმობთ. ამ პროექტმა ძალიან კარგი ადამიანი მაპოვნინა — მომღერალი ნინი ცნობილაძე. ზუსტად ვიცი, რომ მასთან შოუს დამთავრების შემდეგაც ვიმეგობრებ.

„6 წლის ვიყავი, როცა ქართულ ხალხურ ცეკვებზე შემიყვანეს. ახლა ხშირად მეკითხებიან, შენ ეს ცეკვა ხომ იცი, რატომ ვარჯიშობო. მე კი სპეციალურად ავირჩიე ის ცეკვა, რომელიც არასდროს მიცეკვია — ზეკარი. ეს არის თანამედროვე ცეკვა, რომელიც ილიკო სუხიშვილმა დადგა. ასე რომ, ყველაფერს თავიდან ვსწავლობ".

**— თქვენი მეწყვილე გაგა თოდუა პირველად მონაწილეობს ამ პროექტში. როგორ ფიქრობთ, შედგა თქვენი წყვილი?**

— დიახ, შედგა. გაგაც ნერვიულობს და თავს არ ზოგავს, რომ ყოველი გამოსვლა წინაზე უკეთესი იყოს. ნებისმიერ დროს ყველა საქმეს უკანა პლანზე სწევს და, თუ მჭირდება, ჩემთან ერთად ცეკვავს.

**— ქმარი ეგუება თქვენს ასეთ დატვირთულ გრაფიკს?**

— მას მხოლოდ შაბათ-კვირას უწევს თბილისში ყოფნა. ეს სიტუაცია რომ არა, ალბათ ექნებოდა გარკვეული პროტესტი. თავიდან ბოლომდე გვერდში მიდგას, გაცნობიერებული აქვს, ეს პროექტი რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის. გაოგნებული ვარ — პროექტის დაწყების შემდეგ ჩემი ქმარი სხვა კუთხით გავიცანი.

**— როცა ის დარბაზშია, რა შეგრძნება გაქვთ?**

— ერთხელ მას სცენიდან მოვკარი თვალი და გამიხარდა, როცა მის სახეზე სიამაყე და ბედნიერება ამოვიკითხე. მივხვდი, რომ ამ ყველაფრის მიზეზი მე ვიყავი.

**— გვიამბეთ თქვენს სიყვარულზე, საყვარელ მამაკაცზე.**

— საერთო მეგობრების წრეში გავიცანით ერთმანეთი. 2 წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. ჯერ შვილი არ გვყავს. რთულია ერთკვირიანი განშორებები, თუმცა ორივემ ვიცით, რომ ჩვენს საქმეს ვემსახურებით და სამომავლოდ ასე უკეთესია. იმედი მაქვს, რომ ქუთაისის გუნდი ქმარს ერთ წელში დამიბრუნებს. შეყვარებულები რომ ვიყავით, საოცარ სიურპრიზებს მიწყობდა. მეტყოდა, ჩემს მეგობარს შეხვდიო და იქ რომ მივიდოდი, თვითონ მხვდებოდა. დღემდე რომანტიკულია. კარგად ცეკვავს, მასთან ცეკვა დიდი ბედნიერებას მანიჭებს.

✓ ლანა კიკნაძე

# მსოფლიო დიჯეებს შორის მესამე ადგილზე ქართველი მოხვდა

ქართველმა დიჯეიმ, 23 წლის ათუკა ედიშერაშვილმა, მსოფლიო დიჯეების მასშტაბურ კონკურსში მესამე ადგილი მოიპოვა. კონკურსი „მოვიდა კორონა" ახალბედა დიჯეებს წარმატებისკენ მიმავალ გზას უხსნის. საქართველომ ამ კონკურსში, რომელიც ერთ-ერთი ლუდის კომპანიის ეგიდით იმართება, მონაწილეობა პირველად მიიღო. კონკურსანტ დიჯეის საკუთარ ქვეყანაში ინტერნეტგამოკითხვით უნდა გადაელახა შიდა შესარჩევი ტური. ყველა შერჩეულმა კონკურსანტმა ფინალური ტური 6 ოქტომბერს იბიცაზე, კლუბ „პაჩაში" გაიარა, რომლის მენეჯერი მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული დიჯეი, ბობ სინქლერია.



ქლაბერების სამოთხედ და ელექტრონული მუსიკის საკულტო ადგილად მიჩნეულ იბიცაზე ორი დღის განმავლობაში 25 ქვეყნის დიჯეი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. გამარჯვება შვეიცარიელმა დიჯეიმ მოიპოვა, მეორე ადგილს ნორვეგია დასჯერდა, მესამე საპრიზო ადგილი კი ქართველ დიჯეის, ათუკას ერგო.

ქართველი ახალგაზრდა დიჯეისთვის ეს წარმატება მოულოდნელი იყო. როგორც თავად აღნიშნავს, ემოციებისგან დატვირთულს კარგად არც ახსოვს იბიცაზე გატარებული დღეები.

— ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება და საპრიზო ადგილის დაკავება ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. გავიცანი „პაჩას" მენეჯერი ბობ სინქლერი და მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი დიჯეი ფრანც ქელქბრენერი. მათგან ბევრი რჩევა მივიღე, თავიანთი საკონტაქტო კოორდინატებიც დამიტოვეს და შემომთავაზეს, ჩემი შემოქმედება გავუგზავნო, რომ გაეცნონ. წარმატების მიუხედავად, ვთვლი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი კარგი და ხარისხიანი მუსიკის შესაქმნელად, — გვითხრა ათუკა ედიშერაშვილმა.

ახალგაზრდა მუსიკოსს ქართველი ტელემაყურებელი 2011 წლის „ნიჭიერიდან" იცნობს. ამ პროექტში ათუკა დიჯეის ამპლუით ჯგუფ „თესეუ არტთან" ერთად იღებდა მონაწილეობას. ბენდმა ფინალურ ტურში გასვლა მოახერხა. ათუკა განაგრძობს ჯგუფთან თანამშრომლობას და დამოუკიდებლადაც მუშაობს. მალე მაიამიში გაემგზავრება და ულტრა მუსიკალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. მორიგ გამოწვევას ქართველი დიჯეი სიხარულით ხვდება: „ეს ყველაზე მასშტაბური ფესტივალია. იმედი მაქვს, მაიამიშიც ისეთივე წარმატებით გამოვალ, როგორც იბიცაზე. როგორი აღუწერელიც იყო ჩემთვის იბიცა, ვფიქრობ, მაიამიც ასეთივე იქნება".

✓ მანანა ნოდია

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გალერეა

# სპარტაკ ბალაშვილი – ფსიქიატრიულში გამომწყვდეული ვარსკვლავი

## «წარმოიდგინეთ, მისი სახელობის ქუჩაც კი არ არის თბილისში»

სპარტაკ ბალაშვილი საოცარი ხმითა და დრამატიზმით დარჩა ქართული კინოს ისტორიაში. მას შეეძლო პირველივე კადრიდან მოენუსხა მაყურებელი. არსენა, ლუარსაბ მეორე, ხევისბერი, მარტია, ვაჟა-ფშაველა, გამზრდელი... მის მიერ შესრულებული ნებისმიერი კინოროლი კაშკაშა იყო. მისი სახალხო გმირიც ისეთივე დაუვიწყარი გახლდათ, როგორიც გვირგვინოსანი ბაგრატიონი. ქუჩიდან პირდაპირ კინოში აყვანილმა 21 წლის ბიჭმა, რომელსაც მსახიობობაზე არც უფიქრია, ვარსკვლავად ერთ დღეში „გაიღვიძა“, თუმცა სიცოცხლეში ვარსკვლავად არ აღიარეს. სათანადოდ არც დღეს არის შეფასებული. ცხოვრებაც ისეთივე დრამატული ჰქონდა, როგორიც როლები. საბჭოთა რეჟიმმა ჯერ ციხეში, შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოამწყვდია, კინოში კი მის გარშემო ინტრიგები და მტრები მრავლად იყვნენ.

ჯერ ისევ ახალგაზრდა, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2014 წელს სპარტაკ ბალაშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. დიდი მსახიობის ცხოვრების ეპიზოდებს მისი ერთადერთი ქალიშვილი მანანა ბალაშვილი გვიამბობს.

### ქუჩიდან კინოში

— მამაჩემი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მამამისი, ლევან ბალაშვილი, განათლებული კაცი იყო. სცენის დიდი მოყვარული ყოფილა, თამაშობდა კიდეც. ჩვენ მისი პორტრეტი გვაქვს, რომელზეც რომელიღაც როლშია. დედა ბარბარე ხიჯაკაძე გახლდათ. მამას ჰყავდა ერთი და, ექიმი-კარდიოლოგი. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, ამიტომ სულ ჩვენთან იყო და ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის.

მამა ნიჭიერი მოსწავლე ყოფილა. უზნაძის ქუჩაზე ვაჟთა მეორე სასწავლებელი დაამთავრა. მასწავლებლები სპარტაკს ყოველთვის აქებდნენ და ნიჭიერებით გამოარჩევდნენ. პატარაობიდანვე კეთილშობილი ყოფილა და მამა მეც ასეთი დამამახსოვრდა. ყველას მიმართ თბილი და კეთილი იყო. თურმე მშობლები პურის მოსატანად გზავნიდნენ ხოლმე. ერთხელაც პაპაჩემი პურის ფულის გადასახდელად რომ წავიდა, ზედმეტის გადახდა მოუწია. სახლში რომ მივიდა, შვილს ჰკითხა, რატომ იყო ამდენი გადასახადი. უპასუხა, ჩვენ მეზობლად გაჭირვებული ოჯახი რომ ცხოვრობს, ერთ პურს მათთვის ვიღებ ხოლმეო.


■ მანანა ბალაშვილი

სკოლა რომ დაამთავრა, სატყეო ინსტიტუტში ჩააბარა, სადაც გზებისა და ხიდების სპეციალობაზე სწავლობდა. იქაც ნიჭიერი მოსწავლე იყო. იმ დროს მსახიობობაზე არც კი უფიქრია. მეოთხე კურსზე იყო, როდესაც ის ცნობილი ამბავი გადახდა თავს: მიხეილ ჭიაურელი ფილმის გადასაღებად ემზადებოდა და მთავარი როლის შემსრულებელი არ ჰყავდა ნაპოვნი. ქუჩაში ახალგაზრდებს აკვირდებოდა, რომ მათგან აერჩია სახალხო გმირის სახე. ერთხელაც მუშტაიდის ბაღთან წარმოსადეგი ახალგაზრდა შენიშნა ორ გოგონასთან ერთად. ჰკითხა, ვინ ხარო. მან მკაცრად შეხედა და უთხრა: „რაში გაინტერესებთ? გოგონები მახლავს თან და თუ ჩემთან რამე ანგარიში გაქვთ, მეორე მხარეს გადავიდეთ“. რეჟისორი გაეცნო. სპარტაკმა უპასუხა, ვინც გინდათ, ის იყავითო და წავიდა.

მამას მეზობლად რეჟისორი შაქრო ბერიშვილი ცხოვრობდა. მიხეილ ჭიაურელს მისთვის შეუჩივლია, ქუჩაში ერთი ახალგაზრდა მომეწონა ფილმისთვის, მაგრამ უარი მითხრაო. მისი გარეგნობა აღუწერია და შაქროც მიმხვდარა, რომ საუბარი იყო მისი მეზობლის, ლევან ბალაშვილის ვაჟზე. მოკლედ, პაპაჩემმა სპარტაკი თავად მიიყვანა მიხეილ ჭიაურელთან. ასე იქცა 21 წლის ბიჭი ცნობილ მსახიობად.



### არსენა – კინობედისწერა

— იშვიათი შემთხვევაა, რომ გამოუცდელმა, არაპროფესიონალმა ადამიანმა პირველივე ცდაზე ასე შთამბეჭდავად ითამაშოს. არსენას როლის შესრულების შემდეგ თბილისის კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობის სკოლა დაამთავრა. არსენა იყო როლი, რომელმაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ამის შემდეგ ოცამდე ფილმში გადაიღეს.

მამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ვიღაცეებს მისი წარმატება არ მოსწონდათ და ცდილობდნენ ხელისშეშლას. ერთხელ ერთ-ერთი ფილმი უნდა გაეხმოვანებინა, მაგრამ არ გაუშვეს. ასე უთხრეს, მეტყველება არ გივარგაო.

**„მამას დაბადებიდან 100 წლისთავი სრულდება. წარმოიდგინეთ, რომ მისი სახელობის ქუჩაც კი არ არის თბილისში. არ ვიცი, მომავალ წელს ვინმე თუ აღნიშნავს ამ მიგვარ თარიღს. მე დიდად არ ვაქტიურობ და ვერც ვერავის ვაწუხებ".**

### საბჭოთა სასჯელი ანეკდოტისთვის

— მამაჩემი რეპრესიების მსხვერპლი გახდა. 1951 წელს დააპატიმრეს, რადგან ანტისაბჭოთა ანეკდოტი მოყვა. ვიღაცამ დააბეზღა. ჯერ თბილისის ციხეში იჯდა, მერე კი ლენინგრადში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ იგივე ციხე იყო, იქიდან გამოსვლა შეუძლებელი გახლდათ. ამის გამო დედაჩემიც ლენინგრადში წავიდა, რომ მამასთან ახლოს ყოფილიყო. სტალინი რომ გარდაიცვალა და ბერიაც დაიჭირეს, დედა ლენინგრადიდან მოსკოვში გადაფრინდა სუსლოვთან, ყველაფერი მოუყვა და მისი ბრძანებით მამა გაათავისუფლეს. ეს იყო 1953 წელს.

### დაბრუნება კინოში

— ამასობაში კინოსტუდიის დირექტორად მიხეილ კვესელავა დანიშნეს. ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა ახალი ფილმის გადასაღებად ემზადებოდნენ და „თეთრ ქარავანში“ მარტიას როლი მამას შესთავაზეს. თურმე თავიდან ეს იყო ძალიან მოკლე როლი, მაგრამ მან განავრცო. რეპეტიციების დროს რეჟისორებმა გადაწყვიტეს, რომ მარტია უფრო მეტად გამოჩენილიყო კადრში, ვიდრე ეს ჩაფიქრებული ჰქონდათ.

**„30 იანვარს გარდაიცვალა, კვირადღეს. ჩემს მეუღლეს ჰკითხა, რა დღეაო. რომ გაიგო, რა დღეც იყო, თქვა, კვირას წასვლა კარგიაო, რაღაც ჩაიღიღინა და მალევე გარდაიცვალა".**

მიხეილ კვესელავას მამაჩემთან ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა ჰქონდა. უნივერსიტეტში ჩემი ლექტორი გახლდათ. ერთხელ მითხრა, სპარტაკმა სპეციალობა სწორად არ აირჩია, რადგან მისი სახით კარგი ფილოსოფოსი გვეყოლებოდაო.

ფილმში „აკაკის აკვანი“, რომელიც ეკრანებზე 1947 წელს გამოვიდა, მამამ ერთდროულად სამი როლი შეასრულა: მეწისქვილე, გამზრდელი და ვაჟა-ფშაველა. თურმე ის ადამიანები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას იცნობდნენ, ფილმის ნახვის შემდეგ გაოგნებული დარჩნენ. ამბობდნენ, სპარტაკმა ეკრანზე ნამდვილი ვაჟა გააცოცხლაო. ფილმში „გიორგი სააკაძე“ მამამ ლუარსაბ მეორის როლი შეასრულა, თუმცა თავიდან მთავარ როლზე იყო დამტკიცებული. ამისთვის ემზადებოდა, მისი კოსტიუმებიც მზად იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ლუარსაბ მეფის როლი მისცეს. როგორც მერე გაირკვა, აკაკი ხორავას ძალიან უნდოდა სააკაძის როლის შესრულება და ჭიაურელმა უარი ვერაფრით უთხრა. ვერც ეტყოდა, რადგან „ზევიდან“ დარეკეს. როგორც ყველა სფეროში, აქაც სულ სხვა მანქანები მუშაობდა.

ერთხელ მამიდაჩემი მისულა კინოსტუდიის წინ, სადაც თავის ძმას უნდა შეხვედროდა. იქვე მანქანა მდგარა, რომელშიც ვერიკო ანჯაფარიძე იჯდა. მან მამიდას დაუძახა, მანქანაში ჩაისვა და დაელაპარაკა. სწორედ მან უთხრა, მთავარ როლზე ხორავა აიყვანეს და ამას სპარტაკი რომ გაიგებს, გადაირევა, რადგან უკვე ყველაფერი მზად არის, კოსტიუმები მისთვის შეკერეს, მიშაც ძალიან განიცდის, არ იცის, ეს შენს ძმას როგორ უთხრასო. რა თქმა უნდა, მამას არ გახარებია ეს, მაგრამ მთელი ენერგიით ითამაშა ლუარსაბ მეფის როლი. თურმე ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია თავის ლექციებზე სტუდენტებს ეუბნებოდა, თუ გინდათ, ბაგრატიონთა გვარზე წარმოდგენა იქონიოთ, მაშინ წადით და ნახეთ ლუარსაბ მეფე სპარტაკ ბალაშვილის შესრულებითო.

მამას პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა ჰქონდა. გადაღებაზე ყოველთვის დროულად მიდიოდა. გადაღებების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მას უკვე გრიმიც გაკეთებული ჰქონდა და მზად იყო. ფილმი „ხევისბერი გოჩა“ ნუგზარ შარიამ (ფილმში ხევისბერის შვილის, ონისეს როლს ასრულებს. შემდეგ აშშ-ში დარჩა ემიგრანტად. ავტ.) ამერიკაში წაიღო. ამერიკელებს ფილმიც ძალიან მოეწონათ და მამას ხევისბერის როლიც. მამა სხვა ქვეყანაში რომ ყოფილიყო, უფრო მეტს გააკეთებდა. ქართულ კინოში ბევრი გასაქანი არ მიეცა და თეატრამდე ხომ საერთოდ არ მიუშვეს. ისეთი გარეგნობა და მეტყველება ჰქონდა, რომ თეატრშიც საინტერესო სახეს შექმნიდა.

### სტალინის ფავორიტი

— ცნობილი ფაქტია, რომ მამა სტალინის საყვარელი მსახიობი იყო. მას რომ ფილმი „არსენა“ უნახავს, სპარტაკი ძალიან მოსწონებია. შემდეგ ახლოსაც გაიცნო და რამდენჯერმე მიიწვია კიდეც. მიუხედავად ამისა, ეს ნაცნობობა მამას არასდროს არაფერში დახმარებია. ერთხელ სტალინმა თავის აგარაკზე მიიწვია მამა, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. მამას „ბატონო“-თი მიუმართავს. სტალინს უთქვამს, ბატონები რამდენი ხანია, გადავაგდეთ და უბრალოდ



Cyan Magenta Yellow Black

სახელით ან „ამხანაგო“-თი მომმართეო. თურმე მამამ უპასუხა, აბა, მე რა თქვენი ამხანაგი ვარო.

სტალინმა სპარტაკს სთხოვა, რომ ოტელოს მონოლოგი წაეკითხა. იმდენად შთამბეჭდავად წაუკითხავს, სტალინს უთქვამს, ასეთი ნიჭიერი ხარ და რატომ დრამაშიც არ ცდი ბედს ან იქნებ არ გიღებენ თეატრში, მითხარი, ნუ მოგერიდებაო. მას მორიდებით უთქვამს, კინო მიყვარს და აქაც შემთხვევით მოვხვდიო. გულის სიღრმეში ალბათ უნდოდა თეატრში თამაში, მაგრამ ეს ხმამაღლა არ უთქვამს. ძალიან მორიდებული იყო და ამის გამო არავის შეაწუხებდა.

## სპარტაკის მარიამო

— არ ვიცი, დედამ და მამამ ერთმანეთი როგორ გაიცნეს. ამაზე თვითონ არასდროს საუბრობდნენ და რატომღაც არც მე მიკითხავს. შეუძლებელია, რომ მამა არ შეყვარებოდა, იმდენად თბილი და კეთილშობილი კაცი იყო. მართალია, მკაცრი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ მასში საკმაოდ რბილი ხასიათის ადამიანი



■ კინოფილმი „არსენა“ სპარტაკ ბაღაშვილი — არსენა, ნატო ვაჩნაძე — ნენო

„არსენა იყო როლი, რომელმაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ამის შემდეგ ოცამდე ფილმში გადაიღეს. ვიღაცეებს მისი წარმატება არ მოსწონდათ. ერთხელ ფილმი უნდა გაეხმოვანებინა, მაგრამ არ გაუშვეს. უთხრეს, მეტყველება არ გივარგაო“.



■ კინოფილმი „გიორგი სააკაძე“ სპარტაკ ბაღაშვილი — ლუარსაბ მეფე, ლიანა ასათიანი — თეკლე

„ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია ლექციებზე სტუდენტებს ეუბნებოდა, თუ გინდათ, ბაგრატიონთა გვარზე წარმოდგენა იქონიოთ, წადით და ნახეთ ლუარსაბ მეფე სპარტაკ ბაღაშვილის შესრულებითო“.

ცხოვრობდა. რაღაც სხვანაირი პიროვნება იყო.

დედაჩემი მარიამ დოლიძე გახლდათ. მას ყველა მერის ეძახდა, მხოლოდ მამა მიმართავდა ნამდვილი სახელით. მის მიმართ ყოველთვის თბილი იყო, მარიამოს ეძახდა ხოლმე. დედაჩემი ფილოლოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი გახლდათ. ცოტა ხანი მუშაობდა, მერე თავი დაანება. მამას დიდი ყურადღება სჭირდებოდა, დამოუკიდებლად რაღაცეების გაკეთება არ შეეძლო. ყველაფერს მეუღლე უკეთებდა. გადაღებებზე სულ თან დაჰყვებოდა, უვლიდა და, მოკლედ, მთლიანად მისი რეჟიმით ცხოვრობდა. მამაჩემი თუ ვინმე გაჭირვებულ ბავშვს ნახავდა, დედას ეტყოდა: „მარიამო, გეხვეწები, უყიდე ამ ბავშვს ფეხსაცმელი, ცოდოა. ეკონომიას გავაკეთებ, სიგარეტს ნაკლებს მოვწევ და დაზოგილი ფულით ბავშვებს დაეხმარე“.

## ფარაჯანოვის ბავშვობის ოცნება

სპარტაკ ბაღაშვილს სერგო ფარაჯანოვის უკრაინულ ფილმში „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ (1964 წელი) რომ იღებდნენ, იქ რამდენიმე ადგილობრივს დახმარებია. გადაღებები კარპატებში, ყველაზე მაღალ ადგილას იყო. იქ, რა თქმა უნდა, ხალხს მატერიალურად უჭირდა. თავიდან ფარაჯანოვს კინოსტუდიის ხელმძღვანელობისთვის რომ უთქვამს, სპარტაკ ბაღაშვილის გადაღება მინდაო, გაჰკვირვებიათ. აქ ამდენი მსახიობი გვყავს და იქიდან ამოგერჩია, რაღა ქართველზე შეაჩერე არჩევანიო. სერგოს უთქვამს: „მე რომ პატარა ბიჭი ვიყავი და „არსენა“ ვნახე, ბატონი სპარტაკი ძალიან შემიყვარდა. ქუჩაში უკან დავდევდი ხოლმე და ჩემთვის ვამბობდი, როცა რეჟისორი გავხდები, აუცილებლად გადავიღებ მას ჩემს ფილმში“.

ფარაჯანოვმა უკრაინიდან მამას ასეთი წერილი მოსწერა: „სპარტაკჯან, გეხვეწები, ჩამოდი, რა!“. შიგნით კი დეტალურად ეწერა, რომელ ფილმში და რა როლზე იწვევდა მას. მამას თანხმობის შემდეგ სერგო თბილისში ჩამოვიდა და მას სასინჯი ფოტოები გადაუღო. როცა ეს ფოტოები უკრაინაში ჩაიტანა, სამხატვრო ხელმძღვანელმა ფოტოს ხელი დაადო და თქვა, ნამდვილად ეს უნდა გადავიღოთო.

## უბრალოდ მამა

— მამას გადაღებებზე რამდენჯერმე მეც ვახლდი თან. ერთხელ ბაქოში ვიყავი და ერთხელაც — ყაზბეგში, როდესაც „ხევისბერ გოჩას“ იღებდნენ. დღეს მის ფილმებს რომ ვუყურებ, სულ ვტირი. როდესაც მამა გვერდით გყავს, მის სიდიდეს ვერ აცნობიერებ და როცა უკვე აღარ არის, გრძნობ, რა დიდი პიროვნება იყო. მისი გახსენებისას კი ყოველთვის ცრემლი გადგება... პატარაობაშიც და ახლაც მამაჩემის ეკრანული სახეებიდან ყოველთვის არსენას გამოვარჩევ ხოლმე. ეს როლი მთლიანად მასზე და მის ხასიათზე იყო მორგებული. სხვათა შორის, მცხეთაში თამარ აბაკელიას არსენას ძეგლი მამაჩემის გარეგნობის მიხედვით არის გაკეთებული.

მამა არდადეგების დროს მთელ ჩემს კლასს თეატრში გვატარებდა. ბილეთებს იძენდა და ყველანი ერთად დავდიოდით. ჩემი მეგობრები ახლაც იხსენებენ, როგორ ეპატიჟებოდა მათ. ჩვენს სკოლაში ძალიან ხშირად იმართებოდა მეორე მსოფლიოში ომში დაღუპულთა შვილების დასახმარებელი კონცერტები და მამა აუცილებლად მონაწილეობდა. ძალიან ხშირად შესვენებებზე მოდიოდა და ტკბილეული მოჰქონდა. თან მეტყოდა, კლასელებსაც გაუნაწილეო. მე ვბრაზდებოდი, რად მინდა, რომ მოაქვს, პატარა ხომ არ ვარ-მეთქი. ახლა ვხვდები,ამას რატომ აკეთებდა. და-ძმა არ მყავდა, ამიტომ ცდილობდა, სხვებზე ზრუნვა მესწავლა. უყვარდა, როცა ქალაქგარეთ მივყავდი და ღირსშესანიშნავ ადგილებს მათვალიერებინებდა. ხშირად ტაქსიში ჩამსვამდა და მცხეთაში მივდიოდით. მომატარებდა იქაურობას, თან პატარ-პატარა ისტორიებს მიყვებოდა.

სკოლაში სიარული რომ დავიწყე, წამიყვანა და ბიბლიოთეკაში ჩამწერა. იქ ჩემთან ერთად მოდიოდა და მირჩევდა, რა წიგნები წამეკითხა. პირველად მითოლოგია წამაკითხა. მისი სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის: „განათლებულმა ადამიანმა მითოლოგია კარგად უნდა იცოდეს!“. კითხვა თავადაც ძალიან უყვარდა. ბოჭორიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენ მეზობლად მსახიობი რეზო ხუბუა ცხოვრობდა. მასთან ხშირად დადიოდნენ ახალგაზრდა მსახიობები, მათ შორის — ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე და სხვები. ბატონი ოთარი იხსენებდა ხოლმე, რამდენჯერაც ბატონი სპარტაკის სახლს ჩავუვლიდი, ვხედავდი, რომ ფანჯარასთან იჯდა და წიგნს კითხულობდაო. მახსოვს, მამაჩემს ახალ როლს რომ მისცემდნენ, პირველ რიგში, ბიბლიოთეკაში წავიდოდა და ბევრ წიგნს წამოიღებდა. რა ეპოქაზეც იყო მომავალი ფილმი, მის შესახებ ყველაფერს გაეცნობოდა. ამის მერე იწყებდა ტექსტის სწავლას, კოსტიუმების შერჩევას.



■ კინოფილმი „ხევისბერი გოჩა“ სპარტაკ ბაღაშვილი — ხევისბერი გოჩა

## საყვარელ საქმეს შეწირული

— მამა 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. გადაღებაზე გაცივდა და მერე გაურთულდა. იმდროინდელ „ლეჩკომბინატში“ დააწვინეს, მაგრამ ექიმებმა ვერ გაუგეს, რომ ფილტვების ანთება ჰქონდა. პროცესი შორს წავიდა, გულზეც გადაუვიდა და ვერაფერი ვუშველეთ. 30 იანვარს გარდაიცვალა, კვირადღეს. ჩემს მეუღლეს ჰკითხა, რა დღეაო. რომ გაიგო, რა დღეც იყო, თქვა, კვირას წასვლა კარგიაო, რაღაც ჩაიღიღინა და მალევე გარდაიცვალა.

მომავალი წლის დეკემბერში მამას დაბადებიდან 100 წლისთავი სრულდება. წარმოიდგინეთ, რომ მისი სახელობის ქუჩაც კი არ არის თბილისში. არ ვიცი, მომავალ წელს ვინმე თუ აღნიშნავს ამ მრგვალ თარიღს. მე დიდად არ ვაქტიურობ და ვერც ვერავის ვაწუხებ. ერთხელ გურამ ლორთქიფანიძემ მიამბო, რომ დოდო აბაშიძის ძეგლთან ლიანა ასათიანი შეხვედრია. გურამს უთქვამს, რა კარგია, რომ დოდოს ძეგლი დგას და მისი სახელობის ქუჩაც არისო. ლიანას უპასუხია, კი, კარგია, მაგრამ სპარტაკ ბაღაშვილის სახელობის ძეგლი და ქუჩაც რომ იყოს, კარგი იქნებოდაო.

✓ თეონა კენჭიაშვილი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83



# „მეშინია, ჩემს ბიოლოგიურ დედას არ დავემსგავსო და არ გავლოთდე“

17 წლის გოგო ვარ. მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი ოჯახი და მშობლები მყავს, მაინც დარდიანი ვარ. ბოლომდე ბედნიერი ვერც ვერასოდეს ვიქნები, რადგან მძიმე წარსული მაქვს.

დავიბადე თუ არა, დედამ ჩემზე უარი თქვა. თუმცა, რატომ დაბადებისას? ალბათ ჩემზე მაშინვე თქვა უარი, როგორც კი ჩემი არსებობის შესახებ გაიგო. მისთვის მხოლოდ მძიმე, თავიდან მოსაშორებელი ტვირთი ვიყავი, ამიტომაც დამთმო და გამაშვილა. მამაზე აღარ ვლაპარაკობ, რადგან მას ალბათ ჩემი ხსენებაც არ უნდოდა.

შესანიშნავმა ადამიანებმა მიშვილეს. ორივე ძალიან მიყვარს. დარწმუნებული ვარ, რომ დამჭირდეს, გულს ამოიღებენ და მომცემენ. მათი უზომოდ მადლიერი ვარ. ნათესავებიც კი ხელისგულზე მატარებენ, მათ ძალიან ვუყვარვარ და ამ ყველაფერს ვაფასებ. ასეთი სიყვარულის გამო შეიძლება ეჭვიც არ გამჩენოდა, რომ ნაშვილები ვიყავი, მაგრამ მეზობლის ქალმა მითხრა, ვითომ წამოსცდა. დარწმუნებული ვარ, ეს გამიზნულად გააკეთა, რადგან დედაჩემს მუდამ ექიშპებოდა. ახლაც ძალიან შურს ჩვენი, ამას ყოველ წუთში ვგრძნობ.

სიმართლე რომ გავიგე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ დავითრგუნე. სიცოცხლეც აღარ მინდოდა. გაორებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ღამეებს ტირილში ვატარებდი, გამზრდელი მშობლების დანახვა არ მსურდა. ვერ ვამხელდი, რომ სიმართლე ვიცოდი. მერე კი დეიდას ვუთხარი, ასეთი რაღაც გავიგე და მართალია თუ არამეთქი. მან საჭიროდ ჩათვალა, ჩემი მშობლებისთვის ეთქვა. მთელი ოჯახი, მშობლები, ნათესავები შეიკრიბნენ და ჩემი დაბადების და შვილად აყვანის ისტორია მიამბეს. მითხრეს, ახლა შენი გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევი, მშობლებს ამაგს დაუფასებ თუ არა, კარგად იცი, რომ ჩვენ ძალიან გვიყვარხარ და არასოდეს არაფერი დაგვიკლია შენთვისო. მართლები იყვნენ. მადლობის მეტი რა უნდა მეთქვა მათთვის? იმ დღის შემდეგ დავწყნარდი და ჩემს მდგომარეობას შევეგუე. ჩემი და მშობლების ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა და არც არასოდეს შეიცვლება, რადგან ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

ახლა იმ პრობლემას მივადექი, რამაც ეს წერილი დამაწერინა. აღმოჩნდა, რომ ჩემი ბიოლოგიური დედა ლოთია. სავარაუდოდ, არც მამა არის ნორმალური. მშობლებმა ბიოლოგიური დედა შორიდან მაჩვენეს, მაგრამ მასთან მისვლა არ მომინდა. ყველაფერს გავიღებდი იმისთვის, რომ იმ ქალთან არაფერი მქონდეს საერთო, მაგრამ... მას შემდეგ, რაც სიმართლე გავიგე, დედა სულ მეუბნება, შენ მიმართ მკაცრი იმიტომ ვიყავი და ვარ, რომ გენეტიკამ არ იმძლავროს და დედაშენივით გზას არ ასცდეო.

ერთხელ მეგობრები შევიკრიბეთ და ცოტა დავლიე. მშობლებმა რომ შენიშნეს, ნასვამი ვიყავი, ისტერიკაში ჩავარდნენ. მითხრეს, ხომ იცი, რომ დედაშენი გალოთებულია, შენც იგივე არ დაგემართოს, სასმელს არ გაეკაროო. იმის შემდეგ სასმელის სუნისაც კი მეშინია. სულ ის მიტრიალებს თავში, რომ შეიძლება მეც ბიოლოგიურ დედას დავემსგავსო და რაღაც ცუდი ჩავიდინო. ამაზე რომ ვფიქრობ, ზოგჯერ ისეთი შიში ამიტანს, რომ ღამეებს თეთრად ვათენებ.

მირჩიეთ, როგორ დავიცვა თავი ცუდი გენეტიკისგან. მართლა მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიურ დედას დავემსგავსო და გავლოთდე? გთხოვთ, არ დაიზაროთ და რჩევა მომეცით!

*„სარკის“ მკითხველი*

# „მეგობრის საიდუმლო გავთქვი“

სამი დაქალი ვართ, ერთთან კი განსაკუთრებით ახლოს ვარ. ის ძალიან მენდობოდა და ამბობდა, მეგობრებში ყველაზე მეტად შენ მიყვარხარო. ჩემთან ყველაფერს ლაპარაკობდა. ერთ დღეს კი თავისი საიდუმლო გამანდო. გამაფრთხილა, რომ არავისთვის მეთქვა. მე კი სხვა დაქალებთან ლაპარაკის დროს წამომცდა და მისი საიდუმლო გავთქვი.

რასაკვირველია, მეგობარმა ეს გაიგო და ძალიან გამიბრაზდა. მითხრა, შენგან ამას არ მოველოდი, თურმე ცუდი ადამიანი ყოფილხარო. თავი იმით ვიმართლე, რომ ჩვენს საერთო მეგობრებს ვუთხარი, თუმცა დაქალი მართალი აღმოჩნდა. ჩვენმა საერთო მეგობრებმა საიდუმლო ვერ შეინახეს და სხვებთან ილაპარაკეს. ასე რომ, ის ამბავი, რისი გამხელისაც ასე ეშინოდა მეგობარს, დღეს უამრავმა ადამიანმა იცის და ამაში დიდი წვლილი მე მიმიძღვის. ახლა ვნანობ და დაქალს ბოდიშსაც ვუხდი, მაგრამ ამას აზრი აღარ აქვს. სიტყვებს უკან ვერ დავიბრუნებ. მეგობარს საჯაროდ ვუხდი ბოდიშს, რომ ასე ვანერვიულე. მეც ვერ ვხვდები, ასე რატომ მოვიქეცი.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

# „არ ვიცი, მამას ვუთხრა თუ არა, რომ მის დას ქმარი სცემს“



15 წლის ვარ. რაიონში დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი ყოფილი მოჭიდავეა და ჩვენს ოჯახში სულ სპორტზეა საუბარი. მამას მეგობრები ჩვენთან ხშირად იკრიბებიან და სულ ამ თემაზე ლაპარაკობენ. თავიდან მეც ჭიდაობაზე დავდიოდი, მაგრამ მერე ფეხბურთმა უფრო გამიტაცა. მის გარეშე არ შემიძლია. ამიტომ მამა რაიონში მატარებდა სპორტსკოლაში. მერე ოჯახმა გადაწყვიტა, თბილისში წამოვსულიყავი, რომ ფეხბურთი უკეთესად მეთამაშა და მეტი პერსპექტივაც მქონოდა. მამიდასთან ჩამომიყვანეს, რომელიც ქმარშვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს.

მამიდა მთელ ჩვენს ოჯახს ძალიან გვიყვარს. დედაჩემი ხშირად ამბობს, დასავით მყავსო. შეუძლებელიც არის, არ გიყვარდეს, ისეთი თბილი და კარგი ადამიანია. ჩვენთან ხშირად ჩამოდის და მისი მოსვლა ყველას სიხარულით გვავსებს. მე პირველი ძმისშვილი ვარ და განსაკუთრებულად ვუყვარვარ. სულ მეუბნება, შვილებზე ნაკლებად არ მიყვარხარო და ამას ყოველ წუთში ვგრძნობ. მოკლედ, მამიდასთან რომ ჩამომიყვანეს, ძალიან გამიხარდა. ვიცოდი, რომ ის უცხოობას არ მაგრძნობინებდა. ბიძასთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. ის კარგი, მხიარული ადამიანი ჩანდა, თურმე ასე არ ყოფილა.

თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე ბიძაჩემმა ნამდვილი სახე გამოაჩინა. ერთ საღამოს მამიდა ჩემ თვალწინ სცემა. ამან ისე გამაგიჟა, სახლიდან გავიქეცი. ბიძას ვერც ვერაფერი ვუთხარი, უფრო სწორად, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ იქაურობას გავცლოდი. მეგონა, იმ დღეს ცოტა ნასვამი რომ იყო, იმიტომ აერია ტვინი, მაგრამ ეს რამდენჯერმე განმეორდა. მამიდა უკვე ჩემთანაც ვერ იკავებს თავს და ტირის. ამაზე ვგიჟდები! ახლა ვფიქრობ, რატომ არაფერს გვეუბნებოდა. ვურჩევ, რომ გაშორდეს, მაგრამ ამბობს, შვილებს უმამოდ ვერ გავზრდიო. ჩემი მამიდაშვილები პატარები არიან და ჯერ ვერ ხვდებიან, ცუდი მამა რომ ჰყავთ. მათ მხოლოდ კანფეტები და თამაში აინტერესებთ.

მამიდა მეუბნება, ბიძაშენს ყურადღებას ნუ მიაქცევ, გული კეთილი აქვს, უბრალოდ ფიცხიაო. ამ სიფიცხეში თუ მოკლა, მერე გვიანი იქნება. მე მერიდება, რამე ვუთხრა, რადგან მეძმაკაცება. თავის მეგობრებში დავყავარ, ფეხბურთზე მაკითხავს, მგულშემატკივრობს. ამბობს, ჩემი ოცნებაა, დიდი ფეხბურთი ითამაშოო. ყველანაირად კარგი კაცია, მაგრამ ვერ ვხვდები, მამიდას რას ერჩის. პატივს სცემს, არაფერს აკლებს და რატომ უნდა ურტყამდეს?! რა უფლება აქვს?!

ვერ გადამიწყვეტია, მამას და პაპას ვუთხრა თუ არა ეს ამბავი. ბიძაჩემი ვინმემ თუ არ შეაჩერა, შეიძლება მართლა მოკლას. ან, თუნდაც ამის საშიშროება რომ არ იყოს, ქალზე ხელი რატომ უნდა ასწიოს?! მხოლოდ ის მაშინებს, მამაჩემი სიმართლეს თუ გაიგებს, შეიძლება მოკლას. და ისე უყვარს, მის დაჩაგვრას მართლა არ აპატიებს.

ცუდ მდგომარეობაში ვარ, გადაწყვეტილების მიღება მიჭირს. აღარ ვიცი, მამიდას როგორ დავეხმარო.

*თქვენი მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს–ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს–ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

# „დედის გამო ნუ შეგრცხვება“

„სარკის“ 43-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მეგობრებს ვერ ვუმხელ, რომ დედაჩემი მესამედ გათხოვდა“.

მე ალბათ დედაშენის ტოლი ვარ, რადგან შენხელა შვილები მყავს. ამ სტატიამ ჩემი ბავშვობა გამახსენა და ამიტომაც მინდა, ხმა მოგაწვდინო, დაგამშვიდო და გითხრა, რომ დედის გამო არ შეგრცხვეს. ის დამოუკიდებელი პიროვნებაა და უფლება აქვს, პირადი ცხოვრება ისე მოიწყოს, როგორც თავად სურს.

შენი ტკივილი ჩემთვის კარგად არის ნაცნობი. მეცხრეკლასელი გოგო ვიყავი, დედაჩემი მეორედ რომ გათხოვდა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო, მით უმეტეს, რომ მამასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. თანაც ჩემი მშობლები სულ რაღაც ორი წლის გაშორებულები იყვნენ და დედას გვერდით სხვა კაცი ვერ წარმომედგინა. მახსოვს, მის მიმართ როგორ გავცივდი, რა საშინელ სიტყვებს ვეუბნებოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მე არ ვუყვარდი და ის კაცი მთელ ქვეყანას ერჩივნა.

ახლა დედა ვარ და კარგად ვხვდები, რომ მწარედ ვცდებოდი. დედა სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო, სულ რაღაც 38 წლის და უფლება ჰქონდა, თავისი ცხოვრება მოეწყო. მე კი მას ბედნიერებას ვუკრძალავდი.

საბედნიეროდ, ჩვენი ურთიერთობა დალაგდა. დედაჩემის ქმარი შესანიშნავი კაცი აღმოჩნდა. დღესაც ერთად არიან და თავს კარგად გრძნობენ. ახლა ვერც კი წარმომიდგენია, დედა მარტო იყოს და გვერდით არავინ ჰყავდეს. ასე რომ, ჩემო პატარა მეგობარო, დედის საქციელს შეურაცხყოფად ნუ მიიღებ, გაუგე და მეგობრებისაც არ მოგერიდოს. ვინც ვერ გაგიგებს, ჩათვალე, რომ ის შენი მეგობარი არც უნდა იყოს.

*შენი კეთილისმსურველი, „სარკის“ მკითხველი*

# „ახალი კლასელები მეც მტრულად შემხვდნენ“

„სარკის“ 43-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „ახალ კლასელს ცუდად ვექცეოდით, ის კი თურმე დიდ ტკივილს ატარებდა“. მერვეკლასელი გოგო ვარ და წელს მეც სხვა სკოლაში გადავედი, რადგან საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ. მშობლებმა შემომთავაზეს, თუ გინდა, შენს სკოლაში იარეო, მაგრამ მათი თანხები დავზოგე, რადგან ტრანსპორტით უნდა მევლო. ახლა კი ვნანობ, რომ სხვა სკოლაში გადავედი, რადგან ახალი კლასელები მტრულად შემხვდნენ.



სულ ვფიქრობ, ეს რატომ მოხდა, ახალი კლასელები რითი გავანაწყენე, მაგრამ მიზეზს ვერ ვპოულობ. მათთვის არაფერი დამიშავებია ან რას დავუშავებდი, როცა სულ რამდენიმე კვირაა, რაც ვიცნობ. ისინი კარგად რომ მიცნობდნენ, ასე არ მომექცეოდნენ. ყველა უნდა დაფიქრდეს, იქნებ როგორ ადამიანს აყენებენ შეურაცხყოფას, იქნებ მის უკან როგორი პიროვნება იმალება, ჯერ გაიცანი და მერე თქვი მასზე რამე. ასე თუ გაგრძელდა, სკოლას ისევ შევიცვლი და ძველ კლასელებს დავუბრუნდები.

*„სარკის“ მკითხველი*

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


ტრიგანი-დ




ტრიგანი-დ

ტკივილგამაყუჩებელი საშუალება

შეიცავს: პარაცეტამოლი 500 მგ დიციკლომინის ჰიდროქლორიდი 20 მგ

გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, თავის ტკივილის და ტკივილით მიმდინარე მენსტრუალური ციკლის სამკურნალოდ.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

აფთიაქი TITANI

ტიტანი გისურვებთ ჯანმრთელობას!

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 238-28-40; 238-88-71; 231-11-32;

# „დები ღლონტებისგან თავი უნდა დავიხსნათ!“

მსახიობური ტანდემი — თამუნა ნიკოლაძე და თათული ედიშერაშვილი — უკვე წლებია გადასაღებ მოედანზე დგას. სერიალიდან დებ ღლონტებად ცნობილ წყვილს ცხოვრებაშიც დიდი სიახლოვე — ნათელმირონობა აკავშირებთ, თამუნა თათულის უფროსი გოგონას, ნანიკოს ნათლიაა. მეგობრებმა ერთად ბევრი ეტაპი გამოიარეს.

ახლა ისინი ისევ ერთად გამოჩნდნენ ეკრანზე და ისევ სერიალში. ამჯერად მათი გმირები, ნათია და ნათია, დები კი არა, მოქიშპე რძლები არიან.

„სარკე“ თამუნას და თათულის გადასაღებ მოედანზე შეხვდა. ინტერვიუ ექსკლუზიურია, მათ დიდი ხანია პრესასთან არ უსაუბრიათ.

**— თამუნა და თათული, ახალ სერიალშიც ერთად ხართ. იმდენი წელი გაქვთ გადასაღებ მოედანზე „წყვილში“ გატარებული, ალბათ ერთმანეთის უსიტყვოდ გესმით.**

**თამუნა**: სანამ გიპასუხებთ, გეტყვით, რომ დიდი ხანია, რაც არავისთვის მიგვიცია ინტერვიუ და მკითხველს არ შევხვედრივართ. მე და თათული ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტიდან მოყოლებული ვმეგობრობთ, ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ, თამამად ვიტყვი, რომ ერთმანეთის ფავორიტები ვართ. თათულიმ სადიპლომო ნამუშევარში მნახა, მე კი საკურსოში აღმოვაჩინე. სერიალში „შუა ქალაქში“ 4 წელი ვიყავით ერთად.

**თათული**: ასე ახსოვს ყველაფერი. ალბათ ის თარიღიც ეცოდინება, თქვენთან პირველი ინტერვიუ როდის ჩაწერა.

**თამუნა**: მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ პაუზა არ გვქონია, როგორც კი სერიალმა „შუა ქალაქში“ ჩვენთან ურთიერთობა შეწყვიტა, ძალიან მალე, ერთ თვეში, „რუსთავი 2“-მა აგვიყვანა ახალ სერიალში „ალუბლების ქუჩა“, მერე „კომედი არხზე“ ვიყავით და პატარ-პატარა კომედიური მინიატურები ვაკეთეთ. შემდეგ, ძალიან მოულოდნელად და ჩვენდა გასახარად, „რუსთავი 2“-მა და „ფორმულა კრეატივმა“ მიგვიწვია სერიალში „ნათია და ნათია“.

**თათული**: მთელი ეს წლები ამ დოზით ოჯახის წევრებს ვერ ვნახულობ, როგორც თამუნას ვხედავ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთი არ მოგვბეზრებია და ეს ორივეს ძალიან დიდი დამსახურებაა. ასევე იმ ადამიანების დამსახურებაცაა, რომლებიც სერიალებში ერთად გვაკავებენ. ფანტასტიკური რამეა, როცა შენი პარტნიორი შენი მეგობარია, ეს ძალიან დიდი კომფორტია.

**თამუნა**: „ნათიამ და ნათიამ“ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ძალიან გავიზარდეთ. არ არსებობს ქალის სტატუსი, რაც სერიალებში მე და თათულის არ გვქონია. დებიც ვიყავით, რძალ-მულიც, ახლა კი რძლები ვართ. ცხოვრებაში კი კარგი მეგობრები, ნათესავები ვართ.

**— თქვენი შესრულებული როლებიდან რეალურ ცხოვრებაში რომელში უფრო კომფორტულად იგრძნობდით თავს?**

**თათული**: სერიალში სხვანაირ დებს ვთამაშობდით. რეალურ ცხოვრებაში რომ ვყოფილიყავით დები, თავს კარგად ვიგრძნობდით, მაგრამ სხვანაირი დები ვიქნებოდით. რძალ-მულიც სხვანაირი ვიქნებოდით და რძლებიც.



**თათული: „თამუნა როცა შეყვარებულია, ეს პირველმა მე ვიცი“.**

**თამუნა**: მე და თათული ერთ რაღაცას მივხვდით: ცხოვრებაში თუ კარგი ადამიანი, დამთმობი, განათლებული ხარ, ინტელექტი გაქვს და ადამიანების სიყვარული შეგიძლია, ყველაფერი კარგისკენ შებრუნდება. ჩვენმა გმირებმა ჩვენ ცხოვრება გვასწავლეს.

**— მაყურებლებმა დები ღლონტების როლით გაგიცნოთ და დღემდე ასე გიწოდებენ. ეს მოგწონთ თუ ამ სტერეოტიპის დანგრევას ცდილობთ?**

**თათული**: იმ ღლონტებს თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ და ცოტა ხანი დავასვენოთ. მე და თამუნა ისევ ერთად ვართ და საფრთხე იმისა, რომ რაღაცეები განმეორდეს, რეალურად მართლა არსებობს, უბრალოდ ამისგან თავი ჩვენ უნდა დავიხსნათ პროფესიული შესაძლებლობებით.

**— გაგიჭირდათ ღლონტების როლიდან გამოსვლა?**

**თათული**: მგონი, ეს მაყურებელს უფრო გაუჭირდა, ვიდრე მე და თამუნას. ეს ძალიან კარგია, ეს დიდი სიყვარული, მონატრებაა.

**— რეჟისორებიც ერთად გიწვევენ სათამაშოდ. მათაც ვერ დააღწიეს თავი „ღლონტებს“?**

**თათული**: ალბათ ფიქრობენ, რომ ჩვენ ორნი, ერთად აღებული, მათთვის კარგი პროდუქტი ვართ.

**თამუნა**: რეჟისორები ჩვენთან ერთად თავს კარგად გრძნობენ. თუ რეჟისორს თავი კომფორტულად არ აგრძნობინე, არ დაგიძახებს, არც სცენარს დაგიწერენ და არც არავის მოუნდები. სამსახურში ძალიან დამთმობი და თავმდაბალი უნდა იყო. არათავმდაბლობით და ამბიციებით სახლში სხედან.

**— სერიალი „ალუბლების ქუჩა“, სადაც თქვენ თამაშობდით, ძალიან მალე დასრულდა. მგონი, წარუმატებელი პროექტი აღმოჩნდა, არა?**

**თათული**: ასე ნამდვილად ვერ ვიტყოდი. უბრალოდ, სერიალს ასეთი სპეციფიკა აქვს, რამდენიმე სერიის შემდეგ იქოქება, მას ეს არ დასცალდა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიც დაემთხვა, ამიტომ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ის წარუმატებელი იყო. რა თქმა უნდა, ვიღაცას არ მოსწონდა, ვიღაცას მოსწონდა...

**თამუნა**: მახსოვს, მე და თათულიმ „შუა ქალაქში“ 400 სერია ვითამაშეთ, „ალუბლების ქუჩაში“ კი — 15. „ნათია და ნათიაში“ ალბათ დიდხანს ვიქნებით.

**— რა მოლოდინი გაქვთ ახალ სერიალთან დაკავშირებით?**

**თამუნა**: „ნათია და ნათია“ უკვე შემიყვარდა, აქ მოსვლა ძალიან მიხარია. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ აქ გემოვნებიანი ადამიანები დაგვხვდნენ, ახალ სკოლას და ახალ ეტაპს გავდივართ.

**— მთელი საქართველო დები ღლონტების ტერმინოლოგიით საუბრობდა. მოგიტანთ თუ არა ეს სერიალი ისეთივე პოპულარობას?**

**თათული**: ჩვენ მაყურებლის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა გვაქვს, ურთულესი გამოწვევის წინაშე დაგვაყენეს, რომ ის სიყვარული, რაც მოვიპოვეთ, არ წავიდეს და იმედგაცრუებულები არ დარჩნენ. ეს ძალიან საპასუხისმგებლოა, მაგრამ ჩვენთან ერთად ამ სერიალს ძალიან პროფესიონალი, ნიჭიერი, გემოვნებიანი ადამიანები აკეთებენ.

**თამუნა**: ამბობენ, რომ, პირველ რიგში, თეატრი გზრდის და მერე — ტელევიზია. მე ვიტყვი, რომ ამ სერიალში ძალიან ბევრი ახალი ხერხი, სტილი, მიდგომა აღმოვაჩინეთ. რეჟისორი რასაც მთხოვს, თვალდახუჭული ვაკეთებ. სხვათა შორის, მხატვარსაც ვენდობი. როცა მეუბნება, საყურე არ გაიკეთოო, არ ვიკეთებ. საქმეში წარმატების 90 პროცენტი ნდობა და რწმენაა.

**— გადასაღები მოედნის გარეთაც ხშირად ხართ ერთად?**

**თამუნა**: ჩემი და თათულის ოჯახის წევრებს ჰკითხეთ, მათ როდის ვხედავთ.

**თათული**: მე და თამუნა უფრო ხშირად ვხედავთ ერთმანეთს, ვიდრე სხვებს.

**თამუნა**: ვერც ერთ ჩემს მეგობარს ვეღარ ვნახულობ, გარდა თათული ედიშერაშვილისა. სულ ორი წუთის წინ თათულის გადასაღებ მოედანზე ვეუბნებოდი, მე რა ნოტზეც ვიწყებ ლაპარაკს, იმ ნოტით აგრძელებ-მეთქი. რა განწყობითაც იწყებს თათული დღის რეჟიმს, ისე ვაგრძელებ მეც.

**თათული**: აქ უცხო ადამიანების ჯგუფია, ახალი ურთიერთობები იწყება, ამ ახალ და უცხო გარემოში ყველაზე მშობლიური ჩემთვის თამუნაა. თვალებით სულ მას ვეძებ.

**თამუნა**: საერთოდ, ჩემზე ლაპარაკს რომ იწყებენ, თათულის თვალები უცრემლდება, ჩემ მიმართ ძალიან მშობლიური განცდა აქვს.

**— თათული, თამუნა ეკრანზე ძალიან მხიარული, ენერგიული და ცქრიალა გოგოა. ცხოვრებაში როგორია?**

**თათული**: თამუნა ჩემი ცხოვრების პანტერაა. ამ გოგოში ყველაფერია, ოღონდ კარგი. მის მშობლებს, ნანას და სოსოს, მასში კარგი დიდი დოზით აქვთ ჩადებული.



Cyan Magenta Yellow Black

**თამუნა**: ჩემი გაბრაზება ძალიან იოლია, მაგრამ შემორიგებაც არ არის ძნელი.

**— ალბათ გარკვეულ საკითხებში თქვენი შეხედულებები განსხვავდება კიდეც და კამათიც მოგდით.**

**თათული**: რაღაცეებზე, რა თქმა უნდა, გვიკამათია. არ გეგონოთ, რომ ერთმანეთს სულ ვაქებთ. ჩვენ მართალი ურთიერთობები გვაქვს, გვიკამათია კიდეც. რაღაცეებიც გვწყენია ერთმანეთისგან, მაგრამ ოჯახის წევრისგანაც რაღაც ხომ გვწყინს? ეს მართალი ურთიერთობა მახარებს და არა ის, რომ მხოლოდ კარგად ვიღუღურტულოთ და ვიჭორაოთ.

**თამუნა**: ამ მართალმა ურთიერთობამ მოიტანა, რომ ამდენი წელია ერთად ვართ. ამას ხალხი ძალიან კარგად ხედავს. სხვანაირად ჩვენთან ამდენი სტუდია, ამდენი ადამიანი ვერ ითანამშრომლებდა. ვამაყობ, რომ ყველა სამსახურში მიმიხარია მისვლა.



**— თამუნა, თათულის ეკრანზე ძალიან მკაცრი იმიჯი აქვს, ცხოვრებაშიც ასეთია? გამიკვირდა, წეღან თქვენზე საუბრისას რომ თვალები აუცრემლდა.**

**თამუნა**: თათული ძალიან სამართლიანი ადამიანია. ცოტა კახურად უყვარს რაღაცეების თქმა და შეიძლება ამაში სიმკაცრე ჩანდეს, მაგრამ ეს სიმართლეა და არა — სიმკაცრე.

**— ცხოვრების ბევრი ეტაპი ერთად გამოიარეთ. თათული გათხოვდა და ორი შვილის დედაა. თამუნა, თქვენი მეგობარი დედობამ ძალიან შეცვალა?**

**თამუნა**: თათულის და მე ერთნაირი ცხოვრება გვაქვს. მართლა ძალიან ვგავართ ერთმანეთს — ცხოვრების სტილით, მსოფლმხედველობით, შეფასებებით. ცხოვრებაში მხოლოდ ის მაკლია, რომ მყავდეს შვილები და თათულისნაირი დედა ვიყო.

**— ამ დანაკლისის შევსებას მალე აპირებთ?**

**თამუნა**: ამ ეტაპზე — არა. იმიტომ კი არა, რომ დრო არ მაქვს, როცა ძალიან შემიყვარდება, როცა ჩემი ცალი და ცხოვრების მეორე ნახევარი იქნება, აუცილებლად შევქმნი ოჯახს, რატომაც არა!

**— ხშირად მეგობრები უბიძგებენ ხოლმე ქალს გათხოვებისკენ. თათული, თქვენ ურჩევთ თამუნას ოჯახის შექმნას?**

**თათული**: საერთოდ თამუნასთან ეს თემა დავიწყებული მაქვს, რადგან ჩემზე უკეთ იცის, როდის უნდა სიყვარული და როდის უყვარს. როცა შეყვარებულია, ეს პირველმა მე ვიცი ხოლმე.

**თამუნა**: თუ არ იცის, მატყობს, თვალებით ვიყიდები.

**თათული**: ამაზე ზედმეტი ჩიჩინი და კითხვები არ სჭირდება, ისედაც მეტყვის. რჩევა ერთმანეთისთვის გვიკითხავს, მაგრამ, რატომ არ თხოვდებიო, ამას ვინც კითხულობს, იმან, ჯობს, თავის ცხოვრებას გადახედოს!

**თამუნა**: სხვათა შორის, ამ კითხვას არავინ მისვამს, რადგან ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს.

**— თამუნა, ისე გატყობთ, სამსახურს, კარიერას უფრო მეტ ყურადღებას უთმობთ, ვიდრე პირადს.**

**თამუნა**: მთელი ჩემი ცხოვრების 90 პროცენტი ასე მომიწია. არ ვიცი, ეს ბედია, იღბალია თუ ყველაფერი ერთადაა. უფალმა ჩემი ცხოვრება ასე მოაწყო, რომ მეტი წილი უფრო ჩემს კარიერას და პროფესიულ წინსვლებს დავუთმე.

**— როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი რეალური დედის ამპლუაში?**

**თამუნა**: როცა შვილი მეყოლება, სიამოვნებით ვისწავლი, თათულისნაირი დედა როგორ გავხდე. ეს გოგო ყველაფერს ახერხებს. დილის 7 საათზე მაკიაჟით გადასაღებ მოედანზე ვდგავართ, შემდეგ გარბის, რომ ბავშვს აჭამოს, დაბანოს, გაასეირნოს, სადილი გააკეთოს. თათული ძალიან საამაყო ადამიანია. მსახიობობა მხოლოდ ის არ არის, ეკრანზე და სცენაზე იყო კარგი. ოჯახშიც ძალიან მაგარი ქალი უნდა იყო და თათული ასეთია.

ძალიან მაგარი რაღაც თქვა ნანიკომ, ჩემმა ნათლულმა, სულ გამაჟრიალა. მე და თათული სერიალის პრომოში რომ გვნახა, სადაც ვამბობთ: „მე ნათია ვარ, არა მე ვარ ნათია, მე ვარ ნათია“, თურმე ამ დროს ნანიკოს უკითხავს, უი, ორი დედააო.

**თათული**: ორივე დედიკოაო, იკითხა. სხვათა შორის, თამუნას ბევრი ანდობს თავისი შვილის გაქრისტიანებას და ეს ძალიან მაგარია. როცა შენს შვილს ნათლიას ურჩევ, ეს სწორად და ძალიან გონივრულად უნდა გააკეთო.

**თამუნა**: ცხოვრებაში შენი მეორე ნახევარი ხომ უნდა იპოვო? მეგობრებშიც უნდა იპოვო. ასე ნაპოვნი სულ რამდენიმე მყავს. მათ შორის ერთ-ერთი თათულია.

✓ ეკა ლემონჯავა

**თამუნა: „თათული რა ნოტზეც იწყებს ლაპარაკს, მეც იმ ნოტით ვაგრძელებ... ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს – ცხოვრების სტილით, მსოფლმხედველობით, შეფასებებით“.**

# მაია ტურიაშვილის დედისერთა ბიჭი ოჯახში ავტონომიას ითხოვს

კინორეჟისორ ზაზა ბუაძისა და მსახიობ მაია ტურიაშვილის ერთადერთმა შვილმაც, ლევანმა, მშობლების გზა აირჩია. ჯერ სამსახიობოზე ჩააბარა, მერე რეჟისორობამ გაიტაცა, კინოსარეჟისორო დაამთავრა. სამი არტისტის ცხოვრება ერთ ჭერქვეშ მარტივი არ არის, ზოგჯერ ქალბატონი მაია შვილს ებუტება კიდეც, მაგრამ ლევანმა ორი ჯადოსნური სიტყვა იცის, რითიც დედის გულს იოლად ალბობს.

ლევანი რამდენიმე ხნის წინ კომედიურ სერიალში „ჩვენი ამბავი“ გამოჩნდა. დედას, მამისგან განსხვავებით, შვილის მიმართ ობიექტურობის გამოჩენა უჭირს. ბატონი ზაზა კი შვილს სწორ რჩევებს აძლევს. ის ამჟამად უკრაინაში მუშაობს, რის გამოც დედა-შვილს მის გარეშე ყოფნა უწევთ. ქალბატონი მაია ქმართან ხშირად ჩადის უკრაინაში. იქიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა და შვილთან ერთად „სარკეს“ სიამოვნებით ესაუბრა.

**— ქალბატონო მაია, თქვენ შესახებ დიდი ხანია არაფერი გვსმენია. რა ხდება ამჟამად თქვენს შემოქმედებაში?**

**მაია**: ამჟამად ხელოვნების გიმნაზიაში მეტყველებისა და სამსახიობო ოსტატობის პედაგოგად ვმუშაობ. კარიერაში რაღაც სიახლეები მაქვს, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ არ მინდა.

**— დედა-შვილი ერთმანეთს ყველაფერში უგებთ თუ არის საკითხები, რაშიც ვერ თანხმდებით?**

**მაია**: მე და ლევანი ხასიათით ერთმანეთს ძალიან ვგავართ, უბრალოდ სხვადასხვა თაობას მივეკუთვნებით და აზრთა სხვადასხვაობაც გვაქვს. შემოქმედებით საკითხებზეც ვკამათობთ, რაც ბუნებრივია.

**— ერთ ოჯახში სამი არტისტი როგორ თავსდებით?**

**ლევანი**: რთულია, რადგან ყველას თავის გემოზე უნდა ცხოვრება.

**— თქვენს გემოზე ცხოვრებაში ხელს რა გიშლით?**

**ლევანი**: მიუხედავად იმისა, რომ დედა საერთოდ არ ერევა ჩემს საქმეში, ჩემი სახლი მინდა, რომ დამოუკიდებ-

→32

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

ლად ვცხოვრობდე.

**მაია**: როცა ადამიანი სრულწლოვანი, განათლებულია, თან საკუთარი ფინანსებიც აქვს, ბუნებრივია, თავისი ბუდე უნდა და ეს მისასალმებელია.

**— ქალბატონო მაია, ლევანის პროფესიის არჩევაში, რა თქმა უნდა, მშობლების გავლენა დიდი იყო, არა?**

**მაია**: ლევანმა ისე ჩააბარა თეატრალურში, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ეს პროფესია ძალიან მიყვარს და მინდოდა კიდეც, ლევანს მსახიობობა აერჩია, თუმცა ისიც კარგად მესმის, ეს რამდენად რთული საქმეა, მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც თეატრის აგენტის ინსტიტუტი არ არსებობს, რომელიც მსახიობებს რაღაცეებს შესთავაზებს. კინოში კიდევ რაღაც სასიკეთო ძვრები იგრძნობა, თეატრში — არა.

**— თეატრი ძალიან გენატრებათ?**

**მაია**: რა თქმა უნდა, თეატრი მენატრება. ძალიან დიდი ხნის წინ მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი, მერე სხვა თეატრებშიც ვმუშაობდი, მაგრამ... დიდი შემოქმედებითი პაუზა გამომივიდა.

**— საქმეს თქვენც ხომ არ დააკელით აქტიურობა?**

**მაია**: ამ დროს ან შენ თვითონ უნდა იყო ისეთი ადამიანი, რომ კარდაკარ დაიწყო სიარული და სამსახური მოიპოვო, ან შემოთავაზება უნდა გქონდეს. შემოთავაზება კი დიდი ხანია, არ მქონია.

რამდენიმე თვის წინ კინო-ტელე საპროდიუსერო განხრით მაგისტრატურა დავამთავრე. ახალი პროფესია შევიძინე. შეიძლება ეს სწორედ იმიტომ გავაკეთე, რომ საქართველოში აგენტის ინსტიტუტი არ არსებობს.

**— ლევანს ალბათ პროფესიულ რჩევებს აძლევთ. ითვალისწინებს?**

**მაია**: მაგიდაზე მუშტს არასოდეს ვარტყამ და მბრძანებლური ტონით არასოდეს ველაპარაკები. თუ რაიმეს შემეკითხება, შეიძლება ჩემი აზრი გამოვთქვა. ეს მისთვის რამდენად მისაღები იქნება, უკვე ლევანის საქმეა. ასაკთან ერთად ღირებულებების გადაფასება ხდება და ეს გზა აუცილებლად უნდა გაიარო.

**ლევანი**: არავის რჩევას ვითვალისწინებ და არც ვფიქრობ, რომ ვინმეს რჩევა უნდა გავითვალისწინო. ჩემი საქმისა მე ვიცი. დარწმუნებული ვარ, დედას ჩემთვის ყოველთვის კარგი უნდა, მაგრამ ყველაზე კარგი ჩემთვის რა იქნება, ეს ჩემზე კარგად არავინ იცის. ეს დედაჩემს არ სწყინს.

**მაია**: ლევანის დედობა არ არის რთული. გადაწყვეტილებებს მეც ყოველთვის ჩემით ვიღებ, თუმცა რჩევა შეიძლება გავითვალისწინო. მე და ჩემი მეუღლე ძალიან კარგი მეგობრები ვართ. მისგან ბევრი რამ ვისწავლე.

**ლევანი**: სამწუხაროდ, დამჯერი შვილი არ ვარ. მე და დედას მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, თუმცა ერთმანეთის საქმეებში ნაკლებად ვერევით. მამაჩემი კი ერთადერთი ადამიანია, რომელიც ობიექტურად მიდგება და ყველა შენიშვნას მეუბნება.

**მაია**: როცა ლევანი მაბრაზებს, ვებუტები.

**— ლევან, როგორ ირიგებთ გაბუტულ დედას?**

**ლევანი**: არ ვირიგებ. ვცდილობ, დავარწმუნო, რომ უაზროდ ბრაზდება.

**მაია**: „დედა, მიყვარხარ“ — ამ სიტყვებს ხშირად მეუბნება. არ ვიმჩნევ, რომ ამის გაგონებაზე გული მილბება. ლევანს ფეთქებადი ხასიათი აქვს, რასაც ვერ ვიტან. ჩხუბი და ყვირილი არ მიყვარს, მშვიდად მირჩევნია, ვუთხრა, რომ მომისმინოს. მე ჩუმად ვბრაზდები, ლევანმა კი ყვირილი იცის, ამიტომაც ვებუტები.

**— ქალბატონო მაია, ლევანის მექალთანე გმირში სერიალიდან „ჩვენი ამბავი“ თქვენს შვილთან რაიმე მსგავსებას ხედავთ?**

**ლევანი**: დედა, ახლა არ გამაგიჟო, მგავს ჩემი გმირი?! საერთოდ არ ვგავართ ერთმანეთს! სერიალში მექალთანე ბიჭს ვთამაშობ, მაგრამ მასთან არაფერი მაქვს საერთო!

**მაია**: თუკი მაყურებელი ჩათვლის, რომ შეიძლება, ცხოვრებაშიც ასეთი იყო, უკვე გამარჯვებული ხარ. ლევანი სერიალში ძალიან მომწონს. დედა ვარ და ობიექტური მაინც ვერ ვიქნები.

**მაია: „დედა, მიყვარხარ“ — ამ სიტყვებს ლევანი ხშირად მეუბნება. არ ვიმჩნევ, რომ ამის გაგონებაზე გული მილბება... მე ჩუმად ვბრაზდები, ლევანმა კი ყვირილი იცის, ამიტომაც ვებუტები“.**



**ლევანი: „ძალიან ერთგული ადამიანი ვარ. „ფეისბუქის“ გვერდზე მთავარ ფოტოდ ჩემი და ჩემი შეყვარებულის სურათი მაქვს და ჩემი ასაკის გოგონები ერიდებიან, მეგობრობაზე თხოვნა გამომიგზავნონ“.**

**ლევანი**: ჩემი გმირისგან განსხვავებით, ძალიან ერთგულიადამიანი ვარ. „ფეისბუქის“ გვერდზე მთავარ ფოტოდ ჩემი და ჩემი შეყვარებულის სურათი მაქვს და ჩემი ასაკის გოგონები ერიდებიან, მეგობრობაზე თხოვნა გამომიგზავნონ. ხვდებიან, რომ დაკავებული ვარ.

**— ვინ არის თქვენი რჩეული?**

**ლევანი**: მაკუნა ერთ-ერთ საკრედიტო კომპანიაში საკრედიტო ექსპერტია და სამბოს ფედერაციის იურიდიულ განყოფილებაშიც მუშაობს. 6 თვეა შეყვარებულები ვართ. ეს ჩემი პირველი ურთიერთობა — არა, მაგრამ ყველაზე ძლიერი გრძნობა ნამდვილად არის. მასში რაღაც შინაგანმა ენერგიამ მიმიზიდა, ყველა კუთხით მომეწონა. ურთიერთობის აწყობა არც კი გაგვჭირვებია. პირველად ჩემი ყურადღება მისმა გარეგნობამ და იუმორმა მიიქცია. 5 წუთში რომ გაიცნობ ადამიანს, მეც იგივე დამემართა. ყველა ხუმრობაზე რომ მოგყვება და უცებ კარგად იგრძნობ თავს, ამ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ქალში ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ როგორც იუმორს, ასევე სხვა თვისებებს. ფილმები, ლიტერატურა და კიდევ, რაც კი არსებობს, ყველაფერში გემოვნებიანი უნდა იყოს, ასევე — ჩაცმაშიც.

**— ქალბატონო მაია, შეყვარებულ შვილს რა რჩევებს აძლევთ?**

**მაია**: სიყვარულს დიდი გაფრთხილება სჭირდება. ჭორი და ინტრიგა ბევრია. ლევანს პირველი ქორწინებიდან 5 წლის გაგა ჰყავს. ძალიან მაგარი ბიჭია. გიჟდება მამამისზე. ყოფილ რძალთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ქორწინებასა და განქორწინებაში პრობლემას ვერ ვხედავ. ლევანმა ოჯახი 16 წლის ასაკში შექმნა...

**ლევანი**: ამ საკითხზე საუბარი საერთოდ არ მინდა!

**მაია**: ლევანის პირად ცხოვრებაში არ ვერევი. თვითონ უნდა იგრძნოს თავი კარგად. როგორც ყველა დედას, მეც მინდა, რომ ბედნიერი იყოს. ვის აირჩევს ცხოვრებაში, ეს მისი საქმეა. ვინც ლევანისთვის იქნება სასურველი, ჩემთვისაც ის იქნება მისაღები.

**ლევანი**: მსახიობი, ჟურნალისტი ან ექიმი ჩემი ცოლი ვერასოდეს გახდება.

**მაია**: „არასოდეს თქვა, არასოდეს“ — ეს ფრაზა დიდი სიმართლეა, თუმცა ლევანის გადასაწყვეტია, მის გვერდით რა პროფესიის ადამიანი იქნება.

**— ლევან, რატომ ხართ ასეთი კატეგორიული, დედათქვენიც ხომ მსახიობია?**

**ლევანი**: დედა დედაა და ცოლი — ცოლი. ცოლ-ქმარს ერთმანეთისთვის დრო როცა არ რჩებათ, ეს ურთიერთობაზეც აისახება. პროფესიებს არაფერს ვერჩი, უბრალოდ, მაგალითად, მსახიობებს ისეთი გრაფიკით უწევთ ცხოვრება, ოჯახისთვის დრო ნაკლებად რჩებათ. ამ პროფესიის ქალი თუ მოიყვანე ცოლად, ჩათვალე, მეუღლე არ გყავს. დანარჩენ პროფესიებს ერთი პლუსი აქვთ, დილის 9 საათზე იწყებენ მუშაობას და საღამოს 6-ზე ასრულებენ. შინ რომ დავბრუნდები, ვინმე ხომ უნდა დამხვდეს? იმას არ ვამბობ, რომ 24 საათი სამზარეულოში ტრიალებდეს. ქალმა საკუთარი თავის რეალიზება რომ უნდა შეძლოს, ამის მომხრე ვარ, რადგან შემდგარი ადამიანი უფრო მშვიდია, მაგრამ ამასთანავე ოჯახიც არ უნდა დაივიწყოს.

**— თქვენი შეყვარებული წინააღმდეგი არ არის თქვენი მსახიობობის?**

**ლევანი**: მან კარგად იცის, რომ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დღეს თუ მექალთანეს ვთამაშობ, ხვალ შეიძლება მანიაკის როლიც შევასრულო. ეჭვიანი არ არის, ამით მე უფრო გამოვირჩევი, უფრო სწორად, ეჭვიანი იმდენად არ ვარ, რამდენადაც მესაკუთრე. ზედმეტად ბევრ ყურადღებას ვითხოვ.

**— ქალბატონო მაია, შვილთან ერთად თამაშზე არ ოცნებობთ?**

**მაია**: შვილთან ერთად თამაში ალბათ ძალიან საინტერესო იქნება. პროფესიული ურთიერთობა სულ სხვაა.

**ლევანი**: დედასთან ერთად ფილმში თამაშზე უარს არც მე ვიტყოდი.

✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

კადრმიღმა

# მაია ფაჩუაშვილი: „ჩემი ილუმენი და სერიალს ვერ უყურებს“

## „გადაღებების მერე მავიწყდება, რომ ფეხზე გავლა შემიძლია“

მსახიობი მაია ფაჩუაშვილი პოპულარულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ წინა სეზონში გამოჩნდა ინვალიდის ეტლით. მას ცხოვრებაში პირველად მოუწია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის როლის მორგება. აღიარებს, რომ რთული სამუშაო იყო, თუმცა საბოლოოდ ისე გაითავისა თავისი პერსონაჟი ელენე, ხანდახან ავიწყდება კიდეც, რომ დამოუკიდებლად სიარული შეუძლია. ამ როლმა უფრო მკაფიოდ დაანახა უნარშეზღუდული ადამიანების ყოფა, მათი მდგომარეობა ჩვენს საზოგადოებაში. ახლა უფრო კარგად ესმის მათი და გულშემატკივრობს.

მაია ფაჩუაშვილი თეატრალური ინსტიტუტის იმ ცნობილი ჯგუფის კურსდამთავრებულია, რომელიც გიზო ჟორდანიამ გამოზარდა. თეატრი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ მასთან 14 წლიანი განშორება მაინც მოუწია. თეატრს მეგობარმა, რეჟისორმა ლევან წულაძემ დაუბრუნა.

მსახიობი თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს:

— ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა. თეატრალურში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. არაჩვეულებრივ ჯგუფში მოვხვდი. ისეთი ჯგუფელები მყავდნენ, რომლებმაც თავიანთ საქმეში წარმატებას მიაღწიეს და მათი გვარსახელები დღეს საზოგადოებისთვის ცნობილია: მერაბ ნინიძე, ნანუკა ხუსკივაძე, ნანა შონია, ლევან ბერიკაშვილი, გოჩა კაპანაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ნინო თარხან-მოურავი... ლევან წულაძეც ჩვენი ჯგუფელი იყო, სანამ სარეჟისოროზე გადავიდოდა.

სასწავლებლის დასრულებისთანავე მთელი ჯგუფი რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე სათამაშოდ გადაგვიყვანეს. საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდით ერთად, მაგრამ შემდეგ ყველამ თავისი გზა მონახა. მე სცენაზე ძალიან დიდი პაუზა მქონდა, რომელიც ჩემს შვილს მივუძღვენი. იმ პერიოდში გახმოვანებაზე ვმუშაობდი. 1995 წლიდან ვახმოვანებ სერიალებს. დღემდე ტელეკომპანია „იმედში“ ვარ, ცოტა ხნის წინ კი „მაესტროზეც“ დამამტკიცეს თურქული სერიალების გახმოვანებაზე. ხმით ხშირად მცნობენ.

**„ისეთი ფაქიზი და კეთილი ნამდვილად არ ვარ, როგორიც ჩემი პერსონაჟია“.**

**— თეატრის სცენაზე ვინ ან რამ დაგაბრუნათ?**

— 14 წლიანი პაუზის მერე სცენაზე ლევან წულაძემ — ჭოლამ დამაბრუნა. თავისი სტუდენტის სპექტაკლში სათამაშოდ მიმიწვია, რომელმაც თურქი დრამატურგის, თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავი“ გააცოცხლა სცენაზე და უკვე ორი სეზონია მარჯანიშვილის თეატრის სხვენში ვდგამთ ამ სპექტაკლს. ამასთანავე ვმონაწილეობ სპექტაკლში „კოტე მარჯანიშვილი“, მაგრამ დასში არ ვირიცხები.

**— ამხელა პაუზის შემდეგ სცენაზე ფეხის შედგმა თქვენთვის რთული იყო?**

— 14 წლიანი შესვენების შემდეგ არანაირად გამჭირვებია სცენაზე დაბრუნება, პირიქით, ძალიან გამახარა ამ ფაქტმა და მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იქაა, სადაც დღეს ვარ.

**— რომელია თქვენი საყვარელი როლი? შემოქმედებითი პაუზის დროს რომელი პერსონაჟი გენატრებოდათ ყველაზე მეტად?**

— ყველა როლი შვილივითაა, ყველა ძალიან მიყვარს და ვერც ერთს გამოვყოფ. მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ ისეთი არაფერი მითამაშია.

**— სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ თქვენი ინიციატივით მიხვედით თუ მიგიწვიეს?**

— სერიალის კასტინგმენეჯერმა ეკა მჟავანაძემ მიმიწვია. სპექტაკლში თამაშის დროს მომაკითხა და მითხრა, აქედან პირდაპირ გადაღებაზე მიდიხარო. ისიც მითხრა, რომ ჩემი გმირი უნარშეზღუდული იქნებოდა და გამაფრთხილა, მასზე მუშაობა ადვილი არ იქნებაო. დავთანხმდი. ეტლში ჩაჯდომა ნამდვილად არ იყო მარტივი, მაგრამ დავძლიე ეს სირთულე. სერიალს მანამდეც ვუყურებდი.

**— როგორ გაითავისეთ უნარშეზღუდული ადამიანის მდგომარეობა, ამის თამაში ძალიან ძნელია?**

— რა თქმა უნდა, რთულია. ამას წინათ იყო ასეთი მომენტი, გადაღებები შეჩერდა, მაგრამ ეტლიდან არ ავდექი და რაღაცის კეთება ისე განვაგრძე. უცებ შევამჩნიე, რომ, როგორც როლში ყოფნისას, ისევე არ ვიყენებდი მეორე ხელს. ხანდახან გადამღები ჯგუფის წევრები მეუბნებიან, ეტლიდან ადექიო, რადგან გადაღებების მერე მავიწყდება, რომ ფეხზე გავლა შემიძლია. უცნაური სკამია, ეჩვევი იქ ჯდომას...

**„ამას წინათ კონცერტზე ვიყავი. ერთი ადამიანი მოვიდა და გახარებულმა მითხრა, როგორ მიხარია, რომ დადიხართო. ყველა ფეხებზე მიყურებს“.**

**— რა აზრის ხართ თქვენს პერსონაჟ ელენეზე, როგორი პიროვნებაა ის თქვენთვის?**

— მისი დახასიათება, თუნდაც მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია. ამგვარი სახე არასდროს შემიქმნია. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი პიროვნების ცხოვრების საზოგადოებამდე მიტანა. ისინი თითქოს სხვა სამყაროში არიან, ამ დროს კი აბსოლუტურად ჩვეულებრივი ადამიანები არიან გრძნობებით, მსოფლმხედველობით და ა.შ. შეიძლება ადამიანს არანაირი ფიზიკური ნაკლი არ ჰქონდეს, მაგრამ ძალიან უარყოფითი ტიპაჟი იყოს და პირიქით, ფიზიკური ნაკლის მქონე დიდი ადამიანურობით გამოირჩეოდეს.

ვიცნობ უნარშეზღუდულ ადამიანებს და ისინი ძალიან მიყვარს. უბრალოდ ახლა უფრო ვაქცევ მათ ყურადღებას. დღესაც დავაკვირდი ქუჩაში ეტლში მჯდომ კაცს, რომელიც სულ იღიმოდა. ასეთი პერსონაჟი რთული სათამაშო იმიტომ არის, რომ ნაკლებად მოძრაობ. თამაშისას მოძრაობა უფრო აადვილებს როლის მორგებას.

**— სერიალში ძალიან კარგად არის ნაჩვენები, რომ, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, თქვენი პერსონაჟი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. როგორ ფიქრობთ, რეალურადაც ასეა?**

— მინდა, ამგვარ ადამიანებს მეტი ხელშეწყობა ჰქონდეთ სახელმწიფოსგან, რადგან ისედაც დიდ დისკომფორტს განიცდიან. თუნდაც პანდუსები, რომლებიც ვითომ მათთვისაა განკუთვნილი, რეალურად სრულიად გამოუსადეგარია. ისინი უნდა ახერხებდნენ კაფეში თუ თეატრში სიარულს. ამის სრული უფლება აქვთ. არანორმალური და არაბუნებრივია, როცა ადამიანი საზოგადოებიდან უნარშეზღუდულობის გამო ირიყება.



**— თქვენს პერსონაჟს შეიძლება ვიღაც შეუყვარდეს, ოღონდ ეშინია, თავისი მდგომარეობის გამო არ დაიწუნონ. რეალურ ცხოვრებაში თუ გსმენიათ ამგვარი სიყვარულის ისტორიის შესახებ?**

— რატომაც არ შეიძლება, რომ შეუყვარდეს?! ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისეთი სიყვარულის ისტორია კი, როცა ინტერნეტით გაიცნობს წყვილი ერთმანეთს და შემდეგ ერთ-ერთი იგებს, რომ მეორე ეტლში ზის და მაინც წარმატებული ურთიერთობა უყალიბდებათ, სამწუხაროდ, მე არ მახსენდება.

**— რით ჰგავხართ და რითი განსხვავდებით თქვენი გმირისგან?**

— ისეთი ფაქიზი და კეთილი ნამდვილად არ ვარ, როგორიც ჩემი პერსონაჟია. მე უფრო ემოციური ვარ. ელენე აბსოლუტურად განსხვავდება ჩემგან.

**— ოჯახის წევრები თქვენს თამაშს როგორ აფასებენ?**

— მყავს და, ილუმენი დედა ნინო. ის ვერ უყურებს სერიალს, მაგრამ რამდენჯერმე ჩემს სპექტაკლს დაესწრო თეატრში. განსხვავებული ადამიანები ვართ და ამასთანავე ბევრი საერთოც გვაქვს. და ჩემზე უმცროსია. მყავს არაჩვეულებრივი შვილი, 17 წლის გიორგი და დედა. გიორგი ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან დადის თეატრსა თუ ოპერაში, მაინც ჩემი ხათრით დაამთავრა მუსიკალური სკოლა, თავად დიდად არ უნდოდა.

დედა ძალიან სუბიექტურია ჩემ მიმართ. შვილი კიდევ მაძლევს შენიშვნას, მაგრამ დედა ყოველთვის სუბიექტურად კარგად მაფასებს.

**— მაყურებელი, რომელიც ქუჩაში გხვდებათ, რა რეაქციას ავლენს?**

— ამას წინათ კონცერტზე ვიყავი. ერთი ადამიანი მოვიდა და გახარებულმა მითხრა, როგორ მიხარია, რომ დადიხართო. ყველა ფეხებზე მიყურებს. ერთხელ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ავედი და იმ წამსვე წამოხტა ერთი მამაკაცი, დაბრძანდით, ქალბატონოო. მტკიცე უარის მიუხედავად, მაინც დამითმო ადგილი. ალბათ ფიქრობდა, რომ ფეხები მტკიოდა. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როცა გცნობენ.

✓ მანანა ნოდია


მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ირინა ონაშვილი: „ქმრად სხვა მინისტრს არ ვეძებ!“

## „ტრაგედიის დროს ლადო სუსტი აღმოჩნდა, მე კი შვილმა გამაძლიერა“



ცნობილი წყვილის, სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილ მინისტრ ლადო ვარძელაშვილისა და 2003 წლის „მის საქართველოს“, ირინა ონაშვილის ცხოვრებაში ბოლო დროს, შეიძლება ითქვას, მძიმე გამოცდების პერიოდი იდგა. საქართველოში პოლიტიკური რეალობის შეცვლის შემდეგ ნაციონალური ხელისუფლების ყოფილი ჩინოსანი საზოგადოებაში არსებულმა განწყობებმა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ვარძელაშვილისა და მისი თანაგუნდელების მიმართ ხალხი აგრესიას დაუფარავად გამოხატავდა. თუმცა ყველაფერს აქვს მეორე მხარე და ირინა პირიქით, ბედნიერიც კი იყო, რომ სამსახურიდან „გამოთავისუფლებული“ მისი ქმარი ცოლ-შვილთან დიდ დროს ატარებდა. სამწუხაროდ, იდილია დიდხანს არ გაგრძელდა. 2013 წლის 22 თებერვალს უბედურება დატრიალდა — მათ სახლში სტუმრობისას ლადოს მეგობარი, დავით სირაძე, ბრმა ტყვიას ემსხვერპლა. ტრაგედიამ ოჯახს დიდი მორალური ტრავმა მიაყენა, მაგრამ პატარა შვილის, საბას წინაშე პასუხისმგებლობამ ცოლ-ქმარი გააძლიერა, ყურადღება მასზე გადაიტანეს... ახლახან კი გავრცელდა ხმა, რომ ირინა და ლადო ერთმანეთს გაშორდნენ.

კითხვებს, რომლებიც მათ შესახებ საზოგადოებაში დაგროვდა, ირინა ონაშვილი „სარკეში“ პასუხობს.

**— ირინა, დავიწყოთ პირდაპირ იმ კითხვით, რომლის პასუხიც ალბათ ყველაზე მეტად აინტერესებთ. გავრცელდა ხმა, რომ ქმარს, ლადო ვარძელაშვილს გაშორდით. ეს სინამდვილეა თუ არა?**

— ვინც ეს ჭორი გაავრცელა, ალბათ ფიქრობს, რომ აუცილებლად მინისტრი მეუღლე უნდა მყავდეს და, თუ ჩემი ქმარი მინისტრი არაა, სხვა მინისტრი უნდა მოვძებნო. ალბათ თვითონ არის ასეთი ტიპი, არ ვიცი... ვინც ამგვარ ჭორს აგორებს, ძალიან მდაბიოა. არათუ გავშორებულვართ, უფრო მეტიც, ერთი დღეც არ გვიცხოვრია ცალ-ცალკე, მივლინებებს თუ არ ჩავთვლით. ყოველდღე ერთად ვართ.

**— ახალ მდგომარეობასთან შეგუების ეტაპი, როცა თქვენი ქმარი მინისტრი აღარ არის, ხოლო მისი პარტია — მმართველი ძალა, თქვენმა ოჯახმა როგორ გადალახა?**

— ყოველთვის გააზრებული მქონდა, რომ პოლიტიკაში ყოფნა მუდმივი არ არის. ხალხი დღეს შენ გირჩევს, მაგრამ ხვალ სხვას აირჩევს. რთული იმ მხრივ იყო, რომ ფინანსურად ლადოს ხელფასზე ვიყავით დამოკიდებული. მას არანაირი ბიზნესი არ ჰქონია. ამიტომ უცბათ შემოსავლის გარეშე დარჩენა და თანაც კრედიტებით... თან ლადოს ძალიან უყვარდა თავისი საქმე. მისთვის შაბათ-კვირაც კი არ არსებობდა. სულ ვეუბნებოდი, კვირას მაინც გამოენახა დრო (ახლა კვირადღეს სამინისტროებთან არავის მანქანა არ დგას). ამიტომაც არამხოლოდ ფინანსების გამო იყო რთული სამსახურის გარეშე დარჩენა. ლადომ საყვარელი საქმე დაკარგა და ამით ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. უამრავი ადამიანი აღნიშნავს, რომ მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა და ეს მიხარია. თვითონ არის ასეთი — მიუკერძოებელი, ყველაფერს ყოველთვის ობიექტურად უდგება.

**— ამ მდგომარეობაში პირადად თქვენ გარშემო ყალბი მეგობრები და ურთიერთობები ხომ არ აღმოაჩინეთ?**

— კარგია, ასეთი რაღაცეები რომ ხდება, რადგან ხვდები, ვინ არის ნამდვილად შენიანი და ვინ — არა. ლადო ამ მხრივ ცოტა მიამიტია. ვერ ვიტყვი, რომ მე ძალიან ეშმაკი ვარ, მაგრამ ის უფრო მიმნდობია. ვერ ხვდებოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მის გვერდით ბოლომდე და ვინ — არა, მის მხარეს ვინ დგებოდა გულწრფელად და ვინ — მისი თანამდებობის გამო. იმას არ ვგულისხმობ, რომ ლადოს ვინმესთან კონფლიქტი მოუვიდა. ასეთ დროს მარტივად ხვდები, ვინ ვინ არის. თუნდაც სხვა ენაზე ჭიკჭიკს იწყებენ მედიის წარმომადგენლები თუ ნაცნობები. სახეშეცვლილი ადამიანები გულისამრევები არიან. გულდასაწყვეტია, რომ საზოგადოებაში ქულების დასაწერად ზოგიერთი ცილისწამებას მიმართავს.

არსებობს სიტუაციები, როცა ვიღაც გერჩის, მაგრამ ვერ იგებ, რატომ. გივრცელებენ ჭორებს, რომლებიც სიმართლის მარცვალსაც არ შეიცავს. ეს სასიამოვნო არაა, მაგრამ უკვე დიდი გოგო ვარ და ამ ყველაფერსაც იუმორით ვუყურებ. ადრე ძალიან განვიცდიდი ჩემ მიმართ აგორებულ ჭორებს. საბედნიეროდ, ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაინც ძალიან ვნერვიულობდი.

ღვთის წყალობით, ჩემი მეგობრები, რომლებიც სკოლიდან მომყვებიან, ჩემ მიმართ ისეთივე დარჩნენ, როგორიც ადრე იყვნენ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ პირადად მე არაფერმა შემცვალა. „რაღაცეების“ გამო არ ვმეგობრობ არავისთან. არ ვთამაშობ, სპექტაკლებს არ ვდგამ და ეს ძალიან მიმარტივებს ცხოვრებას. მიხარია, რომ ეს თვისება მაქვს.

**„ვერ ვიტყვი, რომ მე ძალიან ეშმაკი ვარ, მაგრამ ლადო უფრო მიმნდობია. ვერ ხვდებოდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მის გვერდით ბოლომდე და ვინ — არა, მის მხარეს ვინ დგებოდა გულწრფელად და ვინ — მისი თანამდებობის გამო“.**

**— თქვენ მიმართ აგრესიას დღემდე გრძნობთ?**

— იყო რაღაცეები... როცა კერპს ქმნი, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური ძალის ლიდერია, მერე თვალებიც გიბნელდება და აგრესიულ ნაბიჯებსაც დგამ. ალბათ განათლების პრობლემაა. მე ყველაფერს ვხედავდი — კარგსაც და ცუდსაც. არ შეიძლება ვინმეს გაკერპება და თაყვანისცემა. ჩემი ქმარი იყო მინისტრი, მაგრამ მე ირინა ონაშვილი ვარ და ძალიან გამიკვირდა, როცა რამდენიმე ადამიანისგან აგრესია ვიგრძენი ჩემი ქმრის მინისტრობის გამო. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ — ჩემს ქმარზე საყვედურს ვერასდროს მივიღებ!

**— არც ობიექტურ საყვედურს?**

— აგრესია ობიექტური არასდროს არის. თან მე ვიცი, ლადო რა ტიპია და ვიცი, როგორ მუშაობდა. მისთვის სამსახურებრივი გულგრილობა რომ შემეტყო, პირველი მე ვიქნებოდი, ვინც ოპოზიციაში ჩაუდგებოდა. ამიტომ შეიძლება ვიღაცას თვალი ამოვჩიჩქნო, თუ ლადოზე ცუდს იტყვიან, რადგან ძალიან კარგი, სუფთა და შრომისმოყვარე ადამიანია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი ქმარია. ვიმეორებ, რამე არასწორად რომ გაეკეთებინა, პირველი ვიქნებოდი, ვინც მას დაუპირისპირდებოდა.

**— რამდენიმე თვის წინ დიდი განსაცდელი გადაიტანეთ. თქვენს სახლში ლადოს მეგობარი დაიღუპა ბრმა ტყვიით. როგორ ეხმარებოდით ქმარს მდგომარეობიდან გამოსვლაში?**

— ასეთი სირთულეების დროს უფრო ძლიერად ვუდგავარ მეუღლეს გვერდში, ვიდრე ყოველდღიურად. მართლა ძალიან მძიმე პერიოდი იყო. ბავშვი მთელი დღეები ძიძასთან იყო და მისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა არაფერი იყო იმ ოჯახის ტრაგედიასთან შედარებით. მათ ფონზე ჩვენი პრობლემა არაფრად მიმაჩნდა. საშინელება იყო. მტერი რომ მყავდეს, ასეთ რაღაცას მასაც არ ვუსურვებდი.

**— თქვენთვის, როგორც ქალისთვის, ემოციურად ალბათ უფრო რთული გადასატანი იქნებოდა ეს ტრაგედია.**

— პირიქით, ლადო აღმოჩნდა ძალიან სუსტი. ექიმებთან სიარული და დამამშვიდებელი პრეპარატების მიღება დასჭირდა. მე შვილმა, საბამ გამაძლიერა. საერთოდ, ცნობილია, რომ კაცები ასეთ დროს უფრო სუსტები არიან.

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— ვსწავლობ, კავკასიის უნივერსიტეტში მაგისტრატურას ვამთავრებ, მედიასკოლაში პიარის სპეციალობას ვეუფლები.

**— როგორ ვიცი, სილამაზის სალონი გახსენით. ბიზნესში გინდათ, ბედი სცადოთ?**

— ნაცნობობით სამსახურის დაწყება არ მინდა. მირჩევნია, ხელში მაგისტრის დიპლომი მეჭიროს, მქონდეს საკმარისი ცოდნა და შემდეგ დავიწყო სამსახურში სიარული. მანამდე კი მინდა, ჩემი საქმე მქონდეს. სალონი ბანკის კრედიტით გავხსენი, რომელიც საკმაოდ დიდია... ძალიან კარგი გუნდი შევკრიბე.

**— ბიზნესში ალღო გამოგაჩნდათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ბიზნესის ალღო მაქვს, უბრალოდ გამიმართლა.

**— ქმარი გეხმარებათ რჩევებით?**

— არანაირად. ლადო სალონში სულ რამდენჯერმეა ნამყოფი. მას იმდენ რამეზე უწევს ფიქრი, რომ ჩემს საქმეს თავს აღარ ვახვევ. ბუნებრივია, ვსაუბრობთ ყველაფერზე, რადგან, პირველ რიგში, მეგობრები ვართ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ საქმეში დიდი დახმარება მჭირდება.

**— ლადომაც დაიწყო მუშაობა?**

— ბევრი გეგმა აქვს, კონკრეტულად კი ვერაფერს გეტყვით. ორივე გადართული ვართ საბაზე. ის ძალიან ლაღი იზრდება, ყველა ათამამებს. მისი ძიძა ძალიან კარგი ადამიანია.

**— ამ ეტაპზე კიდევ რა სიახლეებია თქვენს ცხოვრებაში?**

— ყველაზე მნიშვნელოვანი ჯერჯერობით ის არის, რომ სამოდელო სააგენტო „ფეშენ შარმში“ სასწავლო წელი დაგვეწყო. გვყავს ახალი ჯგუფი და მუშაობაში ვართ ჩაფლული.

**— საკუთარ თავზე რას იტყოდით — სუსტი ქალი ხართ თუ ძლიერი?**

— სუსტი არ ვარ, მაგრამ არ მიყვარს წინააღმდეგობები. თუ ვიცი, რომ სადღაც წინაღობა შემხვდება, იმ ადგილს არც გავეკარები. კონფლიქტები და დაპირისპირებები ჩემი სტილი არ არის. ყოველთვის ვპოულობ იმ გარემოს, სადაც მშვიდად ვიგრძნობ თავს.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# ხატია შამუგია: „მეგობარმა ჟურნალისტმა გული ძალიან მატკინა“



„პირადი ცხოვრების გამო არასოდეს ვიქნები პოპულარული, ვთვლი, რომ ეს ღირსეული არ არის, მაგრამ იმ ადამიანებისაც მესმის, ვინც ამგვარად იძენს პოპულარობას".

ქართული შოუბიზნესის ცნობილი სახე, ხატია შამუგია, ბოლო პერიოდში საკმაოდ სკანდალური ჭორის ობიექტი გახდა — ხალხი მისი და მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის რომანის შესახებ ალაპარაკდა. ხატია ამ ინფორმაციას ყურით მოთრეულ ჭორს უწოდებს და კომენტარის გაკეთების ღირსადაც არ მიიჩნევს. საერთოდ თვლის, რომ პირად ურთიერთობებზე ღიად ლაპარაკმა მისი და „ქუჩის ბიჭ“ გურამ ლომიძის ქორწინებას ბევრი ავნო. ახლა იმ ლამაზ პერიოდს, როცა ქმარშვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, ერთი სუნამოს სურნელი აგონებს.

ახლა ხატიას ცხოვრებაში დატვირთული პერიოდია, ახალ საქმესაც შეეჭიდა და იმედი აქვს, თავს გაართმევს. სიახლეებზე, გეგმებზე და მის გარშემო აგორებულ ჭორებზე კი „სარკეს“ ესაუბრება.

**— ხატია, რითი ხართ ბოლო პერიოდში დაკავებული?**

— ახლა ყველაზე დატვირთული რეჟიმი მაქვს, მაგრამ ჩემი საქმე იმდენად საინტერესოა, რომ დაღლასთან ერთად დიდ სიამოვნებას ვიღებ. ყველაფერთან ერთად შეიქმნა საინტერესო ტრეინინგ ცენტრი და მადლობას ვუხდი ოთარ ქირიას და მის პარტნიორებს, რომლებმაც არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. იქმნება ასეთი სფერო — ფეშენ მარკეტინგი, რომელიც პირველია საქართველოში. იქ პარფიუმერიის შესახებ ლექციებს წავიკითხავ. ასე რომ, ახალ ამპლუაში მოვსინჯავ ძალებს. პროფესიით ფილოლოგი ვარ, მაგრამ ამ განხრით არასდროს მიმუშავია.

**— თქვენი მთავარი საქმიანობა პარფიუმერიის რეკლამირებას უკავშირდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სუნამოს სურნელს უშეცდომოდ ხვდებით?**

— აუცილებელი არ არის, ყველა სუნამოს სურნელი იცოდე. ამ სამსახურში ეს არ გევალება, მაგრამ მე ბავშვობიდან შემეძლო, ყველა სუნამოს არომატი გამომეცნო. მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც სურნელი აგონებს ისტორიას. განსაკუთრებულად გაძლიერებული ყნოსვა მაქვს და ადამიანებსაც არომატით ვიმახსოვრებ. დღემდე ჩემთვის „გუჩი რაში“ ქალბატონ მარინა ბერიძესთან ასოცირდება, რადგან პირველად მასზე ვიგრძენი ეს არომატი. ასევე, დავიდოვის „სილვერ შედოუ“ ჩემთვის მერაბ სეფაშვილია, რადგან ყოველთვის ამ სუნამოს იყენებს.

**— თქვენ თუ გაქვთ ამორჩეული სურნელი, რითაც ვინმეს ხატია შამუგია გაახსენდება?**

— მე სუნამოების მანიაკი ვარ. შემიძლია ტანსაცმლისთვის, ფეხსაცმლისთვის, მანქანისთვის და ა.შ. ფული დამენანოს, მაგრამ სუნამოზე უარს ვერასდროს ვამბობ. ახალი სუნამო რომ გამოდის, შეიძლება საერთოდ ვერ გამოვიყენო, მაგრამ უნდა მქონდეს.

**— გაქვთ ძვირადღირებული, ექსკლუზიური სუნამო, რომელსაც განსაკუთრებული შემთხვევებისთვის იყენებთ?**

— „ჰერმესის“ ექსკლუზიური სუნამო მაქვს, რომელიც მხოლოდ „ჰერმესის“ ბუტიკებში იყიდება, საქართველოში არ შემოდის. ეს სუნამო მაჩუქეს და ვცდილობ, მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს გამოვიყენო. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძვირი ღირს, მაგრამ ძნელად იშოვება.

**— მიდით, სურნელის მიხედვით დაყოთ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. როგორი სურნელი შეესაბამება თქვენი და გურამ ლომიძის შეხვედრას, როგორც რომანტიკულ მოგონებას?**

— გურამიკოსთან შეხვედრის პერიოდში ორივე, მეც და გურამიკოც, ძალიან ტკბილი სურნელის სუნამოს ვიყენებდით. გურამიკო მთხოვდა, ამ სუნამოს ძალიან ბევრსაც ნუ იპკურებო. მე ძალიან ბევრს ვისხამ, რაც ნორმალური არ არის. მერე ორივე ერთი ბრენდის სუნამოზე გადავედით. დღემდე მახსოვს ეს არომატები. სამწუხაროდ, ის სუნამოები აღარ გამოდის. „ჰერმესი“ ძალიან სასიამოვნო შეხვედრასთან და ადამიანთან ასოცირდება...

**— რომელიმე სუნამო გახსენებთ ცხოვრების ცუდ პერიოდს?**

— არის ასეთი სუნამოც, რომელიც ფანტასტიკური ბრენდია, მაგრამ ცუდ მოგონებებს აღმიძრავს. ეს სურნელი მახსენებს ადამიანს, რომელიც ჩემთვის დადებით მოგონებებთან არ ასოცირდება. შესაბამისად, ის არომატიც არ მომწონს. ასევე, მიყვარდა ერთი სუნამო, რომელიც იმ დროს მესხა, როცა დეიდაშვილი გარდამეცვალა. იმის მერე იმ სუნამოს სურნელზეც კი სახე მეშლება, იმდენად აღარ მიყვარს.

**— რა შემთხვევაში შეიძლება იქცეს სუნამო ცუდ ტონად?**

— ასეთი შემთხვევა არ არსებობს. სუნამოს ფასს მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება ძალიან ძვირფასი იყოს, მაგრამ იმ ადამიანს არ უხდებოდეს, ვინც იყენებს. შეიძლება იაფფასიანი სუნამო ისე მიიღოს ადამიანის კანმა, რომ ძალიან მოგეწონოს. ჩემთვის ვულგარული ტონია ძალიან მძაფრი სუნამოს გამოყენება თეატრში. მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, როცა ძალიან საინტერესო სპექტაკლს ვუყურებდი და ერთ-ერთ მაყურებელს იმდენად მძაფრი სუნამო ესხა, რომ რთული იყო სპექტაკლის აღქმა. იმის მერე გადავწყვიტე, რომ თეატრში მძაფრი სურნელი არ გამოვიყენო.

შეიძლება საერთოდ არ იყენებდე სუნამოს, მაგრამ ეს ცუდ ტონად არ ითვლება. და მაინც, სუნამოს არომატი პლუსია პიროვნებისთვის. ყველას თავისი არომატი აქვს, რომელსაც ჩვენ ვერ ვგრძნობთ. სუნამო იმ არომატთან კავშირში უნდა იყოს. სუნამო შეიძლება იმდენად სასიამოვნო იყოს, რომ საწინააღმდეგო სქესი გრძნობდეს მას, მოსწონდეს და არ იცოდეს, რა იზიდავს. ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს თავის სურნელს. მოდურობის გამო სუნამოს არჩევა არ ღირს, რადგან თუ შენი არ არის, მაინც ვერ გამოიყენებ. სურნელი არ უნდა გაწუხებდეს და თითქმის ვერ უნდა გრძნობდე.

**— ბოლო დროს ჭორის ობიექტი გახდით — ერთ-ერთ გამოცემაში თქვენი და ევროინტეგრაციის მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის რომანის შესახებ დაიბეჭდა. თქვენ ეს ინფორმაცია უარყავით, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რატომ დააკავშირეს თქვენი სახელები ერთმანეთს?**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ჭორი საფუძვლის გარეშე არ ჩნდება, ამ ბოლო დროს კი ისეთი საოცარი ჭორები მესმის და არამარტო ჩემზე, უკვე ვხვდები, რომ ყურით მოთრეული ჭორებიც არსებობს. მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ — არა პირადი ცხოვრებით. ვფიქრობ, ჩემი და გურამიკოს ურთიერთობა სწორედ ამ გამჭვირვალე ურთიერთობამ დააზიანა, მაგრამ მაშინ პატარაც ვიყავი და სადღაც მომწონდა კიდეც ეს ყურადღება. რაც წლები გავიდა, მივხვდი, რომ პირადი მართლა პირადი უნდა იყოს. ამიტომაც არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. მე მაინც ვფიქრობ, რომ პირადი ცხოვრების გამო არასოდეს ვიქნები პოპულარული, ვთვლი, რომ ეს ღირსეული არ არის, მაგრამ იმ ადამიანებისაც მესმის, ვინც ამგვარად იძენს პოპულარობას და მივესალმები მათ. უბრალოდ მე არ ვარ ასეთი ტიპი.

რაც შეეხება ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ ამ ჭორს: ყველამ იცის, რომ ჟურნალისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და მესმის მათი ადამიანური შეცდომებიც, რომლებიც პროფესიული, კარიერული წინსვლისთვის შეიძლება ჩაიდინონ, მაგრამ არის რაღაცეები, რაც არ უნდა გადაიხაზოს. ვგულისხმობ წლების მეგობრობას, თანამშრომლობას. იაფფასიანი, არაფრისმომტანი სტატიით რესპონდენტს გული არ უნდა ატკინო. მით უმეტეს, როცა ინფორმაცია დაუდასტურებელია. ყურით მოთრეული ამბის დაბეჭდვამ ერთ-ერთ ჟურნალში გული ძალიან მატკინა და ეს სტატია არამარტო მე შემეხო, ბევრი ადამიანი იყო მოხსენიებული. თუ ღირსეული გამოცემა ხარ, შენს ღირსებას სხვა რაღაცეებით უნდა ინარჩუნებდე. გადაუმოწმებელი ინფორმაციის დაბეჭდვა პრესისთვის არაპროფესიონალური ნაბიჯია. ეს ძალიან გამიკვირდა იმ ჟურნალისგან. ისეთი შეცდომა მოუვიდათ, რომ არც მინდა ამაზე ლაპარაკი. ღმერთმა შეუნდოთ.

**— პარალელურად გავრცელდა ჭორი თქვენი ყოფილი ქმრის, გურამ ლომიძისა და უკრაინელი მომღერლის, ივანა მელაის რომანის შესახებ. თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება, როგორ შეხვდებით ამ ამბავს?**

— ძალიან ობიექტურად და პრაგმატულად ვუყურებ: მე და გურამიკო ძალიან კარგი მეგობრები და ერთმანეთის გულშემატკივრები ვართ. უძვირფასესი რამ — შვილი გვაკავშირებს. რა შეიძლება, რომ ამის გამო ერთმანეთს არ შევუნდოთ? ცხელ გულზე დავშორდით თუ გააზრებულად, ამ ყველაფერმა ჩაიარა და მე და გურამიკო, პირველ რიგში, ერთმანეთის გულშემატკივრები ვართ. ზრდასრული ადამიანია, ცოლი არ ჰყავს და უფლება აქვს, ნებისმიერი არჩევანი გააკეთოს. ჩემთვის მთავარია, რომ ბედნიერი იყოს. მე და გურამიკო ერთმანეთთან პირად ცხოვრებაზე საუბარს ვერიდებით. თუ ის ბედნიერია, მე ძალიან გამიხარდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა წარმომავლობის ადამიანი იდგება მის გვერდით — ქართველი, უკრაინელი თუ მოზამბიკელი, მთავარია, თვითონ იყოს კარგად. ამიტომ ამ ამბავს, თუ ის სიმართლეა, კარგად ვუყურებ და გურამიკოს ბედნიერებას ვუსურვებ.

✓ მანანა ნოდია

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემს წინა მანქანას „დუბინკების“ კვალი ეტყობოდა“

## ზურა მანჯავიძე ავარიიდან პირდაპირ კონცერტზე წავიდა და იმღერა



ჯგუფ „ფორტეს“ წევრი, მომღერალი ზურა მანჯავიძე, მას შემდეგ გახდა იძულებული, საკუთარი მანქანა გამოეცვალა, რაც თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო თავდასხმის მსხვერპლი გახდა. მაშინ „ჰიუნდაი ტუქსონი“ ისე დაუზიანეს, მისი გაყიდვა ამჯობინა. ახლა „ჰონდას“ ჯიპი აქვს. მომღერალი გზებზე სიფრთხილით, მოთმინებითა და თავაზიანობით გამოირჩევა, უფრო მეტიც, კანონმორჩილთა იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს თავად სთხოვს პატრულს, ალკოჰოლზე შეამოწონ.

— **ზურა, რა „სტაჟის“ მქონე მძღოლი ხართ?**

— 15 წლის. სხვათა შორის, ავტომობილის მართვა ჩვენი ჯგუფის წევრის, მანანა მაისურაძის მამის ავტოსკოლაში ვისწავლე. ნინო ახობაძესთან („ფორტეს“ წევრი. — ავტ.შენ.) ერთად დავდიოდი. მაშინ მართვის მოწმობის აღება შედარებით ადვილი იყო. ახლა რომ გავსულიყავი გამოცდაზე, ალბათ ბევრს ვიწვალებდი.

— **სანამ ახალბედა მძღოლი იყავით, მანქანას როგორ ატარებდით, გიჭირდათ თუ ადვილად აითვისეთ?**

— სანამ ჩემი ფსიქიკა მანქანის მართვას მიეჩვია, დაძაბული ვიყავი. ვიწრო ადგილებში პარკინგი და ციცაბო აღმართები მანერვიულებდა, მაგრამ ეს ყველაფერი დავძლიე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავიდან საჭესთან რამდენჯერმე ნასვამიც დავჯექი. მაშინ პატრული არ იყო და საჭესთან ნასვამი თუ დავჯდებოდი, კაი ტიპი იყავი. დავლიე და საჭესთან რომ არ ვჯდებოდი, გამაშაყირეს. სიჩქარის მოყვარული არ ვარ და ნასვამმაც ფრთხილად ვმართე მანქანა, მაგრამ რამდენჯერმე მაინც მომისრიალდა. მომხრე ვარ, რომ ვინც საჭესთან ნასვამი დაჯდება, მკაცრი სასჯელი დაადონ, თუნდაც მართვის მოწმობა ჩამოართვან. მძღოლების ამ თავნებობამ ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მას შემდეგ, რაც კანონები გამკაცრდა, საჭესთან ნასვამი აღარ ვჯდები და არც ნასვამ მძღოლს ჩავუჯდები მანქანაში. ერთხელ ავარიაში მოვყევი, ავტომობილით ამოვბრუნდით. მძღოლი ნასვამი იყო. ცარიელ ადგილას ისეთი მანევრი გააკეთა, მანქანა დაღმართზე ჩაგორდა, ბრუნი გააკეთა და ისევ დადგა. უკანა სავარძელზე ვიჯექი და საბარგულში აღმოვჩნდი, საბედნიეროდ, სრულიად უვნებელი გადმოვედი მანქანიდან. ამის მერე კონცერტზე წავედი და ვიმღერე კიდეც.

— **15 წლიანი გამოცდილების კვალობაზე როგორი მძღოლი ხართ?**

— ვერ გეტყვით, რომ ვბრდღვნი ყველაფერს, მაგრამ ფრთხილი მძღოლი ნამდვილად ვარ. ჩემ გვერდით დაძაბული არავინ არის, რაც ძალიან მომწონს. სწრაფად არ ვმოძრაობ და, რაც მთავარია, დამთმობი მძღოლი ვარ. ყველა მძღოლს მოვუწოდებ, რომ ერთმანეთს დაუთმონ. არ არის აუცილებელი, ორი თხის პრინციპით იმოქმედონ. ერთიმეორის მიმართ უაზრო პრინციპებს რომ იჩენენ, ამის გამო ბევრი საცობი იქმნება. სხვათა შორის, ინგლისში დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ერთადერთი, რაც მოძრაობას განტვირთავს, მძღოლების თავაზიანობაა. საბედნიეროდ, ჩვენს ქალაქში ათი მძღოლიდან ორი მაინც გამოირჩევა თავაზიანობით, რომლებიც ისეთ ადგილას გაგატარებენ, სადაც შეუძლიათ, გზა არ დაგითმონ. მეც ასე ვიქცევი ხოლმე.

— **თბილისურ მოძრაობაში წესების დაცვას ახერხებთ?**

— ყოველთვის ვცდილობ, კანონსაც პატივი ვცე და ადამიანებსაც, რომ ჩემმა უაზრო საქციელმა მცირე გაუგებრობაც კი არ გამოიწვიოს. ისე, თბილისში წესების დაცვა კი არა, საერთოდ მოძრაობაა რთული. ბოლო დროს ვაკვირდები, რომ ფეთიანი მძღოლი გავხდი. რომ არ ვიცი, გვერდიდან ვინ როდის გამომივარდება, ვითომ თავის დასაცავად რაღაც მოძრაობებს ვაკეთებ.

— **ქალი მძღოლებიც ხომ არ გაბნევენ?**

— ქალი მძღოლების მხრივ უკეთესობა იგრძნობა, მაგრამ მაინც შესამჩნევია, როცა მანდილოსანი მართავს მანქანას. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა უმჯობესია, ქალები საჭეს უფრო მეტად გამოცდილები მიუსხდნენ. კაცებს კი ვურჩევ, მათ მოერიდონ. მძღოლი რომც არ ჩანდეს, მანქანას მაინც ეტყობა, რომ მას ქალი მართავს.

— **ამას როგორ ამჩნევთ?**

— მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებს უფრო შენელებული რეაქციები აქვთ. ისეთ ადგილას იჩენენ სიფრთხილეს, სადაც არაფერია საგანგაშო. საცობის საშიშროება რომ იქმნება, ამ დროს საკმაოდ არაადეკვატურად იქცევიან. ქალები ავარიულ სიტუაციას ხშირად მიქმნიან, მაგრამ ამას იმდენად მივეჩვიე, აღარ ვბრაზდები. მახსოვს, ჩემი მეგობრის გვერდით ვიჯექი, როცა ქალმა დაგვარტყა. ძლივს ავუხსენით, რომ მისი ბრალი იყო და გავათავისუფლეთ.

— **თქვენი შეცდომის გამო მოგსვლიათ ავარია?**

— კი, 3 წლის წინ მომიხდა, ოღონდ არ ვიცი, რა დამემართა, გავითიშე. ვაკეში, შუქნიშანზე დავძარი ავტომობილი და ჩემ წინ მანქანას შევასკდი, ის კიდევ მის წინ მდგარს დაეჯახა. დამუხრუჭება კი მოვასწარი, მაგრამ მაინც დავეჯახე. გადავხტი მანქანიდან, მძღოლებს ბოდიში მოვუხადე და პატრულსაც თვითონ გამოვუძახე. 200 ლარიანი ჯარიმა ტყუილად ავიკიდე.

— **რატომ გამოიძახეთ პატრული, მის გარეშე მძღოლებთან ვერ მორიგდებოდით?**

— ეს ის პერიოდი იყო, როცა გაქანებული ოპოზიციონერი ვიყავი და შარი რომ არავის მოედო, კანონის დაცვით ვიმოქმედე. დღესაც ვერ ვხვდები, რა დამემართა, თვალებზე ბინდი გადამეკრა. პატრულს თვითონ მოვთხოვე, ალკოჰოლზე შევემოწმებინე. მეორედ კი მანქანას შეგნებულად შევასკდი. ჩემზე თავდასხმა რომ მოხდა, გავეკიდე და სპეციალურად დავეჯახე, ოღონდ ისევ ჩემი მანქანა დაზიანდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი „ჰიუნდაი ტუქსონი“ კარგი ავტომობილი იყო, მასთან ცუდი მოგონებები მაკავშირებდა, ძერზე „დუბინკების“ ნაკვალევი კარგად ეტყობოდა. ამიტომ შეველიე და მეგობრისგან მექანიკური მართვის „ჰონდა ცეერვე“ შევიძინე.

— **თქვენი ჯიპით კმაყოფილი ხართ?**

— კი, ეკონომიური, მუშა მანქანაა. ლავრისხევში აგარაკზე ასვლა და სამშენებლო მასალების ატანა ხშირად მიწევს. საბარგულში ადგილი რომ არ დაკარგულიყო, მანქანა გაზზეც არ გადავიყვანე. დიდად ვერ ვუვლი, მაგრამ, როგორც კი რაღაც პრობლემა შეექმნება, პროფილაქტიკაში მაშინვე მიმყავს. საბედნიეროდ, ხშირად არ მიწევს.

— **იმდენად წესიერი მძღოლი ყოფილხართ, ჯარიმების გადახდა ალბათ არ გიწევთ.**

— არა — სხვათა შორის. ბოლო დროს ერთადერთი ჯარიმა ავიკიდე. ნუცა ჯანელიძეს ველოდებოდი სახლთან. იმ ადგილას გაჩერება არ შეიძლებოდა და პატრულმა დამაჯარიმა კიდეც. როცა დამნაშავე ვარ, ხმას არ ვიღებ. პატრულმა თუ თვითონ არ მიცნო, მე არაფერს ვეუბნები.

— **იმ პერიოდში, როცა აქტიური ოპოზიციონერი იყავით, პატრული არ გაჩერებდათ ხშირად?**

— იმ პერიოდში რამდენჯერმე გამაჩერეს და სულ შიში მქონდა, ჩემს გაჩერებას კუდები არ მოჰყოლოდა. ძალიან მსუბუქ რამეზე მაჩერებდნენ, მაგრამ მაშინდელი პატრულიც კი დიდ პატივისცემას იჩენდა ჩემ მიმართ. მეუბნებოდნენ, ძალიან გვიყვარხარო და სითბოს გამოხატავდნენ. მაშინდელ პატრულზეც კარგის მეტი არაფერი მეთქმის, რასაც იმ პერიოდის შინაგან საქმეთა სამინისტროზე ვერ ვიტყვი.

— **თქვენი უფროსი ბიჭი უკვე მართავს მანქანას?**

— გიორგი 21 წლის არის და ამ მანქანით მორიგეობით ვსარგებლობთ. სანამ საკუთარ ავტომობილს იყიდის, ვათხოვებ ხოლმე. მართვაში გამოცდა მეოთხე ცდაზე ჩააბარა. ამაზე სრულიად არ ვღელავდი, რადგან ვფიქრობდი, რაც უფრო მეტჯერ მოუწევდა გამოცდის გავლა, მით უფრო კარგად ისწავლიდა. უკვე რამდენიმე თვეა მანქანით დამოუკიდებლად მოძრაობს, მასაც ვენდობი, როგორც მძღოლს და ოჯახსაც ვანდობ. ერთადერთი შენიშვნა, რაც მაქვს, ის არის, რომ ჩემთან შედარებით ნაკლებად დამთმობია და ხანდახან სისწრაფის აკრეფასაც ცდილობს. თუმცა თავის ასაკთან შედარებით, მაინც დინჯი მძღოლია.

— **თქვენმა ცოლმა იცის მანქანის მართვა?**

— გაგეცინებათ და, ჩემს ცოლს მთელი ცხოვრებაა, ვეხვეწები, მანქანის მართვა ისწავლოს. ბოლოს გადავწყვიტე, მე მესწავლებინა და უკვე მეორე სიჩქარეზე ვართ. შუა სწავლაში კანონმა მოგვისწრო, ახლა ავტომატური მართვის მანქანაზეც შეიძლება გამოცდის ჩაბარება, მაგრამ არა უშავს, ისწავლოს მექანიკური მართვის კოლოფის გამოყენება და ავტომატიკას უკვე თავისუფლად გაატარებს.

— **აპირებთ ავტომობილის გამოცვლას?**

— ჯერჯერობით — არა, რადგან სხვა საქმეებზე ვარ გადართული. უფრო პრესტიჟული მანქანა არ მაწყენდა. ხშირად ისეთ ადგილებში მიწევს მისვლა, ავტომობილს ძალიან შორს ვაყენებ, რომ არავინ დაინახოს. ჩემი საოცნებო მანქანებია „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“, „აუდი ა 8“ და „იქს 5“.

✓ სოფიო ბოჭორიძე

„პრესტიჟული მანქანა არ მაწყენდა. ხშირად ისეთ ადგილებში მიწევს მისვლა, ავტომობილს ძალიან შორს ვაყენებ, რომ არავინ დაინახოს".



Cyan Magenta Yellow Black

# ნინო მუმლაძე „ორსულობას“ მალავდა, ანი ტყებუჩავა „ქმრის“ ღალატს აპირებდა

სახე სერიალიდან



მსახიობ ანი ტყებუჩავას სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ თავისი გმირის, ორსული ნინას თამაში არ უჭირს, რადგან რეალურ ცხოვრებაშიც იმავე მდგომარეობაშია — სამი თვის ფეხმძიმეა. ის და რეჟისორი ლევან ბარამიძე პირველ შვილს ელოდებიან. ახლა სცენარისტებს თუ სერიალის მხატვრებს თავად აძლევს რჩევებს და მითითებებს, ორსულ ქალის რეალისტური თამაშისთვის რა და როგორ სჭირდება, მით უმეტეს, რომ სერიალში მეორე ქალიც იმავე მდგომარეობაშია — ნინო მუმლაძის გმირი ნათია, დათო გოცირიძის ყოფილი საყვარელი.

თვითონ მსახიობებისთვის მოვლენების ასეთი დრამატული განვითარება მოულოდნელი იყო, განსაკუთრებით ნინო მუმლაძისთვის, რომელიც „ფეხმძიმობას“ არ ელოდა. ანის კი ძალიან უნდოდა, მისი გმირის გარშემო სიტუაცია დაძაბულიყო, ნინა ქალური ისტორიის ცენტრში მოხვედრილიყო. ახლა „კვანძის გახსნას“ ელოდებიან და ორივეს თავ-თავისი ვერსია აქვს, როგორ უნდა მოიქცეს ორცეცხლშუა მყოფი დათო გოცირიძე, რომლის ცოლიც და ყოფილი საყვარელიც მისგან შვილებს აჩენენ.

**— ნინო და ანი, სერიალში დათოს საყვარელ ქალებს რეალურ ცხოვრებაში როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

**ნინო:** მეგობრები, თანამშრომლები ვართ. მე და ანი ერთმანეთს სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობთ. ასაკით ტოლები ვართ, მაგრამ ანიზე ერთი-ორი კურსით წინ ვიყავი, თეატრალური მასზე ადრე დავამთავრე. ახლა სერიალზე მუშაობისას ერთმანეთი უფრო ახლოს გავიცანით.

**ანი:** **„მიუხედავად იმისა, რომ ამაში არც ერთი ქალი მეთანხმება, მე მაინც ვფიქრობ, ფეხმძიმე ქალს, რომელსაც ტოქსიკოზი და წოლითი რეჟიმი აქვს, იმის გამო, რომ შენ შიშის ქვეშ ხარ, სიმართლე არ უნდა უთხრა“.**

**ანი:** საერთო მეგობრებიც გვყავს. ნინოს შემოსვლა სერიალში ძალიან გამიხარდა. ჩემი გმირის ცხოვრებაში რაღაცეები რომ ჩაიხლართა, ძალიან გამიხარდა. მეც მინდოდა ქალური თავგადასავლები, „ვიქაჩებოდი“, მოდი, ნინამ უღალატოს დათოს-მეთქი.

**— ელოდით მოვლენების ასე განვითარებას?**

**ანი:** არა, ამას არ ველოდი. ეს სერიალი კომედიურია, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო ღრმა გახდა, ცოტა დრამაში თუ მელოდრამაში გადავედით. ეს მომწონს, რადგან რაც მეტი მოულოდნელობით იქნება სავსე, რაც აქეთ-იქით ვიხტუნავებთ, თუნდაც ჟანრებში, ჩვენთვის, მსახიობებისთვის, უფრო საინტერესო იქნება.

**— თქვენი აზრით, მამაკაცი, რომელსაც ორსულად ჰყავს ცოლიც და ყოფილი საყვარელიც, როგორ უნდა მოიქცეს?**

**ანი:** როცა ამ სცენარს ვკითხუ- →38


# ტერაფლექსი

## გაიხანგრძლივეთ სახსრების ახალგაზრდობა!

BAYER
150 Years
Science For A Better Life

- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსრებსა და ხერხემალში
- ახდენს ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას
- ზრდის სახსრების მოქნილობას
- ამცირებს მოთხოვნილებას ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ პრეპარატებზე
- აუმჯობესებს პაციენტთა სიცოცხლის ხარისხს




ტერაფლექსი ადვანსი
დაავადებების გამწვავებისას




ტერაფლექსი
დაავადებების ბაზისური თერაპიისათვის



სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**სახე სერიალიდან**

ლობდი, სულ იმას ვფიქრობდი, დათომ არ გაბედოს და ნინას არ უთხრას, რომ ნათია ორსულადაა-მეთქი. ძალიან რთული, შეიძლება შეუძლებელიც არის, მაგრამ ვთვლი, რომ მან უნდა მოითმინოს, ნინას მშობიარობას დაელოდოს და შემდეგ გაამხილოს. როცა ნინას ბავშვი ეყოლება, შვილზე გადაერთვება და ამ ამბავს უფრო ადვილად გადაიტანს.

თუ დათო ნინას სიმართლეს ახლა ეტყვის, ეს მისი მხრიდან მხოლოდ შიშის მანიშნებელი იქნება. დათო შიშმა დააპატარავა და დათრგუნა. როცა ეს გადასაღებ მოედანზე ვთქვი, ყველას გაუკვირდა, მკითხეს, როგორ, ნუთუ უნდა დაუმალოსო. ამდენი ხანი თუ ღალატს მალავდა?!..

მიუხედავად იმისა, რომ ამაში არც ერთი ქალი მეთანხმება, მე მაინც ვფიქრობ, ფეხმძიმე ქალს, რომელსაც ტოქსიკოზი და წოლითი რეჟიმი აქვს, იმის გამო, რომ შენ შიშის ქვეშ ხარ, სიმართლე არ უნდა უთხრა. კეთილი ინებე და ისე მოიქეცი, რომ შენმა ცოლმა სიმართლე ვერ გაიგოს.

**— ნინო, თქვენ რას ფიქრობთ დათო გოცირიძეზე?**

**ნინო**: დათო ძალიან სუსტი პიროვნება აღმოჩნდა. სასტიკი წინააღმდეგი ვარ მსგავსი ურთიერთობის, რაც ნათიას და დათოს აქვთ. ყოველთვის ვეწინააღმდეგები იმ ქალებს, რომლებიც ამბობენ, არა უშავს, ჰყავდეს საყვარელი, თუ ცოლს არაფერს აკლებსო. დათო პატარა არსება აღმოჩნდა. მას არც იმის მამაკაცური სიძლიერე აღმოაჩნდა და არც უნარი, რომ ეს ყველაფერი მტკივნეული არ ყოფილიყო როგორც ცოლისთვის, ასევე მისი საყვარლისთვის. ნათიაც რთულ სიტუაციაშია, ოჯახმა მასთან კონტაქტზე უარი თქვა, ყველამ ზურგი შეაქცია, აბსოლუტურად მარტო დარჩა. საყვარელსაც კი არ ეუბნებოდა, რომ ორსულად იყო, მიუხედავად ამისა, დათო კიდევ იქით ევაჭრება რაღაცეებს. ნათია მარტოსული და მარტოხელაა.

**— როგორც ჩანს, თქვენი გმირი ძალიან გეცოდებათ.**



**ანი:** **„ნინასნაირი ორსულობა არ მაქვს და, იმედია, არც ჩემი ქმარი იტანჯება ისე, როგორც დათო".**

**ნინო**: რა თქმა უნდა. ორსული ქალი, რომელიც მარტოა და გვერდში აბსოლუტურად არავინ ჰყავს, განა საცოდავი არ არის? ფაქტია, რომ ეს გოგო შეცდომებს ნანობს. ეს ყველაფერი იმაზე გაცილებით ძვირი დაუჯდა, ვიდრე სიამოვნება მიიღო.

**— გავრცელებულია აზრი, რომ ყველა კაცი პოტენციური მოღალატეა, ისეთი მეოჯახეც კი, როგორიც დათო გოცირიძეა.**

**ანი**: არავინ იცის, ვინ არის პოტენციური მოღალატე. ისეთი პატარა ასაკის გოგონები მეუბნებოდნენ, შენს „ქმარზე" ვგიჟდებითო, რომ ძალიან მიკვირდა. დათო ლამის ერის იდეალი იყო. ძალიან მიხარია, რომ ეს სტერეოტიპი ინგრევა. ვერ ვიტყვი, რომ დათო სტომატოლოგმა ნათიამ ძალიან აცდუნა. ქალაქში ძალიან ბევრი დეკოლტიანი ქალი დადის, მაგრამ... ცხოვრებაში ასეთი ცდუნება ალბათ ყველას აქვს, მაგრამ ადამიანი თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს!

**ნინო**: კაცები, რომლებიც ძალიან მექალთანეები არიან, რაღაც ასაკაში ხვდებიან, რომ ასეთი ცხოვრება აღარ უნდათ და ერთგული და კარგი ქმრები ხდებიან. არიან ისეთებიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, წყნარი, ჩუმი ადამიანები არიან, იფიქრებ, ამან რა უნდა ქნასო, მაგრამ მათაც ერევათ რაღაცეები და ცოლებს ღალატობენ. დათო მექალთანე კი არ იყო, სისუსტე გამოიჩინა, ამიტომაც დაემართა ეს ყველაფერი ასე გაუგებრად, დაულაგებლად და არასწორად. რატომღაც მამაკაცებს ჰგონიათ, რომ კარგი კაცობა და კარგი ტიპობაა,

**ნინო:** **„ჩემი გმირი მარტოსული და მარტოხელაა, განა საცოდავი არ არის?".**

როცა ბევრ ქალთან ერთდროულად არიან, მაგრამ ეს პლუსი კი არა, ძალიან დიდი მინუსია. პირადად ჩემთვის, ერთგული მამაკაცი, რომელიც საკუთარ თავმოყვარეობას და საყვარელი ქალის პატივისცემას არ კარგავს, გაცილებით დასაფასებელი და საინტერესოა.

**— თქვენ რომ ნინას მდგომარეობაში იყოთ, ოჯახს დაანგრევდით?**

**ნინო**: ალბათ — კი.

**ანი**: არ ვიცი, ვერ გეტყვით. ხომ ამბობენ, ქმარს ყველაფერს ვაპატიებ, ღალატის გარდაო, მე ასეთ რაღაცას ვერ ვიტყვი, შეიძლება სხვა რაღაცაც ვერ აპატიო. მოღალატე ქმრებს ვეტყოდი, რომ, რაც თავიანთ ცოლებს დააკლეს, იმას მათი ცოლები ოდესღაც აუცილებლად სხვაგან იპოვიან. ისეთი ცუდი მაგალითები გამიგია პატიოსანი ადამიანებისგან, რომ... როცა ქმარს არ უყვარხარ, ისე ადვილად გახდები მოღალატე ცოლი.

**ნინო**: ნინას და დათოს ადგილას მე ოჯახს დავანგრევდი. როცა ორი ადამიანი ერთმანეთისთვის უცხო ხდება, რაღაცეები იცვლება, ბოლოს ხვდები, რომ იმ პიროვნებასთან, შვილების გარდა, არაფერი გაკავშირებს. როცა ასეთ სიტუაციაში ადამიანი გღალატობს, გასაკვირი არ არის და, უფრო მეტიც, ლოგიკურია. შეიძლება შენც სხვა ინტერესები გქონდეს და წყნარად, მშვიდად დაიშალოთ.

**ანი**: სწორად გამიგეთ, იმას არ ვამბობ, რომ, თუ ის გღალატობს, შენც უნდა წახვიდე და უღალატო. არა! შენ თუ შეგნებულად მიუდგები ამ საკითხს, ის კი გულწრფელად მოინანიებს, აპატიებ. იმის თქმა მინდა, რომ ხანდახან უნდა აპატიო, რომ შენც გაპატიონ.

**ნინო**: დათო ბოლო მომენტამდე მალავდა. არათუ ნანობდა, ძალიან წყნარად აპირებდა ორ ქალთან ერთად ცხოვრებას. უნდოდა, საყვარელიც ჰყოლოდა და ცოლიც. ასეთი მამაკაცი პატიების ღირსი ნამდვილად არ არის!

**— იცოდით, რომ სერიალში ორსულობის „სეზონი" იგეგმებოდა?**

**ნინო**: ჩემთვისაც შოკი იყო, როცა მითხრეს, ნათია ორსულადააო. არაფერი ვიცოდი. გადასაღებ მოედანზე რომ მივედი და ბალიში მომცეს, გაიკეთეო, გავგიჟდი! სერიალში ორსულობა ვირუსივით დაიწყო, პეტრეს ცოლიც ფეხმძიმედაა.

ბოლო მომენტამდე სახლში არ →40

57%-მდე ფასდაკლება კლინიკა „ესთეტიკ ქორნერი"-სგან!
მეორე პროცედურა იმავე ზონაზე 50%-იანი ფასდაკლებით!

Esthetic CorneR
ესთეტიკ ქორნერი

მეხუთე თაობის დიოდური ლაზერული ეპილაცია 2013 წლის ლაზერითSOPRANO ICE (ALMA lasers – ისრაელი)

სამუდამოდ განთავისუფლდით არასასურველი თმისაგან!

მოწინავე სამედიცინო ლაზერული ტექნოლოგიების შემქმნელებისაგან SOPRANO ICE (ALMA lasers – ისრაელი) რევოლუცია დიოდური ლაზერების ისტორიაში! გაუგე გემო სრულიად უმტკივნეულო, სწრაფ და ეფექტურ ლაზერულ ეპილაციას. ეს წარმოუდგენელი რეალობაა – დიოდური ლაზერული ეპილაცია გადაიქცა სასიამოვნო, სარელაქსაციო მასაჟის პროცედურად, რომელიც ტარდება დინამიკაში (in motion), სწრაფად და, რაც მთავარია, სრულიად უმტკივნეულოდ!!!

უნიკალური „ცივი" დიოდის მახასიათებლებია:

- ეფექტურია 1-6 ტიპის ფერის კანისათვის, აქედან გამომდინარე, მუშაობს გარუჯულ და მუქ კანზეც;
- აქვს ღია ფერის თმაზე ზემოქმედების მეტი შესაძლებლობა;
- სრულიად უმტკივნეულოა;
- უსაფრთხოება გარანტირებულია;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურულ და ვიზუალურ სახეს;

შედეგად ვიღებთ გლუვ, ხავერდოვან, თმიანობისაგან თავისუფალ კანს.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, აბაშიძის 76, კლინიკა „ესთეტიკ ქორნერი". ☎ 229-56-61

ავერსი AVERSI

# ავერსი-რაციონალი უმაღლესი სტანდარტის გარანტია

ჯანდაცვა დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, ამიტომ ადგილობრივი ფარმაცევტული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე თითოეული მოქალაქისთვის.

"ავერსი-რაციონალი" არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი, ევროპული დონის ფარმაცევტული საწარმოა. "ავერსი-რაციონალი" აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო, ეფექტურ და ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაზე ხელმისაწვდომ პროდუქციას, ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს, აფართოვებს წარმოებას...

პირველი მედიკამენტი "ავერსი-რაციონალმა" მომხმარებელს 2005 წლის მარტში შესთავაზა. პროდუქციის ასორტიმენტი წლიდან წლამდე იზრდებოდა. ამჟამად საწარმო 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს. კომპანია ახორციელებს ექსპორტს რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში: ყირგიზეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთის ქვეყნებში.

შესაბამისად, საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება და წარმოებაც ფართოვდება. აუცილებელი გახდა ახალი ლაბორატორიის მშენებლობაც, რომელიც უკვე მეორე წელიწადია ფუნქციონირებს. მას საწარმოს ტერიტორიაზე 750 კვადრატული მეტრი უკავია და აქ ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდება.

"ავერსი-რაციონალის" ლაბორატორია პასუხობს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ საწარმოს მოეთხოვება. ნედლეულს "ავერსი-რაციონალი" მხოლოდ მსოფლიოში ცნობილი ფარმაცევტული ბრენდებისგან იძენს, მის ხარისხს და სანდოობას კი ლაბორატორია კიდევ ერთხელ ამოწმებს.

პერსონალს გავლილი აქვს სათანადო სწავლება, ხოლო სერტიფიკატები, რომლებიც საწარმომ უმოკლეს ვადებში მიიღო, მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალი~ მსოფლიო დონის საწარმოა. ის ყოველწლიურად გადის საკონტროლო შემოწმებას, სამ წელიწადში ერთხელ კი ხდება ხელახალი სერტიფიცირება, რომელსაც ორი წამყვანი გერმანული კომპანია აწარმოებს (TÜV SÜD და TÜV Cleancert).

შეგახსენებთ, რომ "ავერსი-რაციონალმა" საერთაშორისო სერთიფიკატები უმოკლეს დროში მოიპოვა. მას - ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი 2006 წლიდან მიენიჭა;

2008 წლიდან კი GMP EU და FDA GMP სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელი გახლავთ, რაც მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალში~ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.) შეესაბამება ევროპული GMP-სა და ამერიკული FDA-ს სტანდარტების მოთხოვნებს.

"ავერსი-რაციონალი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.







ჭირნახულის N14

☎2-240-70-90

WWW.AVERSI.GE

## სახე სერიალიდან

ვამბობდი, რომ ჩემი პერსონაჟი ორსულად იყო. ძალიან მინდოდა, ჩემი ოჯახის წევრების რეაქცია მენახა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სერიის რეკლამაში დაინახეს და ძალიან მეწყინა, რომ წინასწარ გაიგეს.

**ანი**: მე საოცარი აზარტი გამიჩნდა. ერთი სული მქონდა, ეს ყველაფერი როდის დაიწყებოდა.

— **ანი, თქვენი რეალური ორსულობა როგორ მიმდინარეობს? იმედია, ისე რთულად არა, როგორც ნინასი.**

**ანი**: არა, ნინასნაირი ორსულობა არ მაქვს და, იმედია, არც ჩემი ქმარი იტანჯება ისე, როგორც დათო. ცოტა დილით მიჭირს ხოლმე, თორემ ისე ჩვეულებრივად ვარ. მივხვდი, რომ ეს ის თვეებია, როცა შემიძლია ჭირვეული ვიყო, მაგრამ ღამის 4 საათზე მარწყვი არ მინდება.

— **წარმოიდგინეთ, თქვენც რომ ტყუპებს ელოდებოდეთ!**

**ანი**: სიამოვნებით დაველოდებოდი, მაგრამ — არა. ჯერ ბავშვის სქესი არ ვიცი. რატომღაც პირველი ბიჭი მინდა. ჩემი ქმრისთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მე თავიდანვე მინდა, ბიჭის დედა ვიყო, თუმცა გოგოებზე ჭკუა მეკეტება და ალბათ გოგოს მეტი შემართებით გავაჩენ. იმდენი უმნიშვნელო დეტალია, იმდენი რამაა გასაფრთხილებელი, რომ, ცოტა არ იყოს, დავიძაბე. არ იცი, შენთვის რა არის კარგი და ცუდი. რასაც აქამდე, 30 წლის განმავლობაში

**ნინო: „ჩემთვისაც შოკი იყო, როცა მითხრეს, ნათია ორსულადაა. გადასაღებ მოედანზე რომ მივედი და ბალიში მომცეს, გაიკეთეო, გავგიჟდი!".**

ვაკეთებდი ჩვეულებრივად, უცებ უნდა შევცვალო. ვერ ვხვდები, რისი უნდა მეშინოდეს, რისი — არა, შეიძლება ისეთი წამალი დალიო, რაც არ გესმევა და ა.შ.

— **სამაგიეროდ ორსული ნინას თამაში ალბათ ახლა ძალიან გიადვილდებათ, მის მდგომარეობას უფრო კარგად გაითავისებთ.**

**ანი**: რა თქმა უნდა. როცა სცენარისტები რაღაცეებს წერენ, ვამბობ, ხალხნო, ასე არ არის-მეთქი. მხატვარსაც ვეუბნები, აქ უნდა დადგათ ჩაი, იქ — წამალი და ა.შ. სულ ვამბობ, ნინას და დათოს საძინებელი რა არის, თქვენ ჩემი საძინებელი უნდა ნახოთ, როცა მე ვწევარ-მეთქი, ყველაფერი იქვე ყრია.

— **ქმარი თქვენს გმირს ხომ არ გამსგავსებთ?**

**ანი**: არა. სერიალში ყველაფერი გაზვიადებული უნდა იყოს, ნინას მდგომარეობას უფრო ართულებენ. საერთოდ, ფიცხი ხასიათი მაქვს, უცებ რაღაცაზე მომეშლება ნერვები და ვყვირი. ისედაც ხმამაღლა ვსაუბრობ იტალიელივით. ქართველი დიასახლისის ცუდი თვისებაა, რომ პარალელურად სულ რაღაცაზე უნდა იწიკვინოს, იჩხუბოს, ოღონდ დრამატულად — არა. ზოგჯერ გიორგი ლიფონავა მეუბნება ხოლმე, ნუ წიკვინებო.

— **ნინო, თქვენი გმირის გამო მაყურებლები ქოქოლას გაყრიდნენ. ახლაც ასე გრძელდება თუ დამოკიდებულება შეიცვალა და ეცოდებით?**

**ნინო**: რატომღაც პერსონაჟს მსახიობთან აიგივებენ და რატომ არის ქართველ საზოგადოებაში ეს ასეთი აქტუალური, არ ვიცი. ამ ეტაპზე უფრო გაოცება მესმის, უი, შენ არ ხარ ორსულადო. რატომ უნდა ვიყო ორსულად?!

✓ ეკა ლემონჯავა



■ მირანდა კერი და ორლანდო ბლუმი

## ორლანდო ბლუმი და მირანდა კერი დაშორდნენ

30 წლის სუპერმოდელი მირანდა კერი და 36 წლის მსახიობი ორლანდო ბლუმი სამწლიანი ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ დაშორდნენ. ეს ინფორმაცია მსახიობის პრესმდივანმა ოფიციალურად დაადასტურა.

— ორლანდო ბლუმისა და მირანდა კერის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ რამდენიმე თვის წინ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრებაზე შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს კვლავინდებურად პატივს სცემენ და მეგობრობენ, ერთად ვერ იცხოვრებენ, შვილის აღზრდაში კი მონაწილეობას თანაბრად მიიღებენ, — ამბობს ორლანდო ბლუმის პრესმდივანი.

რა თქმა უნდა, დასავლურ პრესას ასეთი მოზომილი პასუხი არ მოეწონა და მაშინვე დაიწყო იმის გარკვევა, თუ რა გახდა ვარსკვლავური წყვილის დაშორების მიზეზი. ორლანდოსა და მირანდას ქორწილი 3 წლის წინ ყველაზე ლამაზ ცერემონიალად იყო აღიარებული. წყვილს შორის რომანი 2007 წელს დაიწყო, დაქორწინება კი მხოლოდ 2011 წლის 6 იანვარს მოახერხეს. მათი ვაჟი ფლინიც იმავე წელს დაიბადა.

წყვილის დაშორების შესახებ ჭორი პირველად 2013 წლის დასაწყისში გავრცელდა, მაგრამ მოგვიანებით სუპერმოდელმა ინეტრვიუში აღნიშნა, რომ ორლანდო შეუდარებელი ქმარი და გიჟი მამაა. დღეს ასეთი შეფასებები უკვე წარსულს ჩაბარდა. დასავლური პრესა წერს, რომ ოჯახის დანგრევის მიზეზი მირანდას ღალატი იყო. როგორც აღმოჩნდა, კერი მხოლოდ საქმეებზე კი არა, რომანებზეც ბევრს ფიქრობდა. ამბობენ, რომ მას რომანი ჰქონდა თავის აგენტთან, ასევე — მსახიობ ლეონარდო დიკაპრიოსთან, რომელთან ერთადაც სარეკლამო რგოლის გადაღებაზე იმუშავა. როდესაც ორლანდომ ცოლის ღალატი შეიტყო, მაშინვე გაყრა გადაწყვიტა.




# ფარმაცევტულ კომპანიას EGIS 100 წელი შეუსრულდა














2013 წელი ფარმაცევტული კომპანია "ეგისი"-სთვის საიუბილეო წელია: მას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

დღეს „ეგისი" წარმოადგენს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ წამყვან ფარმაცევტულ კომპანიას, რომელიც დაკავებულია არა მხოლოდ გენერიული, არამედ ახალი, ინოვაციური პრეპარატების შექმნითა და დანერგვით (კარდიოლოგიის, ნევროლოგიის, ალერგოლოგიის, ონკოლოგიისა თუ სხვა სამედიცინო სფეროებში). მისი პროდუქცია წარმოდგენილია მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. ეგისის წარმატების საწინდარი ინოვაციური აზროვნება და დაუცხრომელი წინსვლის სურვილია.

ღირსშესანიშნავი თარიღი „ეგისი"-ს წარმომადგენლობამ საქართველოში საზეიმოდ აღნიშნა „თბილისი ივენთ ჰოლში" ამა წლის 17 ოქტომბერს.

ღონისძიებაზე უნგრეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა კომპანია „ეგისი"-ს სათაო ოფისის წარმომადგენელი, რეგიონული ოპერაციების მენეჯერი — ქ-ნი ჰაინალკა გაშპარი. საპატიო სტუმრების სახით მოწვეულნი იყვნენ საელჩოს, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და სხვადასხვა სპეციალობის წამყვანი ექიმები, როგორც თბილისის, ისე რეგიონების სამედიცინო დაწესებულებებიდან. ასევე, საღამოს ესწრებოდნენ „ეგისი"-ს ოფიციალური დისტრიბუტორის საქართველოში – შ.პ.ს. „პსპ-ფარმა"-ს და სარეკლამო სააგენტო „მედია-არტი"-ს ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდნენ მსახიობი – ნანუკა ლითანიშვილი და „ეგისი"-ს წარმომადგენლობის რეგიონული მენეჯერი – ირაკლი დალაქიშვილი. წარმოდგენილი იქნა სახალისო-საინფორმაციო შოუ-პროგრამა, რომელიც სპეციალურად ამ საღამოსთვის მოამზადა „ეგისი"-ს საქართველოს წარმომადგენლობამ. შოუ-პროგრამა დაგვირგვინდა სიმბოლური ვარსკვლავის გახსნითა და ფეიერვერკით. საღამოს მეორე ნაწილში შედგა კონცერტი ახალგაზრდა ქართველი მომღერლების მონაწილეობით.

ეგისელები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ მოწყობილი საიუბილეო საღამო დიდხანს დარჩება სასიამოვნო მოგონებად ქართველ სამედიცინო საზოგადოებას.

EGIS100 1913-2013

ს.ს. ფარმაცევტული ქარხანა ეგისი (უნგრეთი)
წარმომადგენლობა საქართველოში
ალმაშენებლის გამზ.154, ტელ.: 255 99 06

ვარსკვლავური ამბები

# რომან აბრამოვიჩის ყველაზე მდიდრული საჩუქრები



24 ოქტომბერს პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რომან აბრამოვიჩი, 47 წლის გახდა. საჩუქრით მისი გაკვირვება შეუძლებელია, რადგან ყველაზე ძვირფას საჩუქრებს საკუთარ თავს თავად უკეთებს. გთავაზობთ 5 ყველაზე ძვირფასი საჩუქრის სიას, რომელიც აბრამოვიჩმა თავს მიუძღვნა.

**1. საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ — 1,3 მილიარდი დოლარი**

2003 წლის 2 ივლისს მილიარდერმა ყველასათვის მოულოდნელად ბრიტანული საფეხბურთო გუნდი „ჩელსი“ იყიდა 230 მილიონ დოლარად. მომდევნო 3 წლის განმავლობაში კი ამ კლუბს კიდევ 1,3 მილიარდი დოლარი დაახარჯა. ამდენი ფული აბრამოვიჩმა ძირითადად მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელების შესყიდვაში გადაიხადა. მაგალითად, ფერნანდო ტორესი 94 მილიონად იყიდა.

**2. კუნძული „ახალი ჰოლანდია“ — 400 მილიონი დოლარი**

2010 წელს რომან აბრამოვიჩმა პეტერბურგის რაიონის ადმირალიტეტში კუნძული „ახალი ჰოლანდია“ 400 მილიონ დოლარად იყიდა და ის კულტურულ ცენტრად აქცია. მისი ფულით იქ აშენდა სამხატვრო გალერეები, მუზეუმები, რესტორნები, ბუტიკები და ოფისები.

**3. იახტა „ეკლიპსი“ — 260 მილიონი დოლარი**

აბრამოვიჩი დიდი ახირებებით გამოირჩევა. მთელი 5 წელი აწყობდნენ იახტას, რომელშიც მილიარდერმა 260 მილიონი გადაიხადა. „ეკლიპსი“ 162 მეტრი სიგრძისაა და დღემდე კერძო საკუთრებაში მყოფი ყველაზე გრძელი იახტაა. მასზე 2 ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი და 2 აუზია. იახტა ტყვიაგაუმტარი ილუმინატორებითა და სპეციალური ლაზერული სისტემით არის აღჭურვილი, რათა პაპარაცებისგან დაცული იყოს.

**4. ილია კაბაკოვის ნახატები — 30-60 მილიონი დოლარი**

2013 წლის დასაწყისში აბრამოვიჩი ყველაზე ძვირადღირებული რუსი მხატვრის, ილია კაბაკოვის ნახატების კოლექციის მფლობელი გახდა. ის მხატვრის „ოქროს კოლექციამ“ დააინტერესა. 2008 წელს აუქციონზე ამ მხატვრის ტილო „ხოჭო“ 5,8 მილიონ დოლარად გაიყიდა.

**5. ყველაზე ძვირი ბინა ნიუ იორკში — 75 მილიონი დოლარი**

47 წლის რომ გახდა, აბრამოვიჩმა დაბადების დღეზე საკუთარ თავს ნიუ იორკში ყველაზე ძვირადღირებული ბინა აჩუქა. 6 სართულიანი სახლი ნიუ იორკის ერთ-ერთი ისტორიული შენობაა და 1920 წელსაა აშენებული. საცხოვრებელი ფართი 903 კვადრატული მეტრია. სახლი წარმოადგენს 5 აპარტამენტს — 3 ტრიპლექსი, დუპლექსი და პენტჰაუსი.


ტურისტული სააგენტო
„საქართველო“

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის!

ტურისტული სააგენტო „საქართველო“ ყოველ შაბათ-კვირას გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით. მონახულეთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები და დატკბით უმშვენიერესი ბუნებით!





ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს
ტური განხორციელდება ნებისმიერი ამინდის პირობებში






დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: *1818 ან ეწვიეთ ფეისბუქის ოფიციალურ ვებგვერდს: „ტურისტული სააგენტო საქართველო“

# ბრიტანეთის პრინცის ნათლობის დეტალები

## კეიტ მიდლტონი მეორე შვილს ელოდება



23 ოქტომბერს ლონდონში, სენტ ჯეიმსის სასახლეში, ბრიტანეთის პრინც უილიამის შვილის, ჯორჯ ალექსანდრ ლუის ნათლობა შედგა. ცერემონიალზე დაპატიჟებული სტუმრები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებული, რომ ნათლობის დეტალებზე წინასწარ არავისთან ესაუბრათ.



■ წინ — დედოფალი ელიზაბეტი, უკან — კამილა პარკერი

ბრიტანეთის მომავალი მონარქის ნათლია 7 ადამიანია — პრინც უილიამის ბიძაშვილი ზარა ფილიპსი, დედის, კეიტ მიდლტონის სკოლის მეგობარი ემილია ჟარდინ პატერსონი, პრინც უილიამის მეგობრები ოლივერ ბეიკერი და უილიამ ვან კატსემი, ასევე პრინც უილიამისა და მისი ძმის, პრინც ჰარის პირადი მდივანი ლუთერ პინკერტონი, ვესტმინსტერის ჰერცოგის შვილი ჰიუ გროსვენორი და პრინცესა დაიანას მეგობარი ჯულია სემუელი.

ნათლობა ეტიკეტის სრული დაცვით ჩატარდა. სტუმრების ჩაცმულობაც წინასწარ განსაზღვრული გახლდათ. ყველა ქალი კაბაში, პალტოსა და ღია ფერის შლაპაში იყო გამოწყობილი. კეიტ მიდლტონს ალექსანდრ მაქქუინის კრემისფერი ელეგანტური კაბა ეცვა. ასეთივე ფერის პერანგი ეცვა პატარა ჯორჯს.

ბრიტანელი კრიტიკოსების მთელი რისხვა პრინც ჩარლზის ცოლს, კამილა პარკერს დაატყდა თავს. ერთი შეხედვით, მის ჩაცმულობაში არაფერი იყო მიუღებელი — სპილოსძვლისფერი კაბა და პალტო ერთმანეთს უხდებოდა, მაგრამ შლაპა აღმოჩნდა ძველი გარდერობიდან. როგორც გაირკვა, ამ თავსაბურავში კამილა უამრავ შეხვედრაზე და წვეულებაზეა ნამყოფი.

ნათლობაზე დედოფალი ელიზაბეტი გამორჩეული იყო — ღია ცისფერი პალტო და ქუდი, რომელსაც ცისფერი დეტალები ამშვენებდა, ხელში პატარა ზომის ლაქის ჩანთა. 87 წლის დედოფალი კვლავინდებურად არ ერიდება მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას.

ნათლობის დღეს ისიც გახდა ცნობილი, რომ კეიტ მიდლტონი მეორე შვილს ელოდება.







## მოდა

# პოლ სმიტი — ქალი მამაკაცის გარდერობიდან

პოლ სმიტის 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ქალმა სამოსის არჩევისას მეგობარი მამაკაცის გარდერობი დაიხმარა. პოლ სმიტი შეუდარებელ კოლორისტად ითვლება, რაც მისი ფერთაშეხამებით გამოიხატება. ახალ კოლექციაში წამყვანი ადგილი „ელექტრულ“ ფერებს უკავია. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა კი პირდაპირ აღნიშნა, მამაკაცის პერანგი ასეთი სექსუალური არასდროს ყოფილაო. საერთო ჯამში, კოლექციამ ასეთი დახასიათება მიიღო — ცოცხალი, ფერადოვანი, ძლიერი სული.




















სიახლე!!! ვცვლით! ძველ აპარატებს ახალ აპარატებზე

შვეიცარიული გლუკომეტრები 25 ლარად!

დიდი ფასდაკლება ქოლესტერინის აპარატზე.



აკონტროლეთ თქვენი ჯანმრთელობა!

უარი უთხარით მიოკარდიუმის ინფარქტს და ათეროსკლეროზს!



მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)

ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

# ეკო ფანგანი: „რომში მინდება, რომ შეყვარებული ვიყო“



შოუბიზნესის პოპულარული სახის, ეკო ფანგანის საზღვარგარეთული ვოიაჟები ძირითადად გართობასა და დროსტარებასთანაა დაკავშირებული. უცხო ქალაქიდან ისე არ წამოვა, იქაური განთქმული რესტორანი, კაფე ან კლუბი არ მოინახულოს. ელექტრონული მუსიკის მოყვარული ყველაზე მეტად ბერლინის კლუბების კულტურამ მოხიბლა. უყვარს მეგობრებთან ერთად მოგზაურობა, მაგრამ მარტოც დიდ სიამოვნებას იღებს და არც უცხო დიდ ქალაქში დაკარგვის შიში აქვს. ის კი არა, პატარა ქალაქები არ უყვარს, სიჩუმეს და სიწყნარეს ვერ ეგუება, ხმაურიანი, ხალხით სავსე ქუჩები იზიდავს.

**— ეკო, საზღვარგარეთ ძირითადად რა მიზნით დადიხართ — დასვენების, გართობის, საქმიანი თუ სხვა?**

— ჩემი მოგზაურობა ძირითადად გართობას უკავშირდება, თუმცა გასულ ზაფხულს ბულგარეთში გადაცემის გადასაღებადაც ვიყავით. ამ ქვეყანაში პირველად გახლდით, კარგად დავისვენე, გავერთე და კარგი გადაცემაც გავაკეთეთ. მეტს ბულგარეთზე ვერაფერს მოგიყვებით. სიმართლე გითხრათ, არაფერი დაგვითვალიერებია, ამისთვის დრო არ გვქონდა, ძირითადად ვმუშაობდით. სხვათა შორის, ნორმალური ქლაბინგი იყო.



■ ბულგარეთში

„დასავლეთ ევროპაში ხომ ძალიან ბევრი პატარა, მოწესრიგებული ქალაქია, რამდენი შენატრის იქ ცხოვრებას. თუ გინდათ, რომ გავაფრინო, ნევროზი დამემართოს და თავი ჩამოვიხრჩო, პატარა, „პუწკუნა" ქალაქში უნდა დამსვათ".

**— როგორც მივხვდი, კლუბების მოყვარული ხართ.**

— დიახ, ასეა. თავის დროზე „თბილისი ლაივმა“ თბილისის მთავარი „ტუსოვშიცას“ წოდება მომანიჭა. ელექტრონული მუსიკა საქართველოში პირველად რომ შემოდიოდა, ერთ-ერთი დამხმარე ძალა მე ვიყავი. ბერლინში ხშირად დავდივარ. ეს ქალაქი ელექტრონული მუსიკის ეპიცენტრია. გერმანიაში ბევრი სხვა ქვეყნის დიჯეი მუშაობს. სხვა ქვეყნების კლუბები დიდად არ მომწონს. ბერლინში ჩემი ახლო მეგობრები ცხოვრობენ, მათ შორის — ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი და მისი ცოლი. იქ ჩასვლა წელიწადში რამდენჯერმე მიწევს. ბერლინის კლუბები ანდერგრაუნდ მუსიკითა და სიტუაციითაა გამორჩეული. ელექტრონული მუსიკა ჩემთვის ყველაზე მაგარია, მამაჩემისთვის — ყველაზე ჯოჯოხეთური.

**— მამასთან ერთად ყოფილხართ კლუბში?**

— გერმანიაში — არა, მაგრამ ერთხელ ბათუმში მე და ჩემს ძმას მოგვაკითხა კლუბში. ბული რომ დაინახა, ხელების ქნევით ცდილობდა, გზა გაეკვლია.

**— კლუბების გარდა, რითი მოგხიბლათ ბერლინმა?**

— ბერლინი ბერლინია, რა გითხრათ? ძალიან მაგარი ქალაქია. მას სხვანაირად აღვიქვამ. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ბაბუაჩემი ბერლინის კომენდანტი და ყოფლი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სამხედრო იყო. პირველად რომ მოვხვდი ბერლინში, ყველაფერი დავათვალიერე, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თავისი ღირსშესანიშნაობებით და ცხოვრების რიტმით ჩემი საყვარელი ქალაქია. ვუსმენ იქაურ მუსიკას, მაგრამ არ ვარ გერმანელი. კარგი ხალხი კი ცხოვრობს. ქართველებმა რომ ვიცით, ჩვენ ვართ მარტო კარგები, გერმანელები ან ინგლისელები ცუდები არიანო, ასე ნამდვილად არ არის. მაგალითად, ლონდონში ყველა გიცინის.

**— ლონდონში სამოგზაუროდ იყავით თუ საქმიანი ვიზიტით?**

— იქაც მეგობრებთან ერთად გასართობად წავედი. ერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ არ ვარ ადამიანი, რომელიც შთაბეჭდილებებით გადაირევა. ყველაფრით მაგარი ქალაქია, თავისი გართობით, ლამაზი ქუჩებით და ღირსშესანიშნაობებით. თან ჩვენ სულ მზიანი ამინდები დაგვემთხვა და კარგადაც ვისიამოვნეთ.

**— უცხო ქალაქში, პირველ რიგში, რას ეცნობით?**

— გარდა იმისა, რომ ღირსშესანიშნაობები უნდა დავათვალიერო, ადგილობრივი სამზარეულოც აუცილებლად უნდა დავაგემოვნო. ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი და ვთვლი, რომ სადაც ჩახვალ, უნდა გაიჭირვო და იმ ქალაქის ყველაზე კარგ რესტორანში წახვიდე. ყველა ქალაქს თავისი კოლორიტული ადგილი აქვს, კაფე ან რესტორანი. პარიზში არსებობს რესტორნები და კაფეები, რომლებიც მსოფლიო ხუთეულში შედიან, ასეთი ადგილები ხომ უნდა ნახო? პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე უძველესი კაფეა „დე ფლორ“, რომელიც ნაღები საზოგადოების თავშეყრის ადგილია. ეს კაფე ყველამ უნდა ნახოს, ვინც პარიზში მოხვდება.

„ვთვლი, რომ სადაც ჩახვალ, უნდა გაიჭირვო და იმ ქალაქის ყველაზე კარგ რესტორანში წახვიდე. ყველა ქალაქს თავისი კოლორიტული ადგილი აქვს, კაფე ან რესტორანი. პარიზში არსებობს რესტორნები და კაფეები, რომლებიც მსოფლიო ხუთეულში შედიან, ასეთი ადგილები ხომ უნდა ნახო?".

**— რომელიმე ქვეყნის სამზარეულო გამორჩეულად მოგეწონათ?**

— გურმანი ვარ, მაგრამ არ მეტყობა. ქართული, რუსული, აზიური, იაპონური, ჩინური და ინდური სამზარეულოები ძალიან მიყვარს. მალაიზიაში ცხიმიანი საჭმელებია და ნაკლებად მოვიხიბლე.

**— პარიზს დავუბრუნდეთ, რომელიც ბევრისთვის სიყვარულის ქალაქია, თქვენთვისაც ასეა?**

— ალბათ — კი. საერთოდ, მთავარია, გესიყვარულებოდეს და ყველა ქალაქი სიყვარულისაა. შეიძლება არავინ გიყვარდეს, მაგრამ არსებობს ქალაქები, სადაც გინდება, რომ შეყვარებული იყო. ჩემთვის ასეთი რომია. მთელი იტალია ერთი დიდი მუზეუმია. ქუჩებში განსხვავებული ემოცია და ტემპერამენტი სუფევს. იტალია ჩემთვის ცალკე გალაქტიკაა.

**— ასეთი ემოციები რამ გამოიწვია?**

— არ ვიცი... საერთოდ, იტალია ქართველებს ძალიან უყვართ. ამბობენ, ქართველები და იტალიელები ერთმანეთს ჰგვანანო. ერთი პერიოდი იტალიაში ვსწავლობდი, მას შემდეგ იქ ხშირად ჩავდიოდი. მთელი იტალია ვიცი, სად რა ხდება. იქ სხვანაირად ვგრძნობ თავს, უფრო ბედნიერად. ბერლინში ძალიან მაგარი იტალიური რესტორანია, სადაც მეპატრონეებს და მომსახურე პერსონალს ყველას ვიცნობ. მათ იტალიურად რომ დავუწყებ საუბარს, უკვე კარგად ვარ, სითბო მეღვრება.

**— უცხო ქალაქში გზის გაგნება არ გიჭირთ, არსად დაკარგულხართ?**

— არანაირად. რომში მეორედ რომ ჩავედი, მარტო ვიყავი. ტაქსიში ჩავჯექი, მძღოლს სასტუმროს მისამართი ვუთხარი და ცოტა ხანში ვეუბნები, რატომ მატყუებ, წრეზე რატომ დადიხარ-მეთქი. მიხვდა, რომ იქაურობა ვიცოდი. ორიენტაცია

→46

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



■ შრი ლანკაზე

კარგად მაქვს განვითარებული. რომსა და ფლორენციაში მუზეუმები მარტომ მოვიარე, ოღონდ, როგორც ტურისტები დადიან ზურგჩანთებითა და „შლოპანცებით", ასე არა. დასათვალიერებლად გამოპრანჭული მივდიოდი. განწყობის ადამიანი ვარ, როცა გაპრანჭული ვარ, თავს კარგად ვგრძნობ. მუზეუმებში გამოპრანჭული რომ შევდიოდი, ურიგოდ და უბილეთოდ მიშვებდნენ.

ერთადერთი, რაც მახსენდება, მოსკოვში შუაღამისას დაკარგვაა. ეს შემთხვევა ტაქსის მძღოლის ბრალი იყო. მე და ჩემი ნათლიის შვილი კლუბში წავედით, იქიდან მარტო დავბრუნდი და დამკარგა ტაქსის მძღოლმა, მისამართი არ ვიცით. ისევ მე მივაგენი დანიშნულების ადგილს.

— **არ შეგეშინდათ, ამხელა ქალაქში რომ დაიკარგეთ?**

— არა, რისი უნდა შემშინებოდა? არაფრის მეშინია და დაკარგვის როგორ უნდა შემშინებოდა?! ქალი მალაიზიაში გველებს ვატყავებდი და ვჭამდი პროექტ „უკანასკნელ გმირში", ხომ არ დაგავიწყდათ? იმ უბედურებაში კიდევ დიდი სიამოვნებით წავიდოდი. მალაიზია კარგად მახსენდება.

— **რომის გარდა, არსებობს ქალაქი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვართ?**

— მიუხედავად ჩემი პროტესტისა რუსეთის მთავრობის მიმართ, მოსკოვი ჩემი უსაყვარლესი ქალაქია. იქ ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან მე პატარა ქალაქები არ მიყვარს. დასავლეთ ევროპაში ხომ ძალიან ბევრი პატარა, მოწესრიგებული ქალაქია, რამდენი შენატრის იქ ცხოვრებას. თუ გინდათ, რომ გავაფრინო, ნევროზი დამემართოს და თავი ჩამოვიხრჩო, პატარა, „პუწკუნა" ქალაქში უნდა დამსვათ. დიდი ქალაქის ენერგია და ძალა კისერში თუ არ მაწვება, ცუდად ვარ. მთელი აგვისტო ვიმუშავე, სექტემბერი კი ჩემს აგარაკზე გავატარე. კარგად დავისვენე და თბილისში რომ დავბრუნდი, ქალაქი გავსებული დამხვდა. ეს ძალიან მესიამოვნა, ქალაქის ხმაური ვიგრძენი. ხმაურიანი და სიცოცხლით აღსავსე ქალაქები მიყვარს.



■ ტუკ-ტუკის საჭესთან

ბოლოს მოსკოვში 2006-2007 წლებში ვიყავი. იმ პერიოდში ვიზის მიღება როგორ მოვახერხე, ახლაც მიკვირს. ზამთარი იყო, თბილად მეცვა, მაღალ ქუსლებზე ვიყავი შემდგარი, კედელ-კედელ დავდიოდი, რომ არ წავქცეულიყავი. ქუჩიდან მეგობარს მივწერე თბილისში, ვგიჟდები ამ ქალაქზე, თავისი საცობებისა და ყინვების მიუხედავად-მეთქი. ეს მესიჯი ჩემი მეგობრის, ფეხბურთელ დავით მუჯირის ცოლს გავუგზავნე. შემდეგ დათო მოსკოვის „ლოკომოტივში" სათამაშოდ წავიდა და მეუღლეც წაიყვანა. ამ ადამიანმა წლების შემდეგ მიპასუხა მესიჯზე, ახლა ვხვდები, მაშინ რასაც მწერდიო.

**„ქუჩებში შიშველი ადამიანები დარბოდნენ, ტანზე აქა-იქ რალაცეები ჰქონდათ შემოხვეული. შრი ლანკა ძალიან გაჭირვებული და საცოდავი ქვეყანაა, მაგრამ უსაყვარლესი, უკეთილშობილესი, უწესიერესი და უსაზღვროდ მშრომელი ხალხი ცხოვრობს".**

— **ეკო, ყველაზე კომფორტული თანამგზავრი ვინ არის თქვენთვის?**

— კარგია მეგობრებთან ერთად მოგზაურობა, ეს პროცესი ძალიან მიყვარს, საოცარი თავგადასავლები გვაკავშირებს, მაგრამ მარტო მოგზაურობაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. არასოდეს მოვიწყენ. ყველამ უნდა შეძლოს, მარტო იყოს ბედნიერი. როდესაც საკუთარ თავთანაც ბედნიერი ხარ, ცხოვრება ბევრად უფრო კარგია. არ ვიცი, ძალით თუ შემთხვევით, მაგრამ ეს მე მოვიპოვე.

— **რომელ ქვეყანაში წახვიდოდით ახლა?**

— ბრაზილიაში ვიმოგზაურებდი. მას შემდეგ, რაც ბრაზილიური სამბა ვიცეკვე, იქ წასვლა კიდევ უფრო მომინდა. იქ ყველგან ადრენალინია. ბრაზილიაში წასვლას ჯერ არ ვგეგმავ, ინდოეთში წასვლა კი დაგეგმილი მაქვს, ეგზოტიკურ ქვეყნებზე ვგიჟდები. გასულ ზამთარს შრი ლანკაზე ვიყავი.

**„რომსა და ფლორენციაში მუზეუმები მარტომ მოვიარე, ოღონდ, როგორც ტურისტები დადიან ზურგჩანთებითა და „შლოპანცებით", ასე არა. დასათვალიერებლად გამოპრანჭული მივდიოდი. ურიგოდ და უბილეთოდ მიშვებდნენ".**

— **იქ დასასვენებლად წახვედით?**

— დიახ და გემრიელადაც დავისვენე. სხვა სამყაროში მოვხვდი, თავი ფილმში მეგონა. დედაქალაქში რომ ჩავედი, ტაქსით კურორტის სასტუმროში მივდიოდი, მძღოლს ვუთხარი, წყალი მინდა-მეთქი და ქოქოსებთან გამიჩერა. არსებობს უცნაური ტრანსპორტი ტუკ-ტუკი, რომელსაცმოტოციკლის საჭე აქვს, წინ და უკან ორი ადამიანი ჯდება, გვერდები ღია აქვს, თავი — გადახურული. ამ ტრანსპორტით ისე დავინტერესდი, გავატარე კიდეც. ქუჩებში შიშველი ადამიანები დარბოდნენ, ტანზე აქა-იქ რალაცეები ჰქონდათ შემოხვეული. შრი ლანკა ძალიან გაჭირვებული და საცოდავი ქვეყანაა, მაგრამ უსაყვარლესი, უკეთილშობილესი, უწესიერესი და უსაზღვროდ მშრომელი ხალხი ცხოვრობს.

— **ყველაზე კარგად სად გაერთეთ?**

— მე და ჩემი მეგობარი გოგოები 2009 წლის მაისში ბუდაპეშტში წავედით, ოღონდ ეს იყო უცაბედი გამგზავრება. ცუდი სიტუაცია დავტოვეთ საქართველოში, მიტინგები და უბედურება იყო, ჩვენ კი უცებ ქალაქიდან გავქრით. ასეთი დრო არსად და არასოდეს გვიტარებია. ყველაფერი თავზე დავიმხეთ! ჯერ ერთი, ულამაზესი ქალაქია, ფანტასტიკური ამინდი იყო. ქალაქის შუაში მდინარე დუნაი რომ ჩამოედინება, ზღვა გგონია. არქიტექტურა ძველი არ გახლავთ, მაგრამ სასწაული ნაგებობები დგას! ფანტასტიკური კაფეები და რესტორნებია, თავისი ძვირფასი სერვისით, გართობაზე ხომ აღარაფერს ვამბობ!

მერე ჩავედით პრაღაში. კარგად მახსოვს, როგორ ციოდა და რა უძილოები ვიყავით. შუადღისას იაპონურ რესტორანში შევედით და ისეთი დაღლილები ვიყავით, თავი მაგიდაზე ჩამოვდე და ჩამეძინა... ამ მოგზაურობაში მეგობრებთან ერთად ყველაზე მაგარი დრო ვატარე, ჩამოსვლა აღარ გვინდოდა. სიყვარულის ქალაქის რა მოგახსენოთ, მაგრამ პრაღა გართობისა და „გულაობის" ქალაქია.

— **საზღვარგარეთ ალბათ საყიდლებზე სიარულიც გიყვართ.**

— აბა, რა, ძალიან მიყვარს! შოპინგი ყველას აინტერესებს. ისეთ ადგილებში მიყვარს საყიდლებზე სიარული, სადაც ვიცი, რა იყიდება. დიუსელდორფში ერთი უბანი იყო პატარ-პატარა ბუტიკებით, იქაურობა მოვლილი მაქვს. ჩემთვის ყველაფერს ვყიდულობ, მეგობრებისთვის კი — საჩუქრებს.

— **სამოგზაურო სამზადისს დიდხანს უნდებით?**

— ჩემოდნის ჩალაგებას წინა დღეს ვიწყებ და ვალაგებ უამრავ რამეს, მერე უკან ვყრი, ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ მაინც ბევრი ტანსაცმელი მიმაქვს. საზღვარგარეთიდან რომ ვბრუნდები, კიდევ უფრო დიდდება ჩემი ბარგი. საქართველოში წამოსვლისას, არ იცით, რა ხდება! უკანა გზა ყოველთვის ტანჯვაა ჩემთვის! ჩანთები ყურებზეც მკიდია ხოლმე.

— **თვითმფრინავთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— ქალს თვითმფრინავიც კი მიმართავს და მეტყობა ახლა მე, რომ ფრენის მეშინია?! აბებსა და ალკოჰოლს არ ვიღებ. ერთხელ კიევიდან მე და ნინო ორდენიძე მოვფრინავდით. ქარიშხალი იყო, თვითმფრინავი საოცრებებს აკეთებდა. ბორტგამცილებელი დაჯდა, ღვედი შეიკრა და ლოცვა დაიწყო! ეს რომ დავინახე, მერე კი აღმომხდა: „ვაი!"... რაც უნდა დიდხანს მიწევდეს ფრენა, იშვიათად, რომ დავიძინო. წიგნს ვკითხულობ ან ფილმებს ვუყურებ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# მასკატი — ტროპიკული წალკოტი არაბეთის ზღვის პირას



მართალია, შემოდგომაა და გრილი ამინდებია, მაგრამ ქალაქ მასკატში სამოგზაუროდ საუკეთესო პერიოდი სწორედ ახლა იწყება. მასკატი სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფო ომანის დედაქალაქია.

ქალაქი ტურისტული თვალსაზრისით ძალიან პოპულარულია. მიუხედავად იმისა, რომ ის სავსეა კულტურული და ბუნებრივი საგანძურით, ტურისტების საყვარელ ადგილს ძირითადად მაინც სანაპირო ზოლი წარმოადგენს.

## კლიმატი

მასკატში ჰავა ტროპიკულია. ჰაერის ტემპერატურა ზამთარში (ნოემბრიდან მარტამდე) 18-25 გრადუსამდე მერყეობს, ზაფხულში კი 35 გრადუსზე დაბლა თითქმის არ ჩამოდის.

დედაქალაქში მოგზაურობისათვის საუკეთესო პერიოდი ოქტომბრიდან მარტამდეა. ამ დროს სასიამოვნოდ თბილა. რაც შეეხება ნალექს, მასკატში ის იშვიათობას წარმოადგენს.

## რელიგია

მასკატის მოსახლეობის 75% მუსლიმია, რომელთა უმეტესობა აბადიტები არიან. ეს გახლავთ ისლამური სექტა, ხოლო სულიერ ლიდერად მიჩნეულია სულთანი. დედაქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს ქრისტიანები შეადგენენ. დანარჩენი რაოდენობა კი სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელია.

ადგილობრივები ძალიან რელიგიურები არიან და ტურისტებისაგან მკაცრად მოითხოვენ მათი რელიგიური მრწამსის პატივისცემას.

## ფული

ქვეყნის ოფიციალური ვალუტა ომანური რიალია. 1 ომანური რიალი 1000 ბაისად იყოფა. აღსანიშნავია, რომ კუვეიტისა და ბაჰრეინის დინარების შემდეგ ომანის რიალი მსოფლიოს ყველაზე მაღალი ღირებულების მქონე ვალუტაა. 1 რიალით დაახლოებით 2,6 აშშ დოლარის შეძენაა შესაძლებელი.

დედაქალაქში უცხოური ვალუტით სარგებლობის იმედი არ გქონდეთ. ამერიკული დოლარის გამოყენება მხოლოდ ძვირადღირებულ რესტორნებსა და სასტუმროებშია შესაძლებელი. რაც შეეხება ხელის ქირას, ამას მომსახურე პერსონალი თქვენგან ნამდვილად არ მოელის, რადგან მომსახურების 10%-ს ნებისმიერ შემთხვევაში იტოვებენ.

## ენა

ქვეყნის ოფიციალური ენა არაბულია, თუმცა გავრცელებულია ადგილობრივი ენებიც. მათ შორის ყველაზე პოპულარულია ირანული ბელუჩი. საგანმანათლებლო სისტემა ოფიციალურ ენაზეა დაფუძნებული. ტურისტულ ადგილებში ინგლისურადაც საუბრობენ.

## გადაადგილება

ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან მასკატში მოხვედრა განსაკუთრებით ადვილია. დედაქალაქს სამანქანო გზა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან და იემენთან აკავშირებს. ყოველდღიურად დუბაიდან მასკატში ავტობუსს უამრავი ტურისტი გადაჰყავს.

ქვეყნის ორი აეროპორტიდან ერთ-ერთი დედაქალაქიდან 40 კილომეტრში მდებარეობს. თვითმფრინავით ძირითადად მსოფლიოს მეორე ბოლოდან მომავალი ტურისტები სარგებლობენ. აეროპორტიდან ცენტრამდე მისვლას ავტობუსით ან ტაქსით შეძლებთ. ტაქსის საფასური მძღოლზეა დამოკიდებული, მაგრამ ადვილად მოურიგდებით, განსაკუთრებით, თუ სუსტი სქესის წარმომადგენელი ხართ. ტაქსები ძალიან სწრაფად დადიან. თუ ეს თქვენთვის მიუღებელია, მაშინ შეგიძლიათ მოკრძალებით უთხრათ „ბათე", რაც შენელებას ნიშნავს. ზრდილობიანად თუ მიმართავთ, თქვენს თხოვნას აუცილებლად დააკმაყოფილებენ.

დედაქალაქში მრავლადაა მანქანის დასაქირავებელი სააგენტო. ერთი დღით მანქანის დაქირავება, სულ მცირე, 11 ომანური რიალი დაგიჯდებათ. თუ საერთაშორისო მართვის მოწმობა არ გაქვთ, მანქანას არავინ მოგაქირავებთ.

## სამზარეულო

ომანის სამზარეულო არაბული, ლიბანური და ინდური სამზარეულოების ნაზავია. ტრადიციული კერძები ბრინჯით მზადდება, შემდეგ კი ყველაზე პოპულარული ზღვის პროდუქტებია. თქვენ თვალწინ დაჭერილ თევზეულსაც შემოგთავაზებენ. ცდუნებას ვერ გაუძლებთ, რომ არ გასინჯოთ ზვიგენის ხორცით მომზადებული კერძი. ომანური სამზარეულოს მშვენება და ადგილობრივი დელიკატესი შუვაა გახლავთ — პურში შეხვეული შემწვარი (ან მოხარშული) საქონლის ხორცი სანელებლებითა და მზეზე გამომშრალი პომიდვრით. დაბალი და საშუალო დონის რესტორნებში დანაყრება დაახლოებით 3-10 რიალად შეიძლება.

ომანი ტკბილეულით ცნობილი ქვეყანაა. ყველაზე პოპულარულია ჰალვა, რომელიც თაფლის მსგავს მასას წარმოადგენს და ადგილობრივები მისი მომზადების წესს დღემდე ასაიდუმლოებენ. სასმელებიდან მინერალური წყალია პოპულარული. რაც შეეხება ალკოჰოლს, მისი შეძენა და დალევა მხოლოდ ძვირადღირებულ სასტუმროებსა და რესტორნებშია შესაძლებელი.

## ღირსშესანიშნაობები

მასკატი, უპირველეს ყოვლისა, ულამაზესი ქვიშის სანაპიროთია ცნობილი. ე.წ. ქურუმ ბიჩი ტროპიკულ წალკოტად მოგეჩვენებათ. პლაჟზე გასვლისას შეიძლება დაგავიწყდეთ, რომ არაბეთის ზღვაზე იმყოფებით და არა — ხმელთაშუაზე. აქ შეგიძლიათ კრისტალურად სუფთა, კამკამა წყალში დაივინგითა და დელფინების ცქერით დატკბეთ. თუ ყვინთვის მოყვარული ხართ, მასკატში უამრავ დაივინგის ცენტრს ნახავთ. ზღვის დონიდან 15 მეტრის სიღრმეზე ნამდვილ წყალქვეშა ზოოპარკში აღმოჩნდებით, სადაც მარჯნის რიფებით მოფენილ ულამაზეს ბაღებში ზვიგენებს, ზღვის ცხენებს, კუებსა და ტროპიკულ თევზებს იხილავთ.

ომანის კულტურა რომ შეიცნოთ, აუცილებლად ეწვიეთ მუსლიმური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშს — დიდ მეჩეთს.

დედაქალაქი ოპერის სახლითა და უდაბნოში გაშენებული ბაღებითაც იწონებს თავს. ოპერის სახლი ომანის თანამედროვე არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია და ერთდროულად 1100 ადამიანს იტევს.

მასკატი ქვის თეთრი შენობებითაა ცნობილი. სულთანი ქაბუსი ქვეყნის თანამედროვე აღორძინებას ძალიან უწყობს ხელს. მისი ბრძანებით გაიხსნა ახალი სკოლები და საავადმყოფოები, დაგებული გზების სიგრძე 20 წელიწადში 10-დან 6000 კმ-მდე გაიზარდა. მასკატის ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროს ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილი აქვს, სანაპიროზე კი იახტის დაქირავება შეგიძლიათ.

დედაქალაქში მუზეუმებიც მრავლადაა. ეროვნულ და ისტორიულ მუზეუმში ქვეყნის ისტორიას თვალის ერთი გადავლებითაც გაეცნობით. იქ შესვლა 10 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, მოზარდებისთვის კი 250 ბაისას შეადგენს.

ადგილობრივების ჩაცმულობაც ძალზე საინტერესოა — კაცებს გრძელი, თეთრი ფერის უსაყელო, კაბის მსგავსი სამოსი დიშდაშა აცვიათ, ქალები კი საოცრად ჭრელ ტანსაცმელს ატარებენ.

## უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, მასკატი ერთობ უსაფრთხო ქალაქია. ადგილობრივებს ღიმილით და თავაზიანად მიმართეთ. მათ და მათთან ერთად თქვენც სულთნის ცხოვრებაზე საუბარი გეკრძალებათ. ეს ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია. ალკოჰოლის დალევა საჯარო ადგილას კანონით ისჯება.

ტურისტი ქალები გაცილებით მეტ პატივისცემას დაიმსახურებენ, თუ ადგილობრივების მსგავსად თავსაფრით ივლიან და შიშველ მხრებს და მუხლებს არ გამოაჩენენ. გაითვალისწინეთ, შუადღისას გარეთ გასვლა მზისაგან დამცავი კრემების გარეშე არ შეიძლება!

## უბის წიგნაკი

ქვეყანა — ომანი;
დედაქალაქი — მასკატი;
ოფიციალური ენა — არაბული;
ოფიციალური ვალუტა — ომანის რიალი;
ფართობი — 3.500 კვ.კმ;
მოსახლეობა — 731.730.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# თანამედროვე ხანუმა — „ყველა დაქალი დავაბინავე, მე კი მარტო დავრჩი“



ჩვენი რესპონდენტი, გაფურჩქვნის ასაკში მყოფი ქალი ირმა, რომ იტყვიან, ნამდვილი განძია საცოლე კაცისთვის — ქალური მშვენებით აღსავსე, მხიარული, მატერიალურად დამოუკიდებელი... მაგრამ მაინც ვერ თხოვდება. მამაკაცებთან მისი ურთიერთობა მეგობრობის ფარგლებს არასოდეს სცილდება. სამაგიეროდ, ბედი აქვს დაქალების გათხოვებაში. მისი ბინა საიმედო თავშესაფარია და ამასთანავე იღბლიანი ტრამპლინიც ყველა მეგობრისთვის. მასთან შეკედლებული დაქალები თხოვდებიან და საუკეთესო ოჯახებსაც ქმნიან. თუმცა უანგარო სიკეთე არსად იკარგება, იქნებ ერთ დღეს ირმას კარზეც ჩამოკრას სიყვარულის ზარმა, ვინ იცის?

**ირმა:**

— ჩემი მშობლები რაიონში წავიდნენ სამუშაოდ და იქ დამკვიდრდნენ. ჩემმა ძმამ კი ცალკე ბინა აიშენა და ცოლ-შვილთან ერთად გადაბარგდა. დავრჩი მარტოდმარტო სამოთახიანში. ყოველ საღამოს, შინ დაბრუნებული, ოთახიდან ოთახში ბოლთას ვცემ, რომ სახლში სულიერის არსებობა შევიგრძნო. სამსახურში ისე ვიხარჯები, ტელეფონზე ქაქანის თავიც აღარ მაქვს. რომ არ ვმუშაობდე, ალბათ ჭკუიდან შევირყევი. მეზობლებს ჩემთვის არ სცალიათ. პრინციპში, არც მე მცალია მათთვის. ძმის სახლი შორსაა. მათ მაშინ ვაკითხავ, როცა ბავშვები მენატრებიან ან მაშინ, როცა მოწყენილობა მიტევს. სანტა კლაუსივით დახუნძლული მივდივარ და ჭკუაზე არ არიან. ძმისშვილები ჩემი უებარი წამალია.

— **ცალკე ყოფნას ძმასთან და რძალთან ცხოვრება არ გირჩევნიათ?**

— არა, რა თქმა უნდა. მწარე გამოცდილება მაქვს. თავიდან ერთად ვცხოვრობდით და შინ შესვლა არ მინდოდა. რძალი ცხვირაბზუებული მხვდებოდა, ყველაფერში მეჯიბრებოდა. ვერ იტანდა, მე რომ ვმუშაობდი, კარგი ანაზღაურება მქონდა და თავად კი ვერსად დაიმკვიდრა თავი. ვერც იმას იტანდა, მე რომ თავისუფალი ვიყავი და აქტიური ცხოვრების წესი მქონდა — ათასგვარ ღონისძიებაზე, წვეულებაზე დავდიოდი და მუდმივად ფორმაში გახლდით. თავად კი სულ ფეხმძიმედ იყო. საინტერესოა, ვისი მდგომარეობა უფრო სახარბიელო იყო, ჩემი თუ მისი. წარმოიდგინეთ, სამი ანგელოზივით შვილი გააჩინა და ჩემი ეხარბებოდა, რომელსაც პირადი ცხოვრება არასდროს მქონია.

> **„არც ისეთი წუნია და კუდაბზიკა ვარ, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. კონტაქტშიც იოლად შევდივარ და ადამიანთა გულის მესაიდუმლეც ვხდები... ალბათ ყველაფერი ჩემი უბედობის ბრალია, ვინც მომწონდა და ვისაც მოვწონდი, მხოლოდ თაყვანისმცემლებად რჩებოდნენ".**

— **რძალი თქვენ მიმართ სიბრაზეს აშკარად გამოხატავდა?**

— ჩემს ძმასთან ვერ ბედავდა, ხოლო თუ სახლში არ იყო, ძალიან კაპასობდა. ბრაზი ბავშვებზე გადაჰქონდა და შავ დღეს აყრიდა, განსაკუთრებით უფროსს, გაკვეთილების სწავლისას ლამის მაგიდაზე არტყმევინებდა თავს. კარგად იცოდა, ბავშვების წიოკს ვერ ვიტანდი და ჯიბრზე მიკეთებდა. სხვა ბინა რომ აიშენეს, მეც მეშველა და ბავშვებსაც. რძალი დაწყნარდა, შვილებს აღარ ატერორებს. ჩემ მიმართაც უფრო დატკბა, ალბათ ჩემი ფასი შეიგრძნო.

— **თქვენისთანა ცოლზე რომელი კაცი იტყოდა უარს? რატომ ვერ აიწყვეთ პირადი ცხოვრება?**

— ხმამაღალი ნათქვამი თუ არ გამომივა, გეტყვით, რომ უბედობის. არც ისეთი წუნია და კუდაბზიკა ვარ, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. კონტაქტშიც იოლად შევდივარ და ადამიანთა გულის მესაიდუმლეც ვხდები. ხანუმობაც გამომდის — რამდენიმე დაქალს ბედი გავუხსენი. ამაში ჩემი ბინა დამეხმარა.

— **ეგ როგორ?**

— მარტოხელობა პირველად მაშინ ვიგრძენი, როცა ჩემი ძმა თავისი ჯალაბით ბინიდან გადაბარგდა. სულ ბავშვების ხმები მესმოდა, მეგონა, მიძახდნენ. საშინელ სიცარიელეში აღმოვჩნდი. ძალიან გამიჭირდა. ჩემს დაქალს, თინიკოს, ვთხოვე, დროებით მაინც გადმოსულიყო საცხოვრებლად, თუ მოინდომებდა, სამუდამოდაც. თინიკო თვინიერი გოგოა, ეკლესიური, ერთგული, უპრობლემო, ურთიერთობაში კომფორტული. შინ ორი რძალი ჰყავდა, რომლებიც მის დამყოლ ბუნებას ბოროტად იყენებდნენ. საწყალი გოგო ლამის მოსამსახურედ აქციეს, შვილებსაც აზრდევინებდნენ და სახლის საქმეებსაც ავალებდნენ. ერთი სიტყვით, ჩაგრავდნენ.

— **თინიკო შემოთავაზებაზე დაგთანხმდათ?**

— თავიდან გაუჭირდა, ბავშვებს რა ეშველებათო. ამაზე ვუპასუხე, მაგაზე დედები იზრუნებენ, ჩემზე რატომ არ ფიქრობ, ცოტაც და მარტოობით გავგიჟდები-მეთქი. ერთი სიტყვით, თავი შევაცოდე, ნამუსზე შევაგდე და საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიყვანე. ძალიან დათრგუნული იყო და მის გახალისებას ვეცადე. გადავწყვიტე, სხვა რელსებზე გადამეყვანა.

— **მოახერხეთ?**

— მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლამაზი ქართული ოჯახის შექმნა იყო. ტაძარში დადიოდა გახსნის ლოცვებზე, რომ ჩაკეტილი წრიდან გამოსულიყო და ბედს სწეოდა. ჩემი მხრიდანაც დახმარებას ვცდილობდი, სანაცნობო წრეს ვუფართოებდი, ღონისძიებებზე და კორპორატიულ საღამოებზე დამყავდა. ჩემს შეფს (კეთილი ქალი გახლდათ) საცოლე ვაჟი ჰყავდა და ძალიან წუხდა, 30 წელს გადასცილდა, ოჯახს ვერ ქმნის, მისი მოსაწონი ვერავინ აღმოჩნდაო. თურმე პირველივე პაემანზე ან სიგარეტი „გაუფუჭილეს“, ან ფეხი „წამოუპლაკეს“. თინიკო კი ამ მხრივ იდეალური ვარიანტი იყო. ჩემი უფროსიც და მისი ვაჟიც ოჯახის ქალს ეძებდნენ. ერთი სიტყვით, თინიკოს ღირსებები ჩემს უფროსს ისე წარვუდგინე, რომ დაინტერესდა. განსაკუთრებით მისი სათნო ბუნება მოეწონა. პირველი სიკეთე ის იყო, რომ თინიკოს მუშაობა შესთავაზა, მერე რამდენჯერმე კორპორატიული წვეულება გამართა და მოწონებული სარძლო ვაჟს გააცნო. მე თინიკოს ვაგულიანებდი, ჩემი უფროსი — თავის ვაჟს და ასე დავაქორწინეთ. მათგან ბედნიერი წყვილი შედგა. სამ შვილს ზრდიან.

— **სხვა დაქალებს როგორ გაუხსენით ბედი, ამ შემთხვევებზეც მოგვიყევით.**

— თინიკოს შემდეგ ანიკა ჩავისახლე, ულამაზესი და განათლებული გოგო, უცხო ენების კარგი მცოდნე, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა, ყველას პატივს სცემდა, საკუთარი თავის გარდა. თავის ნიჭსა და უნარს არ აფასებდა, პირიქით, თავი ყველაზე მახინჯი და უვიცი ეგონა.

— **ცხოვრებაში არ უმართლებდა და ამიტომ ჰქონდა დაბალი თვითშეფასება?**

— უნივერსიტეტში მუშაობდა ერთ განყოფილებაში. როდესაც იმ განყოფილებიდან კათედრაზე მისი გადაყვანის საკითხი დადგა, თავი დამნაშავედ იგრძნო, რადგან კათედრაზე მუშაობა სხვა თანამშრომელ გოგონებსაც სურდათ. იცით, რა გააკეთა? შევიდა რექტორთან და თანამშრომელს გაუწია რეკომენდაცია, ჩვენს განყოფილებაში ყველაზე ღირსეული ის არის და კათედრაზეც ის გადაიყვანეთო. კიდევ კარგი, რექტორი სამართლიანი და კეთილშობილი კაცი იყო, ანიკას უსაყვედურა, ჩემი კომპეტენციაა, რომელ თანამშრომელს ჩავთვლი უფრო ღირსეულადო და კათედრაზე ანიკა გადაიყვანა. შემდგომ შემცირება დაიწყო, ანიკამ თავად დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე, რომ თანამშრომელი, წვრილშვილიანი ქალი გადაერჩინა. გგონიათ, ვინმემ დაუფასა? ის ქალი ვერც მიხვდა, რომ ანიკას წყალობით შეუნარჩუნეს სამსახური. თავი ღირსად ჩათვალა და თავის გადამრჩენს ზემოდან დაუწყო ყურება.

— **ანიკა პირად ცხოვრებასაც სხვების სასარგებლოდ წყვეტდა?**

— ბევრ კარგ ბიჭს უყვარდა, მაგრამ მათგან ვერავინ აირჩია. სამაგიეროდ უსაშველოდ მოსწონდა ერთი ბიჭი — ძალიან საყვარელი, მაგრამ ამავე დროს ცინიკოსი და უცერემონიო. ლადო ერქვა. იმ ბიჭს ისე ეხვეოდნენ გოგონები, როგორც ფუტკრები



Cyan Magenta Yellow Black

თაფლს. მათთან ერთობოდა, ანიკა კი სერიოზულად მოსწონდა. ანიკა თვლიდა, რომ ლადო მას არასოდეს შეხედავდა, ამიტომ თავს არიდებდა. თავის მხრივ, გოგონებისგან განებივრებული ლადოც ფიქრობდა, რომ ანიკა არაფრად აგდებდა და მასთან დაახლოებას აღარ შეეცადა. უფრო მეტიც, თავისი ცინიკური დამოკიდებულებით გოგოს გულს უხეთქავდა. ერთი სიტყვით, სრულ გაუგებრობაში ცხოვრობდნენ. ანიკა უბრძოლველად თმობდა ბიჭს, რომლის იქითაც ქვეყნიერება ვერ წარმოედგინა. შინაგანად იტანჯებოდა. ამიტომ ჩემთან წამოვიყვანე, რომ ცოტა განმეტვირთა და ლადოსთან ურთიერთობაშიც დავხმარებოდი.

— **დახმარება შეძელით?**

— პირველ რიგში, სპორტულ დარბაზში გავუძეხი სავარჯიშოდ, რამაც ტონუსში მოიყვანა. მერე საშოპინგოდ გავეშურეთ. თანამედროვე და მოდურმა სამოსმა უფრო გაალამაზა. თანაც ინტელექტი — მისი ფასდაუდებელი სიმდიდრე! წვეულებებზე ვატარე და ყურადღების ცენტრში მოექცა, თაყვანისმცემლების ზღვა გაიჩინა. კარგი სამსახურიც იშოვა და ცოტა გაერთო კიდეც, ყურადღება სხვებზე გადაიტანა. ერთ წვეულებაზე ლადოც დავპატიჟე. რომ დაინახა ანიკა მისით მოხიბლული კაცების გარემოცვაში, ასეთი მიმზიდველი და სასურველი, გადაწყვიტა, ხელიდან აღარ გაეშვა.

— **მათი ურთიერთობა შედგა?**

— რა თქმა უნდა. მას შემდეგ ანიკას ცხოვრება მძივივით აეწყო, საუკეთესო ოჯახი შექმნა. მოკლედ, ანიკაც დავაბინავე, მე კი კვლავ მარტო დავრჩი...

— **მეგობრები არ ეცადნენ, პირადი ცხოვრების შექმნაში დაგხმარებოდნენ ისე, როგორც თქვენ შეუწყვეთ ხელი?**

— ეცადნენ, მაგრამ... თინიკო ჩემზე ლოცულობს, ანიკამ კი ჩემთან დანათესავება მოინდომა და ქმრის ბიძაშვილს მირიგებდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მეც არ მიმივიდა გული და არც იმ კაცმა გამოიდო თავი. ჩემი ძმის მეგობარსაც ვუნდოდი ცოლად, მაგრამ რძალმა შემიშალა ხელი. არ უნდა, რომ გავთხოვდე, იქნებ ბინის გამოც, ვინ იცის? თუმცა ალბათ ყველაფერი ჩემი უბედობის ბრალია, ვინც მომწონდა და ვისაც მოვწონდი, მხოლოდ თაყვანისმცემლებად რჩებოდნენ.

— **ასაკთან ერთად თაყვანისმცემელთა რიცხვიც იკლებს, ესეც გაითვალისწინეთ.**

— უკვე ჩემს ცხოვრებაშიც ყველა შემოიფანტა და არავინ ჩანს. ამას წინათ ერთმა ჩემმა ახლობელმა, ნონამ, მთხოვა თავის ნათესავ მამაკაცზე, უცხოეთიდან ჩამოვიდა ერთი თვით, ქართველი ქალი უნდა ცოლად, ახლა ჩემთანაა და სასტუმროში აპირებს დაბინავებას, იქნებ შენი ბინა დაუთმო და სტუმრად მიიღო, აგინაზღაურებს კიდეც, თანაც შენი ბინა სტუმრებს კარგად აქვთ დაცდილიო. ჭკუაში დამიჯდა და ვიფიქრე, დროებით ძმასთან გადავალ, იმ კაცს შემოვუშვებ-მეთქი, მაგრამ სტუმარს რომ შევხვდი და ავხედ-დავხედე, წასვლა გადავიფიქრე. რატომაც არა? დიასახლისობას გავუწევ და მერე, ვინ იცის... იქნებ ჩემს მარტოობასაც მოეღოს ბოლო.

— **იმ კაცმა თქვენ მიმართ სიმპათია გამოავლინა?**

— სიმპათიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კეთილგანწყობა კი შევნიშნე. ღიმილით მათვალიერებს, ყურადღებით მისმენს. ჯერჯერობით მეტი რა შეიძლება გამოხატოს? ნონა მეუბნება, რაღა სხვაგან ეძებოს, აგერ არ ხარ, რა თბილად გიყურებს, ეს აქამდე რატომ არ მოვიაზრეო. ამ თემაზე ჯერჯერობით მხოლოდ ვშაყირობთ, მაგრამ ყველა ხუმრობაში ხომ სიმართლის მარცვალიცაა.

✓ **ნანა კობახიძე**

## „სამოსი" სახისთვის



კოსმეტოლოგიური ნაწარმის მწარმოებლების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ქალები ყოველდღიურად სახეზე საშუალოდ 515 ქიმიურ ნაერთს იდებენ. ექსპერტების განმარტებით, თავის მოვლა მარტივი პირის დაბანიდან სახეზე ტონალური კრემის, ჩრდილის, პომადის, ტუშის წასმად გარდაიქმნა. თანამედროვე საშუალებები „შესანიშნავი მოვლისთვის" შეიცავენ ინგრედიენტებს, რომლებიც ხანგრძლივი გამოყენებისას არასასურველ ეფექტებს ავლენენ. გარდა ამისა, ქალთა მესამედი 25 წლამდე რეგულარულად მოიხმარს კოსმეტიკას, რომელიც განკუთვნილია 40 წლის შემდეგ გამოყენებისთვის, რაც კანისთვის მავნეა.

## ბადრიჯანი სიგარეტის მაგივრად

ბადრიჯანი შეიცავს ნიკოტინს, უფრო ზუსტად, ნიკოტინის მჟავას, ანუ PP ვიტამინს, რაც მას მწარე გემოს აძლევს. ბადრიჯნის წყალობით, შეიძლება თამბაქოსგან გათავისუფლდეთ. ყოველდღიურ მენიუში ბადრიჯანი დაუმატეთ. ნიკოტინის მჟავის შემცველობა ამ ბოსტნეულში სწორედ ისეთია, რომ სიგარეტზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლების ტანჯვაწამებას შეამსუბუქებს. ამავდროულად ბადრიჯანი თქვენს ორგანიზმს არავითარ ზიანს არ მიაყენებს, ვინაიდან 10 გრამ რბილობში მხოლოდ 1 მგ ნიკოტინია, მაშინ, როდესაც 1 ღერი სიგარეტი 1000 მგ და მეტ ნიკოტინს შეიცავს.



## რა ასაკიდან გვჭირდება «ტექდათვალიერება»



ჯანმრთელი რომ იყოთ, საჭიროა არამხოლოდ ცხოვრების ჯანსაღი წესი დაიცვათ, ასევე თვალყური ადევნოთ თქვენს ორგანიზმში მცირე ცვლილებებს. ამაში ყოველწლიური სამედიცინო გამოკვლევები დაგეხმარებათ.

თუ 30 წელს გადასცდით, 2-3 წელიწადში ერთხელ „ტექნიკური დათვალიერება" ჩაიტარეთ. ხოლო 45 წლის ზევით ამის გაკეთება საჭიროა ყოველწლიურად. თუ ულტრაბგერითი გამოკვლევებით ღვიძლში ცვლილებები გამოვლინდა, ექიმ ჰეპათოლოგს სასწრაფოდ მიმართეთ. თუ თქვენთან ერთად ბინაში ცხოველებიც ბინადრობენ ან ეგზოტიკური მოგზაურობები გიყვართ, 6 თვეში ერთხელ პარაზიტების არსებობაზე გამოკვლევა ჩაიტარეთ.


გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black



# დღის მაკიაჟის 8 შეცდომა

ყოველდღიური მაკიაჟი თითქმის ავტომატიზმამდე გვაქვს დამუშავებული და არასდროს ვფიქრობთ იმაზე, ყველაფერს რამდენად სწორად ვაკეთებთ.

განვიხილავთ ყველაზე ხშირ შეცდომებს, რომლებსაც დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენებისას ვუშვებთ.

### 1. მოუმზადებელი კანი

თუ კანი გაუწყლოებული ან ცუდად გაწმენდილია, ამ ნაკლს ვერავითარი მაკიაჟი ვერ დაფარავს. გარდა ამისა, არასაკმარისად დატენიანებულ კანზე დეკორატიული საშუალებები ცუდად მაგრდება.

როგორ გამოვასწოროთ? დღეში 2-ჯერ კანი სპეციფიკური კოსმეტიკური საშუალებებით გაისუფთავეთ, ყოველდღიურად სახეხითა და გომაჟით ღრმა წმენდა ჩაიტარეთ. დილით, დაბანის შემდეგ, დამატენიანებელი კრემი წაისვით, ხუთი წუთის შემდეგ ნარჩენები ხელსახოცით მოიცილეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ მაკიაჟის გაკეთება.

### 2. ძალიან ბევრი ტონი

სახეს ამძიმებს, კანს წლებს მატებს.

როგორ გამოვასწოროთ? ძალიან თხელ ფენად წაისვით ან მხოლოდ იმ ადგილებში გამოიყენეთ, სადაც სიწითლე და უთანაბრობაა.

### 3. არასწორად შერჩეული ტონი ქვედა ქუთუთოსთვის

ხშირად თვალის ქვეშ მუქ წრეებს ძლიერ ღია, თითქმის თეთრი ფანქრით ან კრემ-ტონით ნიღბავენ. შედეგად, ადგილი, რომლისგანაც ყურადღების მოწყვეტა-გადატანა გსურდათ, პირიქით, უფრო თვალშისაცემი ხდება.

როგორ გამოვასწოროთ? გამოიყენეთ უფრო თბილი ფერის (მოყვითალო, ნარინჯისფერი) ფანქარი — თვალის უპის განსხვავებას წაშლის.

### 4. მკვეთრად მოხაზული ქვედა ქუთუთო

შავად მკაფიოდ მოხაზული ქვედა ქუთუთო თვალს ვიზუალურად ავიწროებს.

როგორ გამოვასწოროთ? წაისვით სანახევროდ — თვალის გარე კუთხიდან შუა ქუთუთომდე. ყავისფერი ფანქარი ქვედა წამწამების ხაზზე უკეთესად გამოიყურება. სხვათა შორის, ბევრი ვიზაჟისტი 40 წლის ზევით ქალებს ქვედა წამწამების დატუშვას არ ურჩევენ.

### 5. ტუჩის კონტური არაშესატყვისი ფერის ან არასაჭირო ადგილას

მკვეთრად მოხაზული და ფერით გამოყოფილი ტუჩის კონტური დიდი ხანია მოდაში აღარ არის და, რაც ძველმოდურია, როგორც წესი, აბერებს. ასევე ასაკს მატებს ტუჩების ვიზუალურად გადიდების მიზნით ტუჩის ბუნებრივი წითელი ხაზისგან შორს კანტის შემოვლება.

როგორ გამოვასწოროთ? კონტურის ფანქარი პომადის ტონს უნდა ერწყმოდეს ან ერთი ტონით უფრო მუქი იყოს. სანამ პომადას წაისვამთ, ტუჩებზე კონტური შემოივლეთ ბუნებრივ საზღვარზე, შემდეგ ბაგე მთელ ზედაპირზე იმავე კონტურის ფანქრით მსუბუქად შეიღებეთ.

### 6. პომადა დამსკდარ ტუჩებზე

ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ზამთარში, როდესაც ტუჩები შრება. ამ შემთხვევაში მაკიაჟი ცუდად გამოიყურება.

როგორ გამოვასწოროთ? კბილის რბილი ჯაგრისით ტუჩებზე დროდადრო მასაჟი გაიკეთეთ მკვდარი კანის მოსაცილებლად. კანის გამოშრობა-დასკდომას თავიდან აგაცილებთ ტუჩების ბალზამი. ის მუდამ თან გქონდეთ. შეიძინეთ ტუჩების საცხი ან პომადა დამატენიანებელი ფორმულით.

### 7. მეტად ბევრი პუდრი

ერთი მხრივ, კანს სიმქრქალეს ანიჭებს, მერე მხრივ — კანის ბრწყინვის ბუნებრივ ეფექტს ფარავს, ნაოჭებს აჩენს.

როგორ გამოვასწოროთ? პუდრი წაისვით A ზონაზე — შუბლის შუა ადგილზე, ცხვირის ფრთებსა და ცხვირ-ტუჩის სამკუთხედზე, ქვედა ყბაზე.

### 8. ძაფისებური წარბები

კარგად ფორმირებული წარბები ყოველთვის ლამაზია, მაგრამ შავად მოხაზული — ხელოვნურად გამოიყურება.

როგორ გამოვასწოროთ? წარბებს ძაფისებურად ნუ გამოიწიწკნით. ეს გუშინდელი დღეა. არასდროს შემოხაზოთ წარბები შავი ფანქრით. მხოლოდ ყავისფერი გამოიყენეთ. არ დაიხატოთ წარბები ერთ სწორ ხაზად, არამედ ბეწვის ბუნებრივი ზრდის გასწვრივ პატარა შტრიხები გააკეთეთ. წარბების დახატვისას ასევე შეგიძლიათ თვალებისთვის მქრქალი ყავისფერი ჩრდილი გამოიყენოთ. ხშირი და კარგად გაფორმებული წარბების შემთხვევაში, დეკორატიული საშუალებები საჭირო აღარ არის. უბრალოდ, სქელი წარბები მსუბუქად დაივარცხნეთ და უფრო მკაფიო ფორმა მიეცით (შეგიძლიათ თმის მუსით დააფიქსიროთ).

დაბოლოს, არასდროს შეიძინოთ დეკორატიული კოსმეტიკა ხელოვნური განათების პირობებში. ჭეშმარიტი ტონი რომ დაინახოთ, საშუალება მაჯაზე წაისვით და დღის სინათლეზე (ქუჩაში ან ფანჯარასთან) შეამოწმეთ.

# რით დავალაგოთ თმა

დილით გაკეთებული შესანიშნავი ვარცხნილობა, მაქსიმუმ შუადღემდე ინარჩუნებს ფორმას? იქნებ დასაფიქსირებელი საშუალებები არასწორად შეარჩიეთ?

მაღაზიებში თმის მრავალფეროვანი კოსმეტიკა სწორი არჩევანის გაკეთებაში ხშირად ხელს გვიშლის. ამიტომ სანამ შეიძენთ, განსაზღვრეთ, ეს საშუალება, სახელდობრ, რისთვის გჭირდებათ და რა ეფექტის მიღწევა გსურთ.

### გელი

რისთვის? შესანიშნავია ვარცხნილობის მოდელირებისთვის, მისთვის ფორმის მისაცემად. შეგიძლიათ გამოიყენოთ მოკლე ვარცხნილობისთვის.



როგორ წაისვათ? ცოტა რაოდენობა ხელისგულზე გაინაწილეთ და მშრად თმაზე წაისვით. თუ ბევრს გამოიყენებთ, თმა გადასლექილი გამოჩნდება. გელი რეკომენდებული არ არის თხელი და სუსტი თმისთვის — მოცულობას აკარგვინებს.

### ქაფი, მუსი

რისთვის? ვარცხნილობას ჰაეროვანს ხდის. სწორ თმაზე წასმისას მოცულობას ზრდის.

როგორ წაისვათ? ქაფის პატარა ბურთულა ხელისგულზე გაინაწილეთ და ოდნავ სველ თმაზე მსუბუქად წაისვით. დიდი რაოდენობით გამოყენება რეკომენდებული არ რის — თმა ერთმანეთს მიეწებება.

### ლაქი

რისთვის? გამოიყენება ვარცხნილობის ფიქსაციისთვის, მოცულობის შესაქმნელად.

როგორ წაისვათ? მშრალ თმაზე 25-30 სმ-ის დაშორებით იფრქვიეთ. ლაქის ყოველდღიურად გამოყენება რეკომენებული არ არის — თმას ასუსტებს.

### თმის გამასწორიებელი საშუალება

რისთვის? სწორი თმის ეფექტს ქმნის, ზედმეტ მოცულობას აქრობს, ჯიუტ კულულებს ასწორებს.

როგორ წაისვათ? ცოტა საშუალება ხელისგულზე გაანაწილეთ და მშრალ თმაზე მთელ სიგრძეზე თანაბრად წაისვით. თმა თითებს შორის გაატარეთ. რეკომენდებული არ არის მეტისმეტად ხუჭუჭა თმისთვის — ეფექტი ხანმოკლე იქნება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# მშობიარობის შემდგომი დეპრესია — მამაკაცებო, ცოლს დაეხმარეთ!

ახლახან გახდით დედა, მაგრამ პატარას დაბადებით გამოწვეული სიხარულით ტკბობის ნაცვლად რატომღაც უხასიათოდ ბრძანდებით, მოწყენილი და გაღიზიანებული ხართ, ჩვილზე ზრუნვის სურვილიც ნაკლებად გაქვთ? ეს მშობიარობის შემდგომი დეპრესიის ნიშნებია. ასეთ დროს მთავარია, ნერვები მოთოკოთ და მაქსიმალურად განიმუხტოთ უარყოფითი ემოციებისგან.

**რთული ღამეები** — არის შემთხვევები, როდესაც მშობიარობის შემდგომ ქალების გარკვეულ ნაწილს საკუთარი შვილის მიმართ აგრესია უჩნდება, განსაკუთრებით, თუ ჩვილი ჭირვეულობს და ტირის. ამის გამო ახალნამშობიარევ ქალებს ხშირად დანაშაულის გრძნობაც აწუხებთ, რაც მდგომარეობას ამძიმებს. სურათი ღამის საათებში კიდევ უფრო მწვავდება.

**ფსიქოლოგის რჩევა:** ეს ყველაფერი გადაღლილობის, ორგანიზმის გამოფიტვისა და არამდგრადი ფსიქიკის შედეგია, რის გამოც ქალს უჭირს, ჩვილის მიმართ სათანადო სიყვარული და სითბო გამოხატოს. კარგი იქნება, თუ მას ოჯახის წევრები გვერდში დაუდგებიან და რთული პერიოდის გადალახვაში დაეხმარებიან. არაჩვეულებრივი იქნება, თუ პატარას მოვლაში მამიკოც აქტიურად ჩაერთვება და ცოლს დასვენებისა და გამოძინების საშუალებას მისცემს.

**აგრესია** — არის შემთხვევები, როცა ახალნამშობიარევი ქალი ვერ მართავს ემოციებს და აგრესიას სხვადასხვა ფორმით გამოხატავს. როგორც წესი, ამ დროს ყველაზე ხშირად ქმრები ზარალდებიან, რადგან აგრესია უნებურად მათზე გადადის. ხშირად ეს კაცებისთვის გაუგებარია, მაგრამ რას ვიზამთ, ყოველივეს მოთმინებით უნდა მოეკიდოთ.



**ფსიქოლოგის რჩევა:** ამ მდგომარეობას დეპრესიას ვერ ვუწოდებთ, რადგან აპათია არ იჩენს თავს. სამაგიეროდ, აშკარაა აგრესია. ახალნამშობიარევ ქალს დღის ჩვეული რეჟიმი დარღვეული აქვს, სახეზეა გამოფიტვა-გადაღლა. პრეტენზია უჩნდება ქმრის მიმართ, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ ჩვილის მოვლაში დაეხმაროს და გვერდში დაუდგეს, წუწუნს იწყებს და ცდილობს, რაც შეიძლება მალე დაიძინოს. კაცებო, გაითვალისწინეთ, რომ ასეთი მიდგომა არასწორია! ვალდებული ხართ, საკუთარი შვილის მოვლაში მონაწილეობა მიიღოთ და ცოლს დახმარების ხელი გაუწოდოთ.

### ვისწავლოთ კონფლიქტის თავიდან აცილება

როგორ უნდა რეაგირებდნენ ახალბედა დედიკოს ამგვარ საქციელზე მისი ოჯახის წევრები და ახლობლები? ფსიქოლოგები გვირჩევენ, თავი შეიკავოთ კონფლიქტისაგან. არასოდეს უპასუხოთ აგრესიას აგრესიითვე. სხვაგვარად კონფლიქტი გარდაუვალია და დედიკოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. თავი ახალბედა დედის ადგილზე წარმოიდგინეთ და მიხვდებით, რომ აუცილებელია, მას მოეფეროთ, დაუყვავოთ, სითბო და სიყვარული გამოხატოთ.

### როდის მივმართოთ დახმარებისთვის ექიმს

ხანდახან მომატებული აგრესიულობის უკან შესაძლოა იმალებოდეს ფარული პრობლემები — დეპრესია, სტრესი, ფსიქოლოგური ტრავმა. ეს არის მიზეზები, რომელთა დროსაც შესაძლოა ქალს ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდეს. ის დაადგენს, სჭირდება თუ არა პაციენტს მედიკამენტოზური მკურნალობა.

ასევე სასურველია ნევროპათოლოგის კონსულტაციაც, რათა დადგინდეს, ხომ არაა დაკავშირებული დეპრესია სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან, ტრავმასთან და ორგანიზმის ზოგად სისუსტესთან. როგორც წესი, სპეციალისტი ინდივიდუალურად ურჩევს მკურნალობის კურსს — დამამშვიდებელ საშუალებებს, მასაჟს, კვებას.

დაბოლოს, აგრესიის მიზეზი თავისუფლად შეიძლება იყოს ჰორმონალური ცვლილებები, განსაკუთრებით, თუ ფიქსირდება აშკარა გაღიზიანება და ხასიათის ცვლილება, ასევე წონის მკვეთრი მატება ან კლება, ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება, ლიბიდოს დაქვეითება, თავის ტკივილები.

თუ თქვენთვის ჩამოთვლილი სიმპტომებისგან რამდენიმე მაინცაა კარგად ნაცნობი, ეს ნიშნავს, რომ კონსულტაციისათვის გინეკოლოგს, თერაპევტსა და ენდოკრინოლოგს უნდა მიმართოთ, რადგან ჰორმონულ ცვლილებებთან აუცილებელია ბრძოლა და სათანადო მკურნალობა.

## შემოდგომაზე დაბადებული ბავშვების თავისებურებები

შემოდგომაზე დაბადებული ბავშვები სიცოცხლის პირველ წელიწადს სიგრძეში შედარებით ნელა მატულობენ, ვიდრე გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებულები. სამაგიეროდ, წონაში მათი ნამატი უფრო თვალშისაცემია. შემოდგომაზე დაბადებულ პატარებს, როგორც წესი, უფრო იშვიათად ასეირნებენ სუფთა ჰაერზე და ისინი ნაკლებად არიან გაკაჟებულები.

უნდა ეცადოთ, რომ ჩვილი ხშირად გაიყვანოთ გარეთ. სახეზე მზის სხივები უნდა მოხვდეს, რათა ორგანიზმმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დე ვიტამინი მიიღოს. ჩვილის გასეირნება მისი დაბადებიდან 2 კვირის შემდეგ უნდა დავიწყოთ. თავდაპირველად 3-5 წუთით გაიყვანეთ, შემდეგ კი ეს დრო ყოველდღიურად 10 წუთით გაზარდეთ ისე, რომ თვის ბოლოს პატარა ჰაერზე 2-3 საათს იყოს. სასურველია სუფთა ჰაერზე დღეში 2-ჯერ გაიყვანოთ.

შემოდგომის პატარები აქტიურად იმატებენ წონაში. ეს რომ ზიანის მომტანი არ აღმოჩნდეს (თავი არ იჩინოს ზედმეტმა კილოგრამებმა), საჭიროა ყოველთვიურად აკონტროლოთ ჩვილის წონაში ნამატი. პირველ 3 თვეში უნდა მოიმატოს 2,5 კგ და დაახლოებით 9 სმ-ით გაიზარდოს სიგრძეში. 6 თვის ასაკში კიდევ ამდენივე უნდა ჰქონდეს წონაში მომატებული, სიგრძეში კი 7,5 სმ. წლის ბოლოს ბავშვის წონის ნამატი დაახლოებით 2,4 კგ, სიგრძის კი 8,5 სმ უნდა იყოს. ამასთან, ყველანაირად უნდა ეცადოთ, ხელი შეუწყოთ, რომ წლამდე მაინც იყოს ძუძუთი კვებაზე.

შემოდგომაზე, განსაკუთრებით ნოემბერში, დაბადებული პატარები გარკვეულწილად სითბოში იზრდებიან. როგორც წესი, მათ ოთახს სპეციალურად ათბობენ, ამის გამო კი თერმორეგულაციის ცენტრი ეჩვევა, თავი კომფორტულად იგრძნოს 24-25 გრადუსზე და არა — 20-22 გრადუსზე, როგორც ეს სასურველია.

თუ ნორმაზე მეტ ტემპერატურას მიაჩვევთ, შეიძლება პატარას ხშირად ეყინებოდეს ხელ-ფეხი, ცივდებოდეს. აუცილებელია ყოველ 3 საათში ერთხელ ჩვილის ოთახის 10-15 წუთით განიავება (ამ პერიოდში პატარა დროებით ოთახიდან გაიყვანეთ). თუ ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ბავშვი გაკაჟდება და ძლიერი იმუნიტეტიც ჩამოუყალიბდება.

## თქვენს შვილს მხედველობა წესრიგში აქვს?

ბჭობა იმის თაობაზე, რამდენად კარგად ხედავს თქვენი პატარა, ირიბი ნიშნებითაც შეიძლება.

**თავის ტკივილი** — ეს შესაძლოა თვალების დაღლის ნიშანი იყოს. როცა პატარებს უნებურად დიდი ხნის განმავლობაში ერთ კონკრეტულ საგანზე უხდებათ მხედველობის ფოკუსირება, შედეგად ხშირად თავი სტკივდებათ.

**თავბრუ, უჰაერობა, ტრანსპორტის აუტანლობა** — ბავშვს ტრანსპორტით მგზავრობისას გულისრევის შეგრძნება აქვს და თავბრუ ესხმის? ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს მხედველობის დარღვევა, რის გამოც უჭირს საგნებზე ფოკუსირება. მგზავრობის დროს მხედველობა იძაბება, რაზეც ორგანიზმი თავბრუსხვევითა და გულისრევით რეაგირებს.

**გაღიზიანება, აგზნებადობა, დაღლილობა** —თვალების გადაღლა არამარტო მხედველობაზე მოქმედებს, არამედ შესაძლოა აისახოს ნერვულ სისტემაზეც, ამიტომ სკოლამდელი პატარები ხშირად ხვდებიან ნევროლოგის კაბინეტში და არა — ოფთალმოლოგთან.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ბარბაქაძე: „ცეკვა მეგობარი გოგოს ხათრით დავიწყე“

## „ჩემთვის ერთადერთი ქალი არსებობს“



29 წლის პროფესიონალი მოცეკვავის, გიორგი ბარბაქაძის გამოჩენამ ტელეპროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მაყურებელი გოგონები გულგრილი ვერ დატოვა. როგორც აღმოჩნდა, ის უცოლოა, არც შეყვარებული ჰყავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გული თავისუფალი მაინც არ არის. ვინ არის ის, ვისი დავიწყებაც გიორგიმ ვერ შეძლო და როგორი ქალი შეძლებს მასში სიყვარულის გაღვიძებას, ამის შესახებ რუბრიკაში „ჩემი მშვენიერი ლედი“ გიორგი თავად გვიამბობს.

**— გიორგი, სანამ მშვენიერი სქესისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე საუბარს დავიწყებთ, მოგვიყევით, რა გზა გამოიარეთ დღემდე, როგორ გახდით მოცეკვავე.**

— პროექტში თანამედროვე ცეკვების ერთადერთი მოცეკვავე მე ვარ, დანარჩენები ლათინური ცეკვების პროფესიონალი შემსრულებლები არიან. ცეკვა ერთ-ერთ უძლიერეს ქორეოგრაფთან, თემურ მეტრეველთან დავიწყე. მოყვარულების დონიდან პროფესიონალ მოცეკვავედ მაქცია. მანამდე მძლეოსანთა ნაკრებში ვიყავი, მერე ვჭიდაობდი, ბოლოს, 16 წლის ასაკში, მოცეკვავე გავხდი.

> „ქალისთვის ინტელექტი და განათლებაც აუცილებელია, გარეგნულადაც დახვეწილი უნდა იყოს. გოგომ რომ სამზარეულოში ტრიალი იუკადრისოს, ალბათ არ მომეწონება“.

**— მძლეოსნობიდან ცეკვაში — ასეთი კარდინალური შემოტრიალება თქვენს ცხოვრებაში რამ გამოიწვია?**

— ჩემს ცხოვრებაში ეს ალბათ ყველაზე უცნაური რამ გახლავთ. ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა გოგომ ცეკვაზე მისვლა გადაწყვიტა. ხელი მომკიდა და მითხრა, მეწყვილე მჭირდება და უნდა წამომყვეო. მივედით ორივე და აღმოჩნდა, რომ ანსამბლი მსოფლიო ჩემპიონატზე გასასვლელად ემზადებოდა, რომელიც გერმანიაში ტარდებოდა. მოგეხსენებათ, წლების წინ ბიჭი მოცეკვავეები ნაკლებად იყვნენ. ქორეოგრაფმა მითხრა, თუ შეძლებ და ამ კომპოზიციას ისწავლი, აუცილებლად ჩაგსვამ ჯგუფშიო. სპორტსმენისთვის თანამედროვე ცეკვა ადვილად დასახვეწი იყო და დავთანხმდი. დაბადების დღესა და ქორწილებში ცეკვის იმხელა კომპლექსი მქონდა, ფეხზე არასოდეს ვდგებოდი, ყოველთვის სხვისი მაყურებელი ვიყავი. მოყვარულებში ცეკვის დაწყება ალბათ იმის გამოც გადავწყვიტე, რომ კომპლექსები მომხსნოდა. ქორეოგრაფს კი იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემი და გერმანიაში ცხოვრობდა, 5 წელი არ მყავდა ნანახი და, თუ იქ მოვხვდებოდი, მასაც ვნახავდი.

**— მოხვდით ჩემპიონატზე?**

— კი, მსოფლიო ჩემპიონატშიც მივიღე მონაწილეობა და დაც ვნახე. შოუ-ბალეტ „ვერნისაჟის“ მოცეკვავეც ვარ და ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი დამდგმელი ქორეოგრაფიც. თუკი ვინმეა შოუბიზნესში, ყველასთან მიცეკვია. დღეს კი ამ კონკურსის მონაწილე ვარ. პროექტში მოსახვედრად კასტინგი გავიარე. ქრისტინე იმედაძე ამომიდგა მხარში, რადგან მას თვითონაც უნდოდა, მისი მეწყვილე ვყოფილიყავი პირველ სეზონზე.

**— როგორ გახსენდებათ ქრისტინესთან მუშაობა?**

— მასთან მუშაობის პროცესში ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე, რისთვისაც ქრისტინეს დიდ მადლობას ვუხდი. ჩემს საცეკვაო კარიერაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო, ხალხის სითბო პირველად მაშინ ვიგრძენი. ქრისტინეს მონაცემებით უკმაყოფილო არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, გაკვირვებული გახლდით მისი შესაძლებლობებით.

**— მაგრამ ერთმანეთთან კამათი ალბათ მაინც გქონდათ?**

— ქრისტინეს სულ ვეხვეწებოდი, რომ მეტი რეპეტიცია გვქონოდა და ეს მან არაერთხელ აღნიშნა კიდეც. ქრისტინეს ჩემში რაც არ მოსწონდა, ამასაც გეტყვით. ვცდილობ, ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, უკეთესად ვაქციო. შეიძლება კომპოზიცია გაკეთებული მქონდეს, მაგრამ რაღაც კიდევ შევცვალო, ეს კი ქრისტინესთვის ცოტა გამაღიზიანებელი იყო. ალბათ ეს ჩემი მინუსია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ცვლილებები კომპოზიციის გასაუმჯობესებლად კეთდება. ვერ ვიტყვი, რომ ცვალებადი ხასიათი მაქვს, უბრალოდ, გადაწყვეტილებებს ვაუმჯობესებ.

**— თქვენი ახლანდელი მეწყვილე, ტანმოვარჯიშე ქეთი ხატიაშვილი, როგორი მოცეკვავე დადგა?**

— მე და ქეთი ხატიაშვილმა ერთმანეთი „იმედის“ ერთ-ერთი გადაცემის პირდაპირ ეთერში გავიცანით. აღმოჩნდა, რომ თურმე ერთი უბნელები ვყოფილვართ, ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით და ერთ კორპუსში ვცხოვრობდით, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ჩვენ ერთმანეთი ფაქტობრივად თავიდან გავიცანით, ოღონდ სრულიად შემთხვევით. ისიც არ ვიცოდი, რომ ქეთი პროექტში იქნებოდა. როგორც იცით, ის ამ შოუს მეცამეტე მონაწილეა და ჩვენთან კასტინგის საშუალებით მოხვდა. ისიც არ ვიცოდი, ამ სეზონზე მე თუ ვიცეკვებდი, ანტალიაში ვიყავი კონტრაქტით. ვისი ვიდეოებიც ვნახე, ქეთი ჩემი ერთ-ერთი ფავორიტი მოცეკვავე იყო და მის ვიდეოს ყოველთვის ხმას ვაძლევდი, „ფეისბუქზეც“ ვაზიარებდი. იმას კი ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი მეწყვილე გახდებოდა.

ქეთის იმდენად კარგად არ ვიცნობ, რომ მის ხასიათზე რამე ვთქვა. კარგი ადამიანია, ძალიან ბუნებრივია, მასთან სერიოზული ვერ იქნები, სულ მხიარულია და იმის სტიმულსაც გაძლევს, რომ მეტი გააკეთო. ქეთის მშობლები, მეუღლე და შვილი — 3 წლის ანასტასიაც გავიცანი. ძალიან ლამაზი ოჯახი აქვს და მიხარია, რომ ასეთი მეწყვილე მყავს. ქეთისთან შენიშვნა ჯერ არ მქონია. 10 საათზე ის უკვე რეპეტიციაზეა, მე კი დილით ადრე ადგომა მიჭირს და სულ ვიგვიანებ.

**— ზემოთ თქვით, სუფრიდან არ ვდგებოდი, ცეკვა მრცხვენოდაო. გოგონებთანაც ასეთი მორიდებული იყავით?**

— ალბათ ყველა ბავშვს აქვს თავისი კომპლექსები. უბრალოდ, ცეკვა რომ არ ვიცოდი, უაზროდ ხელების ქნევას მერჩივნა, სულ არ მეცეკვა. ამის მრცხვენოდა, თორემ გოგონებთან არანაირი კომპლექსი არ მქონია. მათთან ახლო ურთიერთობაც მქონდა, ძალიან მეგობრულადაც ვიყავი. დაძმური ურთიერთობა დღემდე შემომრჩა.

**— გოგოსა და ბიჭის მეგობრობის გჯერათ?**

— რა თქმა უნდა. ბიჭისა და გოგოს მეგობრობა ვის როგორ ესმის, ეს ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც ჩემთან ერთად გაიზარდნენ და, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათთან დაძმური ურთიერთობა მაქვს. მეგობარი მეგობარია, რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭია თუ გოგო?

**— სიყვარული გამოცდილი გაქვთ?**

— პირად ცხოვრებაზე არასოდეს ვლაპარაკობ, მით უმეტეს, ჟურნალისტებთან. მირჩევნია, ჩემი ინტერვიუები პროექტს უკავშირდებოდეს, ვიდრე პირადს. არ ვარ იმდენად პოპულარული ადამიანი, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზე ვისაუბრო და ვიფიქრო, რომ ეს ვინმეს აინტერესებს. ამაზე მხოლოდ ძალიან ახლობლებთან ვლაპარაკობ, გამოსააშკარავებელი არაფერი მაქვს.

ძალიან ბევრი ადამიანისგან ვგრძნობ სიმპათიას, თუნდაც „ფეისბუქის“ საშუალებით. პირად ცხოვრებაზეც მეკითხებიან, აინტერესებთ, მყავს თუ არა შეყვარებული. ძალიან დიდი სურვილი აქვთ, რომ შემხვდნენ.

> „ძალიან ვიყავი შეყვარებული არაქართველზე, მასთან ერთად კიევში 3 წელი ვიცხოვრე. ერთად აღარ ვართ, მაგრამ ჩემთვის ისევ ის ადამიანი არსებობს. ეს სიყვარული არავის შეუცვლია“.

**— თქვენ რითი პასუხობთ — თანხმობით თუ უარით?**

— „ფეისბუქით“ გაცნობილ გოგოს არასოდეს შევხვედრივარ. მოდიან კონცერტზე და მეუბნებიან, მე ის ვარ, „ფეისბუქზე“ რომ დამიმატეო. როგორ შეიძლება ისინი ვიცნო, რამდენი გოგოს ფოტო უნდა დავათვალიერო?! ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათთან ფოტოც კი მაქვს გადაღებული. ამ სეზონზე კი ძალიან ბევრს გაუჩნდა ჩემთან კონტაქტის სურვილი. ეს პროცესი ნამდვილად სასიამოვნოა, მაგრამ ამავდროულად რთულიცაა, ყველას ვერ გასცემ პასუხს, რის გამოც შეიძლება გამინაწყენდნენ კიდეც.

**— კითხვაზე მაინც არ მიპასუხეთ — შეყვარებული ხართ?**

— კი, შეყვარებული ვარ და სულ ვიყავი.





Cyan Magenta Yellow Black

მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ძალიან ვიყავი შეყვარებული არაქართველზე, მასთან ერთად კიევში 3 წელი ვიცხოვრე. ერთად აღარ ვართ, მაგრამ ჩემთვის ისევ ის ადამიანი არსებობს. ეს სიყვარული არავის შეუცვლია.

**— რა დაგიტოვათ ამ სიყვარულმა?**

— გრძნობა... ამაზე მეტს არაფერს გეტყვით.

**— როგორმა გოგონამ შეიძლება დაგაინტერესოთ?**

— ცივი გარეგნობის გოგონები მომწონს. არასოდეს უნდა ვიგრძნო მისგან, რომ მოვწონვარ, ჯერ მე უნდა გამოვავლინო გრძნობა. როგორც კი პირველი აქტიურობას გოგო იწყებს, მაშინვე მეცვლება მასზე შეხედულება.

**— თქვენთვის რომელია უპირატესი — გარეგნობა თუ ხასიათი?**

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გარეგნობა, შემდეგ კი — ხასიათი. რამდენად შეიძლება გოგო გენდოს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნდობა თუ არ არის, ამ ურთიერთობას აზრი არ აქვს. ქალისთვის ინტელექტი და განათლებაც აუცილებელია, გარეგნულადაც დახვეწილი უნდა იყოს და საუბარიც ასეთივე უნდა ჰქონდეს. თუ ქალს სამზარეულოში ტრიალიც მოსწონს, ძალიან კარგია. ვფიქრობ, რომ რაღაც მაინც უნდა ეხერხებოდეს. გოგომ რომ სამზარეულოში ტრიალი იუკადრისოს, ალბათ არ მომეწონება.

**— ქალის მაინც ჩვევად რა მიგაჩნიათ?**

— ვერ ვიტან, როცა ქალი ილანძღება და იგინება. შეიძლება ეს დღევანდელობაში გასაკვირი არ არის, მაგრამ ჩემთვის მაინც მიუღებელია. ენის მიტან-მოტანაც გამაღიზიანებელია, თუნდაც კარგი ამბავი გითხრას.

**— როგორ ფიქრობთ, ქართველი ქალების მთავარი პრობლემა, გნებავთ, კომპლექსი, მამაკაცთან ურთიერთობაში რა არის?**

— სექსუალურ ურთიერთობაში აქვთ კომპლექსი. ნინა წკრიალაშვილმა ერთი აზრი დააფიქსირა, რაც ჩემთვის დღემდე ძალიან სასაცილოა. დღევანდელ საქართველოში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიანო. მგონი, მართლა ასეა. ვისაც ურთიერთობის კომპლექსი არ აქვს, ის თხოვდება.

**— ტრადიციულ შეკითხვას დაგისვამთ, ქართველ ქალებს რას უსურვებდით?**

— იყვნენ გახარებულები, ბედნიერები. მყავს დედა და და, რომლებიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. მთელი ჩემი სურვილები და ემოციები მათთანაა დაკავშირებული. როგორც ქართველი დედის შვილი, მანდილოსნებს გამრავლებას ვუსურვებდი.

✓ სოფიო ბოჭორიძე

## მანჩესტერში ალექს ფერგიუსონის ქუჩა გაიხსნა



საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის, სერ ალექს ფერგიუსონის პატივსაცემად, მანჩესტერის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა. საზეიმო გახსნის ცერემონიალს თავად ფერგიუსონი ესწრებოდა.

ადრე ქუჩას, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ კუთვნილი სტადიონის „ოლდ ტრაფორდის“ მახლობლად მდებარეობს, უოტერს რიჩი ერქვა, ახლა კი სერ ალექს ფერგიუსონის სახელობისაა.

ამ ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ქუჩას, რომელიც სტადიონთან მიდის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეორე ცნობილი მწვრთნელის, მეტ ბასბის სახელი ჰქვია, რომელმაც 1968 წელს კლუბს პირველად მოაგებინა ევროპის ჩემპიონთა თასი.

71 წლის ალექს ფერგიუსონი ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელად ითვლება. „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობის 26 წლის განმავლობაში კლუბმა 13-ჯერ მოიგო პრემიერლიგა და 2-ჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. სერ ალექს ფერგიუსონმა სამწვრთნელო კარიერის დასრულების თაობაზე გადაწყვეტილება 2012-2013 წლების სეზონის ბოლოს მიიღო.

## ზამბიაში ფეხბურთელების დაპატიმრების სანქცია გაიცა

ზამბიაში დაპატიმრების ორდერი გაიცა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების სამ ფეხბურთელზე, რომლებმაც ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გამოტოვეს. ამჟამად რეინფორდ კალაბა, სტოპილა სუნზუ და ნათან სინკალა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან, სადაც ადგილობრივი კლუბის, „მაზემბეს“ ღირსებას იცავენ.

ზამბიის ნაკრების წინასამატჩო შეკრების დაწყების წინ კლუბმა „მაზემბემ“ გამოაცხადა, რომ კალაბამ, სუნზუმ და სინკალამ ტრავმები მიიღეს, მაგრამ ფეხბურთელები მაინც გამოცხადდნენ ეროვნულ ნაკრებში, სადაც მათ სამედიცინო შემოწმება გაიარეს. ზამბიელმა ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ სამივე ფეხბურთელი სრულიად ჯანმრთელი იყო და ხელს არაფერი უშლიდათ პეკინში გასაფრენად, სადაც ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო ბრაზილიის ნაკრებთან.

„მაზემბემ“ კალაბას, სუნზუსა და სინკალას კლუბში დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ ზამბიის ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომლებმა ფეხბურთელებს პასპორტები ჩამოართვეს. ამის მიუხედავად, მოთამაშეებმა გადაწყვიტეს, დაეტოვებინათ ზამბიის დედაქალაქი ლუსაკა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლუბუმბაში დაბრუნებულიყვნენ, რომლის კლუბიცაა „მაზემბე“.

ბრაზილიისა და ზამბიის ნაკრებების მატჩი პეკინში გაიმართა და ის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების გამარჯვებით 2:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრებთან მატჩი პირველი იყო აფრიკული გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის, პატრის ბომელესთვის, რომელმაც ამ თანამდებობაზე ერვე რენარი შეცვალა.

## უკრაინულმა კლუბმა ბანდერელების დროშა აირჩია



ლვოვის საფეხბურთო კლუბის ვებგვერდი იუწყება, რომ გუნდის ოფიციალურ სიმბოლოდ შავ-წითელი ფერის დროშა იქცა. 2014-2015 წლის სეზონიდან საფეხბურთო კლუბ „კარპატის“ ფეხბურთელები შავ-წითელი ფერის ფორმით ითამაშებენ, ამჟამად კი კლუბის ძირითადი სათამაშო მაისურები თეთრი და მწვანე ფერისაა.

კლუბის განაცხადში ნათქვამია, რომ შავ-წითელი ფერები უკრაინის გმირების სიმბოლოს წარმოადგენს. „სტადიონის ტრიბუნებზე პატრიოტიზმის თითქმის ყოველი გამოვლინება ფაქტობრივად კანონგარეშედ ცხადდება“, — ვკითხულობთ კლუბის პრესსამსახურის განცხადებაში.

ასეთი რეაგირება მოახდინა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ, როცა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისთვის სან მარინოს ნაკრებთან გამართული შესარჩევი მატჩის დროს (9:0) ფიფა-მ უკრაინის ნაკრების დასჯის გადაწყვეტილება მიიღო. მატჩის დროს, რომელიც ლვოვის სტადიონზე გაიმართა, ადგილობრივმა ქომაგებმა მაშხალები აანთეს და ბანერი გაშალეს, რომელზეც უკრაინის ეროვნული გმირი, სტეპან ბანდერა იყო გამოსახული. ისინი სკანდირებდნენ: „ბანდერა, შუხევიჩი (უკრაინის გამათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელი) — უკრაინის გმირი“.

ფიფა-მ ამასთან დაკავშირებით გადაწყვიტა, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ლვოვში აღარ გაიმართოს მატჩები. უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია 45 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა, ხოლო პოლონეთის ნაკრებთან მატჩი მაყურებლების გარეშე ცარიელი ტრიბუნების წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ფიფა-მ ეს გადაწყვეტილება შეცვალა.

1940 წლიდან შავ-წითელი დროშა უკრაინელი ნაციონალური ორგანიზაციის სიმბოლოს წარმოადგენდა. 1992 წლიდან კი ამ დროშით სარგებლობს უკრაინის ნაციონალების კონგრესი, რომელიც თავს ბანდერელების მემკვიდრედ აცხადებს.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black



## ხელნაკეთი რკინიგზა 100 მატარებელს იტევს

ბრუს უილამი მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელნაკეთი რკინიგზის აშენებას ზუსტად 16 წელი მოუნდა. ის ყოველდღიურად 18 საათს მუშაობდა. ავტორმა ნამუშევარს ნორტლანდი უწოდა, რომლის საერთო ფართობი 4.830 კვ.კმ-ია, რელსების საერთო სიგრძე კი 13 კილომეტრს აღწევს.



ნორტლანდში 100 მატარებელი, 400 ხიდი, 50 გვირაბი და 3 000 მინიატურული შენობა დგას. გაგიკვირდებათ და, აქ ყველაფერი მოქმედია, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში მსგავსი არაფერი არსებობს. ბრუსს თავისი ახირება რამდენიმე მილიონი დოლარი დაუჯდა და საკუთარი ნამუშევრით ძალიან ამაყობს.

## ვიოლინო «ტიტანიკიდან» 1,5 მილიონად გაიყიდა

ვიოლინო, რომელზეც ლეგენდარული ლაინერის, „ტიტანიკის“ ჩაძირვის დროს უკრავდნენ, ლონდონში აუქციონზე რეკორდულ ფასად, 1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. ვიოლინო უოლეს ჰარტლის ეკუთვნოდა — 1517 გარდაცვლილი მგზავრიდან ერთერთს. როგორც გაირკვა, ინსტრუმენტი პატრონმა ჩემოდანში ჩადო, ჩემოდანი კი სხეულზე მიიბა, რომ არ დაკარგვოდა.



ტრაგედიიდან ერთი კვირის შემდეგ ჰარტლის სხეული იპოვეს, ხოლო ვიოლინოზე, წარწერით უ. ჰარტლი, დაკვრა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მლაშე წყალში დიდხანს იყო. ვიოლინო აუქციონის დაწყებიდან ზუსტად 10 წუთში გაიყიდა. მისი ახალი მფლობელის ვინაობა გასაიდუმლოებულია.

## ქსოვა და სირბილი ერთდროულად

ამერიკაში, კანზასის შტატში, 41 წლის დევიდ ბაბკოკმა გადაწყვიტა, ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ჰობის გაერთიანებით რეკორდი დაემყარებინა და გამოუვიდა კიდეც.



დევიდმა კანზასში გამართულ მარათონში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც სირბილის პარალელურად კაშნეს ქსოვდა. მარათონის მანძილის დაფარვამდე, რასაც ზუსტად 5 საათი და 48 წუთი მოანდომა, კაცმა 6,4 მეტრი სიგრძის კაშნეს მოქსოვა მოასწრო. ამით დევიდმა წინა რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც ბრიტანელ სუზი ჰევერს ეკუთვნის. ქალმა მარათონის დროს 6 მეტრიანი კაშნე მოქსოვა.

## 280 კილოიანი მოდელი

ამერიკის ქალაქ მედფორდში მცხოვრები კრისტინა პაესი მსოფლიოში ყველაზე მსუქანი მოდელის სახელითაა ცნობილი. სამი შვილის დედა დეპრესიაში თავისი გოგონას გარდაცვალების მერე ჩავარდა და გამუდმებით ჭამდა, შედეგად კი 280 კილო გახდა.

კრისტინა დარწმუნებულია, რომ ულამაზესია, ამიტომ ინტერნეტით საკუთარი ფოტოების გაყიდვა დაიწყო. რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, მსუქანი მოდელისათვის ეს შემოსავლის ერთადერთი წყაროა. არადა, სიმსუქნის გამო კრისტინა მეორე ქმარმაც მიატოვა.





## 103 წლის ქმარმა და 99 წლის ცოლმა ჯვარი ახლა დაიწერეს

პარაგვაელი წყვილის, 103 წლის ხოსე მანუელ რიელას და 99 წლის მარტინა ლოპესის რომანი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე 6 წლით ადრე დაიწყო. ჯვარი კი მხოლოდ ახლა დაიწერეს. პატარძალი საქორწინო კაბაში იყო გამოწყობილი, ხოლო ნეფეს შავი კოსტიუმი ეცვა.



როგორც ახალდაქორწინებულებმა განაცხადეს, ჯვრისწერა ახლობლების დაჟინებული თხოვნის შემდეგ გადაწყვიტეს. წყვილს 8 შვილი, 50 შვილიშვილი, 35 შვილთაშვილი და 20 შვილთაშვილის შვილი ჰყავს.



Cyan Magenta Yellow Black

## უნიკალური წინდა მოქნეხილობისაგან დაგიცავთ



იაპონელებმა შექმნეს წინდა, რომელიც ადამიანს წაქცევისგან დაიცავს. ვიზუალურად ის არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი წინდისგან, მაგრამ სიარულის დროს მასში შემავალი სპეციალური მასალა ფეხის თითებს მაღლა წევს და ადამიანი წონასწორობას ადვილად ინარჩუნებს.

მედიკოსების თქმით, ფეხის თითები ასაკის მატებასთან ერთად დუნდება და ამიტომაც დაცემის რისკიც მატულობს. გამომგონებლების განცხადებით, უნიკალური წინდა ტესტირების გავლის შემდეგ მაღაზიებშიც გამოჩნდება.

## ლოს ანჯელესში კაფე-ტუალეტი გაიხსნა





ამ უცნაურ კაფეში ყველაფერი ტუალეტის სტილშია გადაწყვეტილი და ის ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარეობს. მეპატრონეებმა გადაწყვიტეს, კლიენტებმა ტუალეტში სიარულისთვის დრო არ დაკარგონ და სკამების ნაცვლად მაგიდებთან უნიტაზები დადგეს. კაფეში თითქმის ყველაფერს უნიტაზის ფორმა აქვს — სკამებსაც და ჭურჭელსაც.

კაფეს მფლობელი აღიარებს, რომ ორიგინალური ინტერიერის დიზაინი პირველად ტაივანში იხილა და ძალიან მოეწონა.

### ეს იცოდით?

❖ მხატვარი სალვადორ დალი ხშრად იძინებდა კოვზით ხელში, იატაკზე კი თეფშს ტოვებდა. ჩაძინებისას, როცა ხელი დუნდებოდა, კოვზი ხმაურით ეცემოდა თეფშს და მხატვარს ეღვიძებოდა. დალი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ სიზმარში ნანახი ახალი იდეები გათენებამდე არ დავიწყებოდა.

❖ ლეონარდო და ვინჩი ხშირად კვეთდა გვამებს, რათა კუნთების განლაგება ზუსტად შეესწავლა და ასეთივე სიზუსტით გადაეტანა თავის ნამუშევრებში.

## ვინ უფრო ჩქარა ირბენს ზურგზე შემომჯდარი ცოლით

ფინეთის შემდეგ ზურგით ცოლის ტარების ჩემპიონატი ჩინეთის ქალაქ შენჟეშიც ჩატარდა. ჩემპიონატში 18-მა წყვილმა მიიღო მონაწილეობა. მათ მიერ დასაფარი მანძილი 150 მეტრი იყო. ფინეთში გამარჯვებულს მხოლოდ ლუდი ერგება ხოლმე, ჩინელი ქმრებისათვის კი ჯილდოდ ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ საცხოვრებელი სახლი დააწესა.



გამარჯვებულმა წყვილმა, მისტერ და მისის ვუმ, კონკურსისათვის მზადება ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყეს. ისინი ყოველდღიურად 1 საათს ვარჯიშობდნენ და ეს გარჯა დაუფასდათ — კომპანიის მიერ დაწესებული ზღვისპირა სახლი სწორედ მათი საკუთრება გახდა.

## ცეცხლმოკიდებულმა ექსტრემალებმა რეკორდი დაამყარეს

ოჰაიოში, ქალაქ კლივლენდში, 21-მა ექსტრემალმა გინესის რეკორდი დაამყარა. მათ ერთდროულად წაიკიდეს ცეცხლი და 32 წამის განმავლობაში ცეცხლში გახვეულები დარბოდნენ. ამით 2009 წელს ასევე ოჰაიოში დამყარებული რეკორდი გააუმჯობესეს, მაშინ ცეცხლი 17-მა ექსტრემალმა წაიკიდა.




## წყვილი მეტროს მატარებელში დაქორწინდა

ტოკიოში წყვილმა ქორწილი მეტროში, მატარებლის ვაგონში გადაიხადა. ნეფე-პატარძალმა ეს ადგილი შემთხვევით არ აირჩიეს. დიდი ხნის განმავლობაში ერთ-ერთი სადგური, „სიმბასი“, მათი პაემნის ადგილი იყო, როცა სამსახურის შემდეგ ერთმანეთს ხვდებოდნენ.



შეყვარებულებს შეხვედრის ადგილად მეექვსე ვაგონი ჰქონდათ არჩეული, სწორედ ის, სადაც მოგვიანებით იქორწინეს. ამისთვის მათ მატარებლის მთელი შემადგენლობის — 11 ვაგონის დაქირავება მოუხდათ. ცერემონია იაპონიაში წლის ყველაზე ორიგინალურ ქორწილად დასახელდა.



Cyan Magenta Yellow Black

# სიყვარული თუ გატაცება?

პასუხში „არა“ 10 ქულა დაიწერეთ, „დიახ“ — 0, გარდა მე-7 შეკითხვისა, ამ შემთხვევაში „დიახ“ 10 ქულით შეაფასეთ, „არა“ — 0 ქულით.

1. მისდამი თქვენი გრძნობა წამიერად წარმოიშვა?

2. როდესაც სხვა თქვენს საყვარელ ადამიანთან დაახლოებას ცდილობს, ეჭვიანობთ და გუნება გიფუჭდებათ?

3. როდესაც ერთად არ ხართ, მხოლოდ იმაზე ფიქრობთ, როდის გამოჩნდება და არაფრის გაკეთების სურვილი არ გაქვთ?

4. როცა ერთად ხართ, გეჩვენებათ, რომ უფრო მეტად გიყვართ, ვიდრე მაშინ, როცა მის გარეშე ხართ?

5. ადამიანი, რომელსაც ხვდებით, ყველაზე სრულყოფილად მიგაჩნიათ?

6. სახლში, მშობლების გვერდით თავს კომფორტულად ვერ გრძნობთ?

7. იცით რაიმე თქვენი შეყვარებულის შეხედულებებზე, მაგალითად, რას ფიქრობს ფულზე ან ბავშვებზე?

8. მასთან შეხვედრისას ყოველთვის დაძაბული ხართ, გინდათ, საუკეთესოდ გამოიყურებოდეთ და შეცდომა არ დაუშვათ?

9. ორივეს მსგავსი საჩივრები გაქვთ ცხოვრებისეულ საკითხებზე?

10. საყვარელი ადამიანი სადღაც გაემგზავრა და ულამაზეს წერილებს გწერთ. წაუკითხავთ მათ მეგობრებს?

**შედეგები:**

**70-100 ქულა** —თქვენ შორის ნამდვილი სიყვარულია.

**50-60 ქულა** — ერთმანეთთან რაღაც გრძნობა გაკავშირებთ, მაგრამ ალბათ ეს უფრო გატაცებაა, ვიდრე ნამდვილი გრძნობა.

**0-40 ქულა** — ეს რომანი შესაძლოა ნამდვილ სიყვარულად იქცეს, ამ ეტაპზე კი თქვენი ურთიერთობა ნამდვილ სიყვარულს არ ჰგავს, თუმცა გატაცებაზე მეტია.

# დაქალებს უყვარხართ?



**1. დაქალი სხვა ქალაქში გადადის საცხოვრებლად. ხშირად მოინახულებთ მას?**

ა) ალბათ წელიწადში ერთხელ მის სანახავად სპეციალურად წავალ.

ბ) ორ წელიწადში ერთხელ ვესტუმრები.

გ) მოვინახულებ, თუ საქმეზე იმ ქალაქში გამგზავნიან, სადაც ის ცხოვრობს.

დ) ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით შევეხმიანები.

**2. ამჩნევენ, რომ დაქალის შეყვარებულთან ან მის ქმართან ფლირტი გაქვთ?**

ა) დიახ.

ბ) არა.

**3. საუკეთესო მეგობარი დიდ შეცდომას უშვებს სასიყვარულო ურთიერთობაში, მაგრამ შენიშვნებს ვერ იტანს, რას იზამთ?**

ა) არაფერს ვეტყვი, რათა რაიმე გაუგებრობა მოხდეს.

ბ) სხვის მაგალითს მოვუყვან და რჩევას ასე მივცემ.

გ) რჩევას მივცემ, მაგრამ, როგორც კი შევამჩნევ, რომ არ სიამოვნებს, გავჩუმდები.

დ) ჩემს აზრს გულახდილად ვეტყვი. მირჩევნია, მეგობარი დავკარგო, ვიდრე იმის უფლება მივცე, რომ თავს რაღაც აუტეხოს.

**4. გაიგეთ, რომ ბოლო დროს დაქალი თქვენზე უსიამოვნო რამეებს ამბობს, თქვენ...**

ა) თუ ეს მითქმა-მოთქმა გამართლდა, ენაჭარტალა დაქალს პასუხს მოვთხოვ და მასთან ურთიერთობას გავწყვეტ.

ბ) ყველაფრის ახსნას მოვთხოვ. მეგობრებად დავრჩებით, მაგრამ ურთიერთობა უწინდებური აღარ იქნება.

გ) დაქალს ვეტყვი, რაც გავიგე, თუ მართალია, შევეცდები გავიგო, რატომ თქვა.

დ) დავივიწყებ ამის შესახებ. არ ღირს დაქალთან დავა.

**5. იყიდეთ ნივთი, რომელზეც დიდი ხან**ია ოცნებობდით. როცა დაქალს აჩვენეთ, ძალიან მოეწონა. რას იზამთ, აჩუქებთ?

ა) დიახ.

ბ) არა.

**6. განსაკუთრებულ შეხვედრას აწყობთ, რომელზეც მნიშვნელოვანი პიროვნებები არიან მოწვეული. დაქალი წამოსვლაზე ოცნებობს, წაიყვანთ?**

ა) დაუფარავად ვეტყვი, რომ არ შემიძლია მისი მიწვევა.

ბ) შეხვედრაზე — არა, აი, კოქტეილის წვეულებაზე წავიყვან.

გ) მივიწვევ, მაგრამ მკაცრ ინსტრუქციებს მივცემ, როგორ უნდა მოიქცეს.

დ) ვიცი, რომ მისი მოსვლა სარისკოა, მაგრამ უარს ვერ ვეტყვი.

**7. დაქალი რეკომენდაციას გთხოვთ იმ კომპანიაში მუშაობის დასაწყებად, სადაც თქვენ მუშაობთ. თქვენ კი არ ხართ დარწმუნებული, რომ ამ სამსახურის შესაფერისია. რას იზამთ?**

ა) საუკეთესო სარეკომენდაციო წერილს დავუწერ.

ბ) პირდაპირ ვეტყვი, რომ ეს სამსახური მისთვის შესაფერისი არ არის.

გ) რეკომენდაციას დავუწერ, მაგრამ გავაფრთხილებ, რომ წესიერად უნდა იმუშაოს და არ შემარცხვინოს.

**პასუხებში: 1. ა, 2. ბ, 3. დ, 4. გ, 5. ა, 6. დ, 7. ა — 1 ქულა დაიწერეთ, დანარჩენებში — 0.**

**შედეგები:**

**0-2 ქულა** — მეგობარი, რომელსაც ყოველთვის ვერ ენდობი. დროა, დაქალებთან ურთიერთობა გადაახალისოთ. არც ისეთი კეთილი და ლოიალური ხართ, როგორც თავი გგონიათ, მაგრამ შეგიძლიათ უკეთესი მეგობარი გახდეთ.

**3-5 ქულა** —კომპანიონი, რომლის ნდობაც შეიძლება. გულითადი, მზრუნველი მეგობარი ხართ, თუმცა ზოგჯერ წინ დაქალს კი არა, საკუთარ ინტერესებს აყენებთ. ჰკითხეთ თავს, ყოველთვის ხართ მეგობრის გვერდით, როდესაც მას სჭირდებით?

**6-7 ქულა** —ნამდვილი მეგობარი. თბილი, კეთილი, მზრუნველი დაქალი ხართ. თქვენი მეგობრები ნამდვილად აფასებენ იმას, რომ თქვენთვის მთავარი მათი ინტერესებია. დარწმუნებულები არიან, რომ ბედმა გაუღიმათ. ისლა დაგრჩენიათ, დარწმუნდეთ, რომ თქვენც გვერდით ისეთი დაქალები გყავთ, რომლებიც თქვენი ღირსნი არიან.

# სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 3 | | | | | 6 |
| | 1 | | | | 9 | 7 | | |
| | | 4 | | | | | 9 | |
| | 8 | | 4 | | 5 | | | |
| 9 | | | | 1 | | 2 | 7 | |
| | 3 | 7 | | | 2 | | | |
| | | | | | 8 | 9 | 5 | |
| | | 2 | | 3 | | | | 1 |
| 6 | | | 7 | | | 4 | | 3 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | 6 | | | 2 | |
| 3 | 7 | | | | | | | |
| | | 9 | | | | 4 | 8 | 1 |
| 5 | | | 4 | 9 | | | | |
| | 8 | 6 | | 1 | | 7 | | |
| | | | 3 | | | 2 | 5 | |
| 2 | | | | | 8 | | | 4 |
| | 9 | | | 7 | | | 3 | |
| | | 1 | | | | 6 | | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# ცეცხლს ეთამაშებით თუ ჭაობში იძირებით?

ტესტის „ა“ პასუხებში 0 ქულა დაიწერეთ, „ბ“-ში — 1, ხოლო „გ“-ში — 2.

**1. წინა სამსახურიდან იმის გამო წამოხვედით, რომ...**
ა) გაგათავისუფლეს.
ბ) უკეთესი სამსახური იპოვეთ.
გ) სპონტანურად მოგინდათ სამუშაოს შეცვლა.

**2. რა ასაკში დაიწყეთ დამოუკიდებელი ცხოვრება?**
ა) 25 წლისამ.
ბ) 30 წლის შემდეგ.
გ) 20 წლამდე.

**3. ერთი ნახვით შეგიყვარდათ ადამიანი, რომელსაც იცით, რომ სხვა უყვარს, რას იზამთ?**
ა) მართალია, გიყვართ, მაგრამ მისი გაცნობისგან თავს შეიკავებთ.
ბ) მოახერხებთ და თქვენს ტელეფონის ნომერს მისცემთ, რა იცი, რა ხდება,
გ) აგრძნობინებთ, რომ მოგეწონათ.

**4. როდესაც ავად ხართ...**
ა) გამოჯანმრთელების პროცესი ჭიანურდება.
ბ) სწრაფად გამოდიხართ მდგომარეობიდან.
გ) ფაქტობრივად არასოდეს ავადმყოფობთ.

**5. მეგობარმა არ იცის, სპორტის რომელი სახეობა შეისწავლოს. რომელს ურჩევთ?**
ა) ფეხბურთს.
ბ) ჩოგბურთს.
გ) ძიუდოს.

**6. როდესაც სერიოზული პრობლემა გაქვთ...**
ა) შფოთავთ და ვერ იძინებთ.
ბ) ძილში შფოთავთ.
გ) დილით ადრე გეღვიძებათ.

**7. პატარაობისას დედა ხშირად გიმეორებდათ...**
ა) „შეეცადე“.
ბ) „უკეთ გააკეთე“.
გ) „შეგიძლია უკეთ გააკეთო“.

**8. შეფი ხმამაღლა გიყვირით და ყოველგვარ ზღვარს გადადის, თქვენ...**
ა) მობილიზებას ახდენთ და მის გამოხდომას ითმენთ.
ბ) ეცდებით, გაეცალოთ და როცა დამშვიდდება, მაშინ დაელაპარაკებით.
გ) არც თქვენ დააკლებთ და ყველაფერს ეტყვით, რასაც მასზე ფიქრობთ.

**9. შეყვარებულმა გითხრათ, რომ სხვა მოეწონა, თქვენ...**
ა) გაჩუმდებით, იქნებ წამიერი გატაცებაა და ყველაფერი მოგვარდეს.
ბ) მაშინვე დაშორდებით.
გ) შურს იძიებთ და მის საუკეთესო მეგობართან დაიწყებთ შეხვედრებს.

**10. მომავალი გარანტირებული გექნებათ, თუ...**
ა) მდიდარ ადამიანს აირჩევდით მეუღლედ.
ბ) მომჭირნედ იცხოვრებთ და დანაზოგს გააკეთებთ.
გ) ლატარიაში დიდ ფულს მოიგებთ.

**11. პარაშუტით გადმოხტომაზე დათანხმდით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვეღარ ბედავთ...**
ა) არ გადახტებით.
ბ) თვალებს დახუჭავთ და ვინმეს სთხოვთ, ხელი გკრათ.
გ) საკუთარ თავს დაარწმუნებთ, რომ საშიში არაფერია და გადახტებით.

**12. რაღაც საქმეში მწარედ დამარცხდით და ფიქრობთ, რომ...**
ა) ალბათ ყველა იფიქრებს, რომ არარაობა ხართ.
ბ) არაფერია, ყოველთვის გამარჯვებული ხომ არ იქნებით.
გ) წაგება და მოგება მეგობრები არიან, მალე წარმატებას მიაღწევთ.

**13. შვებულება გჭირდებათ, რათა...**
ა) მოდუნდეთ.



ბ) საყვარელ სპორტზე იაროთ.
გ) გაცილებით საინტერესო სამუშაო მოძებნოთ.

**14. მეგობარი გეუბნებათ, რომ ცუდად გამოიყურებით. თქვენი პასუხია:**
ა) იმიტომ, რომ თავის ტკივილმა მთელი ღამე არ დაგაძინათ.
ბ) ცრუობთ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი სასიყვარულო ღამე გქონდათ.
გ) ურჩევთ, საკუთარ თავს მიხედოს.

**15. ორ კვირაში ქორწილი გაქვთ...**
ა) ფიქრობთ, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ.
ბ) ღამით გეღვიძებათ და ნერვიულობისგან ვეღარ იძინებთ.
გ) ცდილობთ, ამაზე არ იფიქროთ.

**16. უკაცრიელ კუნძულზე საჭმლის გარეშე რომ დარჩეთ, რას შეჭამდით თავის გადასარჩენად?**
ა) მწერებსა და მატლებს.
ბ) ცოცხალ ბაყაყს ან ვირთხას.
გ) ძაღლს.

**17. სამუშაო გაცილებით ეფექტურად სრულდება იქ, სადაც თანამშრომლები...**
ა) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.
ბ) შიდა კონფლიქტები და წყალქვეშა დინებები არ არსებობს.
გ) შეჯიბრის სულია გამეფებული.

**18. როგორ ხელის ჩამორთმევას ვერ იტანთ?**
ა) მეტისმეტად ენერგიულს.
ბ) უსიცოცხლოს, მოვალეობის მიზნით.
გ) უბრალო შეხებით.

**19. როცა საქმეს წარმატებით აგვირგვინებთ, რა გრძნობა გეუფლებათ?**
ა) დანაშაულის შეგრძნება.
ბ) უგუნებობა.
გ) კმაყოფილების შეგრძნება და სუსტი ეიფორია.

**20. თუ უსიამოვნო სამუშაოს შესრულება გიწევთ...**
ა) მეორე დღისთვის გადადებთ.
ბ) სხვას გადააბარებთ.
გ) სასწრაფოდ გააკეთებთ.

**შედეგები:**

**0-13 ქულა** — რუტინულ და ჩვეულებრივ ცხოვრებაში კომფორტულად გრძნობთ თავს. სიახლეები და ცვლილებები არ გიყვართ. დაგეგმილ ღონისძიებაზე უარს ამბობთ წვიმის, საავტომობილო საცობებისა და იმის გამოც, რომ ფორმაში არა ხართ. ხშირად მხრებს ჩამოყრით, იმის ნაცვლად, რომ იბრძოლოთ. შეიძლება ითქვას, რომ მონოტონურად ცხოვრობთ, ფრთხილობთ და ცეცხლთან თამაში აზრადაც არ მოგდით. არადა ხანდახან ეს საჭიროა, რათა ცხოვრება გაახალისოთ.

**14-27 ქულა** — მზად ხართ, სამსახურსა თუ სასიყვარულო სფეროში ნებისმიერს გაუწიოთ მეტოქეობა. სტრესების გადატანა თქვენც გიწევთ, მაგრამ ძალებს სწრაფად აღიდგენთ და ისევ საბრძოლველად ხართ შემართული. როდესაც კარიდან გაგდებენ, ფანჯრიდან შედიხართ. თუ საყვარელი ადამიანი მიგატოვებთ, ქვითინს არ დაიწყებთ. თუ მიზანი დასახული გაქვთ, ჯიქურ მიიწევთ მისკენ. იცით, როდის გააკეთოთ გადამწყვეტი სვლა ან როდის დატოვოთ ბრძოლის ველი. მოკლედ, არც ცეცხლს ეთამაშებით და არც ჭაობში ხართ ჩაფლული.

**28-40 ქულა** — კრიტიკულ სიტუაციებში უკეთ მოქმედებთ, თუმცა ზომიერების გრძნობას ხშირად კარგავთ, ცეცხლს ეთამაშებით. სულ აფორიაქებული ხართ და რაღაც უსიამოვნებას ელოდებით. ეს საბრძოლო განწყობა თქვენც გღლით და ახლობლებსაც. კოლეგებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ხშირად გეძაბებათ. ზოგჯერ უმნიშვნელო მიზეზი თქვენს მძაფრ რეაქციას იწვევს. შედეგი? მიზანს ვერ აღწევთ.

## ეს იცოდით?

- ადამიანი რამდენიმე კვირა უჭმელობით არ მოკვდება, მაგრამ 11 დღეზე მეტს უძილოდ ვერ გაძლებს.
- ადამიანთა 95% აუდიოფირზე ჩაწერილ საკუთარ ხმას ვერ ცნობს.
- საშუალოდ ქალი დღეში 7 ათას სიტყვას ამბობს, კაცი — მხოლოდ 2 ათასს.
- სტატისტიკურად, აგვისტოში ყველაზე მეტი ადამიანია დაბადებული, თებერვალში — ყველაზე ცოტა.
- სიზმრების ნახვა უსინათლოებსაც შეუძლიათ, უბრალოდ მათი სიზმრები შავ-თეთრია. . მთქნარება დაახლოებით 6 წამს გრძელდება.
- საშუალოდ მემარჯვენეები 9 წლით უფრო მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ცაციები, მაგრამ ცაციები უფრო კრეატიულები არიან.



Cyan Magenta Yellow Black

# ცხოვრება მუწუკების გარეშე



ბევრის აზრით, მუწუკები ყმაწვილობის ასაკის პრობლემაა. მართლაც, სტატისტიკის მიხედვით, 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდების 85-90%-ში აკნე ქრონიკული ფორმით გვხვდება, თუმცა შემთხვევების 10-12%-ში დაავადება ამ ასაკის შემდეგაც გრძელდება.

ხშირად აკნეს გაძლიერების პროვოცირებას ახდენს ენდოკრინული დარღვევები, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, ფსიქოლოგიური გადატვირთვა, ორგანიზმის იმუნური დაცვის დაქვეითება, ინფექციური დაავადებები, ანთებითი კერები. ამიტომ კოსმეტოლოგები თავიანთ პაციენტებს საკონსულტაციოდ ხშირად აგზავნიან შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმებთან.

აკნე 4 სტადიას მოიცავს.

პირველი და მეორე სტადია შედარებით მსუბუქია. პრაქტიკულად ანთების გარეშე მიმდინარეობს, მხოლოდ ერთეული მუწუკები და ჩირქგროვა აღინიშნება. პირველი სტადიის დროს ცხიმის საცობის (კომედონების) გაღება-დახურვა მხოლოდ სახეზე ხდება, ხოლო მეორე სტადიაზე — სახესა და სხეულზე: ზურგზე, მხრებზე, დეკოლტეს ზონაში. მესამე და მეოთხე სტადია უკვე სერიოზული ანთებითი პროცესია: ცხიმის სადინარების შიგნით ღრმა ანთებითი კვანძები და ჩირქგროვები ფორმირდება, რომლებიც საბოლოოდ უხეშ ნაწიბურებს, მოლურჯო-მეწამულისფერ ლაქებს, კანის არათანაბარ პიგმენტაციას ტოვებენ.

აკნეს დაავადების მთავარი მიზეზი სებორეა (კანის ცხიმის გაძლიერებული გამოყოფა) და აგრეთვე კანის ზედაპირზე ეპიდერმისის გარქოვანებული უჯრედების დიდი რაოდენობით დაგროვებაა. დახშულ ფორებში ხელსაყრელი პირობები იქმნება ბაქტერიებისთვის.

კანის მოვლის ცოდნა ერთ-ერთი მთავარია აკნეს მკურნალობაში.

**პირველი ნაბიჯი** — კანის ზედმეტი ცხიმის რეგულარულად მოცილება.

ამაში დაგეხმარებათ პრობლემური კანის მოსავლელი სპეციალური კოსმეტიკა, რომელიც ნაზად და დელიკატურად მოქმედებს. ასეთი პრობლემის დროს არ შეიძლება ცხელი წყლითა და საპნით დაბანა — კანის გაუწყლოებასა და ზედმეტი ცხიმის გამოყოფას იწვევს. გარდა ამისა, ცხელი წყალი ისედაც დიდ ფორებს კიდევ მეტად აფართოებს. დასაბანად გამოიყენეთ თბილი წყალი, ხოლო პროცედურა ცივი წყლით დაამთავრეთ ან ყინულის კუბიკები გამოიყენეთ. სიცივე ფორებს ავიწროებს და კანს ატონიზირებს. ჭარბი ცხიმის მოსაცილებლად კვირაში 2-3-ჯერ გამწმენდი ნიღბები და კოსმეტიკური თიხის გომაჟი გაიკეთეთ — ამ პრობლემას სიფრთხილით ეკიდებიან.

**მეორე ნაბიჯი** — რქოვანი ფენის მკვდარი უჯრედების აცლა.

ამისთვის გამოიყენება ზედაპირული ქიმიური პილინგი გლიკონიუმისა და რძის მჟავის ფუძეზე. ისინი უჯრედების ზედა ფენას აფხვიერებენ და რბილად აცლიან. ასევე კარგი ეფექტი აქვს სალიცილის მჟავას.

ანთებითი პროცესის დროს არ შეიძლება საფხეკისა და ნეჭას გამოყენება — ისინი კანს აღიზიანებს.

**მესამე ნაბიჯი** —კანის ანტიბაქტერიული დამუშავება.

ფრთხილად იმოქმედეთ. გამოიყენეთ 2,5%-იანი ბენზოლის ჟანგის ლოსიონები. იკრძალება სპირტის შემცველი საშუალებები, რომლებიც კანის მიმართ აგრესიულია და აშრობს. კარგი ანტიბაქტერიული ეფექტი აქვს ჩაის ხის ზეთის ფუძეზე დამზადებულ ნატურალურ ანტისეპტიკს, ფარსმანდუკის ექსტრაქტს და ა.შ.

**მეოთხე ნაბიჯი** — კანის დატენიანება.

გამოიყენეთ ჰიალურონის მჟავას ფუძეზე დამზადებული ნატურალური დამატენიანებელი საშუალება.

**მეხუთე ნაბიჯი** — მზის სხივებისგან დაცვა.

ისარგებლეთ თუთიის ჟანგის და ულტრაიისფერი ფილტრის შემცველი კრემებით — კანს ნაკლებად აღიზიანებენ.

**მეექვსე ნაბიჯი** — კვების კორექცია.

შეზღუდეთ შემწვარი, ცხარე, მარილიანი, ტკბილი. მიირთვით მეტი ბოსტნეული და ხილი, ქატო და უჯრედისებით მდიდარი პროდუქტები. აკნეს დროს სასარგებლოა უცხიმო ხაჭო, კეფირი, იოგურტი, მარცვლეულის ფაფები.

**მეშვიდე ნაბიჯი** — იმუნიტეტის ამაღლება.

ამის მიღწევაში დაგეხმარებათ მცენარეული წარმოების იმუნოსტიმულატორები: ექინაციის, ჟენშენის, ელეუტეროკოკის ექსტრაქტი. ორგანიზმის დაცვის ამაღლებას ეხმარება A, B, C და E ვიტამინები, მაკრო და მიკროელემენტები: თუთია, მაგნიუმი, სპილენძი, სელენი და კალციუმი.

# თაფლით მკურნალობა: გემრიელი და ეფექტური



დილით, უზმოზე, მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი თაფლი მიირთვით და უკვე ერთი კვირის შემდეგ თავს ბევრად უფრო ძლიერად, ენერგიულად და მშვიდად იგრძნობთ. თაფლს ასევე მრავალი სხვა თვისებაც აქვს, რომლებიც ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა სნეულების მკურნალობისას გამოიყენება.

**ძილის დარღვევა.** თაფლი შესანიშნავი საძილე საშუალებაა. რბილად მოქმედებს და ნერვულ სისტემას ამშვიდებს.

1 სუფრის კოვზი თაფლი 1 ჭიქა თბილ წყალში გააზავეთ და ძილის წინ დალიეთ — ტკბილად დაიძინებთ.

**ნუშურა ჯირკვლების ანთება.** პირსა და ყელში გამოსავლებად 1 სუფრის კოვზი თაფლი 1 ჭიქა თბილ წყალში გააზავეთ. ის არამხოლოდ ანთებას აქრობს, ასევე კბილებს ნადებისგან ასუფთავებს.

**ძლიერი ხველა.** რამდენიმე საშუალო ზომის ბოლოკი გაასუფთავეთ, მცირე ნაჭრებად დაჭერით და თაფლი დაასხით. 12 საათის შემდეგ წარმოქმნილი წვენი გამოყენებისთვის მზად არის. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ მიიღეთ და ხველა მალე გაივლის.

**სურდო.** 1 ჩაის კოვზ თაფლს 2,5 ჩაის კოვზი ჭარხლის წვენი დაუმატეთ. 4-6 წვეთი ნარევი თითოეულ ნესტოში დღეში 4-5-ჯერ ჩაიწვეთეთ.

**ჰემოროი.** დაშაქრულ თაფლს სანთლის ფორმა მიეცით და დაწოლის წინ უკანა ტანში გაიკეთეთ.

ყაბზობა. 1 სუფრის კოვზი თაფლი 3/4 ჭიქა თბილ წყალში გააზავეთ. 1 სუფრის კოვზი სელის ზეთი და 1 კვერცხის გული აურიეთ. 1 სუფრის კოვზი ყოველ 2 საათში მიიღეთ.

**საშარდე გზებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები.** 1 სუფრის კოვზ ტუხტის ყვავილებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 15 წუთი დადგით. 40 გრადუსამდე გააგრილეთ, გაწურეთ. ტუხტის ნახარში 1 სუფრის კოვზ თაფლში გახსენით და 1/2 ჭიქა დღეში 2-3-ჯერ მიიღეთ.

### თაფლი ყოველთვის სიკეთე... 

მოზრდილი ადამიანისთვის თაფლის რეკომენდებული დოზა დღე-ღამეში 60-120 გრამს შეადგენს. თაფლის მაქსიმალური დოზა 200 გრამია. ამ ნორმის გადამეტება არ შეიძლება. ბავშვებისთვის დღიური ნორმა 30-50 გრამია.

თაფლის 40 გრადუსზე ზევით გაცხელება დაუშვებელია. სხვაგვარად მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები დაიშლება და ჯანმრთელობისთვის უსარგებლო გახდება. ხოლო, თუ თაფლს 80 გრადუსამდე ან ზევით გააცხელებთ, მასში წარმოიქმნება კანცეროგენული ნივთიერებები, რომლებიც სიმსივნის პროვოცირებას ახდენს.

თაფლის გამოყენების საუკეთესო დრო არის ჭამამდე 2 საათით ადრე ან ჭამიდან 3 საათის შემდეგ. ამ შემთხვევაში კუჭის წვენი მასში შემავალ სასარგებლო ნივთიერებებს არ დაშლის.

სამკურნალო მიზნით, თაფლი წყლით, ჩაით ან წვენით მიიღეთ, რათა ორგანიზმის უჯრედებში მისი შეღწევა გაადვილდეს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— ჩემი მეუღლე ღამით ხვრინავს. სახლის პირობებში რა შეიძლება გავაკეთოთ?**

— აფთიაქებში იყიდება სპეციალური პლასტირები, რომლებიც ღამით ცხვირზე უნდა მიიკრას. ანოტაციაში მითითებულია, ცხვირის რა უბანზე უნდა მიიკრათ. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

**— მაწუხებს ნაღვლის ბუშტი. გთხოვთ მირჩიოთ, რა გავაკეთო იმისთვის, რომ ამ გაუთავებელმა ტკივილებმა არ შემაწუხოს.**

— აუცილებელია, ჩაიტაროთ ძირეული გამოკვლევა, რომ დარწმუნდეთ, ნამდვილად გაქვთ თუ არა ნაღვლის ბუშტის პათოლოგია. გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია რჩევის მოცემა, რადგან შეიძლება მიზეზი სხვა იყოს. არ გირჩევთ ე. წ. შინაური წამლების მიღებას, რადგან ნაღვლის ბუშტს კატეგორიულად არ უხდება თვითნებური მკურნალობა.

**— სახეზე მაქვს ფერისმჭამელები და ზოგჯერ გამონაყარიც. რა ნიღაბი გავიკეთო?**

— საუკეთესო შედეგი აქვს თაფლის და ხახვის წვენის ნიღაბს. ხახვი გახეხეთ და გაწურეთ. აიღეთ თანაბარი რაოდენობით ხახვის წვენი და თაფლი, კარგად აურიეთ და სახეზე წაისვით. 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ და დამატენიანებელი კრემი წაისვით. ეს ნიღაბი გამოიყენება, როგორც დაბინძურებული კანის გამწმენდი.

**— მაქვს სხვადასხვა ზომის მკერდი. რომელი ჰორმონისგან არის გამოწვეული? აუცილებელია პლასტიკური ოპერაცია?**

— აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგს. გასათვალისწინებელია გენეტიკური ფაქტორიც, წინა თაობაში ხომ არ ჰქონდათ მსგავსი პრობლემა.

**— ვარ 24 წლის. თმები მცვივა და ბოლოები გაყოფილი მაქვს. მირჩიეთ სახლის პირობებში რა გავაკეთო.**

— გაყოფილი ბოლოების წამალი, სამწუხაროდ, მისი შეჭრაა, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს. თმის ცვენისთვის კარგია, თუ გამოიყენებთ უფერო „ხნას“. „ხნა“ გახსენით თბილ წყალში, შეურიეთ ერთი კვერცხის გული და თმაში შეიზილეთ. ნახევარი საათის შემდეგ ჩვეულებრივი წესით დაიბანეთ. ხშირად ნუ გამოიყენებთ ბალზამებს.

**— რომელ პროდუქტშია დიდი რაოდენობით რკინა? დამიდგინეს რკინადეფიციტური ანემია.**

— ხორციდან რკინის 6% შეიწოვება, კვერცხიდან და თევზიდან — 2-ჯერ ნაკლები, ხოლო მცენარეული საკვებიდან — მხოლოდ 0,2%, მცდარია მოსაზრება, რომ ვაშლი, ბროწეული, სტაფილო, ჭარხალი, გარგარი რკინის საბადოა. უნდა მიიღოთ ექიმის დანიშნული პრეპარატები, პრობლემას მხოლოდ კვებით ვერ მოაგვარებთ.

**— ვარ ორსული, კბილები მტკივა და გამიფუჭდა. შეიძლება თუ არა, რომ მივმართო სტომატოლოგს?**

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ და აუცილებელიც არის. ოღონდ ორსულობისას არ შეიძლება დარიშხანის პრეპარატების გამოყენება, რადგან შესაძლოა, მუცლის მოშლა გამოიწვიოს. ადგილობრივი ანესთეზია ნებადართულია. ყველაზე მეტად მისაღებია ულტრაკაინი და უბისთეზინი — ნაკლებტოქსიკურია და მინიმალურად გადის პლაცენტურ ბარიერს.

**— ვარ 13 წლის გოგო. სახეზე მაქვს გამონაყარი. რომელი მალამო გამოვიყენო?**

— ეს სავარაუდოდ აკნეა, რომელიც ძირითადად ვითარდება გარდატეხის ასაკში, როცა სასქესო ჰორმონების გამო ცხიმოვანი ჯირკვლები გაძლიერებულად იწყებენ ფუნქციონირებას. არსებობს მალამოები, ნიღბები, ლოსიონები, მაგრამ ისინი დერმატოლოგმა უნდა შეარჩიოს. ცხიმიანი კანი მუდმივ მოვლას საჭიროებს. უნდა შეზღუდოთ ნახშირწყლები და ცხიმი, მიიღეთ რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული. პირი დაიბანეთ დღეში ორჯერ ცხიმიანი ან პრობლემური (აკნესადმი მიდრეკილი) კანისთვის განკუთვნილი საპნით.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**

## მკურნალი ბალახები



სელის თესლები შესანიშნავი საკვები დანამატი და ამავდროულად წამალიც არის. მასში არსებული დიეტური უჯრედისები კუჭ-ნაწლავის ტრაქტს ასტიმულირებს. სელის თესლები გამოიყენება, როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

**სელის ნაყენი.** 1 სუფრის კოვზ გამხმარ თესლებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით და თერმოსში 8 საათი დატოვეთ. ნახევარი ჭიქა ნაყენი დღეში 4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ.

მეტად სასარგებლოა სელის კისელი. ხილის კისელში მომზადების პროცესში უბრალოდ სელის გამხმარი თესლები დაუმატეთ (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა სითხეზე).

**ძირტკბილა.** ფიტოთერაპიაში მისი ძირები საპატიო ადგილს იჭერს. ძირტკბილას ძირები კუჭ-ნაწლავის ნორმალურ მუშაობას ხელს უწყობს და ასევე სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ძირტკბილას ძირებით მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს არაუმეტეს 4 კვირა მიყოლებით. ამავე დროს რაციონში დაუმატეთ კალიუმით მდიდარი პროდუქტები (მაგალითად, ბანანი, გარგარის ჩირი).

**ძირტკბილას ჩაი.** აიღეთ 20 გრამი ძირტკბილას ძირები, 20 გრამი გვირილა, 5 გრამი პიტნა, 5 გრამი ასასთავა და 5 გრამი მელისა. 1 ჩაის კოვზ ნაკრებს 150 მლ. მდუღარე დაასხით, 5 წუთი სუსტ ცეცხლზე დადგით, შემდეგ გააგრილეთ და გაწურეთ. 1 ფინჯანი ჭამის შემდეგ დღეში 3-ჯერ დალიეთ.

## რა შეიძლება იმალებოდეს გახშირებული შარდვის უკან?

შარდის გამოყოფა დღეში 10-15-ჯერ მაინც თუ ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საშარდე გზების ინფექცია გაქვთ, მით უმეტეს, თუ მოშარდვას წვა და ტკივილი ახლავს თან. საშარდე გზების ინფექციის დროს ზოგჯერ სისხლიანი გამონადენიც აღინიშნება და შეიძლება ტემპერატურამაც მოიმატოს. ყველა შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი აუცილებელია.

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# სკანვორდი კოდით

1. ძლვენი, საჩუქარი; 2. ფარული დაცინვა; 3. ტაბლეტი; 4. ტყის ფრინველი; 5. სახოტბო ლექსი; 6. ... დუმბაძე; 7. კუნთის ქსოვილების გამყოფი თხელი ფენა; 8. ბერძნული ანბანის ასო; 9. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი; 10. რუსული ავტომარკა; 11. შიშველი სხეულის გამოსახვა ხელოვნებაში; 12. წიწვოვანი მცენარე; 13. ფრანგული ვაზის ჯიში; 14. თევზის წვნიანი კერძი; 15. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 16. ნაბიჯი ბალეტში; 17. მეფე-ლომის ბოკვერი; 18. ქალაქი ესპანეთში; 19. პატარა მგალობელი ჩიტი; 20. ქალიშვილი ინგლისურად; 21. გრამატიკის ნაწილი; 22. სუსტი არაყი; 23. თევზის ძვალი; 24. მტკნარი წყლის მსხვილთავა უქერცლო თევზი; 25. ქალაქი საფრანგეთში; 26. ჭამის სურვილი; 27. ვაჟიშვილი; 28. მოტორი; 29. შხამიანი გველი; 30. შლამის თევზი; 31. მითიური აფროდიტეს ერთ-ერთი სახელი; 32. მ. კობახიძის ფილმი; 33. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 34. ესპანური ხალხური ცეკვა; 35. კალმანის ოპერეტა; 36. ძაფის გასაყრელი; 37. ავტომობილის კორპუსი; 38. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 39. მწვანილი; 40. მიზანსცენების განლაგება კადრის სივრცეში; 41. სანთლისმაგვარი ნივთიერება; 42. პწკარი; 43. პურეული მცენარე; 44. კავშირი, გაერთიანება; 45. ბუნებრივი საღებავი; 46. მდინარე კახეთში; 47. მოლა, რომელიც მინარეთიდან მუსლიმანებს სალოცავად უხმობს; 48. ყვავილი; 49. გარიჟრაჟი; 50. ... ვალონე; 51. ხვეწნა, მუდარა; 52. საჭმელი სოკო; 53. ვაჟა-ფშაველას პოემა; 54. ქართველი მწერალი; 55. მდინარის პატარა შენაკადი; 56. აღმოსავლური შაში; 57. ესპანელი დრამატურგი; 58. რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისგან შემდგარი მუსიკალური ნაწარმოები; 59. ხმის გამოძახილი; 60. მრავალნიჩბიანი ვიწრო მსუბუქი ნავი; 61. იჯარა; 62. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 63. იუპიტერის თანამგზავრი; 64. წყაროს წყალი; 65. ხელოვნების დარგი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ასხი; 2. ვიზა; 3. საფო; 4. რა; 5. დოზა; 6. ანდორა; 7. ტო; 8. აკაჟუ; 9. ავანსი; 10. არაყი; 11. ნისტაგმი; 12. ანალგია; 13. კოკი; 14. კუნძი; 15. ბარონ; 16. მერსედესი; 17. სტეპი; 18. ეოსი; 19. აპრიორი; 20. მანეჟი; 21. ჰანდიკაპი; 22. ვანო; 23. კილტი; 24. რექტორი; 25. ტორტი; 26. გო; 27. დასი; 28. სტიქსი; 29. ნისლი; 30. ჰავიერ; 31. ინა; 32. ოი; 33. კათხა; 34. ნაირა; 35. რაჯ; 36. რას; 37. ბრუკ; 38. რო; 39. ეტა; 40. კები; 41. „ალია“; 42. ბარხანი; 43. კვერთხი; 44. კიი; 45. აკინაკი; 46. არკა; 47. პროზა; 48. ასა; 49. ლურჯა; 50. ხიბლი; 51. დრამა; 52. აცანა; 53. მარხილი; 54. ერგატივი; 55. ნიდაო; 56. როკოკო; 57. რინგო; 58. სკერცო; 59. გრეჩკო; 60. ესე; 61. მიკადო; 62. გიგი; 63. კეცი; 64. უჩა; 65. ტრუაია. **სურათებზე:** ნინო სურგულაძე; სორფო შევარდნაძე; გოჩა ჩერტკოევი; ნიკა ცისკარიძე.

**კოდი: ხლართი**




Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. ღამის პეპელა
2. სარწყავი არხი
3. ივლინ ...
4. ლათინური შრიფტის სახეობა
5. ბანქო
6. ფრე
7. ... ბოლდუ-ინი
8. ციფრი
9. საყოველ-თაო ლოცვა
10. ბერძნული ანბანის ასო
11. დიდი თევზსაჭე-რი ბადე
12. ღმერთების სასმელი
13. ... ტაბაკოვი
14. მონაწილე
15. ცალკე ოთახი სასტუმრო-ში
16. ჰუნების წინამძღო-ლი
17. ზღვის დიდი კიბო
18. სამკელი იარაღი
19. ზნეობა
20. ამონი
21. ჰოლივუდე-ლი მსახიობი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. კარგო; 2. რე; 3. იო; 4. ია; 5. ასლი; 6. ბიბლია; 7. შოუ; 8. პა; 9. მარაო; 10. იმა; 11. ტროლეიბუსი; 12. აბა; 13. არვე; 14. იარდი; 15. ამფიბია; 16. ფოთოლი; 17. ემბაზი; 18. კარაველა; 19. სუმატრა; 20. აბი; 21. „მერანი“; 22. ერე; 23. რუ; 24. სე; 25. სი.**სურათებზე:** ვალსი; ტანგო; რუმბა; ჯაივი.



Cyan Magenta Yellow Black



# არის თუ არა ავადმყოფობა საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება?

ყოველი ჩვენგანი სარკის წინ საკუთარი გარეგნობის გამო მწვავე უკმაყოფილებას არაერთხელ განიცდის ან საკუთარი ფოტოსურათები არ მოგვწონს. ეს ნორმალურია, მაგრამ, თუ ასეთი მომენტები ძალიან ხშირად მეორდება, ეს შეიძლება სერიოზული დაავადების, ე.წ. დისმორფოფობიის ნიშანი იყოს.

## მახინჯი იხვის ჭუკი

ყველაზე ხშირად დისმორფოფობია გოგონების ან ყმაწვილების სქესობრივი მომწიფების პერიოდში ვლინდება, როდესაც სხეული იცვლება, გარდაიქმნება. ძალიან ბევრი ამ ასაკში ჭარბი წონის გამო კომპლექსდება, თავს ნამდვილ საძაგელ იხვის ჭუკად გრძნობს, მით უფრო, თუ ამას უპასუხო სიყვარული და გარდამავალი ასაკის მუწუკები ემატება.

## ვის ემუქრება დისმორფოფობია?

მგრძნობიარე ადამიანებს, რომელთა გულის ტკენა ადვილია; ინტროვერტებს; დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს; ნევრასთენიული ხასიათის პირებს; მათ, ვისაც ბავშვობაში აჯავრებდნენ ან აკრიტიკებდნენ; აღზრდისას მკაცრ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ; სექსუალური პარტნიორისგან სულიერი ტრავმა მიიღეს; გაუპატიურების მსხვერპლს.

ზოგჯერ მშობლები შარის მოდებით ან დაცინვით ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

სამწუხაროდ, დისმორფოფობიის შემთხვევებმა უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად იმატა, განსაკუთრებით ქალებში. ამაში დამნაშავეა ე.წ. მშვენიერების ინდუსტრია, რომელიც ჩაგვაგონებს, რომ ცელულიტი საშინელი სიმახინჯეა, სახეზე ნაოჭები უხამსობაა. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრიალა ჟურნალები მათი გლამურული ლამაზმანებით გარეკანზე და მოდის კანონმდებლები, რომლებსაც პოდიუმზე დისტროფიკულ მდგომარეობამდე გაძვალტყავებული მოდელები გამოჰყავთ.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, დისმორფოფობიის მიმართ გენეტიკური წინასწარგანწყობა არსებობს, თუმცა ამის დაჯერება ძნელია. დაავადება ხშირად სწორედ იმ ოჯახში იჩენს თავს, სადაც უფროს თაობას დაბალი თვითშეფასება აქვს ან ბავშვის სულიერი განვითარებისთვის ცოტას აკეთებს, სამაგიეროდ ჩაცმას, გარეგნობასა და სხვა თვალსაჩინო ატრიბუტებს დიდ ყურადღებას უთმობს.

## უარი კომპლექსებზე

ხშირად გაიხსენეთ თქვენი ნაცნობები, რომლებსაც იდეალური გარეგნობის არქონამ ხელი არ შეუშალა, მშვენიერი ოჯახი შეექმნათ, შვილები გაეჩინათ და არც კარიერული წინსვლის გზაზე ქცევიათ დაბრკოლებად.

იფიქრეთ იმაზე, რომ მეგობრებში თქვენთვის ყველაზე მთავარია: სახის სწორი ნაკვთები, კეთილმოსურნეობა, კარგი, რბილი ხასიათი, გარშემომყოფების მიმართ ყურადღება, მძიმე წუთებში სხვის დასახმარებლად მზადყოფნა.

მაშინაც კი, თუ ფიქრობთ, რომ იდეალური ფიგურა არ გაქვთ ან ზედმეტს იწონით, ნუ მოგერიდებათ, მოხდილი ტანსაცმელი ატაროთ, პლაჟზე საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ.

ეცადეთ, საკუთარი სახე შეიყვაროთ. თქვენი სხეული მიიღეთ ისეთი, როგორიც არის. ყოველდღიურად სარკის წინ თუნდაც 5 წუთი გაატარეთ, თავს ფსიქოლოგიური ტრენინგი მოუწყვეთ: ყოველი მხრიდან დააკვირდით, თქვენში მიმზიდველი ნაკვთები იპოვეთ, თავს შთაუნერგეთ, რომ ლამაზი ხართ.

თუ თვლით, რომ მშვენიერი თმა, ნატიფი თითები ან მაღალი სავსე მკერდი გაქვთ, ეცადეთ, ეს ღირსებები ჩაცმის სტილით, კარგი ვარცხნილობითა და ლამაზი მანიკიურით წარმოაჩინოთ.

როდის გადადის საკუთარი უკმაყოფილება ავადმყოფობაში? როდესაც აკვიატებულ ხასიათს იძენს. ადამიანი გაუთავებლად იცქირება სარკეში, ეძებს რაკურსებს, რომლებშიც მისი გარეგნული ნაკლოვანებები აშკარად შესამჩნევი არ არის, ან ყოველ ხუთ წუთში თავის „მახინჯ“ ცხვირს აწვალებს, ყურებს თითებით ეხება, ფოტოს გადაღება არ სურს და ობიექტივისგან თავს აბრუნებს.

სხვათა შორის, დისმორფოფობიით დაავადებულები ხშირად პლასტიკური ქირურგების პაციენტები (ზოგჯერ მუდმივი) ხდებიან. ისინი მანიაკური დაჟინებით იცვლიან ცხვირის, ტუჩების, ყურების, თვალის ჭრილის ფორმას, ღაბაბს იშორებენ, ცხიმის ამოტუმბვას მიმართავენ... რაც უნდა უცნაური იყოს, მათ ცხოვრებაში ამით არაფერი იცვლება. წინანდებურად თავი არ მოსწონთ, ზოგჯერ უფრო მეტად, ვიდრე ოპერაციამდე.

საჭიროა პრობლემის გაცნობიერება და სპეციალისტის კონსულტაცია. დისმორფოფობია, ისევე როგორც ბევრი სხვა ფობია, ფსიქოთერაპიის სეანსებით იკურნება, რომლებიც კურსობით ტარდება. ზოგიერთ შემთხვევაში ექიმმა შეიძლება ანტიდეპრესანტები დანიშნოს. თუ ამ მდგომარეობის აღკვეთა არ მოხდება, დაავადებამ შეიძლება საკმაოდ სერიოზული ფორმები (მძიმე ფსიქიკურ აშლილობამდე) მიიღოს.

## ფენშუი კარიერაში დაგეხმარებათ



გსურთ, თქვენს ცხოვრებაში ხელმძღვანელებთან ჩხუბი გაქრეს და სამსახურში ყოფნა-მუშაობა სიამოვნებად გექცეთ? ამისთვის საკმარისია თქვენი სამუშაო ადგილის სწორად ორგანიზება. პირველ რიგში, სამუშაო მაგიდაზე წესრიგი უნდა სუფევდეს. სამუშაო ადგილის გარეგნული მხარე თქვენს აზრებსა და სურვილებს ასახავს. იდეალური წესრიგი მიზნის მიღწევისა და სურვილების რეალიზაციას ეხმარება. დამუშავებული დოკუმენტები თქვენგან მარცხნივ შეინახეთ, მობილური ტელეფონი წინ გქონდეთ, ხოლო აუცილებელი ინსტრუმენტები ხელის გაწვდენის მანძილზე (საჭიროს ადვილად რომ მისწვდეთ) დადეთ.

სახლში ან ოფისში სამუშაო ზონის განლაგებისას ეცადეთ, მაგიდა ისე იდგეს, რომ ფანჯრისკენ ან კარისკენ ზურგით არ იჯდეთ. ქვეცნობიერად ეს ზურგის დაუცველობის, საფრთხის შეგრძნებას ქმნის და გულისყურის მოკრება გაგიჭირდებათ.

კარიერული საკითხების გადაჭრის მარტივი, მაგრამ სრულიად მოქმედი საშუალება არსებობს. ამისთვის საკმარისია სახლში ან სამუშაო მაგიდაზე კუს ლითონის სტატუეტი გქონდეთ. ის სიბრძნის, წარმატებისა და დღეგრძელობის მფარველად ითვლება. თუ შესაძლებლობა გაქვთ, ცოცხალი წყლის კუ იყოლიეთ. როგორც კი ეს ცხოველი თქვენთან ბინას დაიდებს, 3-4 თვეში სამუშაოზე საქმე სწრაფად წინ წაიწევს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



სასტუმროს პორტიემ ქალ-ვაჟს გასაღები ჩააბარა და ეკითხება:

— რომელ საათზე გაგაღვიძოთ?

— ორზე, ოთხზე, ექვსზე და რვაზე.

— დამტანჯა, კაცო, ამ სიზმრებმა! ყოველ ღამე სოფი ლორენს ვნახულობ.

— მერე ამან დაგტანჯა, შე კაცო?

— არა, მაგან — არა. სოფი ლორენი იტალიურად მელაპარაკება, მე კი სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი.

❖ ❖ ❖

ერთი სტუდენტი მეორეს:

— რა გატირებს, ლალიკო?

— ჩემს მშობლებს შევუთვალე, ფული გამომიგზავნეთ, კომპიუტერი უნდა ვიყიდო-მეთქი.

— მერე? არ გამოგიგზავნეს?

— კი, მაგრამ კომპიუტერი.

❖ ❖ ❖

— წიგნის გამოშვება მინდა და გამწარებული ვეძებ სპონსორს.

— რა წიგნია?

— „ფულის შოვნის 100 მარტივი მეთოდი“.

❖ ❖ ❖

— კრუიზის დროს ჩემმა სიდედრმა ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა და მამამისმა 10 ათასი დოლარი აჩუქა.

— მერე შენ რას იგრუზები?

— რას და იმ ფულიდან წილი მეკუთვნის.

— რატომ გეკუთვნის?

— ის ბიჭი გემბანიდან რომ გადავარდა, მე რომ არ მეკრა ხელი ჩემი სიდედრისთვის, გადამხტომი არ იყო.

❖ ❖ ❖

ახალმა ქუთაისელმა ხელი მოიტეხა და საავადმყოფოში მივიდა.

— თაბაშირში უნდა ჩაგისვათ, — უთხრა ექიმმა.

— თაბაშირი რა ჩემი ფეხებია! მარმარილოში ჩამისვით, ვერ გადავიხდი თუ რა?!



— რატომ არ გადაარჩინე შენი სიდედრი, რომ იხრჩობოდა? — ეკითხება გამომძიებელი გურულს.

— მე რა ვიცოდი, რომ იხრჩობოდა!

— კი მაგრამ, ხომ ყვიროდა?

— მაგი ყოველთვის მასე ყვიროდა.

❖ ❖ ❖

— სტიუარდესა, ჟურნალ-გაზეთები არ გაქვთ?

— არა, ბატონო.

— აბა, ჰაერში რომ ვიქნებით, რა წავიკითხო?

— „მამაო ჩვენო“!

❖ ❖ ❖

— შენ რით გარდაიცვალე? — ეკითხება ერთი სული მეორეს.

— ვეწეოდი, ვსვამდი, ქალებში და კაზინოებში დავდიოდი. ველარ გაუძლო გულმა. შენ?

— მე არც ვეწეოდი, არც ვსვამდი, არც ქალებში დავდიოდი და არც კაზინოში.

— აბა, რამ მოგკლა, შე კაცო?!

— მოწყენილობამ.

❖ ❖ ❖

— გუშინ ოქროს თევზი დავიჭირე და მითხრა, ორიდან ერთ სურვილს შეგისრულებ — ან სკლეროზისგან განგკურნავ, ან პოტენციას აღგიდგენო.

— შენ რომელი აირჩიე?

— მახსოვს, რო?!

❖ ❖ ❖

— თალიკია, ჩემამდე ბიჭი გყავდა?

— არა, ორი გოგო. ერთი მესამე კლასშია, მეორე — პირველში.

❖ ❖ ❖

სასიმამრო სასიძოს ეჩხუბება:

— ბუჯო, რა გითხარი მე შენ კაცურად? რომ წეიყვან ჩემს გოგოს კინოში, დილის 8 საათზე მეიყვანე სახლში-თქვა, არ გთხოვე? მერე? შენ რა ქენი? ახლა დილის 11 საათია და თან ეგი ვინაა?! ჩემი გოგოა ახლა ეგი?!



— რაღაც ცუდად გამოიყურები.

— აბა, რა მომივა, თუ ძმა ხარ. ამას წინათ ძველი ნაცნობი შემხვდა, სახლში დავპატიჟე, ვაქეიფე, ნასვამი აღარ გავუშვი, ერთი დღე, ერთი კვირა და... ჩამისახლდა და ჩემსას სვამს, ჩემსას ჭამს, სიგარეტსაც ჩემსას ეწევა.

— ვერ მოგსვლია კაი საქმე.

— ჯერ სად ხარ. გუშინ დამიძახა, შე რქიანოო. ველარ მოვითმინე, ვხიე სიფათში და დოვუფშვენი კბილის პროთეზი.

— კარგად გიქნია! რაღას დარდობ?

❖ ❖ ❖

გახეულ მთვრალ ქუთაისელს პატრული აჩერებს.

— თქვენ საწინააღმდეგო მხარეს გადახვედით!

— მერე დადგით რესტორნები ამ მხარესაც, შე ჩემა, მე აგიკრძალეთ თუ?!



ღამის 4 საათია. გოგონა გამოყეყეჩებული სახით ზის კომპიუტერთან.

— რა მოგდის, თამუნა? — ეკითხება დედა.

— ჰო, გამახსენდა, თამუნა!



— რამ მოგაყვანინა, ბუჯო, რაჭველი ქალი?

— ადრე იმერელი ცოლი მყავდა. ცოტას დავაგვიანებდი თუ არა, სულ კედლის საათს უყურებდა. ვითხოვე რაჭველი ქალი და ამოვისუთნქე, სულ კედლის კალენდარს უყურებს.

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37–43

# წითელი სახლის საიდუმლოება



ბილი მალე დაბრუნდა და მეგობარს ანგარიში ჩააბარა:

— კეილი ისევ იქ არის. რაც შეეხება ძიებას, ჩემი აზრით, შლამის გარდა ვერც ვერაფერი იპოვეს. დრო რომ მომეგო, აქამდე სირბილით მოვედი.

— ძალიან კარგი, — თავი დააქნია ენტონიმ, — მაშინ ახლავე დავიწყოთ.

ენტონიმ უკვე ნაცნობი მოქმედება გაიმეორა და მათ წინ საიდუმლო გასასვლელის კარი გაიღო.

— შეხედე! — წასჩურჩულა ენტონიმ საკმაოდ აჟიტირებულ ბილს, — ქვევით კიბე ჩადის, თან საკმაოდ დამრეცი.

— ჰო, ჰო! — აჰყვა ბილი, — საინტერესოა, რუთ ნორისი აქ როგორ ჩავიდა.

— ალბათ კეილი მიეხმარა, — ივარაუდა ენტონიმ.

— ახლა რა ვქნათ? მოდი, მე ჩავალ, რა!

ენტონიმ გაიღიმა და უარის ნიშნად თავი გააქნია:

— ბილ, შენ აქ დარჩი, მე კი ჩავალ, მივათვალ-მოვათვალიერებ და მალე დავბრუნდები.

— რა გაეწყობა, — მოიწყინა ბილმა, — შენი სიტყვა ხომ კანონია.

ენტონიმ ფარანი მოიმარჯვა და კიბეზე დაშვება დაიწყო. უკვე აღარ ჩანდა, როცა ბილს ამოსძახა:

— კარი მოხურე! მაინტერესებს, აქედანაც იღება თუ არა!

მარტო დარჩენილმა ბილ ბევერლიმ, მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ენერგიულობისა, უფრო მოიწყინა.

არც ისე ცოტა ხანს გაევლო, ვესტიბიულიდან ნაცნობი ხმა რომ მოესმა.

— კეილი! — შესძახა შეშინებულმა ბილმა, სამალავის ბლოკი სწრაფად მიხურა, მოშორებულ სავარძელში ჩაეშვა და რომელიღაც წიგნი გადაშალა ყასიდად, ვითომ კითხულობდა.

ამ დროს ბიბლიოთეკაში კეილიც შემოვიდა:

— აი, თურმე სად ხართ!

— ჰელოუ! — მოჩვენებითი უდარდელობით ისროლა ბილმა ისე, წიგნიდან თავი არ აუწევია, — უკვე მორჩნენ?

— რას მორჩნენ? — კითხვა შეუბრუნა კეილიმ.

— ტბის ჩხრეკას.

— არა. ჯერ ისევ აგრძელებენ, — მიუგო კეილიმ, — ჯილინჰემი სად არის?

— ტონი? სადღაც აქვე იქნება. სოფელში ვაპირებთ წასვლას. მოკლედ, რამე იპოვეს თუ არა?

— ბერჩის ამბავი რომ ვიცი, ბოლომდე თუ არ გაჩხრიკა, ვერ მოისვენებს. ისე, მე რომ წამოვედი, ნანახი არაფერი ჰქონდათ.

— გასაგებია. მე და ტონი დავნაძლევდით ერთ ციტატაზე... „წყალი, წყალი, წყალი... დასალევი კი არაფერი გვაქვს“. მგონი, ასე იყო.

— უფრო სწორად, „ჩვენ არაფერს ვსვამთ“.

ბილმა გაკვირვებით შეხედა კეილის და ბედნიერმა ღიმილმა დაუფარა სახე:

— დარწმუნებული ხართ?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ ამ წიგნის ქექვას აზრი აღარ აქვს, — ბილმა ხმაურით დაკეცა წიგნი და გვერდზე გადადო, — იდიოტი ვიყავი, ტონის რომ დავენაძლევე. ასეთი რაღაცეები ჩემზე უკეთესად იცის.

გარეგნულად უდარდელი ბილი შიშს ჰყავდა ატანილი, ახლა რომ ენტონი დაბრუნებულიყო, ხომ იქნებოდა კატასტროფა? ცხადია, იქნებოდა, ამიტომ რამე უნდა მოეფიქრებინა, კიბეზე ამოსვლამდე ენტონისთვის რომ ეცნობებინა კეილის აქ ყოფნა.

მოიფიქრა კიდეც: წამოდგა, სამალავის თაროების წინ ბოლთის ცემა დაიწყო, თან კი წიგნებზე კაკუნს მოჰყვა და მორზეს ანბანის გამოყენებით „კეილი, კეილი“ გაიმეორა რამდენჯერმე.

— ღმერთო! — ხმამაღლა გაიცინა ბილმა, თან კაკუნი განაგრძო, — ალსარებები! კეილი, ისინი ოდესმე წაგიკითხავთ?

კეილიმ, რომელიც ამ დროს მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა, თავი ასწია:

— ალსარებები? არა.

— არც მე, — განაგრძო კაკუნი ბილმა.

— მორჩით კაკუნს! — იფეთქა უცებ კეილიმ, — ანდა გარეთ გადით, რაკი სეირნობა ასე გსიამოვნებთ!

ბილი გაკვირვებული შემობრუნდა:

— რა თქვით?

— მაპატიეთ, ბილ... ნერვები აღარ მივარგა...

— ეგ არაფერი... წამოხვალთ ჩვენთან ერთად?

— სოფელში?

— ჰო, — თანხმობის შიშით ბილმა ერთი სიცოცხლე გაათავთა.

— ვერა, — იყო პასუხი, — სტენტონში უნდა ვიყო.

— სამწუხაროა, — ბილმა ნათქვამის საპირისპირო შვება იგრძნო, — მანქანით?

— ჰო, შემომივლის, მანამდე კი წერილს ვწერ.

„მგონი, გადავრჩით, — გაიფიქრა ბილმა, — ალბათ ენტონი ყველაფერს მიხვდა, თორემ აქამდე დაბრუნდებოდა“.

— კარგი, ხელი რომ არ შეგიშალოთ, ვესტიბიულში გავალ, — თქვა ბილმა და დანანებით გაიფიქრა, ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდაო.

უკვე გარეთ იყვნენ მძღოლის სიახლოვეს, როცა უკნიდან სასიამოვნო ხმა მოესმათ:

— ჰელოუ!

სამივენი შემობრუნდნენ და... ენტონი დაინახეს.

— ბილ, მაპატიე, რომ გაცდევინე, — გაიღიმა მან.

ბევერლის კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდა, გაოცება რომ დაეფარა და თითქოს არხეინად თქვა, მერე რაო.

— კარგი, მე წავედი, — თქვა კეილიმ, — თქვენ სოფლისკენ, ხომ?

— ვაპირებთ, — სწრაფად მიუგო ბილმა.

— მაშინ ერთი თხოვნა მექნება. ამ წერილს კოტეჯ „ჯელენდში“ ხომ ვერ მიიტანდით?

— სიამოვნებით, — მიუგო ბილმა, — იქ შევლას მაინც ვაპირებდით.

— დიდი მადლობა, აბა, მოგვიანებით გნახავთ, — კეილიმ ხელით ანიშნა მძღოლს, წავედითო და მანქანისკენ გაემართა.

როგორც კი მარტო დარჩნენ, ბილი მეგობარს მიუბრუნდა.

— ამიხსენი, აქ როგორ გაჩნდი?

— ბიბლიოთეკაში შევიდეთ და იქ გეტყვი.

ენტონი სავარძელში ჩაესვენა, თან ქოშინი დაიწყო:

— ისე მოვრბოდი, კინაღამ სული გამძვრა.

— მორბოდი?

— რასაკვირველია. აბა, ისე აქ როგორ მოგისწრებდით?

— ანუ გვირაბის მეორე მხრიდან გამოძვერი და გამოიქეცი?

ენტონიმ თავი დააქნია.

— გაიგონე, როგორ ვაკაკუნებდი?

— ცხადია, აბა, ისე რას მივხვდებოდი? ბილ, გენიოსი ხარ, ანუ თითქმის ვატსონი!

ბილი წამოწითლდა:

— კიდევ კარგი, მორზეს ანბანი ორივემ ვიცოდით, თორემ რას გაიგებდი?

— ვერც ვერაფერს. წარმომიდგენია, რა ნერვიულობა გადაიტანე, ვიდრე ეს ყველაფერი დამთავრდებოდა.

— ნუღარ იტყვი, — და ბილი მოუყვა, რაც თავს გადახდა, — ახლა შენ მითხარი, მარკი ნახე?

— არა... ის არა... არაფერი მინახავს.

— მატყუებ. თუ ის არა, აბა ვინ?

— მოკლედ, კედელში კარი იყო, ანუ კედლის კარადა, ოღონდ ჩაკეტილი.

— შეიძლებოდა მარკი შიგ დამალულიყო?

— ხმადაბლა შევძახე: „მარკ, აქ ხარ?“ ვითომ კეილი ვიყავი, მაგრამ არანაირი პასუხი.

— მაშინ ჩავიდეთ და ერთხელაც ვცადოთ. კარის გაღებას ალბათ შევძლებთ.

ენტონიმ თავი გააქნია.

— ანუ მე არასოდეს ჩავალ? — გაწბილებული ხმით თქვა ბილმა.

— ამას მომავალი გვიჩვენებს, — მიუგო ენტონიმ, — ახლა ეს მითხარი: კეილიმ მანქანის ტარება იცის?

— რა თქმა უნდა.

— მაშასადამე, შეუძლია მძღოლი გადმოსვას და, სადაც მოესურვება, იქ წავიდეს?

— ჰო, თუ მოინდომებს.



Cyan Magenta Yellow Black

ენტონი სავარძლიდან წამოდგა:

— აი, რა. რაკი მას შევპირდით, რომ წერილს „ჯელენდში“ მივიტანთ, ასეც უნდა მოვიქცეთ. იქ, მგონი, მისის ნორბერი ცხოვრობს, ქვრივი, შენ რომ მიყვებოდი.

— ჰო. კეილის მისი ქალიშვილი აინტერესებს და ალბათ წერილიც მისთვისაა.

— ჰოდა, რაკი შევპირდით, მივიტანოთ.

— მერე ეს რა მოგვცემს? ჩვენს მთავარ საქმეს ვგულისხმობ.

— დღეს ღამით გავიგებთ, ჩვენი ძვირფასი კეილი ტბორში რას ჩააგდებს, — ღიმილით მიუგო ენტონიმ, — ახლა კი სოფლისკენ. დრო არ იცდის.

ისინი უხმოდ გაუყვნენ ველზე გამავალ ბილიკს, ოღონდ ენტონი იცქირებოდა დროდადრო უკან, თითქოს გზის დამახსოვრებას ცდილობსო. ერთხელაც, მორიგი გახედვის მერე, სახე გაუბრწყინდა:

— დაინახე?

— რა უნდა დამენახა?

— კეილის მანქანა. გზაზე ჩაიარა.

— მგონი, სულ ორჯერ ნახე და როგორ იცანი? თან ამ სიშორეზე. აი, მხედველობა.

— თვალი მართლა მიჭრის.

— იქნებ იმასაც მიხვდი, საით მიდის?

— ალბათ ბიბლიოთეკისკენ, ოღონდ ჯერ დარწმუნდა, რომ არ ვატყუებთ ანუ მისი წერილი ადრესატს ჩაბარდება.

— მხოლოდ ეს?

— შეიძლება არც იცის, მის კვალს რომ ვადგავართ, მაგრამ რაღაცას რომ ეჭვობს, აშკარაა.

— თუ ასეა, მის შეუმჩნევლად ღამით სახლიდან როგორ გავიპარებით?

— ამას მოფიქრება უნდა. ისე კი, კარგი იქნებოდა, სასტუმროში გვეცხოვრა, — ენტონი შეჩერდა, — მოიცა, ეს შემთხვევით მის ნორბერი ხომ არ არის?

კოტეჯის ზღურბლზე მართლაც მშვენიერი ქალიშვილი იდგა და მათკენ იცქირებოდა.

— ჰო, ისაა. ანჟელა ნორბერი, — ხმადაბლა მიუგო ბილმა.

მამაკაცები თავაზიანად მიესალმნენ მას და ერთმანეთი მოიკითხეს. ამ სავალდებულო გაცნობა-გამოცნობის ცერემონიალის შემდეგ ბილმა ქალიშვილს წერილი გაუწოდა:

— ეს მისტერ კეილისაგანაა. გვთხოვა, თქვენთვის გადმოგვეცა.

— გმადლობთ, — ანჟელამ წერილი კაბის ჯიბეში ჩაიდო, — რაც ჩვენ გავიგეთ, მართალია? მისტერ ებლეტი ჯერ ვერ იპოვეს?

— ვერა.

— სამწუხაროა, — ქალიშვილის ნაღვლიანი გამომეტყველება მოულოდნელმა ღიმილმა შეცვალა, — შინ შემობრძანდით, გთხოვთ.

— დიდი მადლობა, — ერთხმად მიუგეს მათ.

მისის ნორბერი სტუმრების ხილვით აღტაცებული იყო, როგორც სხვა დროს, როცა სტუმარ მამაკაცს მისი ანჟელასთვის „კარგ პარტიად“ მიიჩნევდა. ამგვარ მამაკაცად კი, ანუ მომავალ სიძედ, წითელი სახლის მეპატრონე მისტერ მარკ ებლეტი წარმოედგინა, რაც ბილს ძალიანაც გააკვირვებდა, რადგან, მისი აზრით, მისის ნორბერის სიძე მეთიუ კეილი უნდა ყოფილიყო.

თავად ანჟელა სერიოზულად არც ერთზე ფიქრობდა და არც მეორეზე. ეს მისთვის ჩვეულებრივი გასართობი იყო, მზრუნველი დედიკოს ახირება...

მისის ნორბერი უმალ მიხვდა, რომ მისტერ ჯილინჰემისნაირ გულისხმიერ მსმენელს ვერასოდეს იპოვიდა და როცა ჩაის შემდეგ ანჟელა და ბილი ბაღში გაუშვა გასასეირნებლად, ტახტზე მოკალათდა, ენტონი გვერდით მოისვა და ათას აზრიან თუ უაზრო რაღაცაზე გაუბა მუსაიფი, რაც ამ უკანასკნელს, როგორც კირკიტა ჰოლმსს, ძალიანაც აინტერესებდა.

— საშინელებაა, ნამდვილი საშინელება, — თქვა ქალმა, — იმის წარმოდგენაც კი, რომ მისტერ ებლეტი...

— მართლა სამწუხარო ამბავია.

— მისტერ ებლეტი ხომ თავად ნახეთ, როგორი კეთილი, როგორი განათლებული, როგორი...



— მადამ, მისტერ ებლეტი ჯერ არ მინახავს, — ჩაურთო ენტონიმ.

— მაპატიეთ, სულ დამავიწყდა... ისე კი, მისტერ ჯილინჰემ, ამგვარ საქმეებში ქალურ ინტუიციას შეიძლება ენდოთ.

— რასაკვირველია.

— მე ის არასოდეს მომწონდა, არასოდეს.

— არასოდეს? — დაიბნა ენტონი.

— მისი დეიდაშვილი, მისტერ კეილი.

— აა!

— არასოდეს.

— თავად მის ნორბერი როგორ ექცეოდა? — ფრთხილად შეეკითხა ენტონი.

— არც როგორ! არანაირად! ისე... ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. იქნებ მან... არ ვიცი, მაგრამ ჩემი, როგორც დედის ვალი, კარგად ვიცი, მისტერ ჯილინჰემ, ერთხელ იმ ტიპს ვუთხარი კიდეც პირში, მოუკრეფავში გადადიხარ-მეთქი. ცხადია, ტაქტიანად ვუთხარი, ოღონდ გულწრფელად.

— ანუ თქვენ... აგრძნობინეთ, რომ მისტერ ებლეტი და თქვენი ქალიშვილი...

— სწორედ რომ ასე იყო, მისტერ ჯილინჰემ.

— გასაგებია.

— გოგოები შტერები არიან, — განაგრძო ქალმა, — საბედნიეროდ, მათ ჰყავთ დედები, რომლებიც ხელმძღვანელობენ. ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჩემი გოგონასთვის ყველაზე შესაფერისი ქმარი მისტერ ებლეტია, ისეთი ჯენტლმენი, არტისტული, ნამდვილი ველასკესი... არა, არა, ვერ-დეიკი უნდა მეთქვა. ანჟელა ყოველთვის ამბობდა, რომ წვერიან მამაკაცს არასოდეს გაჰყვებოდა. თითქოს ამას რამე მნიშვნელობა აქვს, როცა...

ქალი გაჩუმდა, მის ნაცვლად კი ენტონიმ დაასრულა:

— წითელი სახლი მართლა შესანიშნავია.

— გეთანხმებით, რა თქმა უნდა და არც მისტერ ებლეტია ვინმეს დასაწუნი. პირიქით. მეთანხმებით, ხომ?

— აკი გითხარით, არ მინახავს.

— ჰო, ჰო... თან ლიტერატურული და არტისტული საზოგადოების ცენტრშია, ყოველმხრივ ისეთი მიმზიდველი, — მისის ნორბერმა წამით შეისვენა, მერე კი განაგრძო, — მერე კი მისი ამ ძმის გამოჩენა. მისტერ ჯილინჰემ, ის ჩემთან ყოველთვის გულწრფელი იყო, ყოველთვის. ის ამ ძმაზე მომიყვა, მე კი დავარწმუნე, რომ ჩემი ღრმა რწმენით, ეს ჩემი ქალიშვილის მისდამი გრძნობაზე არანაირად იმოქმედებდა... ბოლოს და ბოლოს, ძმა ავსტრალიაში იყო.

— ეს როდის მოხდა? გუშინ?

— არა, გუშინ ვერ მოხდებოდა. გუშინ... — მას თითქოს გააჟრჟოლა და თავი გააქნ-გამოაქნია.

— ვიფიქრე, იქნებ დილით იყო-მეთქი თქვენთან.

— ო, არა! დილით არა! გუშინწინ, როცა დაახლოებით ჩაის დროს შემოიარა. ჩემი ანჟელა იმ დროს შინ არ იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მას მიდლსტონში მიეჩქარებოდა, ასე რომ, ანჟელა სახლშიც რომ ყოფილიყო...

ენტონი დაიბნა. ეს რაღაც ახალია. რა უნდოდა მარკს გუშინწინ მიდლსტონში? თუმცა რატომაც არა? ამის მიზეზი შეიძლებოდა უამრავი ყოფილიყო, რობერტის სიკვდილთან არანაირად დაკავშირებული. ის წამოდგა, რომ წასულიყო. მარტო დარჩენა სურდა ან თუნდაც ბილთან ერთად. მისის ნორბერმა უამრავი საფიქრალი გაუჩინა, მთავარი კი ის იყო, რომ კეილის მიზეზი ჰქონდა, მარკი შესძულებოდა. შესძულებოდა? თუ ეს არა, ეეჭვიანა მაინც, თუმცა ესეც საკმარისი იყო.

„ჯელენდს“ ოდნავ გამოცილებულები იყვნენ, როცა ენტონი ბილს მიუბრუნდა:

— ვიცით, რომ კეილი ცრუ ჩვენებებს იძლევა, რასაც შეიძლება ორი მიზეზი ჰქონდეს: მარკი რომ გადაარჩინოს ან პირიქით, დანაშაული აჰკიდოს. სხვა სიტყვებით, ის ან მთლიანად მის მხარესაა, ან მთლიანად მის წინააღმდეგ. ახლა კი უკვე ნამდვილად ვიცით, რომ მის წინააღმდეგაა.

ისინი შეჩერდნენ და იმ სახლს გახედეს, ახლახან რომ დატოვეს.

— საყვარელი სახლია, არა? — თქვა ბილმა.

— ძალიან, მაგრამ საკმაოდ იდუმალიც, — მიუგო ენტონიმ.

— რას გულისხმობ?

— სადაა, მაგალითად, საპარადო შესასვლელი?

— ახლახან არ გამოვედით იქიდან?

— მაგრამ მას არც მისასვლელი გზა აქვს, არც ხეივანი და არც არაფერი.

— მილიონერები მაგ სახლს უიქენდისთვისაც არ იყიდიან, მით უფრო, რომ მანქანითაც კი ვერ მიხვალ ახლოს, — შენიშნა ბილმა.

— ჰოდა, არც ვყიდულობთ, — გაიღიმა ენტონიმ, — წავედით, ბილ, წავედით. ამ ღამეს სერიოზული საქმე გვაქვს და უნდა მოვემზადოთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-43

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 14

მთელი კვირაა საწოლში ვაგდივარ. დაბალი სიცხეები მაქვს. დედაჩემი გაჰკივის, რომ ვირუსია. მე კი ვიცი, რომ სტრესია. ზურას შვილს ჩემი სახელი ჰქვია. მე რომ თავის დროზე მისთვის დამერეკა, შეიძლებოდა ეს ჩვენი შვილი ყოფილიყო. ამის გაფიქრებაზე მეტირება. ვდგები საწოლიდან, ვიცვამ სპორტულებს და ოთახიდან გავდივარ. შევჭამ რამეს და ისევ დავწვები. მიშო გაზეთს კითხულობს. ჩემს დანახვაზე გაზეთს გვერდზე დებს და შეწუხებული სახით მიყურებს.

— რა ჯანდაბა გჭირს მუდამ?

— ვიცი? რომ ვიცოდე, არ ვიქნებოდი ასე.

— გოგო, გადი გარეთ, ცხოვრებით დატკბი.

— შენ ცოლი აღარ მოგყავს?

— მომყავს. იცი, რამდენი რამეა საჭირო? სოფიკო გიჟად არის.

— მუდამ წუწუნებ, — ვიზმორები.

— არ გინდა, მითხრა, რა გჭირს?



— არა. შაკოსთან მინდა გადავიდე.

— დედამ, გადასდებს ვირუსს, არ გაბედოსო.

— არ მაქვს ვირუსი.

— სიცხე ხომ გაქვს.

— პირბადეს გავიკეთებ.

— აუტანელი ხარ, — მიშო დგება.

— სად მიდიხარ?

— კარტოფილი უნდა შევწვა.

— აუ, მეც მშია, რა.

— რანაირი ქალები წამოვიდნენ, იქით უნდა მაჭმევდე შენ.

— გეხვეწები, მაჭამე რამე.

მიშო ხელს მხვევს და სამზარეულოში გავდივართ.

* * *

შაკო ტელევიზორს უყურებს. ვჯდები სკამზე. ეს დებილი პირბადე მახრჩობს. შაკო დამცინავად მიყურებს.

— მოიძრე, ხომ ხედავ, რომ იგუდები.

ვიხსნი პირბადეს.

— ბიჭო, ეშინიათ, რომ არ გადაგდო ვირუსი, რომელიც არ მაქვს.

— ლილიმ მითხრა, სიცხეები აქვსო.

— დაბალი.

— ვინაა დაბალი?

— სიცხეები მაქვს დაბალი.

— გაცივდი?

— არა, ვინერვიულე.

— გივი?

— არა, რა გივი. გივი ქორწილის მერე აღარ მეკარება.

— ისე, ეგეც მოსაყოლი გაქვს.

— ეგ მერე. ზურას ბავშვი ვნახე.

— და ზურა? — შაკო ბალიშებში კალათდება.

— ზურა გარდაცვლილია.

— უი!

— და ბავშვს ჰქვია ალექსანდრა...

— რაო?! — შაკოს თვალები უფართოვდება.

— წარმოიდგინე, როგორ განვიცადე.

— წარმომიდგენია. ანუ უყვარდი ტიპს.

— არ ვიცი და არ შემიძლია მაგაზე ფიქრი. ცუდად ვხდები.

— მესმის, რომ ძნელია, მაგრამ ჯობია გადააყოლო რამეს გული, ან ვინმეს.

— შენც დედაჩემი ხარ? — მეღიმება.

— დედაშენი რომ ვიყო, დღეში სამჯერ გცემდი.

— კიდევ კარგი, რომ არ ხარ. თვითონ როგორ გრძნობ თავს?

— უკეთესად, რა შედარებაა.

— როდის წავიდეთ ფეხბურთის სათამაშოდ?

— ხო, დამაჭირე წიხლი ამ ავადმყოფ კაცს.

ვდგები და შაკოს შუბლზე ვკოცნი.

— ძალიან მიყვარხარ, — მეუბნება ჩურჩულით.

— მეც, — კიდევ ერთხელ ვკოცნი.

შაკო ტელევიზორს უბრუნდება და მე სახლში მივდივარ.

მობილურზე ათი გამოტოვებული ზარია. ცხრა ზარი — სვეტასი და ერთი — ირაკლისი. ეს კვირა დავაიგნორე და ძალიან გაბრაზებული იქნება. ვურეკავ ირაკლის.

— საოცრება, — მპასუხობს სიცილით.

— ვერ ვიყავი კარგად და...

— და მესიჯი ვერ მომწერე? ოთახი მოგიწყვეს უკვე და მაინტერესებს, როდის გამოხვალ.

— ორშაბათს, ირაკლი, პატიოსან სიტყვას გაძლევ.

— გენდო?

— აუცილებლად.

— კარგი.

ვკიდებ. რა საყვარელია და როგორ ცდილობს. ვურეკავ სვეტას.

— ჭკუანაკლულო შენ! — ბღავის ტელეფონში.

— რა შემ... ჭამეთ!

— ვსვამთ და სასწრაფოდ მოდი!

— სად?

— ჩემთან.

— რა ხალხი ხართ?

— მე, ნინია და გოგოები.

— ვინ გოგოები?

— ის არ არის.

— ანუ ნიცა.

— ხო, ეგ.

— აბა, ვინ არის?

— ჩვენები. ტაქსით მოდი, უნდა დალიო.

— ჯანდაბა შენ. მოვალ.

— მალეეე!

ვკიდებ. რა ჩავიცვა? და როგორ მეზარება!

* * *

ირაკლი მამამისის ოთახში შედის და სავარძელში ჯდება. უფროსი მეტრეველი თვალებს ახელს.

— მიხარია, რომ მოიცალე.

— ხომ იცი, რამდენი საქმეა... მამა.

— საქმეზე მინდოდა დალაპარაკება.

— რამ შეგაწუხა? — ირაკლი იძაბება.

— მოადგილე აგყავს?

ირაკლი ახველებს.

— შენი ძმაკაცი რომ მიიყვანე იქ უქნარა, შევეგუე.

— მამა, მე ვმართავ კომპანიას და მგონია, წარმატებულად. რატომ ერევი?

— იმიტომ, რომ მე შევქმენი ეგ კომპანია! და მე ვარ მისი მფლობელი!

— დარწმუნებული ხარ, რომ გინდა, მასეთი ტონით მელაპარაკო? — ირაკლი დგება.

— მესმის, რომ ახალგაზრდა ხარ და გიქრის, მაგრამ ქალის სამსახურში მოთრევა...

— სიტყვები შეარჩიე!

— მომისმინე, ლაწირაკო...

— სიტყვები შეარჩიე-მეთქი!

ირაკლის დედა ოთახში შემოდის და გაოცებული უყურებს ქმარ-შვილს.

— რა ხდება აქ?

— რა ხდება და ვერ გაგიზრდია კარგად შვილი! — ხროტინებს უფროსი მეტრეველი.

— მე არ ვარ ვალდებული, ეს ავიტანო, — ირაკლი კარისკენ მიდის.

— გეგონება, არ შეგიძლია წესიერი ქალი შეირთო ცოლად. ვიღაცის ნათრევი უნდა მოძებნო და სამსახურში მიათრიო თან, რომ ყველამ დაგვცინოს.

— დაგვცინოს? შენ ამას მე მეუბნები?! — ირაკლი ხმას უწევს.

— კარგი, დამშვიდდი, — ირაკლის დედა ძლივს იკავებს ცრემლებს.

— შენ დაეთრეოდი მთელი ცხოვრება, კაცმა არ იცის — სად და ვისთან და მე მეუბნები, რომ დაგვცინებენ!? შენ ჩემი ცხოვრება არ გეხება. ეგ უფლება მაშინ დაკარგე, დედაჩემის ცრემლებს როცა ვუყურებდი... შენი დამსახურებით!

ირაკლი გადის და კარს აჯახუნებს. განრისხებულია. საიდან გაიგო? ან როგორ გაუბედა ასე ლაპარაკი?! ყველაფრის მერე კიდევ მორალს უკითხავს. თანაც კაცი, რომელსაც მორალის ნატამალი არასდროს გააჩნდა.

* * *

ზურა მნიშვნელოვან დოკუმენტებს ეცნობა. მდივანი გვერდით უდგას. ზურას მობილური რეკავს. უყურებს ნომერს და ანიშნებს მდივანს, რომ ოთახიდან გავიდეს.

მდივანი ემორჩილება.
— გისმენ, — ზურა მობილურს პასუხობს.
— მოგვარებულია.
— მადლობა, — ზურა მობილურს თიშავს და მზაკვრულად იღიმის.
სულ ტყუილად ეგონა ვინმეს, რომ მის დამცირებას მოახერხებდა.

ვაჩერებ ტაქსს და ვჯდები. სვეტას ჭიჭყინის თავი არ მქონდა, თორემ არ წავიდოდი. ფანჯარას ვუწევ და ვისუნთქავ გამონაბოლქვს, რომელიც ტაქსის მძღოლისგან მომავალ ოხშივარს ახშობს.
— კარგი ამინდია, რა, — მეუბნება მძღოლი.
— ნამდვილად.
— თქვენ გათხოვილი ხართ?
აი, დაიწყო.
— დიახ, — უხსენი ახლა ამას ჩემი სტატუსი.
— კარგია, თორემ საქართველოში 25 ქალი მოდის ერთ კაცზე.
— რას მელაპარაკებით?
— აბა, არადა ქალი, რომელიც სულ ქალიშვილია, იცით, როგორ ავადდება?
— აჰა...
— ორგანიზმი ენგრევა.
— აა...
— ხოდა, ასეთ სიტუაციაში რომ ქალი გთხოვს, ჩემთან დაწექიო, იმას უარი არ უნდა უთხრა.
— აჰა.
— ცოლიანიც როცა ხარ, აბა, ის ქალი რომ გთხოვს, ხომ ცოდვაა.
— ცოლი მერე?
— ცოლმა უნდა გაიგოს. ამდენი ქალია და კაცმა უნდა მიხედოს.
— და ცოლმა რომ იგულაოს?
— რასა ბრძანებთ? ქალმა არ უნდა იკადროს. კაცი სხვაა, თანაც ქალები ამდენია.
ნეტა ვიცოდე, ეს სტატისტიკა საიდან მოაქვს?
— გასაგებია.
— ჰოროსკოპით ვინ ხართ?
— ქალწული.
— კიდევ კაი, რომ ტყუპები არ ხართ. ეგენი საწოლში არ ვარგიან.
— საიდან იცით?
— წიგნია მასეთი, „ვარსკვლავები და მე“. იქ წერია ყველაფერი.
— ნუთუ.
— და მორიელები, აი, ეგენი არიან სექსისთვის გამოგონილები.
— საინტერესოა...
— ერთი გოგო მთხოვდა, ცოლად წამიყვანეო... ტყუპები იყო... თანაც დაღრეჯილი კბილებით.
— მერე?
— უარი ვუთხარი. დაღრეჯილი კბილები ჰქონდა და ვისაც ცუდი ცოლი შეხვდა, ყველა დაიქცა.
— აჰა.
— მე კარგი ცოლი მინდა ან არ მოვიყვან. ეს ქალები რა დღეში არიან, აი, ფულიანი ქალები.
— რა დღეში?
— მაგათი ქმრები რომ უცხოეთში გულაობენ, ესენი ქუჩაში იჭერენ კაცებს.
— ქუჩაში?
— ხო, ჩემს მეზობელს დაემართა, კაი ვაჟკაცი ბიჭია.
— მერე?
— ასე ჩასვეს და საცხა წაიყვანეს და იქ ორი ქალი იყო.
— აჰა...
— და ჩვენი ქმრები გულაობენ და ჩვენ ახლა შენთან უნდა ვიგულავოთო.
— საოცრება.
— საწყალი ის ბიჭი, ეს ორი ქალი რომ დააცხრა.
უკვე სიცილს ველარ ვიკავებ.
— კიდევ კარგი, კუნთიანი ბიჭია.
— გამიჩერეთ! — ვეუბნები და თვითონაც არ ვიცი, სად ჩავდივარ.
წავიდეს ეს და მერე ტაქსს გავაჩერებ. გიჟები, ყველგან გიჟები!

განრისხებული ირაკლი ბარში შედის. უბრალოდ დალევა უნდა. საქართველოში მარტო არავინ დადის ბარში. ირაკლი ბართან ჯდება და კონიაკს უკვეთავს. საშინელ ხასიათზეა. ვის უნდა მიჰქონდეს მამამისთან ენა? ვინ იკადრებდა ამას? ან რატომ? ბარმენი სასმელს უდგამს წინ.
— რთული დღე გაქვთ, ეტყობა, — ეუბნება ბარმენი ღიმილით.
— არ თქვა.
— ალკოჰოლი კი კარგია, მაგრამ უკეთესი ხერხებიც არსებობს...
— მაგალითად? — კითხულობს ირაკლი იმედით, რომ სექსზე არ არის საუბარი.
— კაი მოსაწევი, — ბარმენი თვალს უკრავს.
— რამდენად?
ბარმენი ციფრს ხელსახოცზე უწერს და აწვდის.
— მისაღებია, — ირაკლი საფულეს იღებს.
— აქ არა, — ბარმენი ანიშნებს, რომ საფულე ჩაიდოს.
— სად?
— წამოდი.
ბარმენი გადის და ირაკლი უკან მიჰყვება. პატარა ოთახში შედიან. ბარმენი ჯიბიდან პატარა პარკს იღებს და ირაკლის აწვდის. ირაკლი ფულს უთვლის და გულის ჯიბეში უდებს.

სვეტასთან ჩვენი ბავშვობის მეგობრები აღმოჩნდნენ. კარგად შევთვერით. გოგოები მღერიან. მე აივანზე ვზივარ და ვეწევი. ისე კოხტად ჩავჯექი საქართველოს რეალობაში, გეგონება, არც ვყოფილვარ წასული ამდენი წელი.
— დამიტოვე, რა, — ნინია გვერდით მიჯდება.
— შენ როდიდან ეწევი?
— დღეიდან.
— მოხდა რამე?
— დავიღალე. სხვებისთვის ვცხოვრობ და აღარ შემიძლია.
— მესმის შენი.
— სულ ვიღაცას ვპატრონობ, სულ რაღაცას ველოდები და არ ვიცი, ჩემი დრო თუ მოვა ოდესმე.
— ბედნიერებისთვის ბრძოლაა საჭირო.
— შენ იბრძვი?
— მე ბედნიერებაც კი აღარ მინდა.
რატომღაც ორივეს გვეცინება.
— ცხოვრება გადის და არაფერი იცვლება, — ნინია სიგარეტს მართმევს.
— რას ველოდებით, კი მაგრამ?
— რაღაც ახალს.
— ვინმე გყვარებია?
ნინია წითლდება.
— კი.
ნასვამი რომ არ იყოს, ვიცი, არ მეტყოდა.
— ვინ?
— დამპირდი, რომ არ დამცინებ! — იმორცხვებს.
— კაი, ხომ მიცნობ... იცი, რომ დაგცინებ, — ვამბობ სიცილით.
— მაშინ არ გეტყვი!
— ნინია!
— შევცვალოთ თემა.
— მიითხააარიიი!
— არა.
— მიდი, მიდი, მიდი! — ვაჯანჯღარებ ნინიას.
— კარგი, კარგი. შაკო.
— ჩემი შაკო? — ხელს ვუშვებ.
— რატოა შენი? — წარბს სწევს.
— ნუ, ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ... და შაკომ იცის?
— რა თქმა უნდა, არა.
— რატომ მერე?
— კარგი, ალექსანდრა, მე არ ვარ მაგის გემოვნებაში.
— უკაცრავად?
— მაგას შენნაირი ქალები მოსწონს.
— ჩვენ ეს არ ვიცით!
— რა არ ვიცით? — გვიერთდება სვეტა.
— არაფერი, — ნინიას აშკარად არ უნდა, რომ სვეტამ გაიგოს.
— არ გცივათ, აქ რომ ხართ?
— არა, შემოვალთ მალე.
— კარგი და ვიცეკვოთ, რა, — სვეტა მიდის.
— ნინია, უნდა ვქნათ რამე.
— რა ვქნათ?
— თუ მასთან ყოფნა გინდა, უნდა იცოდეს. ქალი უნდა იყოს აქტიური.
— ვერ გადავიტან, უარი რომ მივიღო.
— არ მიიღებ.
— რატომ ხარ ამაში დარწმუნებული?
— გეუბნები.
ვეხუტები ნინიას.
— ეს რა იყო? — მეკითხება გაოცებული.
— მომენატრე, — ვამბობ ღიმილით.
— წამო, შევიდეთ.
შევდივართ ოთახში, ვუწევთ მუ-

→68

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

სიკის ხმას და ვიწყებთ საყოველთაო ცეკვას.

ირაკლი ოდნავ არის ნასვამი. პერანგს იხდის და იატაკზე აგდებს. ისევ მარტოა ამ აუტანლად ცარიელ სახლში. ჯიბიდან მარიხუანას პაკეტს იღებს და მაგიდასთან ჯდება. სიგარეტის ღერიდან ყრის თუთუნს და კოხტად ავსებს მას გამშრალი ფოთლის ნაფშხვენებით. მობილური რეკავს. ირაკლი უყურებს სახელს. დედა. არ პასუხობს და თავის საქმიანობას აგრძელებს. ყველაფერი უაზრობად ეჩვენება. სისულელეა ეს ყველაფერი. მობილური ჩუმდება. ირაკლი სანთებელას იღებს. მობილური ისევ რეკავს. ახლა მისი დაა. როგორ უყვართ კონფლიქტების გარჩევა. ირაკლის კი არ სურს ამაზე საუბარი. ის, რაც მას და მამამისს შორის ხდება, მხოლოდ მათ ეხებათ. მობილური ჩუმდება და ირაკლი ნაფაზს არტყამს. რა კარგია. მობილური ისევ რეკავს და ახლა უკვე ბიძამისია. ნუთუ ბიძამისიც ჩარიეს ამ კონფლიქტში? ირაკლი პასუხობს.

— დაყრუვდი, ბიჭო? — ეკითხება შეწუხებული ბიძამისი.

— რა ხდება?

— სახლში მოდი.

— რა ხდება?

— მამაშენი.

— რა, მამაჩემი? — პულსი უჩქარდება.

— გარდაიცვალა.

ირაკლი მობილურს მაგიდაზე დებს და გაუნძრევლად ზის.

ძლივს მოვლოღდი საწოლამდე. ყველაფერი ტრიალებს. დედაჩემმა ცხელი სათბურა დამიდო ფეხებთან. კიდევ კარგად მიძლებს. მაიმუნობის ხასიათზე ვარ. ვიღებ ტელეფონს და ვწერ მესიჯს... მაგრამ ვის გავუგზავნი, ჯერ არ ვიცი. „რას შვები, ჩემი ბიჭი?“. ვის გავუგზავნო? ირაკლის. ვაგზავნი. პასუხი არ მოდის. არ უნდა, ნუ უნდა! ვუგზავნი სანდროს. პასუხი არ აყოვნებს:

„შენ, ჩემი გოგო?“.

მე: „მთვრალი ვაგდივარ“.

სანდრო: „მოგხედო, გინდა?“.

მე: „შენ თავს მიხედე“.

სანდრო: „მაშინ რას მწერდი?“.

მე: „რა ვი“.

სანდრო: „მოგენატრე?“.

მე: „ცოტა“.



სანდრო: „მოვიდე?“.

მე: „არა“.

სანდრო: „დარწმუნებული ხარ?“.

მე: „კი“.

სანდრო: „მაშინ ხვალამდე“.

ვდებ მობილურს ბალიშის ქვეშ. თავშიმოყვარე ქალმა ამდენი არ უნდა დალიოს. ვიძინებ.

ირაკლი სახლში შედის. დედამისი მოთქვამს. მისი და ჩუმად ტირის. ნათესავები ბჭობენ, თუ რა ქნან. ის კი გაბრუებულია და სულაც არ ეტირება. არც იცის, რას გრძნობს. მისი და ეხვევა და ტირილს აგრძელებს.

— ზურა სად არის? — კითხულობს ირაკლი.

— არ ვიცი, — ჩურჩულით პასუხობს ლიკა.

— როგორ არ იცი?

— არ ვლაპარაკობთ ჩვენ.

— რატომ?

— ახლა არ შემიძლია ამაზე ლაპარაკი.

— ლიკ, უნდა ვუთხრათ.

— მე ვერ დავრეკავ.

— მე დავრეკავ.

ირაკლი მობილურს იღებს.

ზურას პირსახოცი აქვს წელზე შემოხვეული და სენდვიჩს იკეთებს. საუკეთესო ხასიათზეა. მშვენიერი გარიგებები დადო დღეს. მისი მობილური რეკავს და შეწუხებული უყურებს ნომერს. ირაკლი. ამ ნაბიჭვარს რაღა უნდა? მამიკომ დასაჯა და სამუშაოს ეძებს?

— გისმენ, — პასუხობს მკაცრად.

— გამარჯობა, ზურა.

— გამარჯობა, ირაკლი.

— ზურა, მე ვიცი, რომ ჩემს დასთან ნაჩხუბარი ხარ...

— მერე?

— მაგრამ ჩვენ მაინც ოჯახი ვართ და ჩავთვალე, რომ შემეტყობინებინა...

— რა?

— მამაჩემი გარდაიცვალა.

ზურა მუნჯდება. ასე არ უნდა მომხდარიყო. მას ხომ ეს სულაც არ უნდოდა.

— ვიზიარებ.

— მადლობა.

— გამოვდივარ.

ზურა მობილურს თიშავს და მთელი ძალით ესვრის კედელს. ასე არ უნდა მომხდარიყო!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ეს იცოდით?

❖ ლეგენდის თანახმად, ბუდას 40 კბილი აქვს.

❖ ინდოეთში მდებარე ტაძარ ტირუპატიში მლოცველები მსხვერპლად საკუთარ თმას სწირავენ. იქ ყოველდღიურად 30 000-მდე ადამიანი მიდის. ტაძრის 600 დალაქი მთელი დღის განმავლობაში დაკავებულია. აუქციონზე თმის გაყიდვას კი ტაძრისთვის 2,2 მილიონი დოლარის შემოსავალი მოაქვს.

❖ თევზებიდან ყველაზე დიდხანს ზუთხი ცოცხლობს — დაახლოებით 150 წელი.

❖ ყველაზე ძვირადღირებული ცხოველი წმინდა სისხლის არაბული დოღის ცხენია.

❖ ბაყაყები და გომბეშოები პერიოდულად ტყავს იცვლიან, მაგრამ მათი ტყავი არავის უნახავს, რადგან გამოცვლილ ტყავს მაშინვე ჭამენ.

❖ ჟირაფის გული 22 კილოგრამს იწონის.

❖ ყველაზე ხანგრძლივი ოპერაცია, რომელიც 96 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ჩიკაგოში მცხოვრებ ჰერტრუდა ლევანდოვსკის 1951 წლის 4-8 თებერვალს ჩაუტარდა. ქალს საკვერცხის კისტა ამოკვეთეს. ქირურგიული ჩარევის შემდეგ პაციენტმა წონაში 280-დან 140 კილოგრამამდე დაიკლო.

❖ ინფარქტი და ინსულტი თითქმის არასოდეს ემართებათ ინუიტებს. ეს ხალხი კანადისა და რუსეთის ჩრდილოეთსა და გრენლანდიაში ცხოვრობს. მიზეზი დღემდე აუხსნელია.

❖ მაკედონიაში სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობის ყველაზე მცირე მაჩვენებელია დაფიქსირებული.

❖ მთქნარება უძილობასთან და მოწყენილობასთან ასოცირდება. სინამდვილეში კი ის ტვინს გამოფხიზლებაში ეხმარება.

❖ ამერიკაში პირველკლასელი მოსწავლე მშვენივრად არჩევს დაახლოებით 200 სხვადასხვა კომპანიის ლოგოტიპს.

❖ სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს სახელმწიფო სკოლების მასწავლებლების მესამედი თავიანთ შვილებს კერძო სკოლებში უშვებს სასწავლებლად.

❖ რემბრანდტს სახლში მხოლოდ ორი წიგნი ჰქონდა — ბიბლია და ანატომიური ატლასი.

❖ მოდილიანი პორტრეტებში დეტალურად არასოდეს ხატავდა თვალებს.

❖ ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო სტრიქონში ამოიკითხა: „ბარონი ფონ ბლანკი მსახურით“. თვითონ ქვემოთ მიაწერა: „მარკ ტვენი ჩემოდნით“.

❖ სანამ ნოსტრადამუსი რაიმეს იწინასწარმეტყველებდა, უძილობით იტანჯავდა თავს, რის გამოც ჰალუცინაციები ეწყებოდა და სწორედ ამ მდგომარეობაში წინასწარმეტყველებდა.

❖ მდინარე ამაზონი ზოგიერთ ადგილას სიგანეში 100 კილომეტრია.

❖ ყველაზე დიდი წიგნი დედამიწაზე ამსტერდამის მუზეუმში ინახება. მისი სიგრძე 160 სანტიმეტრია, სიგანე — 1 მეტრი, ხოლო სისქე დაახლოებით ნახევარ მეტრს აღემატება. წიგნს „ზღვის წესების კრებული“ ჰქვია.



Cyan Magenta Yellow Black



# წითელი ღვინო: დავლიოთ თუ არა?

უკანასკნელ დროს წითელი ღვინის სარგებლობაზე ბევრს წერენ. სხვათა შორის, ალკოჰოლი კანცეროგენად (კიბოს გამომწვევი) ითვლება, რომელიც დამოკიდებულებაშეჩვევას იწვევს. მაშ, სწორად როგორ მივუდგეთ? განვიხილავთ ყველა თვალსაზრისს.

## გულისა და სისხლძარღვების ჯანმრთელობისთვის

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ალკოჰოლური სასმელების ზომიერი მოხმარება გულისა და სისხლძარღვების მუშაობას აუმჯობესებს. წითელი ღვინის გამაჯანსაღებელი მოქმედება დაკავშირებულია პოლიფენოლებთან. ამ ნივთიერებას შეიცავს ყურძნის კანი და წიპწები. პოლიფენოლები სისხლის კალაპოტში თრომბის წარმოქმნას აბრკოლებს, სისხლძარღვებს აფართოებს, სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, არტერიულ წნევას დაბლა სწევს. ამ სასარგებლო ნივთიერებების რაოდენობა წითელ ღვინოში 10-ჯერ მეტია, ვიდრე თეთრში. გაირკვა, რომ ღვინოში არის კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც სისხლძარღვებზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. ეს არის სპირტი. მასაც შეაქვს თავისი წილი სისხლძარღვების დახშობის პროფილაქტიკაში. სპირტი და პოლიფენოლები ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთზემოქმედებას აძლიერებენ.

## კანცეროგენი ბოკალში?

პრინციპში, ალკოჰოლი კანცეროგენად ითვლება. ქალები, რომლებიც ალკოჰოლით ბოროტად სარგებლობენ, ხშირად მკერდის კიბოთი ავადმყოფობენ. უზომოდ სმამ შეიძლება პირის ღრუს, ხორხის, ხახის, საყლაპავი მილის, კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო გამოიწვიოს. აღარაფერს ვამბობთ ღვიძლზე — ალკოჰოლიზმის დროს ის ყველაზე მეტად იტანჯება. მაგრამ არსებობს სასიხარულო ინფორმაციაც — ღვინის ზომიერი მოხმარება ზოგიერთი სახის სიმსივნის განვითარებას თრგუნავს. ფრანგმა მეცნიერებმა გამოკვლევებით წითელ ღვინოში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც პროსტატის კიბოს განვითარებას აბრკოლებს (სხვათა შორის, იმავე ელემენტებით მდიდარია მწვანე ჩაი).

## ყველაფერი ზომიერებაშია

ჰიპოკრატეს მიაწერენ ბრძნულ გამონათქვამს: ყველაფერი შხამია და ყველაფერი წამალია, განსხვავება მხოლოდ დოზაშია. ეს ეხება ღვინოსაც. მცირე რაოდენობით წითელი ღვინო დიაბეტის პროფილაქტიკას ეხმარება, ხანდაზმულობის ჭკუასუსტობის რისკს ამცირებს, ფილტვების მუშაობას აუმჯობესებს, მწეველებში ფილტვების დაავადების განვითარებას ანელებს, მიკრობებით (სახელდობრ, კუჭის წყლულის გამომწვევი ე.წ. ჰელიკობაქტერია პილორის) დასნებოვნების რისკს ამცირებს.

ღვინო დადებით თვისებებს ავლენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ჯანმრთელი ადამიანები ზომიერად იყენებენ. სხვაგვარად ყველაფერი პირიქით ხდება: იტანჯება ნერვული სისტემა და მეხსიერება, ვითარდება სიმსუქნე და ჰიპერტონია, იზრდება ინფარქტის, ინსულტის, ღვიძლისა და მკერდის კიბოს რისკი. ღვინო მცირე დოზებში განწყობას ამაღლებს, ხოლო უზომოდ სმა დეპრესიას, აგრესიულობას, გაღიზიანებულობას, არაადეკვატურ ქცევებს ბადებს. ღვინო უკუნაჩვენებია ორსულებისთვის, ბავშვებისა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ზოგიერთ წამალს იღებენ (წამლის ალკოჰოლთან შეუთავსებლობა მითითებულია ინსტრუქციაში, ასევე ამის შესახებ ექიმი აფრთხილებს).

## ნორმას ნუ გადააჭარბებთ

ქალებისთვის ზომიერად ითვლება დღეში 150 მლ ღვინო, მამაკაცებისთვის — 300 მლ. ეს რაოდენობა ხელს უწყობს კარგი ქოლესტერინის ამაღლებას. ამით გულსა და სისხლძარღვებზე სასიკეთოდ მოქმედებს, მაგრამ თუ ადამიანი ზედმეტს სვამს, უკურეაქცია მოჰყვება: სისხლში ცხიმის დონე, სისხლის წნევა იმატებს. შესატყვისად, გულ-სისხლძარღვთა შეტევისა და ინსულტის რისკი იზრდება.

გარდა ამისა, ალკოჰოლი საკმაოდ კალორიულია. ერთი ბოკალი მშრალი წითელი ღვინო 100 კკალორიაა, ხოლო ტკბილი — 130 კკალორია. ღვინის უზმოზე ან გაზიან სასმელთან ერთად დალევა არ ღირს — თრობას აძლიერებს. მამაკაცებში სმისკენ ძლიერი სიყვარული-მიდრეკილება შეიძლება იმპოტენციით დამთავრდეს. სპირტის ბოროტად გამოყენება ტესტოსტერონის დონეს ამცირებს. მამაკაცური ჰორმონის მაგივრად ორგანიზმში გამომუშავებას იწყებს ქალური ტიპის ჰორმონი. ის მამაკაცს არამხოლოდ შიგნიდან, ასევე გარეგნულად ცვლის: იზრდება მკერდი, მუცელი, ფართოვდება თეძოები.

# აიურვედა სწორად კვების შესახებ

გემრიელი საჭმელი ყველას გვიყვარს, მაგრამ ასევე გვსურს, რომ ის სასარგებლოც იყოს. არსებობს სწორად კვების მრავალი სისტემა. ერთ-ერთი მათგანია ინდური წარმოშობის და აღმოსავლურ ფილოსოფიაში ფესვგადგმული აიურვედა.

აღმოსავლეთში საკვებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მასში სულიერ წყაროს, სასიცოცხლო ენერგიას პოულობდნენ. საკვები არამხოლოდ ანაყრებს, არამედ განსაზღვრულ ენერგეტიკას ფლობს. მასში ჩადებული ინფორმაცია პირდაპირ ქვეცნობიერში აღწევს. ამიტომ საჭმელი სიყვარულით, სუფთა აზრებით უნდა მომზადდეს.



ჭამა საჭიროა მაგიდასთან და აუცილებლად აუჩქარებლად. აიურვედა კატეგორიულად წინააღმდეგია ფეხზე ჭამის, მისთვის მიუღებელია ცნებები „წახემსება“, „წასაუზმება“. ასეთი საკვები არც სხეულს წაადგება და არც სულს. ოჯახური ტრაპეზი ლამაზი რიტუალი უნდა იყოს.

ჭამის დროს არ შეიძლება კამათი, ჩხუბი. არ ღირს უსიამოვნო თემების განხილვა. თბილი, კეთილსასურველი ატმოსფერო იმ დადებითი ენერგიის ნაწილს შეადგენს, რასაც საკვები უნდა ატარებდეს.

რაციონი ძირითადად მარცვლეულის, პარკოსნებისა და რძის პროდუქტებისგან უნდა შედგებოდეს. ორგანიზმს მისთვის აუცილებელი ცილა პარკოსნებისა და რძის მჟავე პროდუქტებიდან მიეწოდება. ხორცის დღე კვირაში მხოლოდ 1-2 უნდა იყოს.

მზის ჩასვლის შემდეგ არაფრის ჭამა არ ღირს, გამონაკლისია რძე. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ძილის წინ ერთი ჭიქა რძე ნერვებს ამშვიდებს და ძილს აუმჯობესებს. დილით 11 საათამდე ნახშირწყლები და შაქარი კარგად შეითვისება. ამიტომ იოგურტი და ხილი სასარგებლოა. სადილი არაუგვიანეს 14 საათისთვის დაგეგმეთ. ვახშამი უნდა იყოს მსუბუქი — მოშუშული ბოსტნეული, ერთი მუჭა თხილი.

ნუ მოამზადებთ რამდენიმე დღით ადრე. ეს ნებისმიერ საკვებს ეხება. მეორედ გაცხელებული როგორც სასარგებლო ნივთიერებებს, ასევე ენერგიას კარგავს. მნიშვნელობა აქვს გამაცხელებელ საშუალებას: მიკროტალღოვანი ღუმელი დადებითი ენერგიისთვის დამღუპველია.

რაც შეეხება სასმელებს, აიურვედას მიხედვით, სასარგებლო სასმელების დედოფალია წყალი. სანამ ჩაყლაპავთ, სითხე მთელ პირში მიმოატარეთ. გამხდრებმა მეტი წყალი უნდა დალიონ, მსუქნებმა — ნაკლები.

სასარგებლოა მწვანე და პიტნის ჩაი, ხოლო ყავა და შავი ჩაი ნერვულ სისტემას ხელოვნურად ასტიმულირებს. ეს ადამიანს თავის მართვაში ხელს უშლის და ასევე ორგანიზმში ენერგიის ბალანსს არღვევს.

აიურვედა უარყოფითად უდგება ალკოჰოლს, მაგრამ ადამიანებისთვის, ვისაც მის გარეშე არ შეუძლიათ, ნებადართულია წითელი ღვინო. ძალიან მავნეა ლუდი. მიჩნეულია, რომ ის ცნობიერებას ბილწავს და აზრობრივ პროცესებს აჩლუნგებს. გარდა ამისა, ლუდი ცუდ გავლენას ახდენს ღვიძლზე და ნივთიერებათა ცვლას აუარესებს. რაც შეეხება გაზიან სასმელებს — ერთმნიშვნელოვნად არარეკომენდებულია!

ნებისმიერ შემთხვევაში, სწორად კვებამ არ უნდა დაჩრდილოს მთავარი — ადამიანური ურთიერთობები. აიურვედა გვასწავლის, ირგვლივ ყველაფერს სიყვარულით მოვეპყრათ — ადამიანებს, ბუნებას, მიწის ძღვენს და საკვებს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გავიცნობ, ვეძებ

**sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 2 ნოემბერი, 17 საათი.**

## გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს ლამაზი სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 36 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 557960290. ლევანი

2. ვარ 30 წლის, ქერა, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, გათხოვილ, ლამაზ ქალს. შეხვედრებისთვის მაქვს ბინა. 557412499

3. გავიცნობ 25 წლამდე კარგ გოგოს სამეგობროდ. 598791218. დათო

4. გავიცნობ მარტოხელა ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 37 წლის, სიმპათიური, კეთილშობილი მამაკაცი. 595855661

5. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, მაქვს სამსახური. 557630647. ლევანი

6. გავიცნობ 30 წლამდე, კარგი გარეგნობის, თბილისელ გოგონას. ვარ არამსმელი, ჯანმრთელი და ენერგიით სავსე მამაკაცი, ყურადღებიანი, თბილი, დასაქმებული. 555450488

7. ვარ 30 წლის, დასაქმებული, მყავს მანქანა. გავიცნობ თბილისში მყოფ სიმპათიური ქალს ან გოგოს შეხვედრებისთვის. 555450614. არჩილი

8. გავიცნობ 35 წლამდე, თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 599931862. გელა

9. გავიცნობ 38 წლამდე, მშვიდ, ლამაზ, თბილისში მყოფ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 33/170/80. მშვიდი მამაკაცი. 551585530. გიორგი

10. ხანგრძლივი მეგობრობისთვის გავიცნობ 25-45 წლამდე, სიმპათიურ, სანდო, მოწესრიგებულ ქალს. ვარ დასაქმებული, მანქანით და შეხვედრის ადგილით. 593319266. ლევანი

11. გავიცნობ ქალს თბილისში მყოფს, შეხვედრებისთვის. 598189883

12. გავიცნობ გოგოს. ვარ 20 წლის. 557671054

13. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 555359781

14. იშვიათი შეხვედრებისთვის გავიცნობ რუსთავში ან თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ლამაზ ქალს. ვარ სანდო მამაკაცი. 551549963

15. ვარ 27 წლის, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 598990427

16. გავიცნობ 20-25 წლამდე თბილისელ გოგოს სამეგობროდ და შემდგომი ურთიერთობისთვის. 599499770. დათო

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. ვარ თბილისელი, ბინით უზრუნველოფილი, ერთგული, თბილი, 45 წლის მამაკაცი. 555431121

18. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც გვიან საღამოს ეცლება, სასურველია ცხოვრობდეს საბურთალოზე. 555195062. ირაკლი

19. გავიცნობ თბილისელ ან ახლომდებარე ქალაქიდან, სუფთა. არამსუქან, 26-დან 38 წლამდე ქალს, ჯერ სამეგობროდ. ვარ თბილისელი, 40 წლის მამაკაცი. 599334570. გიგი

20. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 557680016

21. სამეგობროდ გავიცნობ 40-დან 45 წლამდე ქალს. 557628493

22. გავიცნობ თბილისელ გოგოს. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის. 599909457. გია

23. სამეგობროდ გავიცნობ ქალს. მაქვს შეხვედრის ადგილი. 557738825. ნიკა

24. გავიცნობ 35 წლიდან ქალს, რომელს სურს გვერდით ჰყავდეს მშვიდი, წესიერი მამაკაცი. 557600892

25. გავიცნობ 25-დან 30 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის და სამეგობროდ. ვარ 29 წლის, დასაქმებული ბიჭი. 551202570. იკა

26. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, აჭარა, გურიასა და სამეგრელოში შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ, ჯანმრთელ გოგოს. 593973884. ლაშა

27. ვარ 39 წლის, უცოლო, წესიერი პიროვნება, ყველაფრით უზრუნველყოფილი, ნატრული ვარ, გავიცნო მეგობრულად, შემდეგ ოჯახის შექმნის მიზნით 29-დან 36 წლამდე მაღალი, მსუქანი, არანორმალური აღნაგობის, შავთმიანი, მეოჯახე, პატიოსანი, კარგი წარსულის, კარგ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი გოგო. 599156258

28. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 514006774. გიო

29. სამეგობროდ გავიცნობ შავგვრემან, შავთვალება ქალს სამეგობროდ, სასურველია იყოს მთიული, დუშეთის რაიონიდან. ვარ 45 წლის, მომწერეთ. 557631392. იაგო

30. ვარ 30 წლის, სიმპათიური, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სიმპათიურ, განათხოვარ 37 წლამდე ქალს. 555004073. ზურა

31. ვარ 35/195/80, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე სიმპათიურ, თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს. 599283161

32. გავიცნობ კარგი გარეგნობის 28 წლამდე გოგოს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 26 წლის. 557503047

33. ვარ თბილისელი, მიმზიდველი მამაკაცი, მყავს მანქანა. გავიცნობ მიმზიდველ გოგოს. 557509711. დათო

34. ვარ 35 წლის, უკომპლექსო მამაკაცი. გავიცნობ 30 წლამდე ქალს. 555723643

35. ვარ დაოჯახებული, დასაქმებული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ გოგოს. 557962960

36. გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ თბილი და ყურადღებიანი ბიჭი. 557930564

37. შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე ქალს. ვარ თბილისელი, ბინიანი, 45 წლის მამაკაცი. 555431121

38. შეხვედრებისთვის გავიცნობ სუსტი აღნაგობის 34-დან 40 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 44 წლის, დასაქმებული, სერიოზული მამაკაცი. 557538685

39. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, მაქვს სამსახური, ვარ სიმპათიური. 557630647

40. სამეგობროდ გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ქალოს. 598194501

41. 40 წლის, სიმპათიური, ცოლს გაცილებული, თბილისელი მამაკაცი ვიმეგობრებ თბილისში მცხოვრებ ქალთან. 555639450

42. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ 35 წლის თბილი და ყურადღებიანი, სიმპათიური მამაკაცი. 593050806

**2017**

43. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი. 574070310

44. გავიცნობ ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 557225259

45. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 25-40 წლამდე ქალს, ვინც თავს გრძნობს მარტოსულად. 557678311

46. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, სასურველია იყო რუსთავიდან. 557581696

47. ვარ 26 წლის მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს სამეგობროდ. 555109884

48. ვარ 27 წლის მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ ან რუსთაველ ქალს შეხვედრებისთვის, თუნდაც ბავშვიანს და ქმარს გაცილებულს. 598951103

49. გავიცნობ თბილისელ ან რუსთაველ ბინიან ქალს. ვარ დროებით ჩამოსული, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. 593493496. დათო

## გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე, თბილისში მცხოვრებ ქალს. 558270100

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, პატიოსან, არამატყუარა, 40 წლამდე ქალიშვილს, ვისაც უნდა თბილი, მყუდრო ოჯახი და შვილები. მხოლოდ დარეკვით. 558458530

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე გოგოს. ვარ სოფლელი. 577990578

4. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე, თბილისელ, სიმპათიურ, ერთგულ და დასაქმებულ გოგოს. 555020903

5. ვარ 30 წლის, სერიოზული, მოწესრიგებული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტოხელა გოგოს. 555290345

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ თბილისელი, სიმპათიური, ერთგული მამაკაცი. 557526058

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე ლამაზ, პატიოსან, ქალიშვილ, ოზურგეთელ გოგონას. 551974197

8. ვარ 37 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მართლმადიდებელ ქრისტიან, ქალიშვილ გოგოს, არა აქვს მნიშვნელობა, სად ცხოვრობს. 595539853. ვეფხია

9. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

10. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 25 წლამდე გოგოს. ვარ 25 წლის. 598703155

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე ქალიშვილ გოგოს, თბილისში ან რუსთავში მცხოვრებს. 595726053. ლუკა

12. გავიცნობ გოგოს ოჯახის შექმნის მიზანით. ვარ პატიოსანი და მშრომელი. 577990578

13. ახალგაზრდა, სიმპათიური, მარტოხელა, თბილისელი მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35-წლამდე ქალს. 558270100

## გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 37 წლის, გასათხოვარი, დადებითი თვისებებით, ვმუშაობ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-40 წლამდე თბილისელ, დამოუკიდებელ, დასაქმებულ, ბინიან მამაკაცს. 555197572. მარი

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, გამხდარ 30-35 წლამდე ბიჭს. 555422547

3. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს თბილისში მცხოვრებმა, ინტელიგენტმა, უმაღლესი განათლებით, 38-50 წლამდე მამაკაცმა. ვარ მაღალი, პროფესიით ექიმი. 557701130

4. ვარ 20 წლის, ქმარს გაშორებული. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე მუსლიმან, პატიოსან, ერთგულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. 557302824

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ მამაკაცს. 555354360

## გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი. ვეძებ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

2. ვარ 46 წლის, თბილისელი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლის ზემოთ, თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს. ზარებს არ ვპასუხობ. 593399019

3. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

# მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, ჩემო უსაყვარლესო მეუღლევ, როგორ ხარ? შენი ყოველი ნახვა სიცოცხლეს მიბრუნებს და იმედი მეძლევა, რომ ყველაფერი კარგად გვექნება. მიყვარხარ, ჩემი სუთნქვა ხარ და თავს გაუფრთხილდი, თუ გინდა, რომ მე კარგად ვიყო, შენ უნდა იყო კარგად. არაფერზე არ ინერვიულო და როგორც შენ გენდომება, ისე გავაკეთებთ ყველაფერს. მენატრები. შენი ჩახუტების იმედით ვსულდგმულობ. მიყვარხარ ყველაფერზე მეტად.

პაჩანიკა, ჩემო სიცოცხლე, იმედიანად იყავი, გული არ გაიტეხო, მე სულ შენთან ვარ და ვიქნები. მიყვარხარ.

შალვა, ჩემო ერთადერთო, ხომ იცი, რაც არ უნდა იყოს, შენთან ვარ, უსაზღვროდ მიყვარხარ, არც ვიცოდი, რომ ამისთანა სიყვარული არსებობს. როგორ მინდა, იმ ლამაზ თვალებზე გაკოცო, ჩაგეხუტო, თითო თმის ღერზე მოგეფერო! გახსოვს: ვლოცულობ ღამით, რომ შენ აქ იყო, თუნდაც რომ წამით! გკოცნი წამწამებზე. ანჟელიკა

**თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 2 ნოემბრის 17 საათამდე. ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება! ერთი ადრესატისადმი მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება**



Cyan Magenta Yellow Black



## ელისო ჩაფიძე: „ჩემი ქმარი ისეთი მუხლით არის ნასამართლევი, რომ ვამაყობ. ის სააკაშვილის რეჟიმს უწევდა წინააღმდეგობას".

←18 ფაბრიკაციასთან, რასაც მე გამოვრიცხავ, ეს გამოძიებამ უნდა დაადასტუროს. ეს დადასტურდება მას შემდეგ, რაც დაკითხავენ იმ პირებს, ვისი რეზოლუციებიც ადევს ამ ყველაფერს — დათა ახალაიასი, სოსო თოფურიძის, მეგის ქარდავასი და გია დგებუაძის. მივესალმები, თუ გამოძიება მათ ჩამოიყვანს, დააკავებს და სიმართლის გარკვევას დაიწყებს. სხვა შემთხვევაში ჩემთვის ეს საქმე გამოძიებული არ იქნება. გამიხარდება, თუ პროკურატურა 23 000 საჩივარს გვერდით გადადებს და დავით საგანელიძის და ანი მიროტაძის საჩივარს განიხილავს.

ელისო ჩაფიძემ გაზეთა კომენტარი და ჩემზე თქვა, როგორ მიაქვს ჰონორარი სახლშიო. დიდი ბოდიში, მაგრამ ელისო ჩაფიძეს ურჩევნია, საკუთარ შვილებზე ინერვიულოს. ჩემს შვილებს მამა ჰყავთ და ჩემი ჰონორარები არაფერში სჭირდებათ. მეორეც, ჩაფიძის ქმარი ორჯერ ნასამართლევი ნარკომანია და ამჟამად მეტადონის პროგრამაში ზის. ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, ვიდრე ჩემს ჰონორარზე და გაზეთის ტირაჟზე ზრუნვა. ვერიდები ხოლმე პიროვნულ შეფასებებს, მაგრამ მას მარტივად შეეძლო, დაედასტურებინა თავისი თანამშრომლობა სპეცსამსახურებთან ან უარი ეთქვა. სხვათა შორის, ელისო ჩაფიძესაც ვურეკავდით და ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მერე კი ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა.

■

ელისო კილაძისგან განსხვავებით, „სარკეს" არც ანი მიროტაძესთან და არც ელისო ჩაფიძესთან დაკავშირება არ გასჭირვებია. გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორის ყოფილი მოადგილე, პარლამენტის დეპუტატი ელისო ჩაფიძე მის შესახებ გავრცელებულ კომპრომატს იუმორით აღიქვამს, ხოლო მის ქმარზე ნათქვამის პასუხად ელისო კილაძეს საკუთარი ძმისა და შვილის ნარკომანობას შეახსენებს.

**ელისო ჩაფიძე:** არასერიოზულად მიმაჩნია ეს ყველაფერი და, მართალი გითხრათ, კარგად ვიხალისე. ბევრად სერიოზული პრობლემებით ვარ დაკავებული, ვიდრე ე.წ. ჟურნალისტის მიერ შეთითხნილ მასალებზე პასუხის გაცემაა. ელისო კილაძეს იმის სიამოვნებას ვერ მივანიჭებ, რომ მასთან სამართლებრივ დავაში ჩავერთო. თუმცა თუ პროკურატურა შეისწავლის ამ საკითხებს, კარგი და სასარგებლო იქნება, პირველ რიგში, ქართველი საზოგადოებისათვის.

მე რაც ვნახე, იმ დოკუმენტზე ხელმოწერა ნამდვილად ჩემია, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჰგავს ჩემსას, მაგრამ მაინტერესებს, ჩემ მიერ კუდ-ისთვის მიწოდებული ინფორმაციები ხელით მაქვს დაწერილი თუ არა. თუ ამასაც მეტყვის ქალბატონი ელისო კილაძე, მოხარული ვიქნები და, იმედია, რაიმე სასიამოვნო და რომანტიკულ სფეროს შემირჩევდნენ.

**— ელისო, ანი მიროტაძემ პროკურატურაში იჩივლა. თქვენ არ ჩივით?**

— ანიზეც დაწერეს, რომ კუდ-ის აგენტია? ანი პროპორციული სიით გასული დეპუტატია. მას, მართალია, ბევრი საქმე აქვს, მაგრამ მე ტყიბულის პრობლემების მოგვარებით ვარ დაკავებული და დრო საერთოდ არ მაქვს. თუ კოლექტიური საჩივარი დაიწერება, კარგი იქნება, რადგან დროის დაკარგვა მენანება. ქალბატონი კილაძე წლებია შავბნელ საქმიანობას ეწევა. საიდან აქვს ასეთი საოცარი ინფორმაციები? თავის დროზე ვიყავი მომხრე, რომ მომხდარიყო ცილისწამების მუხლის დეკრიმინალიზება, მაგრამ ახლა ბევრი კითხვის ნიშანი მიჩნდება იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ამ მუხლის ამოღება საჭირო.

ეს არის ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის დაკვეთა, რომ როგორმე „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩინონ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არავითარი მალალჩინოსნების მიწოდებული ეს არ არის და გახლავთ ძალიან დაბალი დონის ფაბრიკაცია.

ბევრმა ახლობელმა მისაყვედურა, როცა ჩემს ქმარზე ტყუილები დაწერა და სარჩელი არ შევიტანე. სწორედ ამის გამო გათამამდა ელისო კილაძე. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ უფრო ადვილი იყო ჩემთან დაკავშირებით სიყალბის წერა. პროკურატურა გამოიძიებს ყველაფერს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველაფერი, რაც კილაძემ ჩემსა და ჩემს ოჯახთან დაკავშირებით დაწერა, აბსოლუტური სიცრუეა! სწორედ მას მოეთხოვება პასუხი მიზანმიმართული პროვოკაციებისათვის.

8-9 წელია, „რეზონანსის" რედაქციიდან არ გამოვსულვარ და რა საიდუმლო ინფორმაცია შეიძლებოდა მქონოდა?! ნეტავ, ჩემი საქმეებისთვის მიმახედვინა და ასეთ ავყია დედაკაცთან სასამართლოში არ მატარა. ასეთ შეურაცხყოფას ჩემს თავს ვერ მივაყენებ.

**— რადგან თქვენი მეუღლის ნასამართლეობაზეა საუბარი, იქნებ განგვიმარტოთ ჩვენს მკითხველებს, რის გამო გაასამართლეს.**

— კუდ-ისადმი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააპატიმრეს. საუბარი იყო „მორკინალის" დათმობაზე. ყველა ცნობა არსებობს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. როგორც მითხრეს, ელისო კილაძის მამა, ძმა და შვილი ნასამართლევები არიან სწორედ ნარკოტიკების მიღება-გასაღების ბრალდებით. ჩემი ქმარი ისეთი მუხლით არის ნასამართლევი, რომ ვამაყობ. ის სააკაშვილის რეჟიმს უწევდა წინააღმდეგობას. ელისო კილაძემ დაწერა, ოთხჯერ არის ნასამართლევიო, რაც ტყუილია. 2010 წელს დააკავეს და აიძულებდნენ, რომ „მორკინალი", რომლის გენერალური დირექტორიც გახლდათ, გადაეფორმებინა სხვაზე. როგორც პოლიტპატიმარი, ამნისტიის შედეგად გამოვიდა ციხიდან. სპორტსმენია, კალათბურთელი. ეწევა ცხოვრების ჯანსაღ წესს და დილიდან საღამომდე ჩემ გვერდითაა.

■

სამართალმცოდნე, წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, დიმიტრი ლორთქიფანიძე აუცილებლობად მიიჩნევს ამ სკანდალური საქმის გამოძიებას და იმ მომენტებს გამოყოფს, რაზეც პროკურატურამ ყურადღება უნდა გაამახვილოს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** ეს ინფორმაცია კონკრეტული პიროვნებების სერიოზულ დისკრედიტაციას ახდენს და ყველას აინტერესებს, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს. საინტერესოა, რა კონკრეტულ მტკიცებულებებს, რა წყაროს ეყრდნობა ელისო კილაძე გარდა იმ ქსეროასლებისა, რომლებიც, როგორც თავად ამბობს, მას კონკრეტულმა წყარომ გადასცა. თავად კილაძეც ითხოვს, მოხდეს აღნიშნულის გამოძიება. თუ საუბარია იმაზე, რომ საიდუმლო ინფორმაციის უკანონო გასაჯაროება მოხდა, უნდა დაიწყოს გამოძიება და პროკურატურამ უნდა იმსჯელოს, რამდენად რეალურია ეს ქსეროასლები.

კილაძე ამბობს, რომ სპეციალისტებს აჩვენა და ფოტოშოპები და სხვა კომპიუტერული შესაძლებლობები გამორიცხულია. ამაში ვერ დაგეთანხმები. ნებისმიერი იურისტი დამემოწმება, რომ ქსეროასლი არ წარმოადგენს კვლევის საგანს ექსპერტიზისთვის, რომელმაც ავთენტურობა უნდა დაადასტუროს. გამოძიება, პირველ რიგში, უნდა დაინტერესდეს, არის თუ არა ეს ორიგინალი მასალის ასლები და რატომ და ვის მიერ მოხდა მათი გასაჯაროება.

ელისო კილაძე ამბობს, რომ აქვს ვიდეოფაილები, რომლებიც კავშირშია ამ პოლიტიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეთა გადაბირებასთან. მაინტერესებს საქართველოს პროკურატურის პოზიცია, რადგან ეს არის სულისშემძვრელი ინფორმაციები, რამაც შესაძლოა თითოეულ ამ ადამიანზე ძალიან მძიმე შედეგი იქონიოს. მათ უკან დგანან ოჯახის წევრები, ახლობლები, ნათესავები და ყველა დაინტერესებულია, რომ ამ ყველაფერს ფარდა აეხადოს. თუ ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ განხორციელებული შავი პიარის შემცველი კამპანია იყო, მაშინ ამის ორგანიზატორსაც და შემსრულებელსაც პასუხი უნდა მოეთხოვოს. თუ აღმოჩნდა, რომ ეს შავი პიარი კი არა, ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაციაა, რომელიც სიმართლეს შეესაბამება, რა თქმა უნდა, პოლიტიკური შეფასების დროც დადგება სამართლებრივთან ერთად.

მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ და უნდა მოვითხოვოთ პროკურატურისგან ამ საკითხის მოკვლევა და პირველადი ინფორმაცია მაინც მივაწოდოთ საზოგადოებას. აქ საუბარი არ არის მხოლოდ სპეცსამსახურთან თანამშრომლობის საკითხზე, არამედ, როგორც ირკვევა, ისინი ჩართულნი იყვნენ აგენტურულ ქსელში ნებაყოფლობით, რაც სერიოზული ინტერესის საგანია თითოეული ჩვენგანისთვის. ამ დოკუმენტების არც სიყალბეს და არც ნამდვილობას არ გამოვრიცხავ. თუმცა მსგავსი ტიპის ბრალდება გამყარებული უნდა იყოს მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით. თუ ჟურნალისტმა მოიპოვა ასეთი ინფორმაცია, მაშინ ოფიციალური ორგანოები ვალდებულნი არიან, დაიწყონ მოკვლევა და საზოგადოებას ამცნონ, ნამდვილია თუ არა. თუ აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტები ნამდვილი არ არის, უნდა მოხდეს დაზარალებულსა და ცილისმწამებელს შორის ურთიერთობის გარკვევა. თუ აღმოჩნდა, რომ ეს დოკუმენტები ნამდვილია და იმ პირმა, ვისაც სამსახურების დონეზე ეკისრებოდა მსგავსი ინფორმაციის დაცვა, ეს არ გააკეთა, მის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

✓ **რუსუდან ადვაძე**


გაციების პირველივე ნიშნებისას

მიიღეთ

ტაიქოლდი

კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black



# თუ გვიყვარს ღმერთი, ვცდილობთ ცოდვებისგან თავშეკავებას, ამას კი მოჰყვება წყალობა ღვთისა

## ხსენება წმინდისა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსისა, „დიდი კანონის“ შემქმნელისა

ეკლესიას ყოველთვის ჰყავს და ეყოლება დიდი და მსოფლიო მასშტაბით საყოველთაოდ ცნობილი წმინდანები, რომელთაც ისეთი ნაშრომი დატოვეს ან ისეთი რამ მოიმოქმედეს, რომ მათ სახელებს მსოფლიო ეკლესია საუკუნოდ, ვიდრე მეორედ მოსვლამდე შემოინახავს.

დღესაც სწორედ ასეთ წმინდანებზე შევაჩერებთ ჩვენი მკითხველის, მორწმუნე საზოგადოების ყურადღებას. ეს გახლავთ წმინდა ანდრია კრიტელი მთავარეპისკოპოსი, რომელიც დაიბადა 680 წელს. მისი სამშობლო იყო ყველასთვის ცნობილი დამასკო. ის კრიტელთან ერთად იერუსალიმელადაც მოიხსენიება და ამ დეტალებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

წმინდანის მშობლები ღვთისმოსავი, კეთილშობილებით გამორჩეული გიორგი და გრიგორია ყოფილან. წმინდანი 7 წლის ისე გამხდარა, რომ ხმა საერთოდ არ ამოუღია. ყველას მუნჯი ეგონა და ამის გამო უზომოდ წუხდნენ მისი მშობლები, რომელთა ერთადერთი ნუგეში იყო ღმერთი. 7 წლისთავზე წმინდანი ტაძარში მიიყვანეს საზიარებლად და ღვთის ამოუცნობი სასწაულის მომსწრე შეიქნა ყველა, ვინც კი საღმრთო ლიტურგიას ესწრებოდა. იმ დღის შემდგომ უკვე პატარა ანდრია სკოლაშიც მიუყვანიათ, სადაც განათლებას იღებდა სხვა ბავშვების მსგავსად.

ანდრია გასაოცრად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ყოფილა. მასწავლებლები გაოცებულები იყვნენ, ისე სწრაფად ითვისებდა ყველა საგანს. განსაკუთრებით ფილოსოფია იტაცებდა ბავშვობიდანვე. კარგი მასწავლებლების ხელში მოხვედრილი კარგი შეგირდი განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდა, რის გამოც ძალიან მალე ბრძნადმეტყველიც კი იყო. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ყველას მუნჯი ეგონა.

ანდრია სიყმაწვილის წლებშივე დიდი ინტერესით ცდილობდა, საღვთო წერილის და წმინდანთა ნაშრომების შინაარსს ჩასწვდომოდა. ამ ყველაფერმა ისე გაიტაცა, რომ სხვა აღარაფერი აინტერესებდა საღვთო განგებულების გარდა. მთელი სამყაროს სიბრძნე ახალგაზრდა ანდრიას ცნობიერებაში სამყაროს შემოქმედი ღმერთის ირგვლივ ბრუნავდა.

ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებული ნამდვილად არ იყო, რადგან ყველას ახსოვდა ის სასწაული, რომელიც რამდენიმე წლის წინ საღმრთო ზიარების შემდგომ აღსრულდა ტაძარში და წმინდანი ალაპარაკდა. ეს ყველაფერი თვითონაც კარგად ახსოვდა და ყოველდღე მადლობას სწირავდა ღმერთს იმისათვის, რაც მის ცხოვრებაში მოხდა.

ჭაბუკმა, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ანდრიამ გაანდო მშობლებს, რასაც ფიქრობდა და უთხრა, თუ წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ, ღვთისთვის შეეწირათ და მიეცათ იმის ნება, რომ ღვთისთვის მიეძღვნა თავისი თავი. მშობლებიც ქრისტიანები იყვნენ და შვილის ამგვარი თხოვნა არ გაჰკვირვებიათ. მიიღეს გადაწყვეტილება და მაცხოვრის ყოვლადწმინდა საფლავის მცველთა გუნდში ჩარიცხეს.

ამ დროს იერუსალიმის პატრიარქი იყო უწმინდესი, საღმრთო მადლით აღსავსე ადამიანი, სახელად თეოდორე, რომელმაც დიდი სიხარულით მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ ახალგაზრდა წმინდანი და თავისი სულიერი შვილების გუნდში ჩარიცხა. ძალიან მალე ახალგაზრდა ანდრიამ ყველას დაანახვა თავისი თავდადება და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ამ გზით სურდა სიარული. ამისათვის კი პატრიარქმა თეოდორემ მონაზვნის ანგელოზებრივი სქემით შემოსა.

წარემატებოდა ახალგაზრდა მონაზონი შორის სათნოებათა და ქველის საქმეთა. ახლა უკვე დიაკვნად დაასხა ხელი პატრიარქმა და ყველას მოუთხრობდა, რომ მაგალითი ყოფილიყო ახალგაზრდა მონაზონი ყველასთვის ასაკის მიუხედავად. წმინდა პატრიარქმა მიაბარა სული თვისი უფალს და მღვდლად აღარ დაუსხამს ხელი წმინდა ანდრიასთვის. ასე დარჩა წმინდანი იერუსალიმის ეკლესიის ეკონომოსი, ვიდრე ახალი პატრიარქი აღსაყრდებოდა იერუსალიმის ტახტზე.

წმინდა ანდრია განაგებდა იერუსალიმის ეკლესიას. მას ასაკი არ აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ იერუსალიმის პატრიარქი გამხდარიყო. რეალურად ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ბერდიაკონი ანდრია იღებდა, თვითონ განკარგავდა ყველა ფინანსურ და ეკონომიკურ შეთანხმებას ეკლესიის საკეთილდღეოდ. ყველა იმდროინდელი პროგრესული სიახლის ღვთივსულიერი ნოვატორი იყო წმინდა ანდრია.

ეს იყო დრო, როდესაც მეფე კონსტანტინემ, მეფე ირაკლის შვილიშვილმა კონსტანტინეპოლში მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვია, რომელიც მიმართული იყო მონოთელიტების ერთ-ერთი მწვალებლობის წინააღმდეგ. კრებამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა მონოთელიტობას და მსოფლიო ეკლესიებს ეუწყათ ამის შესახებ, მათ შორის იერუსალიმის ეკლესიასაც. ამგვარი დადგენილების გამოქვეყნება იყო ძალიან კარგი, რადგან ერეტიკოსებს ხალხი ხშირ შემთხვევაში შეცდომაში შეჰყავდათ. ახლა კი კრების დადგენილება იცოდა ხალხმა კონკრეტული სწავლების შესახებ.

იერუსალიმის ეკლესიაც უერთდებოდა კრების გადაწყვეტილებას, ამიტომ გახდა კონსტანტინეპოლში ჩასვლა აუცილებელი და ადგილზე ამ ყოველივეს ოფიციალური დადასტურება. იერუსალიმის ეკლესიამ ეს მისია მიანდო სწორედ წმინდა ანდრიას, რომელიც ორ სასულიერო პირთან ერთად ჩავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც მსოფლიო კრებაზე იერუსალიმის ეკლესიას წარმოადგენდა.

კრების დასრულების შემდგომ წმინდანი იერუსალიმში აღარ დაბრუნებულა, რადგან კონსტანტინეპოლში დარჩენა და მონაზვნური მოღვაწეობის გაგრძელება ამჯობინა. ის სასულიერო პირები კი, რომლებიც ახლდნენ, დაბრუნდნენ და მოახსენეს ადგილობრივ ეკლესიას წმინდა ანდრიას გადაწყვეტილება. განმარტოვდა ანდრია კონსტანტინეპოლის მახლობლად და მთელ დროს საღვთო წერილის კითხვაში, ანალიზში, მყუდროებაში, მარხვასა და ლოცვაში ატარებდა.

იმ რეჟიმის შემდეგ, როგორშიც წმინდა ანდრია იერუსალიმის საპატრიარქოში ცხოვრობდა, ახლა ნამდვილ ნეტარებაში იყო — აკეთებდა საქმეს, რომლისთვისაც მოწოდებული იყო, რაც სიამოვნებდა, ყველა ამქვეყნიური საზრუნავისგან თავისუფალი იყო. სამწუხაროდ, ეს დრო დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგან მაშინ ასეთი შესაძლებლობების მქონე ადამიანი, რომელიც ეკლესიის მოწყობის და განვითარებისთვის იყო საჭირო, ძალიან ცოტა ჰყავდა ეკლესიას.

წმინდა ანდრიას მადლმოსილება და შესაძლებლობები არც სამეფო კარს დარჩა შეუმჩნეველი და არც ეკლესიის მმართველობას და აიძულეს კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმართვა, რომ მის აშენება-აღორძინებაში ჩაბმულიყო და თავისი უდიდესი შესაძლებლობები ეკლესიის განმტკიცებისთვის გამოეყენებინა. წმინდანმა შექმნა ისეთი ფინანსური მექანიზმი, რითაც შესაძლებელი გახდა მოხუცების, უდედმამო ბავშვებისა და ავადმყოფების უზრუნველყოფა.

იმ დროსაც და დღესაც ასეთი ქმედება იყო და არის სათნოების მწვერვალი. ვინც გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება, პირველ რიგში, ის ეხმარება საკუთარ თავს და ამის შემდეგ სხვას. მალე დღის წესრიგში დადგა წმინდა მამის დაწინაურების საკითხი. მისი შესაძლებლობები სცილდებოდა იმ საქმეებს, რასაც ის აკეთებდა, ამიტომ გამოარჩიეს ეპისკოპოსად და დაადგინა ეკლესიამ ცნობილი კუნძულის, კრიტის მთავარეპისკოპოსად.

სწორედ ამ კუნძულის სულიერი აღორძინება და სიმტკიცე, ეკლესიის განვითარება და ძლევამოსილება უკავშირდება წმინდა მამის სახელს. ის, რაც დღეს კუნძული კრიტია, წმინდა მამის, ანდრიას დამსახურებაა. პირველი, რაც კუნძულზე ჩასულმა ახალმა მღვდელმთავარმა გააკეთა, ის იყო, რომ ადგილობრივი საეკლესიო კრება მოიწვია, იქაურ სამღვდელოებას შეხვდა და მათი და მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება გაარკვია, მათი მატერიალური თუ სულიერი მდგომარეობა.

წმინდანს ესმოდა, თუ რა იყო მღვდელმთავრის უპირველესი მოვალეობა. უსმენდა





Cyan Magenta Yellow Black

ხალხსაც და სამღვდელოებასაც და პრობლემები თავისდაუნებურად გვარდებოდა. როცა ჰარმონია არსებობს ერსა და ეკლესიას შორის, მაშინ უფალი დგას ჩვენ შორისო, ხშირად იმეორებდა წმინდა მამა. „მღვდელი უნდა ემსგავსოს სარკეს და ეს ხდება მაგალითი. თუ ჩვენ პირნათლად ვასრულებთ იმას, რისთვისაც ვართ მოწოდებულნი, ხალხი არასოდეს დადგება სხვა მხარეს. თუ ერთმანეთის არ გვესმის, ვერასოდეს აღორძინდება ვერც ეკლესია და ვერც ხალხი, ცალ-ცალკე ეს წარმოუდგენელია. მღვდლისთვის უმთავრესია, იცოდეს მღვდლობა, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. მღვდელს მღვდლობა მიანიჭებს საღვთო ნათელს, მღვდელს ისე არაფერი ეხმარება, როგორც მღვდლობის ცოდნა".

წმინდანი თვითონ იყო ღვთისმსახურების მაგალითი, დააარსა მონასტრები და დადგინდა ღვთისმსახურების საზოგადო შინაგანაწესი. ყველა ემსახურებოდა საზოგადო წესს და აღიკვეთა ქაოსი და გაუგებრობა, რაც მანამდე იყო გამეფებული კუნძულ კრიტზე. გარდა ღვთისმსახურებისა, ქრისტიანები მღვდლისგან ისმენდნენ ღვთის სიტყვას. ზნეობრივად აღორძინდა კუნძულის მოსახლეობა, ეძებდნენ იმ გზებს, რაც კუნძულზე მცხოვრებთათვის იყო უმთავრესი. ამ ყოველივეს კი წმინდანი თავის სამღვდელოებასთან ათანხმებდა. ცალკე დროს უთმობდნენ ბავშვებთან ურთიერთობას, ცალკე დროს ახალგაზრდებთან, ცალკე ხანდაზმულებთან და ღვთის კურთხევამ არ დააყოვნა.

წმინდა მამა ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. გამოსცა არაერთი ეკლესიისათვის აუცილებელი ნაშრომი თუ სწავლება. მარტო დიდმარხვაში საკითხავი ცნობილი ანდრია კრიტელის საგალობლების ტექსტი რად ღირს, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. წმინდა ანდრია იმ მსოფლიო მნიშვნელობის ჰიმნოგრაფების რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც მსოფლიო მართლმადიდებლობას შემოუნახეს უკვდავი საგალობლები. ამ გზით წმინდა მამა არა მარტო კრიტის სულიერი მოძღვარი იყო, არამედ უკვე მსოფლიო ეკლესიის საკუთრება გახდა და ასე იქნება უკვდავყოფილი მისი სახელი, ვიდრე იარსებებს კაცობრიობა და მართლმადიდებლობა.

წმინდა ანდრია ხშირად თვითონ უვლიდა ავადმყოფებს, უდიდესი სიყვარულით ემსახურებოდა თითოეულ მათგანს, ამიტომ მოჰმადლა უფალმა ღმერთმა ნიჭი სიბრძნისა და გონიერებისა, ნიჭი მოყვასის სიყვარულისა და ნიჭი ღვთისა. წმინდანი კუნძულელებისათვის ნამდვილი მზრუნველი მამა იყო. მთელი სისავსით შეგვიძლია ვთქვათ წმინდა მამაზე, რომ იყო მწყემსმთავარი ჭეშმარიტი.

არ იქნება სწორი, თუ რამდენიმე სასწაულს მაინც არ გავიხსენებთ წმინდა მამასთან დაკავშირებით, რომლებიც ღვთის მადლით და წმინდა ანდრიას ხელით აღესრულებოდა. სასწაულების თხრობით კიდევ უფრო კარგად და გონივრულად შევაფასებთ წმინდა მამის ღირსებას, რითაც დაჯილდოებული იყო ღვთისაგან.

ერთხელ ბარბაროსებმა განიზრახეს კუნძულ კრიტის დაპყრობა და მიწასთან გასწორება. კუნძული დაიპყრეს, მაგრამ სხვა ვერაფერი დაუშავეს ამის მეტი, რადგან წმინდა მამის ლოცვით არა მარტო შეჩერდნენ გამხეცებული ბარბაროსები, არამედ წმინდა მამამ იმდენი მოახერხა, რომ მტერი დაატყვევა სიბრძნით. ღვთისგან ნაჩუქარი მოკაზმული სიტყვით ისეთი შიში ჩანერგა მტრის გულში, რომ თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოვარდნია ვინმეს. ისინი არავის გაუყრია კუნძულიდან, ნელ-ნელა არაორგანიზებულად მიდიოდნენ და დაისაჯნენ, რადგან უმრავლესობა აღელვებულმა ზღვამ შთანთქა, ნაწილი კი ქრისტიანებთან შეტაკებისას ამოწყდა. რომ არ ყოფილიყო წმინდა ანდრია, კუნძულს განადგურებისგან ვერაფერი იხსნიდა.

იყო კიდევ ასეთი შემთხვევა: კუნძულს გვალვის გამო განადგურება ემუქრებოდა. თუ ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდებოდა საშინელი სიცხეები, ყველაფერი, რაც კი ცოცხალი იყო კუნძულზე, გახმებოდა. მცხოვრებლები კი, მოსავლის გარეშე დარჩენილები, შიმშილით სიკვდილისთვის იყვნენ განწირულები. გამოსავალს ისევ წმინდანმა მიაგნო. აღაპყრო ხელები ზეცად და შეჰღაღადა უფალს. უფალმაც თავისი ღირსეული შვილის ლოცვა შეისმინა და ისეთი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, რომ მთელ კუნძულზე სიცოცხლის სურნელი დატრიალდა. წმინდა ანდრია ხალხთან ერთად უზომოდ ბედნიერი იყო და ჰმადლობდა მოწყალე ღმერთს აღსრულებული სასწაულისთვის.

ისევ სასწაულზე შევჩერდებით: კუნძულზე მალარია გაჩნდა და ხალხი ერთიმეორის მიყოლებით იხოცებოდა. ადგილობრივები შიშმა და უიმედობამ მოიცვა, რადგან საშველი არსაიდან ჩანდა. მათი ერთადერთი ნუგეში ისევ მათთვის უსაყვარლესი მწყემსმთავარი, წმინდა ანდრია იყო, რომელმაც ცრემლებით ითხოვა უფლისგან, აერიდებინა მისი სამწყსოსთვის ეს საშინელება. სასწაულმა არ დააყოვნა და მეორე დღესვე შეწყდა ავადმყოფობა.

იმდენად დიდია ამგვარი სასწაულების რიცხვი წმინდანის ცხოვრებაში, რომ მათი ჩამოთვლა, უბრალოდ, შეუძლებელია, რადგან ამას ტომებიც კი არ ეყოფა. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ, როდესაც კრიტიდან აუცილებელ საქმეზე კონსტანტინეპოლში გაემგზავრა, უდიდესი პატივით მიიღეს სამეფო ქალაქში წმინდანი. ადამიანები მისი მხოლოდ ნახვითაც კი იღებდნენ შვებას. პატრიარქიც, მეფეც, დიდებულებიც, ყველა ბედნიერი იყო წმინდა ანდრიას კონსტანტინეპოლში ყოფნით.

ყველაფერს აქვს დასასრული და წმინდა მამამ თავისი აღსასრული წინასწარ განჭვრიტა, ვიზიტი დროზე ადრე შეწყვიტა და რაც შეიძლება მალე სამწყსოსთან დაბრუნება გადაწყვიტა. უნდოდა, თავის ეპარქიაში აღსრულებულიყო და არა მის გარეთ. ავიდა გემზე, რომელიც კრიტზე მიიყვანდა, მაგრამ როცა კუნძულ მიტილინს მიუახლოვდა, მოულოდნელად ეკიპაჟმა გემის ცოტა ხნით იქ გაჩერება გადაწყვიტა.

წმინდანმა იკითხა, თუ რა ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც იმყოფებოდნენ. უპასუხეს, ერეოსს უწოდებენო. წმინდა ანდრიამ კი მიუგო: „აქ, ამ ადგილას უნდა დავუბრუნო უფალს თავისივე ხატება, რომელიც მომცა თვითონ, როცა შთამბერა სიცოცხლის სული. ვგრძნობ, აქ, ამ ადგილას მივებარები ისევ ჩემს უფალს საუკუნოდ".

ასეც მოხდა, სახე გაებადრა სიხარულისა და ბედნიერებისაგან. საღვთო მადლით აღვსილი უსაზღვრო სიხარულს აფრქვევდა გარშემო მყოფებში, ვინც კი შეესწრო ამას. წმინდა მამის წმინდა ნაწილები წმინდა მოწამე ანასტასიას სახელობის ტაძარში გადაასვენეს. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, დღემდე იქ უნდა იყოს მორწმუნე ქრისტიანების სანუგეშოდ, როგორც უძვირფასესი საუნჯე, რომელიც არის მკურნალი და აღმავსებელი საღვთო მადლით ჩვენ ცოდვილთა.

**ქრისტესმიერი სიყვარულით, პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# წმინდა უვერცხლონი კოზმა და დამიანე — ქრისტიანული ოჯახების სიწმინდის და სიმტკიცის მცველი ძმები

## „წმინდანი ძმებისადმი აღვლენილი ლოცვებით სნეულები ახლაც იკურნებიან"

30 ოქტომბერს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა უვერცხლონის, ღვიძლი ძმების, კოზმასა და დამიანეს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმინდანები საეკლესიო ისტორიაში უფლისგან მინიჭებული მკურნალობის ნიჭით შევიდნენ, რომელსაც უანგაროდ იყენებდნენ. ისინი III საუკუნის მოღვაწენი არიან. მათ სიცოცხლეშივე გაითქვეს სახელი და თვით რომის ერთ-ერთი იმპერატორიც ქრისტეს მიმდევარი გახადეს. ამის გამო მათი მასწავლებელი მომაკვდინებელმა ცოდვამ — შურმა — შეიპყრო და საკუთარი მოწაფეები მოკლა. წმინდა კოზმამ და დამიანემ სიკვდილის მერეც მრავალი სასწაული აღასრულეს. მათ ქრისტიანული ოჯახების მფარველ წმინდანებად მიიჩნევენ.

იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) წმინდანების ცხოვრებისა და მომაკვდინებელი ცოდვის, შურის შესახებ გვესაუბრება.

— **მამაო, განგვიმარტეთ, წმინდა კოზმასა და დამიანეს რატომ ეწოდებათ უვერცხლონი.**

— წმინდანი უვერცხლონი, კოზმა და დამიანე, ღვიძლი ძმები იყვნენ. ცხოვრობდნენ ქალაქ რომში. ქრისტიანმა მშობლებმა ღვთისმოშიშებით აღზარდეს შვილები და მკურნალობის ხელოვნება ასწავლეს. კეთილმსახურებით გამორჩეული კოზმა და დამიანე უფალმა სასწაულებრივი

**„წმინდანები მკურნალობდნენ არამარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც. მუდამ ახსოვდათ მაცხოვრის სიტყვები: „უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით" და გაწეული დახმარებისთვის არანაირ საზღაურს არ იღებდნენ, რისთვისაც ხალხმა მათ უვერცხლონი შეარქვა".**

კურნების ნიჭით დააჯილდოვა. ისინი უსასყიდლოდ წამლობდნენ ავადმყოფებს და ეუბნებოდნენ: „ჩვენ საკუთარი ძალებით კი არ ვკურნავთ სნეულებს, არამედ უფლის სახელით. ირწმუნეთ ქრისტე და განიკურნებით". როცა მშობლებისგან მდიდარი მემკვიდრეობა მიიღეს, მათ ქონების გაყიდვა და გლახაკთა დახმარება დაიწყეს. თავიანთი სიკეთით, გულმოწყალებითა და უანგარობით წმინდანებმა მრავალი ადამიანი მოაქციეს ქრისტეს სჯულზე. მოყვასთათვის მეტი სარგებელი რომ მოეტანათ, ბალახებისა და მცენარეების →74



■ მამა გიორგი

სამკურნალო თვისებებს ეძიებდნენ და მალე ღრმად განსწავლული ექიმები გახდნენ.

უფალმა რჩეული ძმები აკურთხა, ლოცვის ძალით სულიერი და ხორციელი ავადმყოფობების კურნების ნიჭი მიმადლა. წმიდანები მკურნალობდნენ არამარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც. მუდამ ახსოვდათ მაცხოვრის სიტყვები: „უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით“ და გაწეული დახმარებისთვის არანაირ საზღაურს არ იღებდნენ, რისთვისაც ხალხმა მათ უვერცხლონი შეარქვა.

კოზმასა და დამიანეს ღვთივსათნო ცხოვრებამ რომის ხელისუფალთა ყურადღება მიიპყრო და მათ შესაპყრობად მეომრები გაგზავნეს. მათ, ვისაც ისინი ეხმარებოდნენ, ძმებს სთხოვეს, დროებით

**„წმინდა მამები ამბობენ და სულხან-საბას ლექსიკონშიც ასეა განმარტებული, რომ შური არის მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა. ადამიანებს ეს გრძნობა მაშინ იპყრობთ, როცა სხვის წარმატებას გაიგებენ. ზოგისთვის ეს ლამის ტრაგედიად იქცევა ხოლმე. იწყებენ დრტვინვას, სხვათა განკითხვას, რაც ხშირად ცილისწამებაში გადადის და ცოდვას ცოდვა ემატება“.**

ტყისთვის შეეფარებინათ თავი. მეომრებმა ძმები რომ ვერ იპოვეს, სხვა ქრისტიანები დაატუსაღეს. მაშინ კოზმამ და დამიანემ საფარი დატოვეს და მხედრებს ჩაბარდნენ იმ პირობით, რომ დატყვევებულებს გაათავისუფლებდნენ. უფლის რჩეულები რომში, საპყრობილეში ჩააგდეს, შემდეგ კი სამსჯავროზე გაიყვანეს. მათ იმპერატორისა და მსაჯულების წინაშე მხნედ აღიარეს თავიანთი სარწმუნოება, უარი განაცხადეს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე და თქვეს: „ჩვენ არა ვართ ჯადოქრები, რაშიც თქვენ გვდებთ ბრალს. სნეულებს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს ძალით ვკურნავთ და არანაირ საზღაურს არ ვიღებთ, რადგან სახარებაში წერია: „უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდცა მისცემდით“ (მთ. 10,8).

იმპერატორი კარინი არ ცხრებოდა და თავისას დაჟინებით მოითხოვდა. მაშინ, ღვთის განგებით, მას სნეულება შეეყარა და საკუთარ მაგალითზე დარწმუნდა უფლის ყოვლისშემძლეობაში. ამაყმა თვითმპყრობელმა შემწეობა ითხოვა წმინდა ძმებისაგან და აღთქმა დადო, რომ ქრისტეს შეუდგებოდა. კოზმამ და დამიანემ უწამლეს იმპერატორს, რის შემდეგაც ორივენი გაათავისუფლეს.

— ***როგორ აღესრულნენ წმინდანები?***

— რაც ვერ შეძლო წარმართთა სიძულვილმა და რომაელ ხელისუფალთა სისასტიკემ, მოახერხა შურმა: მხცოვანი მკურნალი მოძღვარი, ვისთანაც თავის დროზე ძმები ექიმობას სწავლობდნენ, მათმა დიდებამ შურით აღავსო. ოდესღაც თავისი უსაყვარლესი მოწაფეები ტყეში გაიტყუა, თითქოსდა იშვიათი სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად. იქ კი ბოროტისაგან გონდაბინდულმა ვერაგულად დახოცა ძმები და მათი წმინდა ცხედრები მდინარეს გაატანა. ასე დაასრულეს თავიანთი მიწიერი ცხოვრება უვერცხლო მკურნალებმა, წმინდა ძმებმა, კოზმამ და დამიანემ.

უფალმა განადიდა თავისი სათნომყოფელები. მათდამი რწმენით აღვლენილი ლოცვებით სნეულები ახლაც იკურნებიან სალმობათაგან. ძმები სიკვდილის შემდეგაც მრავალ სასწაულს აღასრულებდნენ. მათ იხსნეს ფერემანში, კოზმასა და დამიანეს სახელობის ტაძრის მახლობლად მცხოვრები ვინმე მალქოზის მეუღლე, რომელიც მარტო იყო სახლში. მისი დაღუპვა ერთ-ერთმა მზაკვარმა კაცმა განიზრახა. ქალმა გულწრფელი სარწმუნოებით შეჰვედრა უფალს. უეცრად საიდანღაც ორი ჭაბუკი გამოჩნდა. მათ მალქოზის ცოლს უშველეს. გახარებულმა ქალმა ყველას მოუთხრო, რაც თავს გადახდა, ღვთისადმი მადლიერებით აღსავსემ, აცრემლებულმა, კოზმასა და დამიანეს ხატს მიმართა და სამადლობელი ლოცვა აღავლინა გადარჩენისთვის.

მას შემდეგ წმიდა უვერცხლო მკურნალ ძმებს თაყვანს სცემენ, როგორც ქრისტიანული ოჯახის სიწმიდისა და სიმტკიცის მფარველებს.

— ***წმინდანების მასწავლებელი შურმა შეიპყრო და ამ ცოდვას კიდევ უფრო დიდი ცოდვა მოჰყვა — მკვლელობა. რა ბადებს ადამიანებში შურის ცოდვას?***

— შური შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან ერთ-ერთია. წმინდა გრიგოლ პალამას თქმით: „შური მკვლელობის ტოლფასია, შური იყო მიზეზი პირველი კაცისმკვლელისა, მერე კი ღმერთის მოკვლისაც“. ეკლესია გვასწავლის, რომ ყველა ცოდვის დედა ამპარტავნებაა. ასეთ ადამიანს თავი ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი, განათლებული ჰგონია. სურს, ყველა მას ემორჩილებოდეს, მის აზრს ითვალისწინებდეს, ყველაფერი მას ეკუთვნოდეს. შურის მშობელიც ამპარტავნებაა. წმინდა მამები ამბობენ და სულხან-საბას ლექსიკონშიც ასეა განმარტებული, რომ შური არის მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა. ადამიანებს ეს გრძნობა მაშინ იპყრობთ, როცა სხვის წარმატებას გაიგებენ. ზოგისთვის ეს ლამის ტრაგედიად იქცევა ხოლმე. იწყებენ დრტვინვას, სხვათა განკითხვას, რაც ხშირად ცილისწამებაში გადადის და ცოდვას ცოდვა ემატება.

„რატომ არის ეს ადამიანი მოწყენილი?“ — ჰკითხეს ერთ ბრძენს და მიუთითეს შურიან ადამიანზე, რომელიც ყოველთვის ნაღვლიანი სახით დადიოდა. „ალბათ იმიტომ, რომ ან მას შეემთხვა რაიმე უბედურება, ან მის მოყვასს — ბედნიერება“, — მიუგო ბრძენმა. წმინდა მამები გვასწავლიან: „შურიანი წუხს, როცა თავისზე აღმატებულს ხედავს და მისი თანასწორი არ არის. ასევე იტანჯება თავის თანასწორთა ხილვისას, რადგან მათზე აღმატება სურს“. გამოდის, რომ ასეთი ადამიანი არასოდეს არის მშვიდი, მისდამი სხვის მიერ გაკეთებული სიკეთეც კი აღიზიანებს.

„მართლმადიდებლობა არამარტო სხვისი მწუხარების გაზიარებაა, არამედ სხვისი სიხარულის გამო სიხარული და ბედნიერება“, — ბრძანა ერთ-ერთი ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

— ***ადამიანებისთვის ძნელია იყვნენ გახარებულები სხვისი ბედნიერებით, როცა თავად უბედურები არიან. როგორ დავაღწიოთ თავი ამ ცოდვას, რომელიც ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული?***

— „ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ შური, თუ დიდად არ ჩავთვლით არც იმას, რასაც ადამიანები სიმდიდრეს

**„წამალი შურისა სიყვარულია. შურსა და სიძულვილს ქრისტიანული სიყვარული აუძლურებს“.**

უწოდებენ, არც მომხიბლავ დიდებას, არც სხეულის ჯანმრთელობას, არამედ ვისწრაფვით მარადიული და ჭეშმარიტი მადლის მოსაპოვებლად“, — ამბობს წმინდა ბასილი დიდი.

„როცა ხედავ სიმდიდრეს ან დიდებას, ან საერთო ხელმწიფებას, იფიქრე იმაზე, რომ ყოველივე ეს წარმავალია, შური ამპარტავნების შვილია, შეებრძოლე მას და ამ სენისგანაც გათავისუფლდები“, — გვმოძღვრავენ წმინდა მამები.

შურიანი ადამიანი უფლის სასუფეველს ვერასოდეს დაიმკვიდრებს. შურთან ბრძოლა კი შესაძლებელია საკუთარ ცოდვათა განცდით და ამ ცოდვათა გამო სინანულით, საკუთარი უღირსების შეგრძნებით და თავმდაბლობით.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე შურის შესახებ ამბობს: „შური არს მწუხარება, რომელსა კაცი ჰგრძნობს გულში, ოდეს იგი ჰხედავს სიკეთესა, წარმატებასა და ბედნიერებასა თვისის მოყვასისასა. შურსა შეუდგებიან მრავალნი სხვანი ცოდვანი...

ჭეშმარიტად, ძმანო ჩემნო, შური არის ერთი დიდი და უწყალო მფლობელი და სასტიკი უფალი საწყალთა ჩვენთა გულთა; ჩვენ ყოველნი ვართ საბრალონი და უბედურნი მონანი შავისა ამის გველისანი. ვისი ენა გამოსთქვამს, ვისი კალამი აღწერს ურიცხვთა ვნებათა, რომელნი წარმომდინარეობდნენ ამ მოწამლულისა წყაროისაგან და გააშორებენ ჩვენს ქვეყანასა შინა ყოველსა კეთილსა? არ არის არცა ერთი ეჭვი, რომელ მცხოვრებნი ამა ქვეყნისანი ას-წილ იქმნებოდნენ უბედნიერეს, უკეთუმცა არ იყოს მათ შორის შური და ნაყოფი მისი, შურის-ძიება! ყველა სნეულებას და მათ შორის შურსაც, თავისი წამალი აქვს — წამალი შურისა სიყვარულია. შურსა და სიძულვილს ქრისტიანული სიყვარული აუძლურებს“.

წმინდა დამიანესა და კოზმას მიმართ შემდეგი ლოცვები იკითხება:

## ტროპარი

წმიდანო უვერცხლონო მკურნალნო, საკვირველთმოქმედნო, კოზმა და დამიანე, მოიხილენით და განკურნენით უძლურებანი სულთა და ხორცთა ჩუენთანი, უსასყიდლოდ მიგიღებიესთ, და უსასყიდლოდ მოგვცემდით ჩუენ.

## კონდაკი

რომელთა მადლნი კურნებათანი მიიხვენით, და მიჰფენთ ჭირვეულთა სიმრთელესა, საკვირველნო მკურნალნო დიდებულნო, მოხედვითა თქუენითა მბრძოლთაცა სილაღეი დაარცხრვეთ, სოფლის მკურნალნო საკვირველებათა მიერ.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# არქიმანდრიტი ადამი: „ბერად აღკვეცის დღემდე ექიმად ვმუშაობდი“



არქიმანდრიტი ადამ (ვახტანგ) ახალაძე სანამ ადამიანთა სულის მკურნალი გახდებოდა, მათი ხორცის მკურნალი იყო. პაციენტების პულსზე ჰქონდა ყური მიდებული. მერე კი მის სულში დიდმა სინათლემ დაივანა და ღვთის გზაზე შედგომა გადაწყვიტა. ახლა ერთდროულად ორი ჯვრის ტვირთება უწევს, ბერისა და მღვდლის. მამა ადამი წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარია და ამავე დროს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ. თავისი ცხოვრების შესახებ თხრობა ასე დაიწყო:

— 1962 წელს დავიბადე. ჩემს საბჭოთა ოჯახში რელიგიას ყურადღება ექცეოდა, ყოველი შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიცია გვქონდა. ბებიაჩემი ძალიან მორწმუნე ქალი იყო, ისევე როგორც ჩემი მშობლები. ბებიას სამივე ბიძა დეკანოზები გახლდნენ და მათ შესახებ ხშირად გვიამბობდა. მართალია, ეკლესიური ცხოვრება ჩემს ყოველდღიურობაში არ იყო, მაგრამ ეს არც უცხო გარემო გახლდათ. ნათესაობაში ვინმე რომ გარდაიცვლებოდა, უკვე ვიცოდით, რომ მღვდელი უნდა მოსულიყო. ბავშვებს გვეტყოდნენ, დილით ადრე მღვდელი მოვაო. იმ დროს, რა თქმა უნდა, გვეძინა და

**„დედაჩემი გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე სამონაზვნო ანასტასია გახდა. ვფიქრობ, მისთვის ეს იყო ღვთის საჩუქარი იმ რთული ცხოვრებისთვის, რაც გაიარა და იმ ერთგულებისთვის, რაც უფლის მიმართ ჰქონდა".**

წესის აგების რიტუალს ვერ ვესწრებოდით. ის შემთხვევებიც მახსოვს, როდესაც მღვდელი დღისით მოვიდა. მაგალითად, ახლაც თვალწინ მიდგას, როცა ახალგაზრდა ბიძა გარდამეცვალა. სასულიერო პირი დღისით მოვიდა და მეც ვნახე.

**— ესე იგი, საბჭოთა ოჯახების უმეტესობისგან განსხვავებით, თქვენს ოჯახში რწმენას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.**

— კი, ნამდვილად. ჩვენს სახლში სანთლებს ყოველთვის ანთებდნენ. ხშირად მივდიოდით სასაფლაოზე, საკმეველიც მიგვქონდა, საკურთხსაც ვამზადებდით და ტაძარშიც შევდიოდით. ექსკურსიებზე რომ მივდიოდით, ყველა ტაძარში სანთელს ვანთებდი ხოლმე. საბჭოთა პერიოდი კი იყო, მაგრამ პირადად მე პრობლემა არასდროს შემქმნია და არც არავის დავუსჯივარ სანთლის ანთების გამო.

როცა გავიზარდე, ვიცოდი, რომ ცოტა ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რადგან მორწმუნე ხალხს ავიწროებდნენ. სტუდენტობის დროს, ჩემს მეგობრებთან ერთად ყოველთვის დავდიოდი ლიტანიობაზე. ხან სიონის ეკლესიის ეზოში ვდგებოდით, ხან სიონის ქუჩაზე, ანუ სადაც მოგვიხერხდებოდა მისვლა. შეძლებისდაგვარად, წირვა-ლოცვებს ვესწრებოდით. იმ დროს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ახალმოვლენილი პატრიარქი იყო და მის ქადაგებებს დიდი გულისყურით ვუსმენდით. ამქვეყნად უკვალოდ არაფერი მიდის. შეიძლება იმ წლებში ცოცხალი რწმენის მატარებელი არ ვიყავი, ბევრი რამ არ ვიცოდი მართლმადიდებლური ცხოვრების შესახებ, მაგრამ რაღაც არსებობდა ჩემს სულსა და გულში. ნიადაგი მზადდებოდა იმისთვის, რომ ღმერთზე ფიქრი დამეწყო. ყველაფერი ფიქრით იწყება, ცოცხალი რწმენა კი შემდგომ ჩნდება.

**— ახალგაზრდა ადამიანის რწმენის ჩამოყალიბებაში რამდენად აქვს მნიშვნელობა გარემოს, სადაც იზრდება?**

— გარემო ყოველთვის მნიშვნელოვანია. შეიძლება ოჯახის წევრები ღრმად მორწმუნენი არ იყვნენ, მაგრამ მათი საქციელი იყოს სამაგალითო. ასეთ დროს ბავშვს პატარაობიდან უჩნდება რწმენის მარცვალი, რომელიც წლებთან ერთად უნდა გაღვივდეს. როცა კი საშუალება მაქვს, უფროსებს ყოველთვის მივმართავ: არ არის საჭირო დაძალება და კატეგორიულობა, რომ მათმა შვილებმა ეკლესიაში იარონ. ჩვენ უბრალოდ უნდა შევთავაზოთ იქ წასვლა ან ხშირად ვესაუბროთ სარწმუნოებაზე და საინტერესო ისტორიები მოვუყვეთ. მათ თავად უნდა გაუჩნდეთ ეკლესიაში სიარულის ინტერესი. რაც უნდა დავაძალოთ, თუ არ უნდათ, არ წავლენ და, თუ წავლენ, რომელ ტაძარშიც უნდათ, იქ ივლიან. ბევრი ახალგაზრდა ვიცი, რომლებიც სხვა ტაძარში სიარულს არჩევენ და არა იქ, სადაც მათი მშობლები დადიან. მათ აქვთ განცდა იმისა, რომ ეს მიმბაძველობაში ჩაეთვლებათ. ურჩევნიათ, თავისთვის ჩუმად აკეთონ ის, რაც სურთ. ამიტომაც ახალგაზრდებს ამ საკითხში ხელი არ უნდა შევუშალოთ.

**— თქვენ რა სახის მაგალითს გაძლევდნენ მშობლები, ბებია?**

— როდესაც ჩვენს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, ბებიაჩემი თავისი ხელით ჩამოქნიდა ხოლმე შვილიშვილების სიგრძის სანთლებს. ცვილს ყიდულობდა და თხელ სანთლებს აკეთებდა. რადგანაც ძალიან გრძელი გამოდიოდა, მრგვალად ახვევდა. ღამე იტყოდა, დილით ადრე ეკლესიაში მივდივარო და მარტო წავიდოდა. გაშლიდა ამ გრძელ სანთლებს და სანამ არ ჩაიწვებოდა, იქამდე იდგა ტაძარში და ლოცულობდა შვილიშვილებისთვის. ზოგჯერ მთელ დღეს ტაძარში ატარებდა. ბებიაც შესაბამის რელიგიურ გარემოში იყო გაზრდილი. მის სოფელში ბევრი მორწმუნე ადამიანი იყო, სოფლის ეკლესიის წინამძღვრები მისი ბიძები იყვნენ, სკოლაში საღვთო სჯულს სწავლობდა. ამ ყველაფრის დამსახურებით ბებია საკმაოდ მორწმუნე ქალი გახლდათ.

საერთოდ, უფროსები მორწმუნეები კი იყვნენ, მაგრამ ჩვენ ამ რწმენას თავს არასდროს გვახვევდნენ. უბრალოდ მათი თითოეული სიტყვა, თუნდაც არა ჩვენთვის ნათქვამი და მათი საქციელი იყო სამაგალითო. ჩვენი ეკლესიურად მცხოვრები წინაპრების შესახებ ბევრს გვიყვებოდნენ. ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებაში ილექებოდა და შემდგომ ცხოვრებაზეც აისახა. დღესაც, როცა მომინდება, რომ რაღაც დავწერო, ამ ამბებს ვიგონებ. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობის იმ ლამაზი მოგონებებით ვსაზრდოობ, რომელიც რწმენას უკავშირდება.

**„დღემდე არ ვიცი, როგორ მოხდა ჩემში ის გარდატეხა, რომ ბერად აღკვეცა გადავწყვიტე. ამის რაციონალური ახსნა ყოველთვის მიჭირს. უბრალოდ შენში რაღაც იცვლება და ამ აზრამდე მიდიხარ, რომ ამის გარდა სხვა საქმის კეთება არ გსურს. შენ თვალწინ ისეთი სამყარო იშლება, რომლის გარეშე არც არსებობა შეგიძლია, არც სუნთქვა და არც არაფერი".**

**— სანამ ეკლესიურ ცხოვრებას აქტიურად შეუდგებოდით, რას საქმიანობდით?**

— ბათუმელი ვარ. სკოლაც იქ დავამთავრე. მერე თბილისში წამოვედი და სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. 7 წლის შემდეგ სწავლა მოსკოვში განვაგრძე და 7 წელი იქ ვიცხოვრე. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში ვსწავლობდი და ვმუშაობდი. 20 წლის განმავლობაში გულ-სისხლძარღვთა სპეციალისტად ვიმუშავე, შემდეგ კი ინტენსიური თერაპიის განყოფილებასა და რეანიმატოლოგიაში ვიყავი. ბერად აღკვეცის დღემდე ექიმად ვმუშაობდი. თბილისის ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა ბაადურ მოსიძემ რამდენიმე თვის შემდეგ სამსახურში ისევ დამიძახა. მან ინტენსიური თერაპიისა და ანესთეზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. ბატონი ბაადურის დიდი მადლობელი ვარ, რომ ასე დამაფასა, მაგრამ უარი ვუთხარი. ბერად ახალი აღკვეცილი ვიყავი და ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. ვფიქრობდი, რომ ორივე სფეროს, სამედიცინოს და სასულიეროს, ერთად ვერ გავწვდებოდი.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის გენერალურ დირექტორად დავინიშნე. აი, ამაზე კი უარი ველარ ვთქვი, რადგან ეს პატრიარქის კურთხევა იყო. თავიდან ცოტა კი შევშინდი, არ ვიცოდი, თავს როგორ გავართმევდი. ეს ამბავი რომ შევიტყვე, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე და იმაზე ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა. იმ ღამეს თავში უა-

→76

გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მრავი ფიქრი და აზრი მომდიოდა და გაურკვევლად ვიყავი. სხვათა შორის, სწორედ მაგ დროს გამახსენდა, რომ დედაჩემს ყოველთვის უნდოდა, მეან-გინეკოლოგი გამოვსულიყავი. მე კი ჩემი ახალგაზრდული განწყობით ვეუბნებოდი, ეს მამაკაცური საქმე არაა და ამას ქირურგია სჯობია-მეთქი. დედა მეუბნებოდა, შენ შენი აზრი გაქვს, მაგრამ მაინც დაფიქრდი, რადგან არ იცი, რამდენი საჭირო საქმის გაკეთება შეიძლება სამეანო სფეროშიო.

მე მაინც ის გავაკეთე, რაც მსურდა და ქირურგი გავხდი, ათეული წლების შემდეგ კი მაინც იმ სფეროში აღმოვჩნდი, რომელშიც დედაჩემი მხედავდა. მაშინ მივხვდი, რომ დედის ლოცვა უკვალოდ არასდროს ჩაივლის. მართალია, მეან-გინეკოლოგი ვერ გავხდი, მაგრამ სამშობიარო სახლის დირექტორი გავხდი. შარშან წამოვედი მაგ

> **„ჩემმა სულიერმა მშობლებმა მომამზადეს, მათი გამოცდილება დამეხმარა, თუმცა, როგორც უნდა მოგამზადონ და როგორი ფარდაგებიც უნდა დაგიფინონ, გზა ეკლესიისკენ ყოველთვის რთულია. ვთვლი, რომ, რომელ გზასაც ადამიანი გადის, იოლი არც ერთია. ყველას აქვს თავისი ჯვარი, ამიტომაც უფალი ყველას მფარველობს და იწირავს".**

სამსახურიდან. დღეს ის დრო კარგად მახსენდება, რადგან საინტერესო პერიოდი გამოვიარე ყველანაირი გამოცდილების თვალსაზრისით. ამან თითქოს სულიერება კიდევ უფრო ამიმაღლა.

— **ბერად აღკვეცის სურვილი რა დროიდან გქონდათ?**

— ბერად 2004 წელს აღვიკვეცე, იმავე წელს მღვდელ-მონაზონი გავხდი. დიდი ხნის განმავლობაში მქონდა სურვილი, ბერი გავმხდარიყავი. ამისთვის ვემზადებოდი და სულ მოლოდინში ვიყავი. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებისთანავე არ სრულდება. ამ ყველაფერს კარგად გააზრება და შესისხლხორცება სჭირდება. სანამ ბერი გახდები, გარკვეული ეტაპები უნდა გაიარო სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდების ჩაბარების სახით. მე მიხარია, რომ რამდენიმე წელი ველოდი ამ დღეს და ბოლოს სურვილი ამიხდა. დღემდე არ ვიცი, როგორ მოხდა ჩემში ის გარდატეხა, რომ ბერად აღკვეცა გადავწყვიტე. ამის რაციონალურად ახსნა ყოველთვის მიჭირს. უბრალოდ შენში რაღაც იცვლება და ამ აზრამდე მიდიხარ, რომ ამის გარდა სხვა საქმის კეთება არ გსურს. შენ თვალწინ ისეთი სამყარო იშლება, რომლის გარეშე არც არსებობა შეგიძლია, არც სუნთქვა და არც არაფერი.

მართალია, ბერმონაზვნობა იყო ჩემი მოწოდება, მაგრამ მთელი მორჩილების განმავლობაში განვიცდიდი იმას, რომ შეიძლებოდა უფალს უღირსად ჩავეთვალე და შესამოსელის გარეშე დავრჩენილიყავი. თაბორის მთაზე, ფერისცვალების მონასტერში, მამა ბართლომესთან ვიმსახურე. ერთ დღესაც მან კურთხევა მომცა, რომ შესამოსელი შემეკერა. ერთხელ მოვირგე, სარკეში ჩავიხედე და შემდეგ მამა ბართლომეს ვუთხარი, თუ რამე არ მოგწონთ, თავად შეასწორეთ-მეთქი. თუმცა ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ველოდი, სანამ სამღვდელო მსახური გავხდებოდი. შესამოსელის შეკერვა ეგრევე დასტურის მიცემას სულაც არ ნიშნავს. ბოლო წუთამდე ის განცდა არ მტოვებდა, ჩამთვლიდა თუ არა უფალი ამ ყველაფრის ღირსად. ჩემი აზრით, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც შეიძლება ადამიანს უფლისგან ერგოს.

— **ერთდროულად ბერისა და მღვდლის ჯვარი ალბათ კიდევ უფრო მძიმეა.**

— სიტყვებით გადმოცემა რთულია, მაგრამ გეტყვით, რომ ეს ჯვარი კიდევ უფრო განსხვავებულია, ვიდრე მხოლოდ მოძღვრის. ბერი რომ ამავე დროს მღვდელ-მონაზონი ხდება, კიდევ უფრო მძიმე ტვირთია. მადლობა უფალს, რომ იგი ძალიან მეხმარება. ჩემი სულიერი მშობლებიც ძალიან დამეხმარნენ და შესაბამისად მომამზადეს. მათი სულიერი ცხოვრების გამოცდილება ძალიან დამეხმარა. ეს არის ის საგზალი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მიგყვება და რომლითაც იკვებები. მისი უწმინდესობის ქადაგებები და ზოგადად მასთან ურთიერთობა ჩემთვის ბევრს ნიშნავდა ამ მძიმე ტვირთის საკუთარ თავზე აღებაში. აგრეთვე ძალიან დამეხმარა ჩემი სულიერი მოძღვრის, მამა გიორგის (ამჟამად მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი) სამოძღვრო მსახურება; ჩემი სულიერი დედის, იღუმენია სერაფიმას ზრუნვა და სიყვარული; ჩემი აღმკვეცელის და სულიერი მამის, არქიმანდრიტ ბართლომეს სითბო და სიალალე რწმენაში. ეს ყველაფერი არის სწორედ ჩემი დიდი საგზალი, რომელიც უფლისკენ სავალ გზაზე სიარულს მიადვილებს.

თუმცა, როგორც უნდა მოგამზადონ და როგორი ფარდაგებიც უნდა დაგიფინონ, გზა ეკლესიისკენ ყოველთვის რთულია. კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ამას წარმოვიდგენთ. ზოგადად, ვთვლი, რომ, რომელ გზასაც ადამიანი გადის, იოლი არც ერთი არის. ყველას აქვს თავისი ჯვარი, ამიტომაც უფალი ყველას მფარველობს და იწირავს.

— **ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს თქვენი გადაწყვეტილება, სასულიერო პირი გამხდარიყავით?**

— მეცნიერებასა და მედიცინაში ისეთი მიღწევები მქონდა, რომ ჩემს მშობლებს არ უნდოდათ, ამ ყველაფერზე უარი მეთქვა. გული დასწყდათ, რომ სამედიცინო სფეროს ჩამოვშორდი. მერე თანდათან ეს ტალღა დაცხრა, მაგრამ მაინც მირჩევდნენ, ბერად არ წახვიდე, მღვდელი გახდიო. ეს ალბათ ის პერიოდი იყო, როდესაც უფალი მცდიდა. იმ დროს მე მქონდა განცდა იმისა, რომ ჩემი მხრიდან ყოველი დათმობა უფლის ღალატი იქნებოდა. ჩემი მშობლები ყოველთვის ღრმად მორწმუნეები იყვნენ და მადლობა ღმერთს, რომ მალე შეეგუვნენ ჩემს გადაწყვეტილებას.

ისე მოხდა, რომ დედაჩემი გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე სამონაზვნო ანასტასია გახდა. ვფიქრობ, მისთვის ეს იყო ღვთის საჩუქარი იმ რთული ცხოვრებისთვის, რაც გაიარა და იმ ერთგულებისთვის, რაც უფლის მიმართ ჰქონდა.

— **წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის წინამძღვარი როდიდან ხართ და მანამდე სად მსახურობდით?**

— მღვდელ-მონაზვნად კურთხევის დღიდან სამების საკათედრო ტაძარში ვიყავი. წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის რუსულ ეკლესიაში 2009 წლის მაისიდან ვარ. სხვათა შორის, მე ვარ პირველი მღვდელ-მონაზონი, რომელიც მისმა უწმინდესობამ სამებაში აკურთხა. მეგონა, სულ სამებაში უნდა ვყოფილიყავი. მანამდე კი ვფიქრობდი, რომ სულ მონასტერში ვიქნებოდი. სადაც გაგვგზავნიან, იქ უნდა წავიდეთ. მეოთხე წელია, რაც ამ ეკლესიის წინამძღვარი ვარ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტაძარია, სადაც უძველესი სიწმინდეები ინახება. ერთ-ერთი იმ ტაძართაგანია, რომელიც საბჭოთა პერიოდში არ დაუხურავთ, რადგან რუსულენოვანი იყო. დღეს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა ორ ენაზე აღევლინება. დიდი მრევლი გვყავს. წირვის ჩასატარებლად რომ გამოვალ და ამდენ ადამიანს დავინახავ, ბედნიერი ვარ და თან ყოველთვის პასუხისმგებლობის დიდი განცდა მეუფლება. ვცდილობ, თითოეული ადამიანის გულამდე მივიდე, რათა ისინი უფრო გალაღებულნი და უფრო მორწმუნენი იყვნენ. ადამიანი ხომ ღვთის შექმნილია და ეს სამყაროც უფალმა შექმნა მათთვის.

— **გარდა ამისა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანდებით. როგორ შეიქმნა ეს სასწავლებელი?**

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2004 წელს მოწყალების დების სასწავლებელი დავაარსეთ. სხვათა შორის, ეს იყო ჩემი დიდი ხნის ოცნება. მინდოდა, მაღალპროფესიონალი ექთნები აღგვეზარდა, რომლებიც არამარტო ფიზიკურად, სულიერად იქნებოდნენ მზად ავადმყოფების მოსავლელად. როცა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ექთნის სულიერი და ზნეობრივი თანადგომა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ავადმყოფს უნდა მიხედო და მოუარო, აგრეთვე წვლილი უნდა შეიტანო მისი რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებაში. მალევე ჩვენი სასწავლებელი მედიცინის ინსტიტუტად გადაკეთდა და სასულიერო აკადემიას შეუერთდა. საბედნიეროდ, ახალგაზრდების კარგი ნაკადი გვყავს და ყველანაირად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ.

— **მართალია, აქტიურ სამედიცინო სფეროს ჩამოშორდით და თქვენს მთავარ მოწოდებას გაჰყევით, მაგრამ ალბათ არის მომენტები, როდესაც ექიმობა გენატრებათ.**

— რამდენჯერაც საავადმყოფოში მისვლა მიწევს, განსაკუთრებით რეანიმაციულ განყოფილებაში, იმდენჯერ გული მიჩქარდება. როგორც ჩანს, ჩემი რეფლექსი ჯერ კიდევ არ დაძლეულა, რადგან საოპერაციოში შესვლისთანავე პასუხისმგებლობის გრძნობა მიჩნდება. მგონია, რომ ისევ ექიმი

> **„ხშირად ისეთი რამ მომისმენია, რომელსაც უშუალოდ ავადმყოფობასთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ პაციენტი მაინც მიყვებოდა. ისინი ერთგვარ სულიერ აღსარებას მაბარებდნენ".**

ვარ და პაციენტს ჩემი დახმარება სჭირდება. რეანიმაციულ განყოფილებაში ყოფნისას მონიტორებს თვალს არ ვაშორებ ხოლმე, ვუყურებ და ვაფასებ ავადმყოფის მდგომარეობას. ეს სისხლში მაქვს გამჯდარი. ამით უფრო ვრწმუნდები, რომ ყოფილი ექიმები არ არსებობენ. ექიმი სულით და გულით ბოლომდე ექიმად რჩება. კიდევ კარგი, განსხვავებულ სფეროში არ წავსულვარ, რადგან ეკლესიასა და მედიცინას შორის არის გარკვეული კავშირები. ადამიანები ექიმსაც და მოძღვარსაც თავიანთი გასაჭირის შესახებ იმგვარად უამბობენ, როგორც სხვას არ ეტყვიან. ხშირად ისეთი რამ მომისმენია, რომელსაც უშუალოდ ავადმყოფობასთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ პაციენტი მაინც მიყვებოდა. ფაქტობრივად, ისინი ერთგვარ სულიერ აღსარებას მაბარებდნენ. მათ ყოველთვის ბოლომდე ვუსმენდი. ახლაც უამრავი ისეთი ადამიანი მოდის ჩემთან, რომელიც, გარდა თავისი სულიერი საფიქრალისა, ფიზიკური ტკივილის შესახებ შემომჩივის. ადრეც და ახლაც ვცდილობ, ხალხს ფიზიკურადაც დავეხმარო და სულიერადაც.

✓ თეონა კენჭიაშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# თავსატეხი

გაარკვიეთ, ვინ რა დაიჭირა?



# გააფერადეთ







Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ხელოვნური ყვავილები

ყვავილები ყოველთვის ალამაზებს გარემოს და ინტერიერს. ხელოვნური ყვავილები საკუთარი ხელითაც იოლად შეგიძლიათ დაამზადოთ. ამისათვის დაგჭირდებათ: ჟატის ქაღალდი, ნემსი, ძაფი (სქელი), წებო.

ქაღალდისგან გამოჭერით გრძელი მართკუთხედი. ცალ მხარეს კიდეები მოუმრგვალეთ ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. აკინძეთ ნემსითა და ძაფით და შემდეგ ძაფი ნელი მოძრაობით გამოქაჩეთ ისე, რომ მიიღოთ ყვავილის ფორმა. ზედმეტი ნაწილი მოაჭერით და დააფიქსირეთ. ყვავილის ძირი აუცილებლად დაამაგრეთ ნემსით ან წებოთი. სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 9 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 6 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 2 | 6 | 9 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 2 | 8 | 1 | 4 | 6 | 7 | 3 |
| 6 | 7 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 |
| 8 | 4 | 5 | 3 | 9 | 7 | 1 | 6 | 2 |
| 1 | 2 | 6 | 4 | 8 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 2 | 6 | 1 | 8 | 4 | 5 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 7 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 3 | 2 | 9 | 7 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 6 | 8 | 5 | 3 | 2 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 8 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | 2 | 3 |
| 2 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 5 | 6 | 9 |
| 9 | 3 | 5 | 2 | 7 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 6 | 4 | 2 | 8 | 9 | 7 | 1 | 3 | 5 |
| 8 | 9 | 1 | 3 | 2 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 7 | 5 | 3 | 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 |

## კვერცხი ფიგურის შენარჩუნებას ეხმარება



მეცნიერებმა კომპლექსური გამოკვლევა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ადამიანები, რომლებიც დილას მოხარშული, შემწვარი კვერცხით ან ომლეტით იწყებენ, განსაზღვრული დროის შემდეგ ზედმეტი წონის ორ მესამედს კარგავენ. ასეთი საუზმის საიდუმლო იმაშია, რომ კვერცხის მოხმარებისას დანაყრების მომენტი სწრაფად დგება, ხოლო შიმშილის შეგრძნება დიდი ხნით არ ვლინდება. შედეგად, ადამიანი დღის განმავლობაში ბევრად ნაკლებს ჭამს.

## ინსულტის შემდეგ მღერა ტვინს აღადგენს

სიმღერის გაკვეთილების დახმარებით ადამიანებს, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს, შეიძლება მეტყველება აღუდგეთ — ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. გაირკვა, თუ ინსულტის შემდეგ დაზიანებულია სამეტყველო ცენტრი, სულ ერთია, ავადმყოფს მღერა მაინც შეუძლია. საქმე ისაა, რომ სიმღერის დროს მეტყველებაზე პასუხისმგებელი ტვინის მიდამო არ გამოიყენება.

ჩვეულებრივი თერაპიული კურსის ეფექტი 14 კვირის (75 საათნახევრიანი მეცადინეობის) შემდეგ ვლინდება. მკურნალობის დროს ავადმყოფები რამდენიმე ასეული სიტყვის და ფრაზის სიმღერით თქმას სწავლობენ. ამგვარად, ტვინის ნახევარსფეროებს შორის დაკარგული კავშირი აღდგება. შედეგად, კურსის დასასრულს პაციენტების უმრავლესობას მეტყველების უნარი უბრუნდება.

## ეს იცოდით?

❖ შვედეთში შამპუნის მწარმოებელ კომპანიას რეკლამის სახელის შეცვლა მოუხდა. „საღამოს შამპუნი“ „დღის შამპუნით“ ჩაანაცვლეს, რადგან შვედები თავს დღისით იბანენ.

❖ ყველაზე ნაკლები დეზოდორანტი იაპონიაში იყიდება, რადგან იაპონელები თვლიან, რომ მათ სხეულს სუნი არ აქვს.

❖ „მალბოროს“ 1945 წლამდე ვარდისფერ კოლოფში უშვებდნენ და მისი მომხმარებლები მხოლოდ ქალები იყვნენ.

❖ ამერიკის ხელისუფლება ყოველწლიურად რეკლამაში 100 მილიონ დოლარს ხარჯავს.

❖ ყველაზე ძვირადღირებული საგაზეთო რეკლამა (3,2 მილიონი დოლარი) 1979 წლის 5 თებერვალს ჟურნალ „თაიმსში“ განათავსეს.

❖ ინგლისში რეკლამებში აკრძალეს სიტყვების „გარანტირებული“ და „პასუხს ვაგებთ“ გამოყენება. ამ სიტყვების რეკლამაში ხმარება მხოლოდ სამეფო კარის თანხმობითაა შესაძლებელი.

❖ ჟურნალი „ლაიფი“ პირველი გამოცემაა, რომელმაც რეკლამებით 100 მილიონი დოლარის მოგება ნახა.



Cyan Magenta Yellow Black

მაგთის გათამაშებაში

# მოიგე!



2014 წლის რეინჯ როვერ სპორტი



ბინა ლისი ვერანდაზე



100 000 ლარი

მაგთის, ბანის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებმა გათამაშებაში მონაწილეობისათვის

## დარეკეთ *599

*5990

www.magticom.ge

ნებართვა N19-03/061


ბილაინი®
200 000 ლარი
50 000 ლარი
20 000 ლარი
15 000 ლარი
10 000 ლარი
რეგისტრაცია
*500#
გათამაშება გაიმართება 15 იანვარს,
18:30 რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში
2 20 22 20
www.beeline.ge
ნებართვა: #19-03/064